

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტი

სოფიო ჩაჩავა

მთხოვნების და მთხოვნის საფუძვლების კონკურენცია  
კერძო სამართალში

სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი დავით კერესელიძე,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი

თბილისი, 2010



## სტრუქტურა

აბრევიატურები.....	4
I. შესავალი.....	5
II. კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება და მოთხოვნის წარმომშობი უფლებები.....	7
1. სამოქალაქოსამართლებრივ ნორმათა სახეები.....	7
1.1 დისპოზიციური და იმპერატიული ნორმები.....	8
1.2 აბსოლუტური და რელატიური უფლებების მომწესრიგებელი ნორმები.....	9
1.3 მოთხოვნის საფუძვლები და დამხმარე ხასიათის ნორმები.....	11
2. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი.....	13
2.1 მოთხოვნა.....	13
2.1.1 მოთხოვნის მიმართება უფლებასთან.....	13
2.1.2 მოთხოვნის მიმართება „აქციოსთან“.....	16
2.2 მოთხოვნის საფუძველი.....	18
III. მოთხოვნათა და მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია.....	21
1. მოთხოვნათა და მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის გამიჯვნა.....	21
1.1 კონკურენციის თეორიის ფორმირება.....	22
1.2 კონკურენციის არსებობის წინაპირობები.....	24
1.3 კონკურენციის სახეები.....	26
2. გამომრიცხავი კონკურენცია.....	28
2.1 მოთხოვნის საფუძველთა გამომრიცხავი ანუ კანონის კონკურენცია.....	28
2.2 მოთხოვნათა გამომრიცხავი კონკურენცია.....	32
3. ალტერნატიული კონკურენცია.....	32
3.1 მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენცია.....	32
3.2 მოთხოვნის საფუძველთა ალტერნატიულ კონკურენცია.....	36
4. კუმულაციური „კონკურენცია“.....	38
4.1 მოთხოვნათა კუმულაცია.....	39
4.2 მოთხოვნის საფუძველთა კუმულაცია.....	40
4.3 სპეციალური შემთხვევა – ერთმანეთის შემდგომი კონკურენცია.....	41
IV. სასამართლოს როლი და მოქმედების თავისუფლების ფარგლები.....	42
1. სასამართლოს როლი სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისას.....	42
2. სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპები.....	44
2.1 დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები.....	45
2.2 სასამართლოს საპროცესო თანაქმედება.....	46
2.3 მოსამართლის მოქმედების თავისუფლება მოთხოვნის საფუძვლის შერჩევისა და გამოყენებისას.....	47
3. ნორმის განმარტების მეთოდები და მოსამართლის შეფასებითი თავისუფლება.....	50
3.1 გრამატიკული განმარტების მიმართება ლოგიკური განმარტების მეთოდთან.....	50
3.2 ნორმის შინაარსობრივად შემზღუდავი და განმვრცობი განმარტება.....	54
3.3 მოსამართლის შეფასებითი თავისუფლება.....	55
V. მოთხოვნათა და მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია ნასყიდობის სამართალში.....	56
1. მოთხოვნათა კონკურენცია.....	56
1.1 პირველად და მეორად მოთხოვნათა გამომრიცხავი კონკურენცია.....	56
1.2 დამატებითი შესრულების მოთხოვნა, როგორც გამომრიცხავი მოთხოვნა სხვა მეორად მოთხოვნებთან მიმართებით.....	57

1.2.1 შესრულებისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრა, როგორც სხვა მეორად მოთხოვნათა წარმოშობის აუცილებელი წინაპირობა.....	58
1.2.2 დამატებითი ვადის დაწესების „ვალდებულების“ არსი.....	59
1.3 ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლასა და სხვა მოთხოვნებთან კომბინაციაში .....	60
1.4 მეორად მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენცია .....	61
2. მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის შემთხვევები.....	64
2.1 მოთხოვნის ძირითად და დამხმარე საფუძველთა კუმულაცია.....	64
2.1.1 ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველები ნასყიდობის სამართალში.....	65
2.1.2 ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მოთხოვნის საფუძველების ფორმირება .....	66
2.2 მოთხოვნის საფუძველთა გამომრიცხავი კონკურენცია.....	66
2.2.1 ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის მოთხოვნის საფუძველთა ურთიერთმიმართება.....	66
2.2.2 ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.....	68
2.2.2.1 სსკ-ის 398-ე მუხლით დაფუძნებული მოთხოვნის საფუძველები.....	70
2.2.2.2 ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი ფულის ერთეულის მსყიდველობაუნარიანობის ცვლილებისას.....	71
2.2.3 დამატებითი ვადის დაწესების ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველს შორის წინააღმდეგობა.....	73
2.2.4 პასუხისმგებლობის გამომრიცხავი ან შემამსუბუქებელი რეგულირება.....	75
2.3. მოთხოვნის საფუძველთა ალტერნატიული კონკურენცია.....	77
VI. მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია ნაჩუქარი ნივთის უკან გამოთხოვის შემთხვევაში .....	79
1. ჩუქება, როგორც მოთხოვნის დამფუძნებელი ხელშეკრულება.....	80
2. ჩუქების ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები და შესაბამისი მოთხოვნის საფუძველები .....	82
2.1 ჩუქების ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის საფუძველი უმადურობის და „მძიმე შეურაცხყოფის“ შემთხვევაში.....	82
2.1.1 მოთხოვნის საფუძველის შემადგენლობა .....	83
2.1.2 სამართლებრივი შედეგი.....	85
2.2 მძიმე მდგომარეობა .....	86
2.3 არაძირითადი ვალდებულების დარღვევა .....	88
3. გასვლისა და სხვა მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია .....	90
3.1 მიმართება საცილოობასთან.....	91
3.2 გასვლის ზოგადი საფუძველის კონკურენცია სპეციალურთან.....	92
3.3 მიმართება უსაფუძვლო გამდიდრებასთან.....	93
3.4 ხელშეკრულების გასვლის შეცილებად კონვერსია.....	94
VII. მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია შრომის ხელშეკრულების მოშლისას .....	96
1. შრომითსამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგების არსი .....	96
1.1 ქვემდებარეობის პრინციპი და თანაზომიერი დაცვის სტანდარტი.....	96
1.2 შრომითი სამართლის დამცავი ნორმების მიმართება ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებთან.....	99
2. შრომითი ხელშეკრულების მოშლა .....	102
2.1 შრომითი ხელშეკრულების მოშლა შრომის კოდექსის თანახმად.....	103
2.2 ხელშეკრულების მოშლის ზოგადი წესი .....	105
2.2.1 ვალდებულების დარღვევა და გაფრთხილების ვალდებულება .....	105
2.2.2 ხელშეკრულების მოშლა გაფრთხილების გარეშე.....	106

2.3 ხელშეკრულების მოშლის სამოქალაქოსამართლებრივი და შრომისსამართლებრივი მოთხოვნის საფუძვლების მიმართება.....	108
2.3.1 სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების გამოყენების მიზანშეწონილობა.....	108
2.3.2 მოშლის ზოგადი და სპეციალური წინაპირობები.....	109
2.3.3 მოშლის სამართლებრივი შედეგები.....	111
VIII. სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა და მოთხოვნის საფუძველთა ურთიერთმიმართება.....	114
1. დელიქტური და სახელშეკრულებო არაძირითადი მოთხოვნის საფუძველთა ურთიერთმიმართება.....	115
1.1 არაძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულება.....	117
1.2 შესრულებასთან დაკავშირებული არაძირითადი ვალდებულება.....	118
1.3 არაძირითადი ვალდებულების „დაცვითი“ ფუნქცია.....	119
2. დელიქტის სპეციალური შემადგენლობის მიმართება დელიქტის ზოგად შემადგენლობასა და სახელშეკრულებო მოთხოვნებთან.....	121
2.1 უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სხვადასხვა მოთხოვნის საფუძველი და მათი ურთიერთმიმართება.....	122
2.2 დელიქტისა და სახელშეკრულებო სპეციალურ მოთხოვნათა და მოთხოვნის საფუძველთა მიმართება.....	124
IX. მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია სახელშეკრულებო და კანონისმიერი პასუხისმგებლობის გამორიცხვისას.....	127
1. პასუხისმგებლობის გამორიცხვა სახელშეკრულებო შეთანხმებით.....	127
2. პასუხისმგებლობის გამორიცხვის ბათილობა.....	130
2.1 პასუხისმგებლობის გამორიცხვის დაუშვებლობა კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.....	130
2.2 პასუხისმგებლობის გამორიცხვა ხელშეკრულების სტანდარტული პირობით.....	131
2.3 პასუხისმგებლობის გამორიცხვის სახელშეკრულებო შეთანხმების განდევნა დელიქტის სპეციალური შემადგენლობით.....	133
3. პასუხისმგებლობის გამორიცხვა ან შეზღუდვა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.....	134
3.1 მხუჭებლის პასუხისმგებლობის შეზღუდვა ნაკლიანი ნივთის მიწოდებისას.....	134
3.2 მეწარმის მიმართ გამყიდველის პასუხისმგებლობის გამორიცხვა.....	137
X. კონკურენცია სანივთო მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების მიმართ.....	139
1. სანივთო და უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის საფუძველთა ურთიერთმიმართება.....	139
1.1 აბსტრაქციის პრინციპის მოქმედების შედეგები.....	140
1.2 მიმართება „ნამდვილ უფლებასთან“.....	141
2. ნივთის გამოთხოვის მოთხოვნათა საფუძვლების კონკურენცია.....	142
3. მოთხოვნები არამართლზომიერი კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ.....	145
4. საოჯახო და სანივთო სამართლებრივ ნორმათა კონკურენცია.....	147
4.1 მეუღლეთა ქონებრივი უფლებები საქართველოს კანონმდებლობით.....	147
4.2 მეუღლეთა ქონებრივი უფლებების გერმანული მოწესრიგება.....	148
4.3 გერმანული მოწესრიგების გავრცელების მიზანშეწონილობა საქართველოს სამართალში.....	149
XI. კონკურენცია ხანდაზმულობის ვადებთან მიმართებით.....	152
1. ხანდაზმულობის ზოგადი და სპეციალური ვადების მოქმედების ფარგლები.....	153
2. სანივთო უფლებების მიმართ მოქმედი ხანდაზმულობის წესი.....	154

3. ხანდაზმულობის ვადების კონკურენცია დელიქტსა და სახელშეკრულებო მოთხოვნებს შორის .....	157
3.1 დელიქტის სპეციალური ხანდაზმულობის ვადა .....	157
3.2 სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადის უპირატესობა.....	159
4. ნაჩუქარი ნივთის გამოთხოვის ხანდაზმულობის ვადა .....	161
4.1 უმადურობის შემთხვევაში .....	161
4.2 მძიმე მდგომარეობის შემთხვევაში .....	162
XII. დასკვნა.....	163
ბიბლიოგრაფია .....	166

## აბრევიატურები

ქართულ ენაზე:

გვ.	გვერდი (გვერდები)
იხ.	იხილე
რედ.	რედაქტორი
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
შეად.	შეადარე
სსსკ	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

უცხოურ ენებზე:

Aufl.	Auflage
BGB	Das Bürgerliche Gesetzbuch (für die Bundesrepublik Deutschland)
BGH	Bundesgerichtshof (der Bundesrepublik Deutschland)
CISG	United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods
EGBGB	Einführungsgesetz zum Bürgerlichen Gesetzbuche
Einl.	Einleitung
f.	folgende
ff.	mehrere folgende
Hrsg.	Herausgeber
JuS	Juristische Schulung
LG	Landesgericht
NJW	Neue Juristische Wochenschrift
OLG	Oberlandesgericht
RdNr.	Randnummer
Vorbem.	Vorbemerkung
ZR	Zivilrecht
стр.	страница

## I. შესავალი

სამართალი ინდივიდთა თანაცხოვრებას მათი ინტერესების რეალიზების სამართლიანი ფარგლების დადგენითა და ინტერესთა კონფლიქტის გადაჭრის მექანიზმის შეთავაზებით აწესრიგებს.<sup>1</sup> ხშირად კონკრეტული ინტერესთა კონფლიქტის მოგვარების<sup>2</sup> რამდენიმე სამართლიანი თუ სამართლებრივი გზა არსებობს. გარკვეულ კრიტერიუმებსა თუ პრინციპებზე დაყრდნობით, შესაძლებელია, ცალკეულ გზას, სხვასთან შედარებით, უპირატესობა მიენიჭოს, ან ისინი ურთიერთჩანაცვლებადად ჩაითვალოს, ან ერთი გზის არსებობამ სრულიად გამორიცხოს სხვების არჩევა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია კონკურენციის სახეების იდენტიფიცირება და ცალკეული მათგანის არსებობისას მოქმედების მართებული გზის შერჩევის წარმოჩენა, რაც კონკრეტული მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის განზოგადებული ანალიზით მიიღწევა. ამასთან, კონკურენციის ცალკეული სახის განხილვა კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში გავრცელებული მაგალითების საფუძველზე ხორციელდება.

კვლევა ეფუძნება საქართველოს კერძოსამართლებრივ კანონმდებლობაში მოწესრიგებული მოთხოვნის საფუძველებისა და სასამართლო პრაქტიკაში მათი შეფარდების ანალიზს. შედარებისათვის წარმოჩენილია შესაბამისი საკითხების გადაჭრის დასავლეთევროპული, უპირატესად გერმანიის სამართალში, არსებული ალტერნატივა. ნაშრომში შესწავლილია გერმანულ დოქტრინასა თუ სასამართლო პრაქტიკაში მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძველთა მიმართ არსებული მიდგომა, რომელიც არაერთი საუკუნეა, განხილვის საგანია და გამოკვეთილია ამ მიდგომების თავსებადობა საქართველოს კანონმდებლობასა თუ სამოქალაქოსამართლებრივ აზროვნებასთან.

ნაშრომის II თავში თავდაპირველად განხილულია სამოქალაქო ნორმების სახეები ცალკეული ნიშნის მიხედვით და მათი ურთიერთგამიჯვნა. იმისათვის, რომ გაანალიზდეს მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის საკითხი და დადგინდეს, თუ რა სახის კონკურენცია არსებობს მათი გამოყენებისას, უპირველეს ყოვლისა, მიზანშეწონილია მოხდეს მოთხოვნის საფუძველთა გამიჯვნა სხვა სამოქალაქოსამართლებრივი ნორმებისაგან.

ამ თავის მეორე ქვეთავში დასაბუთებულია მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძველის განსხვავება. ამ განსხვავების წარმოსაჩენად გაანალიზებულია მოთხოვნის მიმართება უფლებასთან, ასევე „აქციოს“<sup>3</sup> ინსტიტუტთან და მის თანამედროვე მნიშვნელობასთან. მოთხოვნის საფუძველი გარკვეული მოქმედების განხორციელების ან მისგან თავის შეკავების მოთხოვნის დამფუძნებლად განიხილება.

ნაშრომის III თავში განხილულია მოთხოვნათა და მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის გამიჯვნა და გაანალიზებულია მისი ცალკეული სახე, როგორცაა გამოძრისგავი, ალტერნატიული და კუმულაციური კონკურენცია.

<sup>1</sup> *კერესლეოდი*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 1 და შემდგომში.

<sup>2</sup> შეად. *Coing/Honsell*, *Staudinger Kommentar zum BGB*, Einleitung, 2004, RdNr. 184, მითითებით, რომ ცალკეული ნორმის მიზანი სწორედ საზოგადოებაში არსებული ინტერესთა კონფლიქტის მოგვარებაა.

<sup>3</sup> „actio“.

კონკურენციის ცალკეული სახის ზოგადი მახასიათებლების გამოკვეთა კერძო სამართალში არსებული მოთხოვნების ურთიერთმიმართებას ლოგიკურ ჩარჩოებში აქცევს, ცალკეული შემთხვევის სისტემური გადაწყვეტის შესაძლებლობასა და მოთხოვნის საფუძველთა ერთგვარი იერარქიის განსაზღვრის წინაპირობას ქმნის.

ნაშრომის IV თავი ეთმობა სასამართლოს როლის განხილვას სამართლის შემდგომ განვითარებაში და მართლმსაჯულების განხორციელებისას სახელმძღვანელო პრინციპების მიმოხილვას, ასევე ნორმის განმარტების მეთოდებისა და მოსამართლის შეფასებითი თავისუფლების ანალიზს. ეს თავი ემსახურება კონკურენციის ცალკეული სახის არსებობისას მოსამართლის მოქმედების თავისუფლებისა და მისი ფარგლების განხილვას.

ნაშრომის V და შემდგომი თავები ეთმობა უშუალოდ მოთხოვნათა და მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის არსებული მაგალითების შესწავლას. სისტემურად ურთიერთკავშირში განიხილება მოთხოვნათა თუ მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია ნასყიდობის სამართალში, ნაჩუქარი ნივთის გამოთხოვისას, შრომის ხელშეკრულების მოშლისას, სახელშეკრულებო და კანონისმიერი პასუხისმგებლობის გამორიცხვისას, ასევე სახელშეკრულებო და დელიქტურ, სანივთო და უსაფუძვლო გამდიდრების, ხანდაზმულობის ვადების ურთიერთმიმართებისას.

ამ მაგალითების განზოგადებით ფასდება საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში მოთხოვნათა და მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის მიმართ თანამედროვე იურიდიულ აზროვნებაში არსებული გამოცდილების გაზიარების მიზანშეწონილობა, რაც, თავის მხრივ, საქართველოში ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების ბერკეტი.

## II. კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება და მოთხოვნის წარმომშობი უფლებები

სამოქალაქო კანონმდებლობა ლოგიკურად ურთიერთდაკავშირებული ცნებებისა და ინსტიტუტების სისტემის საფუძველზე აწესრიგებს პირთა თანასწორობასა და ნების ავტონომიაზე დამყარებულ ურთიერთობებს.<sup>4</sup>

სამართალს ნებისმიერი შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გადაჭრა უნდა შეეძლოს.<sup>5</sup> შესაბამისად, ცალკეული ნორმის მიზანი სწორედ საზოგადოებაში არსებული ინტერესთა კონფლიქტის მოგვარებაა, რაც, ამავე დროს, მხარეთა ინტერესების სამართლიანი დაბალანსებით, „სუბიექტური უფლების“ ფორმირებითა და მისი ფარგლების დადგენით ვლინდება.<sup>6</sup>

უფლება პირის თავისუფლების სფეროს მიკუთვნებული და მის ნებას დაქვემდებარებული უფლებამოსილებაა, რომელიც პირისათვის საკუთარი ინტერესების კანონმდებლობით მინიჭებული დაცვის მექანიზმია.<sup>7</sup> იერინგის მოსაზრებით, უფლების დაცვისათვის ბრძოლაში გამოიხატება კერძო სამართლის განხორციელება, ვინაიდან ყოველი ინდივიდის მორალური ვალდებულება და ამოცანაა წვლილის შეტანა სამართლის განხორციელებასა და ჭეშმარიტებისათვის ბრძოლაში.<sup>8</sup> შესაბამისად, ინდივიდი მისი უფლებამოსილების ფარგლებში არის კანონის „დარაჯი და აღმასრულებელი“.<sup>9</sup>

კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მოქმედი ნების ავტონომიისა თუ მოქმედების თავისუფლების პრინციპი გულისხმობს, რომ ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ ნებისმიერი სამართლებრივი მნიშვნელობის ქმედება, რომელიც კანონს არ ეწინააღმდეგება.<sup>10</sup> სსკ-ის მე-9 მუხლის თანახმად, სამოქალაქო კანონმდებლობა უზრუნველყოფს „ბრუნვის“, ანუ მოქმედების, თავისუფლებას, თუ ამ თავისუფლების განხორციელება არ ხელყოფს მესამე პირთა უფლებებს. შესაბამისად, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების მიზანია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა ინტერესების განხორციელებას და მშვიდობიანი გზით გადაჭრას მონაწილეთა შორის შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი.<sup>11</sup>

### 1. სამოქალაქოსამართლებრივ ნორმათა სახეები

ზოგად-აბსტრაქტული ხასიათის სამოქალაქოსამართლებრივი ნორმები ვრცელდება პირებს შორის განუსაზღვრელი რაოდენობის ურთიერთობაზე.<sup>12</sup> ამასთან, ისინი სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტს აწესრიგებენ და განსხვავებული ფუნქცია აქვთ. შესაბამისად,

<sup>4</sup> *კერესელაძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 10.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 3.

<sup>6</sup> იხ., მაგალითად: *Savigny*, System des heutigen römischen Rechts, Band 1, 1840, § 4, S. 7; *Jhering*, Recht und Sitte, Der Kampf ums Recht, 1872, S. 9; თანამედროვე სამართალში *Coing/Honsell*, Staudinger Kommentar zum BGB, Einleitung, 2004, RdNr. 184.

<sup>7</sup> იხ. *Savigny*, System des heutigen römischen Rechts, Band 1, 1840, § 4, S. 7; თანამედროვე სამართალში შეად, მაგალითად, *Coing/Honsell*, Staudinger Kommentar zum BGB, Einleitung, 2004, RdNr. 164.

<sup>8</sup> *Jhering*, Recht und Sitte, Der Kampf ums Recht, 1872, 116 ff.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> *Roth*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 242, RdNr. 423 ff.

<sup>11</sup> შეად. *კერესელაძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 10, შემდგომი მითითებებით; ასევე *Jhering*, Der Kampf um das Recht, 1872, 114.

<sup>12</sup> შეად., მაგალითად, *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 3, RdNr. 1.



განსხვავებულია მათი წვლილი საზოგადოებაში არსებული კონფლიქტის მოგვარებაში.

სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები განსხვავდებიან არა მხოლოდ მათი მოქმედების სფეროს, არამედ მათი დანიშნულების, ხასიათისა თუ ბუნების მიხედვით.

### 1.1 დისპოზიციური და იმპერატიული ნორმები

სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმები იმიჯნება მათი იმპერატიული და დისპოზიციური სახის მიხედვით. ეს გამიჯვნა, ცალკეულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, სახეზეა სავალდებულო ქცევის წესი, რომლის დარღვევის შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული კონკრეტული სამართლებრივი შედეგები უპირობოდ წარმოიშობა, თუ შესაბამისი შედეგების განვრცობა, დაზუსტება და შეცვლა დასაშვებია ნების ავტონომიის მოცემული ფარგლების გათვალისწინებით.

სსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით გაუთვალისწინებელი, ნებისმიერი მოქმედება, რაც გამომდინარეობს მოქმედების თავისუფლების პრინციპიდან,<sup>13</sup> რომელიც, სსკ-ის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, იზღუდება იმპერატიული ნორმების მეშვეობით, როდესაც არსებობს, მაგალითად, უფლებათა ბოროტად გამოყენების საფრთხე.<sup>14</sup>

ნორმები, რომლებიც მიზნად ისახავს ცალკეული კატეგორიის პირთა დაცვას, ნაწილობრივი იმპერატიულ ნორმებად განიხილება.<sup>15</sup> ასეთ შემთხვევებში კანონმდებლის მიზანია დაცვის ქვეშ მყოფი სუბიექტის ინტერესების დაცვა არათანაზომიერი ხელყოფისაგან.<sup>16</sup> ასეთი საფრთხე შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევაში არსებობდეს ერთ-ერთი მხარის გამოუცდელობის გამო. პირი მეორე მხარესთან მიმართებით, ობიექტური ან სუბიექტური გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლოა სუსტი იყოს, რითაც ურთიერთობის მეორე მხარეს ეძლევა შესაძლებლობა, საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ ბოროტად ისარგებლოს თავისი უფლებამოსილებით. ამგვარი საფრთხეების აცილება და მხარეთა ინტერესების დაბალანსება იმპერატიული ნორმების მიზანია, ვინაიდან კანონმდებლის კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში ჩარევის მიზანი სწორედ მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფაა, რაც მათ შორის ეკონომიკურად სუსტი მხარის დაცვას გულისხმობს.<sup>17</sup> ვინაიდან თანასწორობის პრინციპის შენარჩუნება თუ აღდგენა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კანონმდებლის უპირატეს ინტერესად განიხილება, მის უზრუნველსაყოფად ნების ავტონომიის პრინციპის შეზღუდვა გამართლებულია.<sup>18</sup>

დისპოზიციური სამართლის ნორმები კერძოსამართლებრივ კანონმდებლობაში მოცემულია იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოქმედების თავისუფლება

<sup>13</sup> *Säcker*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 1, 2006, Einl., RdNr. 33.

<sup>14</sup> შეად, მაგალითად, *Savigny*, System des heutigen römischen Rechts, Band 1, 1840, § 52, S. 332.

<sup>15</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 3, RdNr. 104.

<sup>16</sup> *Säcker*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., 2006, Band 1, Einl., RdNr. 50.

<sup>17</sup> *Coing/Honsell*, Staudinger Kommentar zum BGB, Einleitung, 2004, RdNr. 65 ff.

<sup>18</sup> შეად, მაგალითად, *Roth*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 242, RdNr. 428.

მხარეებს საკუთარი სამართლებრივი ურთიერთობის შესაბამისი ინტერესების უკეთ განხორციელებისათვის სჭირდებათ.<sup>19</sup> დისპოზიციური ნორმების შესაბამისად, მხარეთა მიერ განხორციელებული შეთანხმება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ ეწინააღმდეგება კანონსა და სამოქალაქო კანონმდებლობით გამყარებულ კეთილსინდისიერების პრინციპს.<sup>20,21</sup> შესაბამისად, ამა თუ იმ დისპოზიციური ნორმის მხარეთა მიერ განვრცობა დაშვებული და გამართლებულია მათი ინტერესების გათვალისწინებით, თუ აღნიშნული არ ხელყოფს მხარეთა თანასწორობას.<sup>22</sup>

იმპერატიული ნორმით გათვალისწინებული წესის დარღვევა იწვევს შესაბამის სამართლებრივ შედეგს, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, კონკრეტულ უფლებამოვალეობათა წარმოშობას უკავშირდება. შესაბამისი ნორმით უშუალო სამართლებრივი შედეგის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, მოქმედებს სსკ-ის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ზოგადი პრინციპი, რომ ბათილია შეთანხმება, რომელიც კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვას ეწინააღმდეგება, ანუ არღვევს იმპერატიული ნორმით დადგენილ ქცევის წესს. შეთანხმების ბათილობა კი შესაბამის სანივთო თუ ვალდებულებითსამართლებრივ მოთხოვნას წარმოშობს უფლებამოსილი პირისათვის, რომელიც განსაზღვრული პირის მიმართ არსებობს და მას ზუსტად განსაზღვრული მოქმედების შესრულების თუ მოქმედებისაგან თავის შეკავების ვალდებულებას აკისრებს.

დისპოზიციური ნორმები უშუალოდ წარმოშობენ მათში გათვალისწინებულ მოთხოვნას, თუ ამ ნორმის მიერ დადგენილი თავისუფლების ფარგლებში მხარეთა შეთანხმება არ ახდენს მის მოდიფიცირებას და არ წარმოშობს მისგან განსხვავებულ მოთხოვნას. ასეთი მოთხოვნის განხორციელება კანონმდებლობით უზრუნველყოფილია იმ დათქმით, რომ იგი იმპერატიულ ნორმებთან წინააღმდეგობას არ უნდა წარმოშობდეს.

## 1.2 აბსოლუტური და რელატიური უფლებების მომწესრიგებელი ნორმები

აბსოლუტური უფლების ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ იგი სხვა პირთა თანაქმედებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. ამ უფლების განხორციელება უფლებამოსილი პირის აბსოლუტური ძალაუფლების სფეროს განეკუთვნება, ხოლო მისი დაცვა უზრუნველყოფილია ნებისმიერი შესაძლო ხელმყოფისაგან.<sup>23</sup> შესაბამისად, აბსოლუტური უფლების სხვა უფლებებისაგან გამიჯნა სწორედ მათი ნებისმიერი პირის მიმართ მოქმედებაში ვლინდება.<sup>24</sup> მათი დაცვა, როგორც წესი, ხანდაზმულობის ვადებსაც არ ექვემდებარება.<sup>25</sup>

<sup>19</sup> შეად. *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 3, RdNr. 96.

<sup>20</sup> იხ. სსკ-ის მე-8 მუხლი; კეთილსინდისიერების პრინციპთან დაკავშირებით შეად. *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 83 და შემდგომში.

<sup>21</sup> *Ulmer/Schäfer*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 4, Teil III, 2009, § 738, RdNr. 74 (*Auseinandersetzung beim Ausscheiden*).

<sup>22</sup> *Roth*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 242, RdNr. 75 ff.

<sup>23</sup> ნიშანდობლივია, რომ, მაგალითად, გერმანულ სამართალში აბსოლუტურ უფლებებს „აბსოლუტური ბატონობის უფლებებს“ (*absolute Herrschaftsrechte*) უწოდებენ.

<sup>24</sup> შეად. *Шершеневичь*, Учебник Русского Гражданского Права, 1909, ст. 72.

<sup>25</sup> შეად., მაგალითად: *Palandt/Heinrichs*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 194, RdNr. 4; *Grothe*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 1, 2006, § 194, RdNr. 5.

ცალკეული ნორმით დაცული ინტერესის გათვალისწინებით, აბსოლუტური ბატონობის უფლებების შემდგომი კლასიფიკაცია ხორციელდება, მაგალითად, ერთმანეთისაგან იმიჯნება პიროვნული<sup>26</sup> და სანივთო უფლებები.<sup>27</sup>

პიროვნულია უფლება, რომელიც ინდივიდის განუყოფელი ნაწილია.<sup>28</sup> იგი არის პიროვნების ღირსების პატივისცემის, მისი ინდივიდუალურობის<sup>29</sup> თუ „ასეთად ყოფნის“<sup>30</sup> აღიარებისა და, ამავე დროს, მისი ხელშეუხებლობის გამომხატველი. პიროვნული უფლებით დაცული სიკეთე პიროვნებისაგან განუყოფელია, მასზე „ბმულია“.<sup>31</sup> ამ უფლების დაცვა ხორციელდება კონკრეტული პიროვნული უფლების დამფუძნებელი დაცვითი ნორმის შესაბამისად. პიროვნული უფლება აბსოლუტური ბატონობის უფლებათა რიცხვს განეკუთვნება, ვინაიდან მართლწესრიგი ყოველ ადამიანს თანაბრად განიხილავს და იგი ნებისმიერი მესამე პირის მიმართ მოქმედებს.<sup>32</sup>

სანივთო უფლება არის კანონით დაშვებულ ფარგლებში ნივთსა თუ ქონებაზე ზემოქმედების უფლება. მისი აბსოლუტური ხასიათი იმით ვლინდება, რომ უფლების მფლობელი უფლებამოსილია გამორიცხოს ნებისმიერი სხვა პირის ზემოქმედება ქონებაზე მისი უფლებით დადგენილ ფარგლებში.

სანივთო უფლებები იყოფა შეზღუდულ და შეუზღუდავ სანივთო უფლებებად. საკუთრების უფლება აბსოლუტური სანივთო უფლების კლასიკური სახეა, რომელიც შინაარსში, დროსა თუ მოცულობაში არ იზღუდება.<sup>33</sup> შეზღუდული სანივთო უფლება კი საკუთრების უფლებისაგან ნაწარმოებია და მის მიმართ შეზღუდულია.<sup>34</sup> იგი უფლებამოსილ პირს, როგორც წესი, ნივთზე ზემოქმედების კონკრეტულ, შეზღუდულ უფლებამოსილებას ანიჭებს.<sup>35</sup>

რელატიური (შეფარდებითი) უფლება არის განსაზღვრული პირის მიმართ შესრულების მოთხოვნის უფლებამოსილება. იგი მიმართულია არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ განსაზღვრული პირის მიმართ კონკრეტული ვალდებულების შესასრულებლად. რელატიური უფლება წარმოიშობა ნამდვილი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე.<sup>36</sup> მისი შინაარსი ხელშეკრულებით განისაზღვრება ან კანონიდან გამომდინარეობს და მოქმედებს მხოლოდ კონკრეტული ურთიერთობის მონაწილე მხარეებს შორის.<sup>37</sup>

<sup>26</sup> *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 97, ასევე გვ. 131 და შემდგომში.

<sup>27</sup> შეად. გერმანულ სამართალთან დაკავშირებით, მაგალითად, *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 15, RdNr. 2.

<sup>28</sup> *Windscheid*, Die Actio des roemischen Civilrechts, vom Standpunkte des heutigen Rechts, 1856, S. 17 f.

<sup>29</sup> *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 131.

<sup>30</sup> „*sosein*“, იხ. *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 15, RdNr. 4.

<sup>31</sup> „*gebunden*“, იხ. *Windscheid*, Die Actio des roemischen Civilrechts, vom Standpunkte des heutigen Rechts, 1856, S. 14.

<sup>32</sup> შეად., მაგალითად, *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 15, RdNr. 4.

<sup>33</sup> შეად., მაგალითად: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 220; *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 15, RdNr. 5.

<sup>34</sup> შეად. *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 226.

<sup>35</sup> შეად., მაგალითად, *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 15, RdNr. 6.

<sup>36</sup> *Sutschet*, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2009, § 241, RdNr. 40.

<sup>37</sup> შეად. სხვა პოსტსაბჭოური სახელმწიფოების სამართალთან დაკავშირებით, მაგალითად, *Лоренц*, К проблеме «Абсолютного» Правоотношения, Вестник ЮУрГу № 6, 2009, ст. 52.

ამასთან, ნიშანდობლივია, რომ აბსოლუტური და შეფარდებითი უფლებების გამიჯვნის ფართოდ გაზიარების მიუხედავად, ცალკეულ შემთხვევაში, დღემდე სადავოა საკითხი აბსოლუტურ და შეფარდებით უფლებათა ურთიერთმიმართების შესახებ, კერძოდ, რამდენად უნდა იქნეს მიჩნეული აბსოლუტური უფლების დაცვითი ნორმები უპირატესად შეფარდებითი უფლების დამცავ ნორმებთან მიმართებით.<sup>38</sup>

### 1.3 მოთხოვნის საფუძველები და დამხმარე ხასიათის ნორმები

კერძოსამართლებრივი ნორმები მათი დანიშნულების მიხედვით იმიჯნება მოთხოვნის საფუძველებად და დამხმარე ხასიათის ნორმებად.

მოთხოვნის საფუძველია სამართლის ისეთი ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველებთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას, ანუ სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს.<sup>39</sup>

სამოქალაქო კოდექსი და სხვა კერძოსამართლებრივი კანონმდებლობა შეიცავს ასევე ისეთ ნორმებს, რომლებიც გამოიყენება მოთხოვნის საფუძველით გათვალისწინებული წინაპირობების შემოწმებისას და, ამდენად, ასრულებს დამხმარე ფუნქციას.<sup>40</sup>

სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრე უფლებამოსილია, გამოითხოვოს ნივთი მფლობელისაგან, თუ ამ უკანასკნელს არ აქვს ნივთის ფლობის უფლება. ამ მოთხოვნის საფუძველის შემოწმებისას დამხმარეა, მაგალითად, სსკ-ის ის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რა წინაპირობების არსებობისას არის პირი მესაკუთრე და რამდენად ჰქონდა მფლობელს ნივთის ფლობის უფლება.

მოთხოვნის საფუძველი სხვა კერძოსამართლებრივი ხასიათის ნორმებისაგან იმიჯნება სამართლებრივი შედეგით. კერძოდ, სხვა ნორმათათვის გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგებისაგან განსხვავებით, მოთხოვნის საფუძველის სამართლებრივი შედეგი აფუძნებს პირთა შორის კონკრეტულად განსაზღვრულ უფლება-მოვალეობას.

დამხმარე ხასიათის ნორმებს განეკუთვნება ასევე უშუალო სამართლებრივი შედეგის დამფუძნებელი უფლების მარეგულირებელი ნორმები. ისინი პირს სამართლებრივი შედეგის მოდიფიცირების უფლებას ანიჭებენ, ხელშეკრულების მეორე მხარის თანხმობის არსებობის მიუხედავად.<sup>41</sup>

დამფუძნებელია უშუალო სამართლებრივი შედეგის წარმომშობი უფლება, რომელიც პირს ანიჭებს უფლებამოსილებას, ცალმხრივი ნების გამოვლენით წარმოშვას, გააუქმოს ან შეცვალოს სამართლებრივი შედეგი.<sup>42</sup> შესაბამისად,

<sup>38</sup> *Gimmerthal*, Das Eigentum im Conflict mit den übrigen Gebilden des Sachenrechts und die Actiones Arbitrarie insbesondere, Arnstadt, 1874, S. 3, 4.

<sup>39</sup> შეად. *ბოელინგი/ჭანტურია*, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მე-2 გამოცემა, 2004, გვ. 38-39.

<sup>40</sup> შეად. *კერესელდი*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 80.

<sup>41</sup> *Palandt/Heinrichs*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 194, RdNr 3, ასევე *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 15, RdNr. 65.

<sup>42</sup> *Kessler* in *Prütting/Wegen/Weinreich* (Hrsg.), BGB Kommentar, 2006, § 194 I, RdNr. 5.

დამფუძნებელი უფლების მარგულირებელი ნორმების ძირითადი თავისებურებაა ის, რომ უფლებამოსილი პირის მიერ უფლება ხორციელდება ნამდვილი, მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით, რომლის მისვლა<sup>43</sup> საკმარისია სამართლებრივი შედეგის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისათვის.<sup>44</sup> ასეთ დამფუძნებელ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად: შეცილება, რომელიც, სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ“;<sup>45</sup> ხელშეკრულებიდან გასვლა, რომელიც, სსკ-ის 355-ე მუხლის შესაბამისად, „ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით“; იგივე წესი გავრცელდება ასევე ხელშეკრულების მოშლასა<sup>46</sup> და ფასის შემცირების მოთხოვნაზე.

დამფუძნებელი უფლება განხორციელებულია, ანუ შესაბამისი ნების გამოვლენა ნამდვილია, იმ მომენტიდან, როდესაც იგი ხელშეკრულების მეორე მხარეს მიუვა, კერძოდ, მოხდება მიმღების ძალაუფლების სფეროში და ამ უკანასკნელს ექნება მისი შინაარსის გაცნობის რეალური შესაძლებლობა.<sup>47</sup> ამ უფლებათა განსხვავებული სტატუსი, ცხადია, არ გამორიცხავს მათ განხორციელებას სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის გზით.<sup>48</sup>

ამასთან, დამფუძნებელი უფლების განხორციელება პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ცალკეული მოთხოვნის წარმოშობასა თუ გაუქმებაზე.<sup>49</sup> მაგალითისათვის, უფლებამოსილი პირის მიერ კანონით დადგენილი წესისა და წინაპირობების შესაბამისად განხორციელებული ხელშეკრულებიდან გასვლა წარმოშობს სსკ-ის 352-ე მუხლით გათვალისწინებულ ე.წ. რესტიტუციის მოთხოვნის უფლებას.

დამფუძნებელი უფლება არ არის მოთხოვნა და, შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა,<sup>50</sup> თუმცა ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად, სსკ-ის 352-ე მუხლის შესაბამისად, წარმოიშობა ხელშეკრულების დადებამდე არსებული პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის უფლება. ეს უკანასკნელი არის მოთხოვნა და მასზე ვრცელდება სსკ-ის 128-ე და შემდგომი მუხლებით მოწესრიგებული ხანდაზმულობის ვადები.

დამფუძნებელი უფლებების მიმართ ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებლის მიერ პირდაპირ არის გათვალისწინებული მათი განხორციელების ვადები.<sup>51</sup> მაგალითისათვის, შეცილების, როგორც დამფუძნებელი უფლების, განხორციელებისათვის კანონმდებელი ითვალისწინებს განსხვავებულ ვადებს, კერძოდ, შეცდომით დადებული გარიგების შემთხვევაში ეს არის, სსკ-ის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ერთი თვე „შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან“, ხოლო მოტყუების შემთხვევაში, სსკ-ის 84-ე მუხლის შესაბამისად, ერთი წელი შეცილების საფუძვლის შეტყობიდან. იგივე

<sup>43</sup> შეად. სსკ-ის 51-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>44</sup> შეად., მაგალითად, *Bork*, Staudinger Kommentar zum BGB, 2003, § 145, RdNr. 34.

<sup>45</sup> შეად. შეცილებასთან დაკავშირებით *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 270.

<sup>46</sup> შეად., მაგალითად, *Schaub*, Arbeitsrechtshandbuch, 9. Aufl., 2000, § 123, RdNr. 1.

<sup>47</sup> *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 246 და შემდგომი.

<sup>48</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 15, RdNr. 69.

<sup>49</sup> *Palandt/Heinrichs/Ellenberger*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, Überblick, § 104, RdNr. 17.

<sup>50</sup> *Grothe*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 1, 2006, § 194, RdNr. 4.

<sup>51</sup> შეად. *Palandt/Heinrichs*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 194, RdNr. 2.

ერთწლიანი ვადა მოქმედებს იძულებით დადებული გარიგების შეცდომების შემთხვევების მიმართ, სსკ-ის 89-ე მუხლის თანახმად.

## 2. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი

კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი მატერიალურსამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა.<sup>52</sup> მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა.

მოთხოვნა არის ის, რისი მიღწევაც სურს პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, ხოლო მოთხოვნის საფუძველი არის კანონის ნორმა, ანუ ის სამართლებრივი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც უფლებამოსილ პირს შეუძლია განხორციელოს თავისი მოთხოვნა - მიიღოს კუთვნილი და აღიდგინოს დარღვეული უფლება სასამართლოს მეშვეობით ან მის გარეშე.

შესაბამისად, მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებაა და სასურველია, მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება მოსარჩელის უფლებამოსილებაა,<sup>53</sup> ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა.<sup>54</sup>

მოთხოვნის საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომელიც ცალკეული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს ანიჭებს მეორე მონაწილისაგან გარკვეული მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებას.<sup>55</sup> მოქმედებაში იგულისხმება ნებისმიერი შესაძლო აქტიური მოქმედება, როგორებიცაა: თანხის გადახდა, ნივთის გადაცემა, მომსახურების განხორციელება, ნების გამოვლენა. უმოქმედობა კი, საპირისპიროდ ამისა, არის ნებისმიერი შესაძლო უმოქმედობა, მათ შორის სამართლებრივი თუ ფაქტობრივი ზემოქმედების თმენა.<sup>56</sup> ხოლო მოთხოვნა – ეს არის თავად მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველით გათვალისწინებული შედეგი, რაც პირის მიერ გარკვეული მოქმედების შესრულებისა თუ მოქმედებისაგან შეკავების ვალდებულებას წარმოშობს.

### 2.1 მოთხოვნა

#### 2.1.1 მოთხოვნის მიმართება უფლებასთან

<sup>52</sup> Säcker, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 1, 2006, Einl., RdNr. 5.

<sup>53</sup> Kühlenbeck, Von den Pandekten zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 1, 1898, S. 554-557.

<sup>54</sup> საბჭოთა პერიოდის დოქტრინაში განხილული პოზიციებისაგან განსხვავებით, სადაც უდავოდ მიიჩნევა ის ფაქტი, რომ დელიქტურ და სახელშეკრულებო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციის დროს სარჩელეს შორის არჩევანის უფლება მოსარჩელის უფლებამოსილებაა, იხ. Zouðze, Актуальные Проблемы Советского Права, 1988, стр. 199. აღნიშნული პოზიცია წინააღმდეგობაში მოდის დღევანდელ სამოქალაქო სამართლის სამართალში მოქმედ პრინციპთან „da mihi facta, dabo tibi ius“ – „მომეცი ფაქტები და მოგცემ სამართალს“, შეად. ბოელინგი/ჟანტური, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მე-2 გამოცემა, 2004, გვ. 42, სქ. 50.

<sup>55</sup> Schellhammer, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen, 6. Aufl., 2005, RdNr. 18.

<sup>56</sup> Pruetting/Wegen/Weinreich, 2006, BGB Kommentar, § 194 I, RdNr. 4.

სუბიექტური უფლება არის სახელმწიფოს მიერ აღიარებული აბსტრაქტული უფლებიდან წარმოშობილი კონკრეტული, ინდივიდთან უშუალოდ დაკავშირებული უფლება, რომელიც მოქმედებს მესამე პირებთან მიმართებით.<sup>57</sup> უფლება და მოთხოვნა არ არის იდენტური ცნებები, თუმცა უფლების საფუძველზე წარმოიშობა მოთხოვნა.<sup>58</sup>

უფლება უფრო ფართო ცნებაა და ის მოთხოვნებთან ერთად ისეთ უფლებებსაც გულისხმობს, როგორცაა, მაგალითად, აბსოლუტური უფლებები. აბსოლუტური უფლების არსებობა თავისთავად არ წარმოშობს მოთხოვნას, იგი წარმოიშობა მხოლოდ ამ უფლების ხელყოფის შემთხვევაში.<sup>59</sup>

უფლებისაგან განსხვავებით, მოთხოვნა ყოველთვის განსაზღვრული პირისაკენ კონკრეტული ქმედების განხორციელებაზეა მიმართული. მოთხოვნა წარმოიშობა ნებისმიერი სუბიექტური უფლებისაგან, მათ შორის, იგი შესაძლოა გამომდინარეობდეს აბსოლუტური ბატონობის უფლებიდან, ან წარმოიშვას დამფუძნებელი უფლების განხორციელების შედეგად.<sup>60</sup>

უფლების განხორციელება გამოხატულია ნებელობითი მოქმედებითა და უმოქმედობით.<sup>61</sup> მოთხოვნა პირისათვის მინიჭებული ძალაუფლებაა, კანონით დადგენილ ფარგლებში მოითხოვოს „სხვისაგან“ ცალკეული მოქმედების განხორციელება ან მისგან თავის შეკავება.<sup>62</sup>

მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საკუთრების უფლება, რომლის მიხედვით, ცალკეული პირი უფლებამოსილია, კონკრეტულ ნივთზე მოიპოვოს საკუთრების უფლება სათანადო გარიგების დადებით თუ კანონის საფუძველზე. შესაბამისად, მას წარმოეშობა სუბიექტური, მასთან უშუალოდ დაკავშირებული აბსოლუტური უფლება, რომელიც მოქმედებს ყველა სხვა ინდივიდის მიმართ.<sup>63</sup> საკუთრების სუბიექტური უფლების საფუძველზე შესაძლებელია წარმოიშვას კონკრეტული მოთხოვნა სხვა ინდივიდების მიმართ (მაგალითად, სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შეუძლია მოსთხოვოს მფლობელს თავისი საკუთრების უკან დაბრუნება).

შესაბამისად, უფლების არსებობა თავისთავად არ მიუთითებს მოთხოვნის არსებობაზე. ვინაიდან მიხედვით, ყოველი უფლება წარმოშობს ვალდებულებას. უფლებები ერთგვაროვანი არ არის და მათი გამიჯვნა მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის სწორად წარმართვისათვის.<sup>64</sup> ასე მაგალითად, ერთ შემთხვევაში ვალდებულება ზოგადი ხასიათისაა და იგი განსაზღვრავს ნებისმიერი მესამე პირისათვის მოქმედების თავისუფლების საკვალდებულო ჩარჩოებს ამ ვალდებულების დამფუძნებელ უფლებასთან

<sup>57</sup> იხ., მაგალითად: Böcking, Einleitung in die Pandekten des gemeinen Civilrechts, 2. Aufl., 1853, S. 483; კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 76 და შემდგომი.

<sup>58</sup> შეად., მაგალითად, Лоренц, Гражданско-правовое Притязание: Юридическая Природа, Сущность и Разновидности, Вестник ЮУрГУ № 18, 2008, ст. 80.

<sup>59</sup> შეად. სხვა პოსტსაბჭოური სახელმწიფოების სამართალთან დაკავშირებით, მაგალითად, Малиновский, Актуальные Проблемы Категории Субъективного Вещного Права, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, 2002, ст. 31.

<sup>60</sup> Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 15, RdNr. 56.

<sup>61</sup> Böcking, Einleitung in die Pandekten des gemeinen Civilrechts, 2. Aufl., 1853, S. 483.

<sup>62</sup> Gaisberg, Allgemeine Vorkenntnisse zur Theorie des bürgerlichen Processes, 1820, S. 3.

<sup>63</sup> კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 76.

<sup>64</sup> Windscheid, Die Actio des roemischen Civilrechts, vom Standpunkte des heutigen Rechts, 1856, S. 19.

მიმართებით; მეორე მხრივ კი, ვალდებულება შესაძლოა კონკრეტული პირის მიმართ არსებობდეს და კონკრეტული მოქმედებისა თუ მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნას წარმოშობდეს.

მოთხოვნა არის პირის უფლებამოსილება, მოითხოვოს სხვა პირისაგან მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება,<sup>65</sup> მათ შორის განახორციელოს აღნიშნული მოთხოვნა სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის გზითა და სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომი აღსრულების მეშვეობით. შეიძლება ითქვას, რომ მოთხოვნა მატერიალურსამართლებრივი ინსტიტუტია პროცესუალურსამართლებრივი ელემენტებით.<sup>66</sup> მოთხოვნა განხორციელებადია კონკრეტული კერძოსამართლებრივი ნორმის, კერძოდ, მოთხოვნის საფუძვლის მეშვეობით.

სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის<sup>67</sup> შესაბამისად, სხვა პირისაგან მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ეს ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის „ლეგალურ (კანონისმიერ) დეფინიციას“,<sup>68</sup> რომლის თანახმად, მოთხოვნა – ეს არის უფლება, მოითხოვოს სხვა პირისაგან მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება. მოქმედება ყველა შესაძლო მოქმედებას მოიცავს, იქნება ეს, მაგალითად, თანხის გადახდა თუ ნების გამოვლენა, ნივთის გადაცემა თუ სხვ. მოქმედებისაგან თავის შეკავება, შესაბამისად, ნებისმიერი მოქმედების არგანხორციელებას გულისხმობს, მათ შორის თმენას. მოთხოვნა მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ და მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლებრივი საფუძველი შესაძლოა იყოს ვალდებულებითი, სანივთო, საოჯახო თუ სხვა კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმა,<sup>69</sup> ასევე ნამდვილი ხელშეკრულება.<sup>70</sup>

მოთხოვნას ყოველთვის შეესაბამება ვალდებულება. ვალდებულება უფლების ანალოგიურად შეიძლება ორ კატეგორიად დაიყოს: ერთი მხრივ, ეს არის ზოგადი ხასიათის ვალდებულება, რომელიც გულისხმობს სამოქალაქოსამართლებრივი კანონმდებლობით ინდივიდისათვის მინიჭებული მოქმედების თავისუფლების ფარგლებით ბოჭვას; მეორე მხრივ კი, ეს არის პირის მიმართ არსებული კონკრეტული მოქმედების შესრულებისა თუ მოქმედებისაგან თავის შეკავების ვალდებულება.

ვალდებულებისაგან შეიძლება გაიმიჯნოს კანონით განსაზღვრული ისეთი „ვალდებულება“ (ტერმინოლოგიური გამიჯვნის თვალსაზრისით, მას შეიძლება „მოვალეობა“ ეწოდოს), რომლის შეუსრულებლობა აუარესებს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის (კერძოდ, აღნიშნული მოვალეობის შესრულების ადრესატის) უფლებრივ მდგომარეობას,<sup>71,72</sup> თუმცა ის უშუალოდ მესამე პირისათვის არ წარმოშობს მოთხოვნის უფლებას.<sup>73</sup>

<sup>65</sup> Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 18, RdNr. 1.

<sup>66</sup> Georgiades, Die Anspruchskonkurrenz zum Zivilrecht und Zivilprozeßrecht, 1967, S. 131 f.

<sup>67</sup> შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 194-ე პარაგრაფი.

<sup>68</sup> „Legaldefinition“.

<sup>69</sup> შეად. Palandt/Heinrichs, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 194, RdNr. 1.

<sup>70</sup> Grothe, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 1, 2006, § 194, RdNr. 1.

<sup>71</sup> Olzen, Staudinger Kommentar zum BGB, 2005, § 241, RdNr. 125 ff.

<sup>72</sup> შეად. Sutschet, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2009, § 241 BGB, RdNr. 25 ff.

<sup>73</sup> Klunzinger, Einführung in das Bürgerliche Recht, 10. Aufl., 2001, S. 179.



## 2.12 მოთხოვნის მიმართება „აქციოსთან“

კანონის შესაბამისად წარმოშობილი მოთხოვნის განხორციელება საკუთარი უფლებების უზრუნველყოფის სამართლებრივი საშუალებაა. მოთხოვნის განხორციელება მოიცავს მოთხოვნათა რეალიზაციას როგორც სასამართლოს მეშვეობით, ასევე მის გარეშე. „აქციოს“ თავდაპირველი მნიშვნელობა, მართალია, გასაჩივრების უფლება იყო, თუმცა, ძირითადად, ის სწორედ მატერიალურსამართლებრივი მოთხოვნის შინაარსით გამოიყენებოდა, როგორც მას თანამედროვე გერმანული დოქტრინა განმარტავს.<sup>74</sup>

რამდენად იდენტურია რომის სამართალში დამკვიდრებული ტერმინი „აქციო“<sup>75</sup> მოთხოვნის თანამედროვე განმარტებასთან, გერმანულ დოქტრინაში დიდხანს დისკუსიის საგანი იყო:

*სავინის* მიხედვით, „აქციო“ წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა უფლება და ამ უფლების დარღვევა;<sup>76</sup>

*იერინგი* უფლების დარღვევას მიიჩნევს უფლების არსის სრულად წარმოჩენისა და წვდომის აუცილებელ წინაპირობად;<sup>77</sup>

*უნგერის* განმარტებით, „აქციო“ არის საკუთარი ნების სასამართლოს მეშვეობით განხორციელების უფლებამოსილებაზე მიმართული სამართლებრივი მოთხოვნა;<sup>78</sup>

*ვინშაიდი* აფართოებს „აქციოს“ განმარტებას და მიიჩნევს, რომ „აქციო“ არის მოთხოვნა, რომელიც მხარეებს ერთმანეთის მიმართ სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე აქვთ. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მყიდველის მოთხოვნა ნივთის გადაცემის შესახებ არსებობს იმ მომენტამდე, სანამ მეორე მხარე მასზე დაკისრებულ ვალდებულებას დაარღვევს. კონკრეტული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ეს მოთხოვნა სასამართლოს მეშვეობით არის განხორციელებადი.<sup>79</sup>

თანამედროვე სამართალში მოთხოვნის წარმოშობის აუცილებელი წინაპირობა აღარ არის ვალდებულების დარღვევა, ვინაიდან მოთხოვნა ცალკეულ შემთხვევაში წარმოიშობა მის გარეშე.<sup>80</sup>

*სავინისაგან* განსხვავებით, *ვინშაიდი* მოთხოვნასა და „აქციოს“ ერთმანეთისაგან მიჯნავს, კერძოდ: „აქციო“, რომის სამართლის გაგებით, მოიცავს როგორც პროცესუალური, ისე მატერიალურსამართლებრივი მოთხოვნის შინაარსს.<sup>81</sup> ვინაიდან „აქციოზე“ დაფუძნებული სამართლებრივი აზროვნების თანახმად, პროცესუალური და მატერიალურსამართლებრივი

<sup>74</sup> Coing, *Europäisches Privatrecht*, Band 1, *Älteres Gemeines Recht*, 1985, § 29 IV, S. 177.

<sup>75</sup> „actio“.

<sup>76</sup> Savigny, *System des heutigen römischen Rechts*, Band 5, 1841, S. 6; შეად. ასევე Georgiades, *Die Anspruchskonkurrenz zum Zivilrecht und Zivilprozeßrecht*, 1967, S. 131.

<sup>77</sup> Jhering, *Der Kampf um das Recht*, 1872, S. 119.

<sup>78</sup> Unger, *System des oesterreichischen allgemeinen Privatrechts*, 5. Aufl., Band 2, 1892, S. 386.

<sup>79</sup> Windscheid, *Die Actio des roemischen Civilrechts, vom Standpunkte des heutigen Rechts*, 1856, S. 2.

<sup>80</sup> შეად. სსკ-ის 367-ე მუხლი.

<sup>81</sup> Amsberg, *Anspruchskonkurrenz, Cumul und Sameloop*, 1994, S. 5, 23.

მოთხოვნა არ იყო გამიჯნული, მარტივად ახსნადია „აქციოს“ წარმოშობისა და განხორციელების პირდაპირი დაკავშირება სამართალწარმოებასთან.<sup>82</sup>

მხოლოდ *ვინშიადის* შემდეგ გამოიკვეთა მოთხოვნის ისეთი განმარტება, რომელიც გაზიარებულია თანამედროვე გერმანულ სამართალში. ამ განმარტების თანახმად, მოთხოვნა არის სამართლით გარანტირებული უფლება, რომელიც პირს ანიჭებს სხვა პირისაგან რაიმეს განხორციელების მოთხოვნის უფლებამოსილებას. *ვინშიადის* თანახმად, მოთხოვნის განმარტებისას გამოსაკვეთი ძირითადი მახასიათებელია ის, რომ „აქციო“ სხვა პირისაგან რაიმეს მოთხოვნის შესაძლებლობას აფუძნებს და არ არის სავალდებულო წესითა და თანადროულად დაკავშირებული სასამართლოსთვის მიმართვის აუცილებლობასთან.<sup>83</sup> სასამართლოსათვის მიმართვა მოთხოვნის განხორციელების ერთ-ერთი შესაძლებლობაა, თუმცა იგი არსებობს, მიუხედავად იმისა, გამოიყენებს უფლებამოსილი პირი აღნიშნულ შესაძლებლობას თუ არა.<sup>84</sup>

შესაბამისად, მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა,<sup>85</sup> რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება.<sup>86</sup> ამდენად, მოთხოვნა და „აქციო“ არ არის ურთიერთმფარავი ცნებები, ვინაიდან პირველი უმეტესწილად მატერიალურსამართლებრივი, ხოლო მეორე როგორც მატერიალურსამართლებრივი, ისე საპროცესოსამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია.<sup>87</sup>

მოთხოვნის განმარტება ცალკეულ შემთხვევაში არაერთგვაროვანია ასევე თანამედროვე სახელმწიფოთა სამართლებრივ სისტემებში, როგორც ამ ქვეყნების იურიდიულ დოქტრინაში, ისე კანონმდებლობაში. მაგალითად, რომის სამართალში დამკვიდრებულ ტერმინ „აქციოს“ მსგავსად, საფრანგეთისა და ბელგიის სამართლებრივ სისტემებში ეს ტერმინი მოიცავს როგორც პროცესუალურ, ასევე მატერიალურ მოთხოვნას.<sup>88</sup>

მოთხოვნა საპროცესოსამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომაზე.<sup>89</sup> აღნიშნული წარმოიშობა არა მხოლოდ ამა თუ იმ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის საფუძველზე სხვა პირისაგან გარკვეული მოქმედების განხორციელებისა თუ მისგან თავის შეკავების მოთხოვნაზე; არამედ ასევე შესაძლოა, მიზნად ისახავდეს გარკვეული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენას.

<sup>82</sup> *Georgiades*, Die Anspruchskonkurrenz zum Zivilrecht und Zivilprozeßrecht, 1967, S. 113.

<sup>83</sup> *Windscheid*, Lehrbuch des Pandektenrechts, Band 1, 1862, S. 92.

<sup>84</sup> *Kuhlenbeck*, Von den Pandekten zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 1, 1898, S. 554.

<sup>85</sup> *Windscheid*, Lehrbuch des Pandektenrechts, Band 1, 1862, S. 90 f.; *Amsberg*, Anspruchskonkurrenz, Cumul und Sameloop, 1994, S. 5.

<sup>86</sup> გერმანულ დოქტრინაში არსებულ დისკუსიებთან დაკავშირებით იხ. *Georgiades*, Die Anspruchskonkurrenz zum Zivilrecht und Zivilprozeßrecht, 1967, S. 112.

<sup>87</sup> მოთხოვნის მატერიალურ- და პროცესუალურსამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებით შეად. *Grothe*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 1, 2006, § 194, RdNr. 2; ასევე *Amsberg*, Anspruchskonkurrenz, Cumul und Sameloop, 1994, S. 5.

<sup>88</sup> შეად. *Amsberg*, Anspruchskonkurrenz, Cumul und Sameloop, 1994, S. 5.

<sup>89</sup> *Henrich*, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2009, § 194 BGB, RdNr. 34; ასევე *Kuhlenbeck*, Von den Pandekten zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 1, 1898, S. 554.

მაგალითად, განქორწინების შესახებ მოთხოვნა, ისევე როგორც აღიარებით სარჩელთა უმრავლესობა, არ გამოძინარეობს ვალდებულების დარღვევიდან.<sup>90</sup>

მოთხოვნა მატერიალურსამართლებრივი ვაგებით არის პირის სასამართლოს მეშვეობით განხორციელებადი უფლება, მოითხოვოს სხვისაგან რაიმე მოქმედების შესრულება ან მისგან თავის შეკავება. ის არის სუბიექტურ უფლებასა<sup>91</sup> და მის სამართლებრივად გარანტირებულ დაცვას შორის არსებული შუალედური რგოლი,<sup>92</sup> კერძოდ, მატერიალურსამართლებრივი კონსტრუქცია<sup>93</sup> საპროცესოსამართლებრივი ელემენტებით.<sup>94</sup> მოთხოვნა წარმოიშობა როგორც დამფუძნებელი უფლების განხორციელების შედეგად, ასევე სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის, ვადამოსული შესრულების ვალდებულებისა თუ აბსოლუტური უფლების ხელყოფის საფუძველზე.<sup>95</sup>

## 2.2 მოთხოვნის საფუძველი

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედებისგან თავის შეკავების ვალდებულება.<sup>96</sup>

მოთხოვნის საფუძველთა რიცხვს განეკუთვნება, მაგალითად, სსკ-ის 477-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, ასევე სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი და სხვ.). მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა განხორციელების შესაძლებლობა იზღუდება კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადებით.<sup>97</sup>

სსკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოითხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც.“ მოთხოვნის უფლება მას შეუძლია განახორციელოს სასამართლოს მეშვეობით.<sup>98</sup> აღნიშნულის მსგავსად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 241-ე პარაგრაფის თანახმად, „კრედიტორი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე უფლებამოსილია, მოვალისაგან მოითხოვოს შესრულება, რომელიც შეიძლება გამოიხატოს უმოქმედობაშიც.“<sup>99</sup> წარმოდგენილი ნორმები, ზოგადად, მიუთითებს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ შესაძლო სამართლებრივ შედეგებზე.

<sup>90</sup> Klein, Konkurrenz und Auslegung, 1996, S. 46.

<sup>91</sup> Jhering, Kampf ums Recht, in: Recht und Sitte, Bücher der Bildung, Band 9 (ohne Angabe des Erscheinungsjahres), S. 9 („das Recht im subjektiven Sinne ist die konkrete Ausmündigung der abstrakten Regel in eine konkrete Berechtigung der Person“).

<sup>92</sup> „Zwischenglied“.

<sup>93</sup> „Gebilde“.

<sup>94</sup> Georgiades, Die Anspruchskonkurrenz zum Zivilrecht und Zivilprozeßrecht, 1967, S. 133.

<sup>95</sup> მოთხოვნის დეფინიციასთან დაკავშირებით იხ., მაგალითად, Dernburg, Pandekten, 6. Aufl., Band 1, 1, Allgemeiner Theil, 1900, S. 86

<sup>96</sup> Larenz/Wolf, Allgemeine Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 18, RdNr. 7.

<sup>97</sup> შეად. Palandt/Heinrichs, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 194, RdNr. 2, ასევე Mansel/Stuerner, BGB Anwaltskommentar, Heidel/Huesstege/Mansel/Noack (Hrsg.), Band 1, 2005, § 194, RdNr. 2 f.

<sup>98</sup> შეად. ასევე Langheineken, Anspruch und Einrede nach dem Deutschen Bürgerlichen Gesetzbuch, 1903, S. 19 f.

<sup>99</sup> Zweigert/Kötz, Einführung in die Rechtsvergleichung, 3. Aufl., 1996, 469.

შეიძლება ითქვას, რომ სსკ-ის 316-ე მუხლი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 241-ე პარაგრაფის მსგავსად, განსაზღვრავს ვალდებულებითსამართლებრივი მოთხოვნის საფუძველის განმარტებას.<sup>100</sup> თუმცა აღნიშნული რომ განვაზოგადოთ, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის „კანონის განაწესი, რომლის საფუძველზეც კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს მოქმედების შესრულება... შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებაშიც და მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც“.<sup>101</sup> ამგვარად, შესრულების შინაარსი მოიცავს როგორც პოზიტიურ მოქმედებას, ასევე უმოქმედობას, მათ შორის „თმენასაც“.<sup>102</sup>

მოთხოვნის საფუძველები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა ნორმაში და თანაბარწილად მოიცავს როგორც ვალდებულებითსამართლებრივ, ასევე სანიუტოსამართლებრივ, საოჯახო და სხვა მოთხოვნებს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, სსკ-ის 316-ე მუხლით ჩამოყალიბებული მოთხოვნის განმარტება მოიცავს მხოლოდ ვალდებულებითსამართლებრივ თუ, ზოგადად, კერძოსამართლებრივი მოთხოვნის განსაზღვრებას, მოთხოვნა და მისი მატერიალურსამართლებრივი საფუძველი ცენტრალური მნიშვნელობისაა.

სამოქალაქოსამართლებრივი მოთხოვნის მატერიალურსამართლებრივი საფუძველები რეგულირებულია სამოქალაქო კოდექსსა და კერძოსამართლებრივ კანონმდებლობაში.<sup>103</sup> თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში, მოთხოვნა შესაძლოა ეფუძნებოდეს სახელშეკრულებო შეთანხმებით გათვალისწინებულ ცალკეულ ნორმას,<sup>104</sup> თუ იგი, სსკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად, არ ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვას.

„მოთხოვნა არის კერძო სამართლის ფუნდამენტი. იგი სამართლებრივი ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია.“ შესაბამისად, სასამართლომ, რომელიც კონკრეტულ დავას წყვეტს, უპირველეს ყოვლისა, სწორად უნდა შეარჩიოს მოთხოვნის დამფუძნებელი მატერიალურსამართლებრივი საფუძველი, კერძოდ ის ნორმა, რომელზე დაყრდნობითაც წარმოიშობა ესა თუ ის მოთხოვნა.<sup>105</sup>

მოთხოვნის საფუძველის სწორად შერჩევა მოსამართლის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, ვინაიდან მოსამართლეს კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილება სწორედ მის მიერ უპირატესად გამოსაყენებელ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მიჩნეული ნორმის საფუძველზე გამოაქვს. ამა თუ იმ მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის შერჩევა, მხარეთა მიერ მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, მის მიერ მომზადებული სამართლებრივი დასკვნის შესაბამისად ხორციელდება.<sup>106</sup>

<sup>100</sup> *ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, 2009, გვ. 14.

<sup>101</sup> *ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი/შაბერაშვილი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, 2005, გვ. 166.

<sup>102</sup> „Dulden“, *Kramer*, Münchener Kommentar, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 8.

<sup>103</sup> *Palandt/Heinrichs*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 194, RdNr. 1.

<sup>104</sup> შეად., მაგალითად: *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 18, RdNr. 13; *ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, 2009, გვ. 15.

<sup>105</sup> *ჭანტურია*, *ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე/ნინიძე* (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გვ. 37.

<sup>106</sup> *ბიოლინგი/ჭანტურია*, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მე-2 გამოცემა, 2004, გვ. 39.

სამართლის ნორმამ შესაძლოა, პირდაპირ განსაზღვროს ვალდებული პირის მიერ შესასრულებელ მოქმედება. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი მხოლოდ ზოგად ვალდებულებას აწესებს. მაგალითად, სსკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველი ვალდებულია, გამყიდველს გადაუხადოს ფასი და მიიღოს ქონება. ეს ნორმა ზუსტად განსაზღვრავს მყიდველის ვალდებულებას. განსხვავებულია სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულება, რომლის თანახმად, თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით, ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას.<sup>107</sup>

თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს კომპეტენციაა.<sup>108</sup>

მოთხოვნის საფუძველი არის კანონის ნორმა, რომელიც განსაზღვრული შემადგენლობის ნიშნების არსებობისას მხარეს ანიჭებს უფლებას, მეორე მხარისაგან მოითხოვოს გარკვეული მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება.

მოთხოვნის საფუძველი, როგორც წესი, ორი ნაწილისაგან შედგება – ეს არის ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობებს და სამართლებრივი შედეგი,<sup>109</sup> რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა,<sup>110</sup> ე.ი. აღწერილობითი ნაწილის შემადგენელი ელემენტები.<sup>111</sup>

მოთხოვნის განხორციელება არის ცალკეული შემთხვევის არსებობისას აბსტრაქტული ნორმისაგან კონკრეტული სამართლებრივი შედეგის გამოყვანა.<sup>112</sup> მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველის შეფარდებისას უნდა დადგინდეს, მოცემულია თუ არა განსახილველ შემთხვევაში შერჩეული მოთხოვნის საფუძველით (მისი აღწერილობითი ნაწილით) განსაზღვრულ წინაპირობათა ერთობლიობა, რომელთა არსებობაც კონკრეტულ შემთხვევაში წარმოშობს მოთხოვნის საფუძველით დადგენილ სამართლებრივ შედეგს.<sup>113</sup>

მაგალითად, სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის წინაპირობებია: პირი, რომელიც ითხოვს ნივთს, უნდა იყოს ამ ნივთის მესაკუთრე; ხოლო პირი, რომლისაგანაც ითხოვს მესაკუთრე ნივთს, უნდა იყოს ნივთის მფლობელი.

<sup>107</sup> ვრცლად იხ. *Roth*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 42, ასევე *Roth*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 113.

<sup>108</sup> *Windscheid*, Die Actio des roemischen Civilrechts, vom Standpunkte des heutigen Rechts, 1856, S. 25.

<sup>109</sup> *Schellhammer*, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen, 6. Aufl., 2005, RdNr. 11.

<sup>110</sup> *ბოელინგი/ჭანტურია*, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მე-2 გამოცემა, 2004, გვ. 38.

<sup>111</sup> *ბოელინგი/ლუტრინგჰაუსი/შატბერაშვილი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, 166.

შეად. *ბოელინგი/ჭანტურია*, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მე-2 გამოცემა, 2004, 38. ასევე *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 18, RdNr. 15.

<sup>112</sup> *Jhering*, Der Kampf um das Recht, 1872, S. 116; ასევე *Jhering*, Recht und Sitte, Der Kampf ums Recht, 1872, S. 9; *Schellhammer*, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen, 6. Aufl., 2005, RdNr. 11.

<sup>113</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 18, RdNr. 15.

ამასთან, მას არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება. ეს წინაპირობები არის ნორმის შემადგენლობა, ხოლო სამართლებრივი შედეგია მესაკუთრის უფლებამოსილება, გამოითხოვოს ნივთი უკან.

### III. მოთხოვნათა და მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია

#### 1. მოთხოვნათა და მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის გამიჯვნა

ერთსა და იმავე ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, შესაძლოა წარმოიშვას რამდენიმე დამოუკიდებელი მოთხოვნა,<sup>114</sup> ანუ მოთხოვნათა „კონკურენცია“<sup>115</sup>, რაც შესაძლოა, სხვადასხვა სამართლებრივი საფუძველიდან აღმოცენდეს, ან ერთი და იმავე მოთხოვნის საფუძველს ემყარებოდეს.

მაგალითად, გამყიდველის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სსკ-ის 491-ე და 405-ე მუხლების შესაბამისად, მყიდველი უფლებამოსილია, მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ან ფასის შემცირება. ეს მოთხოვნები სრულიად განსხვავებული, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მოთხოვნებია, თუმცა მათი დამფუძნებელი სამართლებრივი ნორმა ერთია.<sup>116</sup> ამ მოთხოვნათა შორის სახეზეა ე.წ. ალტერნატიული კონკურენცია, კერძოდ, უფლებამოსილმა პირმა უნდა აირჩიოს აღნიშნულ მოთხოვნათაგან ერთ-ერთი და განახორციელოს იგი. მყიდველის მიერ შერჩეული მოთხოვნის განხორციელების, განსაკუთრებით კი მისი განხორციელებით დასახული მიზნის მიღწევის შემდეგ, მოთხოვნა, რომელიც არ იქნა არჩეული უფლებამოსილი პირის მიერ, როგორც წესი, ქარწყლდება.<sup>117</sup>

ამასთან, მოთხოვნა შესაძლოა რამდენიმე მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველიდან ერთდროულად წარმოიშვას, კერძოდ, ერთზე მეტი მოთხოვნის საფუძველის წინაპირობები დააკმაყოფილოს. ასეთ შემთხვევაში, ერთი შეხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ რამდენიმე დამოუკიდებელი მოთხოვნაა სახეზე,<sup>118</sup> თუმცა რეალურად არსებობს მხოლოდ ერთი, რამდენიმე სამართლებრივი საფუძველით დაფუძნებული, მოთხოვნა,<sup>119</sup> ანუ სახეზეა მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია.

მაგალითად, თუ დამქირავებელმა ბრალეულად ხელყო ქირავნობის საგანი, რამაც გამოიწვია ზიანი, დამქირავებლის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სსკ-ის 573-ე, სსკ-ის 394-ე და 395-ე მუხლების ურთიერთკავშირის საფუძველზე (მოთხოვნა ქირავნობის ხელშეკრულებიდან). თუმცა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლოა ასევე წარმოიშვას სსკ-ის 992-ე მუხლის შესაბამისად (მოთხოვნა დელიქტიდან).<sup>120</sup> მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის შემთხვევაში უპირატესად გამოსაყენებელი სამართლის ნორმის შერჩევა მოსამართლის კომპეტენციაა.

<sup>114</sup> *Kuhlenbeck*, Von den Pandekten zum Buergerlichen Gesetzbuch Band 1, 1898, S. 555.

<sup>115</sup> „*concurrere*“.

<sup>116</sup> შეად. *Kuhlenbeck*, Von den Pandekten zum Buergerlichen Gesetzbuch Band 1, 1898, S. 555.

<sup>117</sup> *Puchta*, über gerichtliche Klagen, besonders in Streitigkeiten der Landeigentuemmer, 1833, S. 69.

<sup>118</sup> *Amsberg*, Anspruchskonkurrenz, Cumul und Sameloop, 1994, S. 21.

<sup>119</sup> შეად. *Amsberg*, Anspruchskonkurrenz, Cumul und Sameloop, 1994, S. 94.

<sup>120</sup> შეად. ასევე: *Dernburg*, Pandekten, 6. Aufl., Band 1, 1, Allgemeiner Theil, 1900, S. 87; *Georgiades*, Die Anspruchskonkurrenz zum Zivilrecht und Zivilprozeßrecht, 1967, S. 93; *Zouðze*, Актуальные Проблемы Советского Права, 1988, стр. 195; BGH Beschluß vom 16.02.1993 – VI ZR 252/92 (Oldenburg), NJW-RR, 1993, S. 1113; *Seibt/Wollenschläger*, Vertragliche und deliktische Haftung – Ein Fernsehinterview mit Folgen, JuS, 2008, S. 800.

## 1.1 კონკურენციის თეორიის ფორმირება

საერთო სამართლის დროინდელ გერმანულ დოქტრინაში დისკუსიის უმთავრესი ამოცანა მოსარჩელეთა მიერ მათი უფლებების, კერძოდ კანონით მინიჭებული მოთხოვნების, ბოროტად გამოყენების გამორიცხვა იყო. შესაბამისად, მასში არ განიხილებოდა კონკურენცია იმ თვალსაზრისით, რომელიც აქტუალურია თანამედროვე დოქტრინასა და პრაქტიკაში.

მაგალითად, *დაბელოვის* ხედვით, უფლებათა კონკურენცია<sup>121</sup> სახეზეა, როდესაც რამდენიმე უფლება პარალელურად არსებობს და ერთმანეთს გამორიცხავს;<sup>122</sup> ნალოგიურად, *კექტერი* მიიჩნევს, რომ სარჩელთა კონკურენცია სახეზეა, როდესაც წარმოშობილი რამდენიმე უფლება ერთმანეთს გამორიცხავს<sup>123</sup> ან ურთიერთზეგავლენას ახდენს;<sup>124</sup> *სავინის* განმარტებით, სარჩელთა კონკურენცია სახეზეა მაშინ, როდესაც ერთსა და იმავე საგანსა თუ მიზანზე მიმართული რამდენიმე სარჩელი ერთდროულად არსებობს და ურთიერთზეგავლენას ახდენს.<sup>125</sup> კერძოდ, „აქციო“ კარგავს ძალას კონკურირებადი „აქციოს“ შედეგების მიღწევის შემდეგ, თუ აღნიშნულ მოთხოვნათა მიზანი იდენტურია. შედეგების მიღწევა შესაძლოა მოხდეს სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე ან მასზე მიმართვის შემდეგ,<sup>126</sup> სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე ან სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით.<sup>127</sup>

მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა ურთიერთზეგავლენა აქტუალურია თანამედროვე სამართალშიც. მაგალითად, თუ კონკურირებად მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთაგან ერთ-ერთზე დაყრდნობით განხორციელდა ზიანის ანაზღაურება, ასეთ შემთხვევაში მოთხოვნის წარდგენა კონკურენციაში მყოფი მოთხოვნის სხვა საფუძვლის შესაბამისად გამორიცხულია, თუნდაც იმიტომ, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემადგენლობის უმთავრესი ელემენტი, კერძოდ, ზიანი სახეზე აღარ არის.<sup>128</sup>

*ვინშიდის* განმარტებით, სარჩელთა კონკურენცია სახეზეა, როდესაც ერთი მოთხოვნა სხვადასხვა ფაქტობრივი გარემოებისა და სამართალურთიერთობის

<sup>121</sup> უფლებათა კონკურენცია გამოიყენება ვიწრო, მოთხოვნათა კონკურენციის გაგებით.

<sup>122</sup> *Dabelow*, System des gesamten heutigen Civilrechts, 2. Aufl., Band 1, 1796, S. 329.

<sup>123</sup> შეად. ასევე *Möhler*, Pandektenrepetitorium nach den Lehrbuechern von Puchta, von Vangerow und Arnd, 2. Aufl., 1860, S. 41.

<sup>124</sup> *Wächter*, Pandekten, Band 1, Allgemeiner Theil, 1880, S. 489.

<sup>125</sup> *Savigny*, System des heutigen römischen Rechts, 1841, Band 5, S. 205; *ვინშიდი* მიიჩნევს, რომ *სავინისეული* კონკურენციის განმარტება, რომელიც სარჩელთა ურთიერთგამომრიცხავ დამოკიდებულებას გულისხმობს, კოლიზიას იწვევს და იგი არ უნდა გაიგივდეს კონკურენციასთან, იხ. *Windscheid*, die Actio des römischen Civilrechts, vom Standpunkt des heutigen Rechts, 1856, S. 33.

<sup>126</sup> „აქციო“ ამ შემთხვევაში, ფართო გაგებით, პოტენციური სარჩელის შინაარსით გამოიყენება, ვინაიდან ავტორი საუბრობს „აქციოს“ მიზნის მიღწევაზე სასამართლოსათვის მიმართვამდე. ფაქტობრივად, აქ საუბარია მოთხოვნაზე, რომელიც აღარ იარსებებს (ძალას დაკარგავს), თუ მიღწეულ იქნა „აქციოთი“ დასახული მიზანი.

<sup>127</sup> *Savigny*, System des heutigen römischen Rechts, Band 5, 1841, S. 253.

<sup>128</sup> *Klein*, Konkurrenz und Auslegung, 1996, S. 48.

საფუძველზე მრავალგზის წარმოიშობა,<sup>129</sup> რაც, თანამედროვე გაგებით, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციაა.

მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენცია სახეზეა, როდესაც ერთი და იგივე ან მსგავსი ფაქტობრივი გარემოებები რამდენიმე მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმათა შემადგენლობას, კერძოდ აღწერილობითი ნაწილით გათვალისწინებულ წინაპირობებს, აკმაყოფილებს. ასეთ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს, აღნიშნული მოთხოვნის საფუძველთაგან მხოლოდ ერთ-ერთი უნდა იქნეს გამოყენებული, თუ შესაძლებელია, რამდენიმე მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ერთდროულად და პარალელურად არსებობდეს.<sup>130</sup>

„აქციოთა“ შესახებ სამართლებრივი აზროვნებისაგან განსხვავებით, რომლის თანახმად, მოთხოვნები კონკურენციის შემთხვევაში, როგორც წესი, ურთიერთგამომრიცხავ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან,<sup>131</sup> კინშიაილი სარჩელთა კონკურენციის არსებობისას განიხილავს მოსარჩელის უფლებას, აირჩიოს კონკურირებად მოთხოვნათაგან მისთვის სასურველი.<sup>132</sup> ეს უფლება, თანამედროვე გაგებით, მოსარჩელეს აქვს მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენციის შემთხვევაში.<sup>133</sup>

მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის შემთხვევაში, მოთხოვნის რომის სამართლებრივი გაგებისაგან განსხვავებით, როდესაც „აქციოს“ არჩევა მხარის პრეროგატივად განიხილებოდა,<sup>134</sup> – სასამართლო ირჩევს კონკურირებადი მოთხოვნის საფუძველთაგან უპირატესად გამოსაყენებელ საფუძველს.<sup>135</sup>

საერთო სამართლის დროინდელ გერმანულ დოქტრინაში არსებული დისკუსიები თანამედროვეთათვის ნაკლები პრაქტიკული მნიშვნელობის მატარებელია, ვინაიდან ამ პერიოდის დოქტრინა უდავოდ მიიჩნევს, რომ არჩევანი კონკურირებად სარჩელებს შორის მოსარჩელემ უნდა გააკეთოს. მან უნდა შეარჩიოს მისთვის უპირატესი მოთხოვნა<sup>136</sup> და მისი სამართლებრივი საფუძველი.<sup>137</sup>

ამგვარი მიდგომა რომის სამართლებრივი აზროვნების გავლენად მიიჩნევა. აღნიშნულის მიხედვით, მოსარჩელე უფლებამოსილი იყო, გადაეწყვიტა, მაგალითად, ცალკეულ შემთხვევაში მოთხოვნა დაეფუძნებინა სახელშეკრულებო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე თუ დელიქტზე. კერძოდ, უფლებამოსილი პირის მიერ მოთხოვნის შერჩევა ავტომატურად მისი სამართლებრივი საფუძველის განსაზღვრასაც გულისხმობდა, რომლის ფარგლებსაც მოსამართლე გადაწყვეტილების მიღების დროს ვერ

<sup>129</sup> Windscheid, die Actio des römischen Civilrechts, vom Standpunkt des heutigen Rechts, 1856, S. 32.

<sup>130</sup> Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 18, RdNr. 18.

<sup>131</sup> Amsberg, Anspruchskonkurrenz, Cumul und Sameloop, 1994, S. 106.

<sup>132</sup> Windscheid, die Actio des römischen Civilrechts, vom Standpunkt des heutigen Rechts, 1856, S. 2.

<sup>133</sup> Amsberg, Anspruchskonkurrenz, Cumul und Sameloop, 1994, S. 23.

<sup>134</sup> მოსარჩელის არჩევანის უფლება „აქციოთა“ შორის გულისხმობს როგორც მოთხოვნის, ასევე მისი სამართლებრივი საფუძველის არჩევას. იხ. Kuhlenbeck, Von den Pandekten zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 1, 1898, S. 555 f.; ეს მიდგომა მოქმედებს თანამედროვე ბელგიურ და ფრანგულ სამართალშიც. იხ., მაგალითად, Amsberg, Anspruchskonkurrenz, Cumul und Sameloop, 1994, S. 24 f.

<sup>135</sup> შეად. ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, 2009, გვ. 54.

<sup>136</sup> Landsberg, Das Recht des Bürgerlichen Gesetzbuches vom 18. August 1896, Band 1, 1904, S. 88.

<sup>137</sup> Puchta, über die gerichtliche Klagen, besonders in Streitigkeiten der Landeigentümer, 1833, S. 75 f.



გაცდებოდა.<sup>138</sup> თუმცა, ვინაიდან თანამედროვე საპროცესო სამართალი, ისევე როგორც სასამართლო პრაქტიკა, აღარ ეფუძნება „აქციოთა“ სისტემას,<sup>139</sup> მკვეთრად იმიჯნება ერთ შემთხვევაში მოთხოვნათა შორის არჩევანის გაკეთების კომპეტენცია, რომელიც, უდავოდ, მხარეს აქვს, მეორე შემთხვევაში კი მოთხოვნის დამფუძნებელ სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციის დროს უპირატესად გამოსაყენებელი ნორმის შერჩევის უფლებამოსილება, რომელიც მოსამართლეს ეკუთვნის.<sup>140</sup>

## 1.2 კონკურენციის არსებობის წინაპირობები

მე-19 საუკუნის გერმანულ დოქტრინაში განიხილება სარჩელთა კონკურენციის არსებობის სხვადასხვა კრიტერიუმი, როგორცაა, მაგალითად, სარჩელის წარმომშობი ფაქტობრივი გარემოებების იდენტურობა. აღნიშნული ნაკლებად გასაზიარებელია, ვინაიდან ერთსა და იმავე ფაქტს შესაძლოა რამდენიმე სარჩელი თუ მოთხოვნა ეფუძნებოდეს. ეს გარემოება კი თავისთავად არ იწვევს მოთხოვნათა კონკურენციას,<sup>141</sup> ვინაიდან, ერთსა და იმავე ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით, შესაძლოა სრულიად განსხვავებული, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მოთხოვნაც წარმოიშვას.<sup>142</sup>

სარჩელთა კონკურენციის არსებობის დადგენისათვის არ არის საკმარისი ერთი და იმავე მოდავე მხარეების არსებობა, ვინაიდან ასეთ მხარეებს შორის შესაძლოა არსებობდეს სრულიად განსხვავებული და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამართლებრივი ურთიერთობა და, შესაბამისად, სხვადასხვა ურთიერთობის საფუძველზე წარმოშობილი დამოუკიდებელი მოთხოვნები.

*სავინის* მოსაზრებით, მხოლოდ სარჩელის მიზნის იდენტურობა<sup>143</sup> ის წინაპირობა, რომელიც, უდავოდ, ქმნის სარჩელთა ურთიერთდამთხვევას.<sup>144</sup> *ვინშიდი* განაგრძობს *სავინის* მიერ ჩამოყალიბებულ კრიტერიუმს და განმარტავს, რომ სარჩელის მიზნის იდენტურობა მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოშობს კონკურენციას, როდესაც ერთი და იმავე მოთხოვნის მიზნის მიღწევა სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებებით არის შესაძლებელი. ამასთან, იგი აზუსტებს, რომ რეალურად ამ დროს სახეზეა მხოლოდ ერთი, სამართლებრივად მრავალგზის დაფუძნებული, მაგრამ ერთხელ განხორციელებადი, მოთხოვნა.<sup>145</sup>

მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციის დადგენისა და შეფასების მიზნით, აუცილებელია, გაირკვეს, თუ რამდენად აქვთ მოთხოვნებს იდენტური მიზანი, შემთხვევის სპეციფიკის გათვალისწინებით.<sup>146</sup>

<sup>138</sup> *Georgiades*, Die Anspruchskonkurrenz zum Zivilrecht und Zivilprozeßrecht, 1967, S. 12 ff.

<sup>139</sup> *Kuhlenbeck*, Von den Pandekten zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 1, 1898, S. 555 f.

<sup>140</sup> *Amsberg*, Anspruchskonkurrenz, Cumul und Samelooop, 1994, S. 93.

<sup>141</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 18, RdNr. 19.

<sup>142</sup> *Arnold*, Praktische Erörterungen aus dem Rechtsgebiete, 1853, S. 236.

შეად. *Savigny*, System des heutigen römischen rechts, Band 5, 1841, S. 225.

<sup>143</sup> *Savigny*, System des heutigen römischen Rechts, Band 5, 1841, S. 208; იხ. ასევე *Puchta*, über die gerichtliche Klagen, besonders in Streitigkeiten der Landeigentümer, 1833, S. 83 f.

<sup>144</sup> *Savigny*, System des heutigen römischen Rechts, Band 5, 1841, S. 205 f.

<sup>145</sup> *Windscheid*, die Actio des römischen Civilrechts, vom Standpunkt des heutigen Rechts, 1856, S. 34.

<sup>146</sup> *Schiffner*, Systematisches Lehrbuch des oesterreichischen allgemeinen Civilrechtes, Band 1: Den allgemeinen Teil enthaltend, 1882, S. 176.

სამართლებრივი მოთხოვნები მიმართულია გარკვეული სამართლებრივი ინტერესის დაკმაყოფილებაზე, თუმცა ერთი და იმავე სამართლებრივი ინტერესის დაკმაყოფილებისათვის შესაძლოა, რამდენიმე სამართლებრივი საშუალება ერთდროულად არსებობდეს. მოთხოვნები, რომლებიც ერთი და იმავე მიზნის მიღწევაზეა მიმართული,<sup>147</sup> დამოუკიდებელი არ არის. ასეთ შემთხვევაში სახეზეა ერთი და იმავე მიზნის მიღწევის რამდენიმე საშუალება,<sup>148</sup> კერძოდ, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენცია.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, მოთხოვნათა კონკურენცია სახეზეა, როდესაც რამდენიმე, ერთი შეხედვით ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, მოთხოვნა, ფართო გაგებით, ერთ მიზანზეა მიმართული და ერთის მიზნის დაკმაყოფილება მეორის განხორციელებით დასახული შედეგის მიღებას გამოირიცხავს. (მაგალითად, ფასის შემცირება, თუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც ნიუთის ნაკლის გამოსწორებისათვის გაწეული ხარჯის საფუძველზე დადგა.

ორ სარჩელს შესაძლოა ჰქონდეს იდენტური მიზანი, მიუხედავად მისი წარმოშობის განსხვავებული საფუძვლისა.<sup>149</sup> აღნიშნულ სარჩელთა მრავალგზის განხორციელება უნდა გამოირიცხოს, ვინაიდან სხვაგვარად შესაძლებელი ხდება ერთი და იმავე მოთხოვნის რამდენჯერმე განხორციელება. ეს კი წინააღმდეგობაში მოვა თანასწორობისა და თანაზომიერების პრინციპთან და უფლებამოსილ პირს მისცემს უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. ერთსა და იმავე მიზანზე მიმართული რამდენიმე მოთხოვნის პარალელურად განხორციელება დაუშვებელია,<sup>150</sup> სამართლიანობისა თუ კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად.<sup>151</sup>

მოთხოვნის საგნისა თუ მიზნის ურთიერთდამთხვევა, თანამედროვე გაგებით, მოთხოვნათა იდენტურობას უტოლდება, რაც მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციის ძირითადი წინაპირობაა.<sup>152</sup> ერთი მოთხოვნა ერთდროულად რამდენიმე სამართლებრივი საფუძველით გათვალისწინებულ წინაპირობებს აკმაყოფილებს. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში სახეზეა ერთი, რამდენიმეჯერ დაფუძნებული მოთხოვნა.<sup>153</sup>

ვინაიდან საერთო სამართლის დროინდელ გერმანულ დოქტრინაში კონკურენციის უმთავრეს პრობლემად მოსარჩელის მიერ რამდენიმე სამართლებრივი საშუალების ერთდროულად გამოყენების შესაძლებლობა მიიჩნეოდა, ამ პერიოდის ავტორებთან მსჯელობა მიზნად ისახავს, უმთავრესად, სწორედ მოსარჩელის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების გამორიცხვას.<sup>154</sup> ამასთან, აღნიშნული იმგვარად უნდა გამოირიცხოს, რომ

<sup>147</sup> Windscheid, Die Actio des roemischen Civilrechts, vom Standpunkte des heutigen Rechts, 1856, S. 34.

<sup>148</sup> Regelsberger, Pandekten, Band 1, 1893, S. 653.

<sup>149</sup> მაგალითად, ქირავნობის საგნის დაზიანების შემთხვევაში დამქირავებელი ვალდებულია, აანაზღაუროს შესაბამისი ზიანი, თუმცა ეს ვალდებულება წარმოიშობა როგორც ე.წ. შეფარდებითი, ანუ სახელშეკრულებოსამართლებრივი, ურთიერთობიდან, ასევე აბსოლუტური უფლების ხელყოფის შედეგად (დელიქტის საფუძველზე). Windscheid, Die Actio des roemischen Civilrechts, vom Standpunkte des heutigen Rechts, 1856, S. 34.

<sup>150</sup> Bierer, Handbuch des gesammten, in Wuerttemberg geltenden Privatrechts, Band 1, Der sogenannte allgemeine Theil und die dinglichen Rechte, 1862, S. 198.

<sup>151</sup> Savigny, System des heutigen römischen Rechts, Band 5, 1841, S. 260

<sup>152</sup> შეად., მაგალითად, Georgiades, Die Anspruchskonkurrenz zum Zivilrecht und Zivilprozeßrecht, 1967, S. 32.

<sup>153</sup> Amsberg, Anspruchskonkurrenz, Cumul und Sameloop, 1994, S. 21.

<sup>154</sup> Klein, Konkurrenz und Auslegung, 1996, S. 36 ff.

მოთხოვნათა განხორციელება, რომელთა მიზანი სრულად ან ნაწილობრივ განსხვავებულია, უზრუნველყოფილი იყოს.<sup>155</sup>

დავა იმასთან დაკავშირებით, რომ ერთი და იმავე მოთხოვნის განხორციელება სხვადასხვა სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით რამდენჯერმე დაუშვებელია, აღარ არის აქტუალური.<sup>156</sup>

მოთხოვნათა კონკურენცია, თანამედროვე გერმანული დოქტრინის შესაბამისად, სახეზეა, როდესაც ერთსა და იმავე ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით რამდენიმე მოთხოვნა წარმოიშობა.<sup>157</sup> ეს უნდა გაიმიჯნოს მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციისაგან,<sup>158</sup> რომლის დროს სახეზეა არა მოთხოვნათა, არამედ მოთხოვნის (მატერიალურსამართლებრივ) საფუძველთა სიმრავლე.<sup>159</sup> ეს არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ფაქტობრივი გარემოებები რამდენიმე მოთხოვნის საფუძვლის შემადგენლობასა და წინაპირობებს აკმაყოფილებს,<sup>160</sup> ანუ სახეზეა რამდენიმე ნორმაში ერთდროულად (მრავალჯერ) დასაბუთებული მოთხოვნა.<sup>161</sup>

მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის შემთხვევაში უპირატესად გამოსაყენებელი საფუძვლის შერჩევა სასამართლოს მიერ ნორმათა განმარტების მეთოდის შესაბამისად უნდა მოხდეს.

### 1.3 კონკურენციის სახეები

თანამედროვე სამართალში ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს კონკურენციათა შემდეგი სახეები:

#### ა) გამომრიცხავი კონკურენცია

მოთხოვნის საფუძველთა გამომრიცხავი კონკურენცია სახეზეა, როდესაც ერთი სამართლის ნორმა გამოდევნის მეორეს<sup>162</sup> (ე.წ. გამომრიცხავი თუ „კანონის კონკურენცია“<sup>163</sup>). კონკურენციის ამგვარი შემთხვევები ნორმათა იერარქიის, მათი სუბსიდიურობისა და სპეციალურობის მიხედვით წყდება.<sup>164</sup>

აღნიშნულისაგან განსხვავებით, მოთხოვნათა გამომრიცხავ კონკურენციად მიჩნეულ უნდა იქნეს შემთხვევა, როდესაც ერთსა და იმავე ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით წარმოიშობა რამდენიმე, ფართო გაგებით, ერთიან მიზანზე მიმართული მოთხოვნა, თუმცა ერთ-ერთი უპირატესად განსახორციელებელი მოთხოვნაა და მისი არსებობა გამომრიცხავს სხვა მოთხოვნების განხორციელებას.

<sup>155</sup> დწავრილებით იხ. *Savigny*, System des heutigen römischen Rechts, Band 5, 1841, 214 ff.

<sup>156</sup> *Klein*, Konkurrenz und Auslegung, 1996, S. 48.

<sup>157</sup> *Grothe*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 1, 2006, § 195, RdNr. 44.

<sup>158</sup> *Georgiades*, Die Anspruchskonkurrenz zum Zivilrecht und Zivilprozeßrecht, 1967, S. 128; *Jahr*, Anspruchsgrundlagenkonkurrenz und Erfüllungskonnexität, Verfahrensrecht am Ausgang des 20. Jahrhunderts, Festschrift für Gerhard Lüke zum 70. Geburtstag, 1997, S. 297-322.

<sup>159</sup> *Kramer*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 25; *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 18, RdNr. 33.

<sup>160</sup> *Kramer*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 21.

<sup>161</sup> შეად. *Georgiades*, Die Anspruchskonkurrenz zum Zivilrecht und Zivilprozeßrecht, 1967, S. 167 ff.

<sup>162</sup> *Grothe*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 1, 2006, § 195, RdNr. 45; *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 18, RdNr. 19.

<sup>163</sup> „Gesetzeskonkurrenz“.

<sup>164</sup> *Kramer*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 22.

მაგალითად, პირველადი მოთხოვნა (შესრულების მოთხოვნა) უპირატესია მეორად მოთხოვნებთან მიმართებით და მისი არსებობა გამორიცხავს მეორად მოთხოვნათა განხორციელების შესაძლებლობას.

#### ბ) ალტერნატიული კონკურენცია

მოთხოვნის საფუძველთა ალტერნატიული კონკურენცია სახეზეა, როდესაც ერთი და იგივე მოთხოვნა რამდენიმე მოთხოვნის საფუძვლის წინაპირობას ერთდროულად შეესაბამება და მისი დაფუძნება თითოეულ მათგანზე დაყრდნობითაა შესაძლებელი. ასეთ შემთხვევაში ერთი და იგივე სამართლებრივი შედეგი (ანუ მოთხოვნა) ერთდროულად რამდენიმე მოთხოვნის საფუძველით წარმოიშობა,<sup>165</sup> თუმცა ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძველით მოთხოვნის კვალიფიკაცია დანარჩენი სამართლებრივი საფუძველით მოთხოვნის წარმოშობას გამორიცხავს.

მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენცია სახეზეა, როდესაც ორი მოთხოვნა ერთი და იმავე ფაქტობრივი გარემოებების მიმართ ერთდროულად არსებობს და განხორციელებადია, თუმცა აუცილებელია ერთ-ერთი მათგანის არჩევა.<sup>166</sup> შესაბამისად, მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენციის დროს მხარემ უნდა შეარჩიოს ერთ-ერთი მოთხოვნა, მაგალითად: ხელშეკრულებიდან გასვლა ან ფასის შემცირება<sup>167</sup>. უფლებამოსილი პირის მიერ აღნიშნული არჩევანის გაკეთებამდე მას ორივე მოთხოვნა პარალელურად აქვს.<sup>168</sup>

#### გ) კუმულაციური კონკურენცია

მოთხოვნის საფუძველთა კუმულაცია სახეზეა, როდესაც ერთი მოთხოვნა წარმოიშობა ერთდროულად რამდენიმე მოთხოვნის საფუძველთა ურთიერთკავშირით. მოთხოვნის საფუძველთა კუმულაციად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ასევე შემთხვევა, როდესაც რამდენიმე ალტერნატიული მოთხოვნის საფუძველით წარმოშობილი ერთი მოთხოვნა აღნიშნულ ალტერნატიულ მოთხოვნის საფუძველთა გაერთიანების საფუძველზე დაკვალიფიცირდება, ე.წ. ურთიერთზეგამდგენი კონკურენცია.

მოთხოვნათა კუმულაციური კონკურენციის შემთხვევაში ერთსა და იმავე ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით პარალელურად რამდენიმე მოთხოვნა წარმოიშობა და მათი ერთდროულად განხორციელება შესაძლებელია.<sup>169</sup> აღნიშნული მოთხოვნები სხვადასხვა სამართლებრივ შედეგზეა მიმართული, რაც მოთხოვნათა სიმრავლეს წარმოშობს.<sup>170</sup>

შედარებისათვის, მოთხოვნათა და მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციების გამიჯვნას, მაგალითად, თანამედროვე გერმანულ იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში უმნიშვნელო ადგილი უჭირავს.<sup>171</sup> მიუხედავად

<sup>165</sup> *Kramer*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 24.

<sup>166</sup> *Kramer*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 23.

<sup>167</sup> *Kuhlenbeck*, Von den Pandekten zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 1, 1898, S. 555

<sup>168</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 18, RdNr. 22.

<sup>169</sup> *Kramer*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 23.

<sup>170</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 18, RdNr. 24.

<sup>171</sup> იხ., მაგალითად: *Georgiades*, Die Anspruchskonkurrenz zum Zivilrecht und Zivilprozeßrecht, 1967, S. 128; შეად. ასევე *Jahr*, Anspruchsgrundlagenkonkurrenz und Erfüllungskonnexität, Verfahrensrecht am Ausgang des 20. Jahrhunderts, Festschrift für Gerhard Lücke zum 70. Geburtstag, 1997, S. 297-322.

ამისა, მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის ანალოგის, ე.წ. „კანონის კონკურენციის“<sup>172</sup>, თავისებურებები არაერთი ავტორის მიერ იქცა დამოუკიდებელი განხილვის საგნად.<sup>173</sup>

მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია სახეზეა, როდესაც ერთი და იგივე მოთხოვნა შესაძლოა ერთდროულად დაეფუძნოს რამდენიმე მოთხოვნის საფუძველს. „კანონის კონკურენცია“ მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის მსგავსად სახეზეა, როდესაც ერთი და იმავე ფაქტობრივი გარემოების კვალიფიკაცია ერთდროულად რამდენიმე სამართლის ნორმით არის შესაძლებელი. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციისაგან განსხვავებით, „კანონის კონკურენციის“ შემთხვევაში, კონკურირებად ნორმათაგან ერთ-ერთი აუცილებლად გამორიცხავს მეორეს და უპირატესად გამოსაყენებლად მიიჩნევა.<sup>174</sup>

„კანონის კონკურენცია“ არ მოიცავს მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციას, ვინაიდან კანონის კონკურენციის შემთხვევაში სამართლებრივი საფუძველი გამომრიცხავ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან. „კანონის კონკურენცია“ განიმარტება როგორც ერთი ნორმის სასარგებლოდ გადაწყვეტილი კონკურენცია<sup>175</sup> და იგი მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის ყველა შემთხვევას არ მოიცავს, ვინაიდან კანონის კონკურენციის შემთხვევაში კონკურირებად მოთხოვნის საფუძველთა თანაარსებობა, ანუ მათი ერთდროულად გამოყენება, გამორიცხულია (მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კუმულაცია, ანუ „ურთიერთზეგამკლენი“ კონკურენცია).

„კანონის კონკურენცია“, როგორც წესი, სახეზეა ზოგად და სპეციალურ ნორმათა, ასევე განსხვავებული დონის სამართლის ნორმებს შორის კონკურენციის დროს. შესაბამისად, კანონის კონკურენცია მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის ერთ-ერთი ძირითადი სახეა, თუმცა მასთან ურთიერთმფარავი არ არის.

## 2. გამომრიცხავი კონკურენცია

### 2.1 მოთხოვნის საფუძველთა გამომრიცხავი ანუ კანონის კონკურენცია

მოთხოვნის საფუძველთა გამომრიცხავ კონკურენციად განიხილება შემთხვევა, როდესაც სახეზეა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დებულება და უნდა დადგინდეს, თუ რომელს აქვს მათ შორის ე.წ. გამომრიცხავი, ანუ უპირატესი, ძალა, როგორც კონკრეტული შემთხვევის მარეგულირებელ ნორმას.<sup>176</sup>

სპეციალურსა და ზოგად დებულებას შორის კოლიზიისას, როგორც წესი, გამოიყენება სპეციალური (კონკრეტული) ნორმა,<sup>177</sup> ასევე შესაძლებელია, ერთი ნორმა მეორესთან მიმართებით უპირატესად ჩაითვალოს მისი რაციონალურობის თვალსაზრისით, ანუ როგორც რეალობასთან თუ საქმის გარემოებებთან ყველაზე ახლოს მდგომი ნორმა.

<sup>172</sup> „Gesetzeskonkurrenz“.

<sup>173</sup> იხ., მაგალითად: *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 18, RdNr. 19 ff.

<sup>174</sup> *Georgiades*, Die Anspruchskonkurrenz zum Zivilrecht und Zivilprozeßrecht, 1967, S. 69, 84.

<sup>175</sup> *Dietz*, Anspruchskonkurrenz bei Vertragsverletzung und Delikt, 1934, S. 17.

<sup>176</sup> *Grothe*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 1, 2006, § 195, RdNr. 45 f.

<sup>177</sup> *Savigny*, System des heutigen römischen Rechts, Band 1, 1840, S. 276, 233.

რაციონალობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები საბოლოოდ მხოლოდ პრინციპებია, რომელიც მოსამართლეს დიდ მოქმედების თავისუფლებასა და „თავსატეხს“ უჩენს.<sup>178</sup>

გამომრიცხავი თუ გამდევნი (გერმანულ სამართალში ასევე „კანონის კონკურენცია“<sup>179</sup>) სახეზეა, როდესაც ერთი მოთხოვნის საფუძველი განდევნის მეორეს.<sup>180</sup> კერძოდ, როდესაც ერთი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი უპირატესად გამოსაყენებელია, რაც, როგორც წესი, ამა თუ იმ ნორმის სპეციალურობით<sup>181</sup> არის განპირობებული.<sup>182,183</sup> გამომრიცხავი კონკურენცია ასევე, უდავოდ, სახეზეა, როდესაც ნორმათა შორის იერარქიულად მაღლა მდგომი ნორმა გამოდევნის უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ მოთხოვნის საფუძველს.<sup>184</sup>

სსკ-ის მე-2 მუხლის თანახმად, კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური ნორმები. სსკ-ის აღნიშნული რეგულირება ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს უპირატესობას ანიჭებს, ერთი მხრივ, სპეციალურს,<sup>185</sup> ხოლო მეორე მხრივ, უფრო ახალ<sup>186</sup> ნორმას.<sup>187</sup>

სპეციალური ნორმებისათვის, ზოგადთან მიმართებით, უპირატესობის მინიჭება 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნოვაციაა, რომლითაც დასავლური მიდგომა იქნა გაზიარებული და, პოსტსაბჭოთა სივრცეში მოქმედ სამოქალაქო კანონმდებლობისაგან განსხვავებით, უარი ითქვა მათ შორის სსკ-ისათვის უპირატესი სტატუსის მინიჭებაზე. ამ ნოვაციით სსკ სამართლებრივ ურთიერთობაში მოქმედი უმნიშვნელოვანესი, თუმცა ყველზე ზოგადი, კანონია.<sup>188</sup>

ზოგადი და სპეციალური ნორმების ურთიერთმიმართება შეფარდებითია. იგი დამოკიდებულია შესაბამისი ნორმების მოწესრიგების სფეროზე. „რაც უფრო ვიწროა მოწესრიგების სფერო, უფრო სპეციალურია შესაბამისი ნორმა, მასთან შედარებით უფრო ფართო მოწესრიგების სფეროს მქონე ნორმასთან მიმართებით.“<sup>189</sup> ამ პრინციპის შესაბამისი განმარტების დროს უპირატესად გასათვალისწინებელია მხარეთა ინტერესების შეფასება.<sup>190</sup>

ამ პრინციპისგან განსხვავებით, სადავოა, რამდენად მიზანშეწონილია უფრო ახალი კანონისა თუ ნორმისთვის უპირობო უპირატესობის მინიჭება. *სავინის* განმარტებით, ახალი კანონისათვის უპირატესობის მინიჭება გამართლებულია

<sup>178</sup> *Burckhard*, die civilistischen Praesumtionen, 1866, S. 351.

<sup>179</sup> *Thomas/Putzo*, ZPO Kommentar, 25. Aufl., 2003, Einl. II, RdNr. 16.

<sup>180</sup> *Martiny*, Unterhaltsrang und -rückgriff, Beitrage zum auslaendischen und internationalen Privatrecht, 2000, 814; *Huber*, Irrtumsanfechtung und Sachmangelhaftung: eine Studie zur Konkurrenzfrage vor dem Hintergrund der internationalen Vereinheitlichung des Vertragsrechts, 2001, S. 182.

<sup>181</sup> „Exklusivität“.

<sup>182</sup> *Gnos*, Anspruchskonkurrenz in schweizerischen Produkthaftpflichtsrecht, 1997, S. 37.

<sup>183</sup> *Kramer*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 22.

<sup>184</sup> *Huber*, Irrtumsanfechtung und Sachmangelhaftung: eine Studie zur Konkurrenzfrage vor dem Hintergrund der internationalen Vereinheitlichung des Vertragsrechts, 2001, S. 189.

<sup>185</sup> *lex specialis derogato lex generalis*.

<sup>186</sup> *lex posterior derogat leges priori*.

<sup>187</sup> *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 53.

<sup>188</sup> *Kereselidze*, der allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, 2005, S. 78.

<sup>189</sup> *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 54.

<sup>190</sup> *Kramer*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 25.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უდავოა, რომ ახალი კანონით დასახული მიზანია, ჩაენაცვლოს ან განაგრძოს მოქმედი რეგულირება, უფრო დეტალურად მოაწესრიგოს ესა თუ ის შემთხვევა.<sup>191</sup> ისახავს თუ არა ახალი ნორმა ამგვარ მიზანს, ყოველი კონკრეტული შემთხვევის განხილვისას ნორმის ტელეოლოგიური განმარტების მეთოდის გამოყენებით უნდა დადგინდეს.

შესაბამისად, გაუმართლებელია ახალი ნორმისათვის, ძველთან მიმართებით, ავტომატურად უპირატესობის მინიჭება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში შესაძლოა, კანონმდებლის ნება სულ სხვა იყოს, და იგი განუხორციელებელი აღმოჩნდეს. მაგალითად, სსკ-ის რეგულირებასა და მეწარმეთა შესახებ კანონის ნორმას შორის კოლიზიის შემთხვევაში სამეწარმეო სამართლებრივი რეგულირება უფრო სპეციალურია, ვინაიდან იგი, როგორც წესი, ავიწროებს ნორმის გამოყენების სფეროს სამოქალაქო კოდექსის ნორმასთან მიმართებით, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო ახალი კანონია.

დაბელოვი ნორმათა მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის შემთხვევაში უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნის შერჩევის კრიტერიუმად ნორმის „სიძლიერეს“ მიიჩნევს.<sup>192</sup> მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა „ძლიერია“, თუ იგი სხვა მოთხოვნებთან შედარებით სწრაფად და მარტივად განხორციელებადია. „ძლიერია“ ასევე მოთხოვნის საფუძველი, როდესაც ერთი მოთხოვნის საფუძველით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი „მეტია“ მეორესთან მიმართებით. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს უფრო ძლიერი მოთხოვნის საფუძველის შერჩევა, როგორც მოსარჩელის სამართლებრივი ინტერესისა და მიზნის, ასევე მოპასუხის ინტერესების გათვალისწინებით.

ნორმის „სიძლიერე“ იმდენად ზოგადი მახასიათებელია, რომ შესაძლოა, განსხვავებულ განმარტებას დაექვემდებაროს. შესაბამისად, ცალკეულმა ნორმის შემფარდებელმა დასაშვებია, ერთი და იმავე ნორმის „სიძლიერე“ განსხვავებულად შეაფასოს.<sup>193</sup>

მაგალითად, დღემდე სადავოა, თუ რამდენად უნდა მიენიჭოს ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ მოთხოვნას, კანონისმიერ მოთხოვნასთან მიმართებით, უპირატესობა, როგორც უფრო „ძლიერ“ თუ სპეციალურ ნორმას.<sup>194</sup>

ანალოგიურად კვლავ აქტუალურია საკითხი, თუ რამდენად არის სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნის საფუძველები ერთსა და იმავე საფეხურზე მდგომი ნორმები<sup>195</sup>, ან, შესაბამისად, არის თუ არა სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძველი უფრო სპეციალური ნორმა<sup>196</sup>.

<sup>191</sup> იხ. Savigny, System des heutigen römischen Rechts, Band 5, 1841, S. 251, თუმცა აქ ავტორი ახალი კანონის ჭეშმარიტ მიზნებზე საუბრობს, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებული შეიძლება იყოს.

<sup>192</sup> Dabelow, System des gesammten heutigen Civilrechts, 2. Aufl., Band 1, 1796, S. 330.

<sup>193</sup> ნორმის სიძლიერესთან დაკავშირებით შეად. ასევე Eichhorn, Einleitung in das deutsche Privatrecht mit Einschluss des Lehenrechts, Aufl. 5., 1845, S 298.

<sup>194</sup> Dabelow, System des gesammten heutigen Civilrechts, 2. Aufl., Band 1, 1796, S. 326, 330 ff.

<sup>195</sup> იხ. Bar/Drobnig, Study on Property Law and Non-contractual Liability Law as they relate to Contract Law, 2002, S. 42, RdNr. 22.

<sup>196</sup> Amsberg, Anspruchskonkurrenz, Cumul und Sameloop, 1994, S. 13, 15; Seibt/Wollenschläger, Vertragliche und deliktische Haftung – Ein Fernsehinterview mit Folgen, JuS, 2008, S. 800; BGH Beschluß vom 16.02.1993 – VI ZR 252/92 (Oldenburg), NJW-RR, 1993, S. 1113.

სსკ-ის მე-2 მუხლის გაგებით, თუ სახელშეკრულებო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი სპეციალური მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმაა, მას, როგორც სპეციალურ ნორმას, უნდა მიენიჭოს უპირატესობა მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის შემთხვევაში.<sup>197</sup>

ამასთან, ცალკეულ შემთხვევაში უფრო სპეციალური, რეგულირების ვიწრო სფეროს მქონე ნორმის გამოცალკევება რთული ამოცანაა. განსაკუთრებით მაშინ, თუ, ერთი შეხედვით, თანაბრად სპეციალური ორი ნორმა ურთიერთგამომრიცხავია. აღნიშნული წინააღმდეგობა ნორმათა განმარტების მეთოდების დახმარებით უნდა აღმოიფხვრას. კერძოდ, მათ შორის უპირატესად გამოსაყენებელი ნორმის გამოცალკევება იმგვარად უნდა მოხდეს, რომ გათვალისწინებულ იქნეს კანონმდებლის მიერ სამოქალაქო სამართლებრივი კანონმდებლობით გარანტირებული ძირითადი პრინციპები (პირთა თანასწორობა, ნების ავტონომია და კეთილსინდისიერების პრინციპები)<sup>198</sup> და მიღწეულ იქნეს კანონმდებლის მიერ დასახული მიზნები.<sup>199</sup>

ნიშანდობლივია, რომ გერმანიის თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა და დოქტრინა სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძველს არ განიხილავს როგორც უფრო სპეციალურს, დელიქტური მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთან მიმართებით.<sup>200</sup> ეს მაშინ, როდესაც უდავოა, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმა, როგორც წესი, რეგულირების უფრო ვიწრო სფეროს მოიცავს და სპეციალური ნორმის წინაპირობას აკმაყოფილებს დელიქტური სამართლის ნორმებთან მიმართებით.

ასევე სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძველის არარსებობისას არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი პოზიცია, თუ რამდენად მისაღებია სანივთო უფლებიდან წარმოშობილი მოთხოვნის მატერიალურ სამართლებრივი საფუძველის უპირატესად მიჩნევა უსაფუძველო გამდიდრებიდან ან დელიქტიდან გამომდინარე კანონისმიერ მოთხოვნის საფუძველთან მიმართებით. დასაშვებია თუ არა, განიხილებოდეს სანივთო სამართლებრივი მოთხოვნის საფუძველი როგორც უფრო სპეციალური ან უფრო ძლიერი კანონისმიერ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთან მიმართებით.<sup>201</sup>

ნორმის სპეციალურობის დადგენა ცალკეულ შემთხვევაში წინააღმდეგობებსა თუ სირთულეებს ქმნის და მხოლოდ კონკურირებად ნორმათა კომპლექსური ანალიზისა და ნორმის განმარტების მეთოდებისა თუ კერძო სამართლის ფუძემდებლური პრინციპების დახმარებითაა შესაძლებელი. ამა თუ იმ მოთხოვნის საფუძველისათვის „სპეციალურის“ სტატუსის მინიჭება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კანონის მიზნების შესაბამისად უნდა მოხდეს.

მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 16 თებერვლის №ას-741-1010-05 განჩინების თანახმად, სასამართლო სსკ-ის 312-ე მუხლით გათვალისწინებულ საჯარო რეესტრის მონაცემების მიმართ სისწორისა და

<sup>197</sup> სსკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური... კანონი. ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური ნორმები.“

<sup>198</sup> ჯორბენაძე, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე/ნინიძე (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 1999, გვ. 29, 37.

<sup>199</sup> Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 3, RdNr. 56.

<sup>200</sup> განსხვავებული პოზიციით იხ. Amsberg, Anspruchskonkurrenz, Cumul und Sameloop, 1994, S. 16.

<sup>201</sup> Dabelow, System des gesammten heutigen Civilrechts, 2. Aufl., Band 1, 1796, S. 326.



უტყუარობის პრეზუმფციას სსკ-ის 2007 წლამდე არსებული რედაქციით 1158-ე მუხლთან ურთიერთკავშირში არ განიხილავს როგორც უდავოდ სპეციალურ და უპირატესად გამოსაყენებელ ნორმას. აღნიშნულის შეფასება, სასამართლოს მიერ მხარეთა ინტერესებისა და ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 2 იანვრის 3კ-932-02 განჩინებით, „სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 185-ე მუხლი 1160-ე მუხლთან მიმართებით უფრო ზოგად ნორმად ვერ ჩაითვლება.“

## 2.2 მოთხოვნათა გამომრიცხავი კონკურენცია

მოთხოვნათა გამომრიცხავი კონკურენცია სახეზეა, როდესაც ერთი და იმავე ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, რამდენიმე მოთხოვნა არსებობს, თუმცა ერთი მოთხოვნის განხორციელება უპირატესია. უპირატესობა ვლინდება ერთი მოთხოვნის განხორციელების სავალდებულოებაში, სხვა ნებისმიერთან მიმართებით.

პირველ შემთხვევაში, სანამ არ განხორციელდება ეს მოთხოვნა, უფლებამოსილი პირი ვერ გამოიყენებს სხვა მოთხოვნებს. მათი არსებობის მიუხედავად. ასევე შესაძლებელია ცალკეული მოთხოვნის წარმოშობა მხოლოდ თავდაპირველი მოთხოვნის განხორციელებლობის თუ უშედეგოდ განხორციელების შემთხვევაში.

მაგალითად, დამატებითი შესრულების მოთხოვნა სხვა მეორად მოთხოვნებთან მიმართებით, როგორც წესი, უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნაა და გამომრიცხავს სხვა მეორადი მოთხოვნების განხორციელებას. მსგავსი შემთხვევა სახეზეა თავდებობის შემთხვევაშიც, რომლის დროსაც მოვალისაგან ვალდებულების შესრულების მოთხოვნა უპირატესად განსახორციელებელია თავდებისაგან თავდებობის თანხის მოთხოვნასთან მიმართებით.

## 3. ალტერნატიული კონკურენცია

### 3.1 მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენცია

მოთხოვნათა ალტერნატიული, იგივე შერჩევითი თუ „ელექტიური“, კონკურენცია<sup>202</sup> სახეზეა, როდესაც ერთსა და იმავე ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით წარმოიშობა დამოუკიდებელი მოთხოვნები.<sup>203</sup> ეს მოთხოვნები შესაძლოა ემყარებოდეს ერთი და იმავე ან სხვადასხვა მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას. ასეთ შემთხვევაში უფლებამოსილ პირს რამდენიმე, შინაარსობრივად განსხვავებული, მოთხოვნა ან დამფუძნებელი უფლება აქვს, რომელთა შორისაც მას მისთვის უპირატესის არჩევა შეუძლია.<sup>204</sup> უფლებამოსილი პირის მიერ არჩევანის განხორციელებით მოთხოვნათა თანაარსებობა წყდება.<sup>205</sup>

<sup>202</sup> Зюйдзе, Актуальные Проблемы Советского Права, 1988, стр. 196, 197.

<sup>203</sup> „ელექტიური“ კონკურენციასთან დაკავშირებით იხ., მაგალითად, Барон, Система Римского Гражданского Права, перевод Петражицкого, выпуск первый, книга I, общая часть, 1909, ст. 197.

<sup>204</sup> შეად. სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი.

<sup>205</sup> შეად. სსკ-ის 492-ე მუხლი, იხ. Kleine/Scholl, das Konkurrenzverhältnis primärer und sekundärer Gläubigerrechte bei Pflichtverletzung im allgemeinen Schuldrecht, NJW, 2006, S. 3462 ff.; ასევე Palandt/Heinrichs, 67. Aufl., 2008, § 262, RdNr. 6, Jud in Prütting/Wegen/Weinreich (Hrsg.), BGB Kommentar, 2006, § 262, RdNr. 8.

შესაბამისად, მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენცია წარმოიშობა და, როგორც წესი, არსებობს მოთხოვნისა თუ სარჩელის „მიზნის“ დაკმაყოფილებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოთხოვნები სრულად ურთიერთმფარავი არ არის, და, შესაძლოა, სხვა მოთხოვნის განხორციელება სასამართლო წესით მოხდეს იმ ნაწილში, რომელიც არ იქნა დაკმაყოფილებული წინამორბედი სარჩელის ფარგლებში.<sup>206</sup>

მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენციის შემთხვევაში, კრედიტორის მიერ კონკურირებად მოთხოვნათა შორის არჩევანის განხორციელებამდე მოვალის მიერ შესასრულებელი ვალდებულება უცნობია.<sup>207</sup>

მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენციის მაგალითია ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში გამყიდველის მიერ ნაკლიანი შესრულების შედეგად წარმოშობილ ფასის შემცირებასა<sup>208</sup> და ხელშეკრულებიდან გასვლას<sup>209</sup> შორის არსებული ურთიერთმიმართება.<sup>210</sup>

მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენციის შემთხვევაში მხარის მიერ ერთ-ერთი მოთხოვნის შერჩევისა და მისი განხორციელების შემდეგ ქარწყიდება ის მოთხოვნები, რომლებიც უფლებამოსილმა პირმა არ აირჩია.<sup>211</sup>

მაგალითად, თუ, ნასყიდობის შემთხვევაში, გამყიდველი მყიდველის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, კანონით დადგენილი წინაპირობების გათვალისწინებით, უარს ამბობს ხელშეკრულებაზე, ანუ ირჩევს ხელშეკრულებიდან გასვლის მეორედ მოთხოვნას, იგი ვედარ მოითხოვს ვალდებულების შესრულებას. ეს უკანასკნელი მოთხოვნა აღარ არსებობს, იმის გათვალისწინებით, რომ გამყიდველმა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელებით უარი თქვა შესრულების მოთხოვნაზე.<sup>212</sup>

ეს მაგალითი, თანამედროვე გაგებით, მოთხოვნათა კონკურენციის კლასიკური შემთხვევაა. ამასთან, *პუხტა* ამავე ჭრილში განიხილავს მოთხოვნის დამფუძნებელ სამართლებრივ საფუძველთა შორის მოსარჩელის მიერ არჩევანის უფლებას.<sup>213</sup> აღნიშნულს სწორედ ის გარემოება განაპირობებს, რომ რომის სამართლებრივი აზროვნების შესაბამისად,<sup>214</sup> მოთხოვნათა და მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა გამიჯვნა *ვინშიაიდამდე* არ არსებობდა.<sup>215</sup>

<sup>206</sup> *Regelsberger*, Pandekten, Band 1, 1893, S. 653.

<sup>207</sup> *Langheineken*, Anspruch und Einrede nach dem Deutschen Bürgerlichen Gesetzbuch, 1903, S. 196.

<sup>208</sup> იხ. სსკ-ის 492-ე მუხლი.

<sup>209</sup> იხ. სსკ-ის 491-ე მუხლი.

<sup>210</sup> შეად. *Kuhlenbeck*, Von den Pandekten zum Buergerlichen Gesetzbuch Band 1, 1898, S. 555.

<sup>211</sup> „*ius variandi faellt nach der einmal getroffenen Wahl weg*“, *Puchta*, ueber die gerichtliche Klagen, besonders in Streitigkeiten der Landeigentuemmer, 1833, S. 83.

<sup>212</sup> *Puchta*, ueber die gerichtliche Klagen, besonders in Streitigkeiten der Landeigentuemmer, 1833, S. 82 f.

<sup>213</sup> *Puchta*, ueber die gerichtliche Klagen, besonders in Streitigkeiten der Landeigentuemmer, 1833, S. 83; *Landsberg*, Das Recht des Buergerlichen Gesetzbuches vom 18. August 1896, Band 1, 1904, S. 88.

<sup>214</sup> მოსარჩელე მოთხოვნათა შორის არჩევანის გაკეთების დროს განსაზღვრავდა ასევე მოთხოვნის დამფუძნებელ სამართლებრივ საფუძველს. შეად., მაგალითად, *Kuhlenbeck*, Von den Pandekten zum Buergerlichen Gesetzbuch, Band 1, 1898, S. 555 f.

<sup>215</sup> *Windscheid*, Lehrbuch des Pandektenrechts, Band 1, 1862, S. 90 f.; *Georgiades*, Die Anspruchskonkurrenz zum Zivilrecht und Zivilprozessrecht, 1967, S. 112.

თანამედროვე საპროცესო სამართლის შესაბამისად, მხარის ვალდებულებაა, წარმოადგინოს ფაქტობრივი გარემოებები და მოთხოვნა, ხოლო სამართლებრივი შეფასება სასამართლოს მიერ უნდა მოხდეს, მიუხედავად იმისა, მიუთითა თუ არა მხარემ მოთხოვნის დამფუძნებელ საფუძველთა შორის რომელიმე.<sup>216</sup> შესაბამისად, მოსარჩელემ შესაძლოა, არჩევანი გააკეთოს მხოლოდ ალტერნატიულ მოთხოვნათა შორის,<sup>217</sup> თუმცა იგი არ არის უფლებამოსილი, აირჩიოს, რომელი მოთხოვნის საფუძველზე დაყრდნობით სურს აღნიშნული მოთხოვნის განხორციელება.

მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებაში გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ნაკლიანი ნივთის მიწოდების შემთხვევაში, მყიდველის მიერ დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, მას აქვს არჩევანი ხელშეკრულებიდან გასვლასა და ფასის შემცირებას შორის. ერთ-ერთის არჩევა და განხორციელება გამორიცხავს მეორეს.<sup>218</sup> აღნიშნული არჩევანი შესაძლოა შეიზღუდოს ცალკეული გარემოებების, ასევე კეთილსინდისიერებისა და თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით.<sup>219</sup>

მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენცია შესაძლოა წარმოიშვას სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილ მეორად მოთხოვნებსა და მოტყუების გამო შეცილების უფლების განხორციელების შედეგად წარმოშობილ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით.<sup>220</sup> აღნიშნულ მოთხოვნათა შორის არსებობს ალტერნატიული კონკურენცია, რომლის დროსაც მყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ აირჩიოს მისთვის უფრო მომგებიანი მოთხოვნა.<sup>221</sup>

იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ პირის მიერ წარდგენილი ან სასურველი მოთხოვნა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის, ისევე ნამდვილი შეცილების საფუძველზე, ვინდიკაციური მოთხოვნის მეშვეობით პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ანუ ნივთის უკან დაბრუნებაა, აღნიშნული წარმოშობს მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციას.<sup>222</sup> კერძოდ, წარმოდგენილ მაგალითში მოთხოვნა სხვადასხვა სამართლებრივი საფუძველით წარმოიშობა, მაგრამ ერთსა და იმავე მიზანს ისახავს და, შესაბამისად, ერთ მოთხოვნას აფუძნებს.

რამდენად დასაშვებია რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი მოთხოვნის ალტერნატივის სახით სარჩელში მითითება, სადაგოა. საქართველოს, ისევე როგორც, მაგალითად, გერმანიისა და შვეიცარიის სამოქალაქო საპროცესო

<sup>216</sup> სარჩელი უნდა შეიცავდეს, სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას, ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, მოსარჩელის მოთხოვნას. ამასთან, იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს მოსარჩელის მიერ სარჩელის ფორმაში სამართლებრივი საფუძველის მითითების ვალდებულებას, რომელზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას.

<sup>217</sup> აღნიშნული ასახულია *პუხტას* მიერ მოყვანილ მაგალითში. შეად. *Puchta, ueber die gerichtliche Klagen, besonders in Streitigkeiten der Landeigentuemmer*, 1833, S. 82 f., ასევე *Savigny, System des heutigen römischen Rechts* Band 5, 1841, S. 256 f.

<sup>218</sup> *Jud* in Prütting/Wegen/Weinreich (Hrsg.), BGB Kommentar, 2006, § 262, RdNr. 8.

<sup>219</sup> შეად. *Jud* in Prütting/Wegen/Weinreich (Hrsg.), BGB Kommentar, 2006, § 264, RdNr. 4.

<sup>220</sup> სსკ-ის 976-ე ან/და 172-ე მუხლებზე დაყრდნობით.

<sup>221</sup> *Huber, Irrtumsanfechtung und Sachmängelhaftung: eine Studie zur Konkurrenzfrage vor dem Hintergrund der internationalen Vereinheitlichung des Vertragsrechts*, 2001, S. 183.

<sup>222</sup> **Sead.**

კანონმდებლობა, ემყარება შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპს.<sup>223</sup> აღნიშნულის შესაბამისად, მხარეებმა უნდა წარადგინონ მოთხოვნები და ის ფაქტები თუ გარემოებები, რომლებზეც ამყარებენ მოთხოვნას.<sup>224</sup> ერთი მხრივ, მოსარჩელის მიერ რამდენიმე მოთხოვნის აღტერნატივის სახით წარდგენამ შესაძლოა დააბრკოლოს მართლმსაჯულების განხორციელება, თუმცა, მეორე მხრივ, აღნიშნული შესაძლოა, პროცესის ეკონომიურობის პრინციპის შესაბამისად, მიზანშეწონილიც იყოს.<sup>225</sup>

მაგალითისათვის, თუ მოსარჩელეს სარჩელში წარდგენილი აქვს რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი მოთხოვნა, აღნიშნული მოთხოვნები მას შეუძლია განახორციელოს თანმიმდევრობით, თავისი ინტერესის შესაბამისი რიგითობით.<sup>226</sup> სასამართლოს მიერ ერთ-ერთი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, სასურველია, მოსარჩელეს ჰქონდეს შესაძლებლობა, წარადგინოს რიგით შემდეგი მოთხოვნა.<sup>227</sup> ამასთან, ცხადია, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოთხოვნათა სპეციფიკა, კერძოდ, შესაძლო გაგლენა სხვა მოთხოვნების წარმოშობასა თუ განხორციელებადობაზე.<sup>228</sup>

გერმანიის სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, მოსარჩელის მიერ აღტერნატიული მოთხოვნების წარდგენის მიუხედავად, შესაძლებელია, სასამართლოს მიერ მოხდეს მოთხოვნის მოდიფიცირება. აღნიშნული დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მისი დაკმაყოფილება ან განხორციელება წარდგენილი სახით შეუძლებელია.<sup>229</sup>

ამგვარი მიდგომა მიზნად ისახავს მოსარჩელის ინტერესების უზრუნველყოფას, იმის მიუხედავად, რომ მოსარჩელემ მისთვის არახელსაყრელი სამართლებრივი საშუალება, ანუ მოთხოვნა, შეარჩია. ასეთი „მოდიფიცირება“ მიზანშეწონილი და გამართლებულია, როდესაც სხვა მსგავსი მოთხოვნის მეშვეობით მოსარჩელის მიერ დასახული ეკონომიკური ინტერესი განხორციელებადია. აღნიშნული გასათვალისწინებელია განსაკუთრებით ცალმხრივი ნების გამოვლენის შემთხვევებთან მიმართებით, რომელთა ფარგლებშიც მხარის ჰიპოთეზური ნების დადგენა შესაძლებელია.<sup>230</sup>

მაგალითად, პირის მიერ განხორციელებული ბათილი შეცდომა შესაძლებელია განიმარტოს ხელშეკრულების მოშლად, თუ ცალკეული გარემოებებიდან დგინდება ინდივიდის სავარაუდო ნება ხელშეკრულების მოშლის ან ხელშეკრულებიდან გასვლის შესაბამისი სამართლებრივი შედეგების წარმოშობისა.<sup>231</sup>

<sup>223</sup> შეად. *Rauscher*, Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung, 3. Aufl., 2008, Band 1, Einl., RdNr. 275 ff.; შეად. ასევე შვეიცარიის სამოქალაქო საპროცესო სამართალთან დაკავშირებით *Gnos*, Anspruchskonkurrenz in schweizerischen Produkthaftpflichtrecht, 1997, S. 38 ff.

<sup>224</sup> სსკ-ის 178-ე მუხლი.

<sup>225</sup> *Rauscher*, Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung, 3. Aufl., 2008, Band 1, Einl., RdNr. 321.

<sup>226</sup> *Landsberg*, Ernst: Das Recht des Buergerlichen Gesetzbuches vom 18. August 1896, Band 1, 1904, S. 88.

<sup>227</sup> შეად. ასევე *Daubenspeck*, Beitrage zur Lehre vom Bergschaden, 1885, S. 77.

<sup>228</sup> *Puchta*, ueber die gerichtliche Klagen, besonders in Streitigkeiten der Landeigentuemers, 1833, S. 69; *Regelsberger*, Pandekten, Band 1, 1893, S. 653.

<sup>229</sup> *Wendland*, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 2009, 14. Aufl., § 140, RdNr. 13.

<sup>230</sup> *Busche*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., 2006, § 140, RdNr. 1, 3.

<sup>231</sup> *Busche*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., 2006, § 140, RdNr. 7; *Larenz/Wolf*, AT des Bürgerlichen Rechts, 2004, § 44, RdNr. 73; *Palandt/Heinrichs*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 140, RdNr. 9.

### 3.2 მოთხოვნის საფუძველთა ალტერნატიული კონკურენცია

თუ ერთსა და იმავე მიზანზე მიმართული მოთხოვნის საფუძველები ერთ საფეხურზე დგას, ასეთ შემთხვევაში სახეზეა მოთხოვნის საფუძველთა ალტერნატიული და არა გამომრიცხავი, ანუ ე.წ. კანონის კონკურენცია.<sup>232</sup> ალტერნატიულ კონკურენციაში მყოფ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის, როგორც წესი, სასამართლო ირჩევს უპირატესად გამოსაყენებელ ნორმას.

თანამედროვე სამართლებრივი გაგებით, ნამდვილი მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია სახეზეა, როდესაც ორი ან რამდენიმე მოთხოვნის საფუძველი ერთსა და იმავე ფაქტობრივ გარემოებაზე ერთდროულად ვრცელდება,<sup>233</sup> თუმცა მათი ერთობლივი განხორციელება გამორიცხულია, მათი იდენტური ან მეტწილად იდენტური სამართლებრივი შედეგის გამო.<sup>234</sup>

მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის საკითხთან დაკავშირებით, მაგალითად, ფრანგულ სამართალში ჩამოყალიბებულია პრინციპი: „პასუხისმგებლობის კუმულაცია დაუშვებელია“,<sup>235</sup> ხოლო ინგლისის სამართალში სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნის საფუძველთა მიმართებით პრინციპი – „მოთხოვნა უნდა ჩამოყალიბდეს ან ხელშეკრულებიდან ან დელიქტიდან“.<sup>236</sup>

ცალკეული შემთხვევისათვის შესაბამისი მოთხოვნის საფუძველის შერჩევას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დადგინდეს, შერჩეული მოთხოვნის საფუძველი ხომ არ არის კონკურენციაში სხვა ნორმებთან.<sup>237</sup> იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია სახეზეა, უნდა განისაზღვროს მათი ხანდაზმულობის ვადები და ცალკეული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებები ხანდაზმულობის ვადებთან მიმართებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა აღნიშნული საკითხის დადგენას სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნების ურთიერთმიმართების დროს აქვს.<sup>238</sup>

დელიქტური და სახელშეკრულებო მოთხოვნის დამფუძნებელ სამართლებრივ საფუძველთა კონკურენცია გერმანულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში ალტერნატიულ კონკურენციად განიხილება. ამასთან, ხშირ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ აღნიშნულ ნორმათა გამოყენება მათი შერწყმის საფუძველზე ხდება.<sup>239</sup>

<sup>232</sup> *Huber, Irrtumsanfechtung und Sachmängelhaftung: eine Studie zur Konkurrenzfrage vor dem Hintergrund der internationalen Vereinheitlichung des Vertragsrechts*, 2001, S. 182 f.

<sup>233</sup> *Gnos, Anspruchskonkurrenz in schweizerischen Produkthaftpflichtsrecht*, 1997, S. 38.

<sup>234</sup> *Kramer, Münchener Kommentar zum BGB*, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 24.

<sup>235</sup> „*non cumul des responsabilites*“, იხ. *Jahr, Verfahrensrecht am Ausgang des 20. Jahrhunderts, Festschrift für Gerhard Lüke zum 70. Geburtstag*, 1997, S. 297, შემდგომი მითითებით: *Terre/Simmler/Lequette, Droit Civil – Les Obligations*, 5. ed., 1993, Nr. 834.

<sup>236</sup> „*to express his claim either as one in contract or in tort*“, იხ. *Jahr, Verfahrensrecht am Ausgang des 20. Jahrhunderts, Festschrift für Gerhard Lüke zum 70. Geburtstag*, 1997, S. 297, შემდგომი მითითებით: *Cheshire/Fifoot/Furnston, Law of Contract*, 11. ed., 1986, S. 25.

<sup>237</sup> *Olzen/Wank, Zivilrechtliche Klausurenlehre mit Fallrepetitorium*, 2. Aufl., 1998, S. 25.

<sup>238</sup> *Mansel/Stürner, BGB Anwaltskommentar, Heidel/Huesstege/Mansel/Noack (Hrsg.)*, Band 1, 2005, § 195, RdNr. 54, ff.

<sup>239</sup> *Klein, Konkurrenz und Auslegung*, 1996, S. 53; *Georgiades, Die Anspruchskonkurrenz zum Zivilrecht und Zivilprozessrecht*, 1967, S. 86.

ჰუბერის თანახმად, აღნიშნული მოდგომა გაუმართლებელია, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ირღვევა მოთხოვნათა დამოუკიდებლობის პრინციპი. ამასთან, ავტორი განიხილავს ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებულ პრობლემას და მიიჩნევს, რომ თითოეული მოთხოვნა მისთვის განსაზღვრულ ხანდაზმულობის ვადებს უნდა ექვემდებარებოდეს.<sup>240</sup>

თანამედროვე გერმანულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში ჩამოყალიბებული პოზიცია განსხვავებულია. კერძოდ, დელიქტური და სახელშეკრულებო მოთხოვნების ალტერნატიული კონკურენციის დროს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა და მათ ზოგიერთ წინაპირობათა ურთიერთზეგავლენა ცალკეულ შემთხვევაში დასაშვებად და გამართლებულად მიიჩნევა.<sup>241</sup> ეს ხდება მაშინ, თუ ასეთი მოდგომა ცალკეული ინსტიტუტებისა თუ ნორმების მოწესრიგებისას კანონმდებლის მიერ დასახული მიზნის უზრუნველსაყოფადაა აუცილებელი. ძირითად შემთხვევებში, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა ურთიერთზეგავლენა სწორედ ხანდაზმულობის ვადების ურთიერთზეგავლენით გამოიხატება.<sup>242</sup>

მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენცია სახეზეა, როდესაც მხარეს აქვს ერთი და იგივე მოთხოვნა რამდენიმე დამოუკიდებელ სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით.

მაგალითისათვის, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის შემთხვევაში, გამყიდველი უფლებამოსილია, ნასყიდობის საგანი გამოითხოვოს. მოთხოვნის არსი ნასყიდობის საგნის უკან დაბრუნებაა. აღნიშნული უფლება კი შესაძლებელია წარმოიშვას როგორც სსკ-ის 172-ე მუხლი პირველი ნაწილის, ასევე სსკ-ის 976-ე მუხლის შესაბამისად. აქ, უდავოდ, სახეზეა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენცია, რომელთა შორის არჩევანის უფლებამოსილება მხოლოდ სასამართლოს აქვს, ვინაიდან აღნიშნული არჩევანი შემთხვევის სამართლებრივი შეფასების ნაწილში ხორციელდება,<sup>243</sup> რაც მხარის კომპეტენციის ფარგლებს სცდება.

თანამედროვე საპროცესო სამართალში მოქმედებს პრინციპი, რომლის შესაბამისად, მოსარჩელემ უნდა წარმოადგინოს მხოლოდ სარჩელის დამფუძნებელი ფაქტობრივი გარემოებები<sup>244</sup> და დააყენოს მოთხოვნა,<sup>245</sup> ხოლო მოსამართლე ვალდებულია, დამოუკიდებლად მისცეს აღნიშნულს ისეთი სამართლებრივი შეფასება, რომელიც მხარის მიერ წარმოდგენილ მოთხოვნას მეტად შეესაბამება.<sup>246</sup> ამდენად, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის კონკურენციის არსებობის შემთხვევაში, მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებს შორის არჩევანის გაკეთების უფლებამოსილება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაა.

<sup>240</sup> Huber, Irrtumsanfechtung und Sachmängelhaftung: eine Studie zur Konkurrenzfrage vor dem Hintergrund der internationalen Vereinheitlichung des Vertragsrechts, 2001, S. 184 ff.

<sup>241</sup> Georgiades, Die Anspruchskonkurrenz zum Zivilrecht und Zivilprozessrecht, 1967, S. 88.

<sup>242</sup> შეად. BGH Beschluß vom 16.02.1993 – VI ZR 252/92 (Oldenburg), NJW-RR, 1993, S. 1113; შეად. ასევე Seibt/Wollenschläger, Vertragliche und deliktische Haftung – Ein Fernsehinterview mit Folgen, JuS, 2008, S. 800.

<sup>243</sup> შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 4 მარტის №ას-973-1208-04 განჩინება.

<sup>244</sup> „iura novita curia“, იხ. Gnos, Anspruchskonkurrenz in schweizerischen Produkthaftpflichtrecht, 1997, S. 39.

<sup>245</sup> Rauscher, Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung, 3. Aufl., 2008, Einl., RdNr. 306.

<sup>246</sup> Kühlenbeck, Von den Pandekten zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 1, 1898, S. 555 f.

მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს გასათვალისწინებელია იმ პირის სამართლებრივი და ეკონომიკური ინტერესი, რომლის უფლებათა დაცვას ემსახურება მოთხოვნის საფუძველის შერჩევა.<sup>247</sup> ამასთან, თუ კრედიტორის ინტერესი და მისი სამართლებრივი მიზანი ყველა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველით ერთსა და იმავე ფარგლებში და წარმატებითაა მიღწევადი, შერჩეულ უნდა იქნეს მოვალისათვის ხელსაყრელი მოთხოვნა.<sup>248</sup>

აღნიშნული შეფასების დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მოდავე მხარეთაგან არის თუ არა ერთ-ერთი სამოქალაქო კანონმდებლობით განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მყოფი პირი, როგორცაა დასაქმებული ან მომხმარებელი. ასევე უნდა მოხდეს მხარეთა ინტერესების შეპირისპირება და, თანასწორობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად,<sup>249</sup> სამართლიანი და თანაზომიერი ღონისძიების (კერძოდ მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმის) შერჩევა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო მოთხოვნათა კონკურენციის სწორი სამართლებრივი შეფასება განსაკუთრებით პრობლემური და სადავო საკითხია დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში. სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულების დარღვევა ერთდროულად შეიძლება წარმოიშვას როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო სამართლებრივი საფუძველიდან.<sup>250</sup>

შესაბამისად, დელიქტის მარეგულირებელი მოთხოვნის საფუძველთა აღტერნატიული კონკურენცია სახელშეკრულებო მოთხოვნის დამფუძნებელ მოთხოვნის საფუძველთან მიმართებით მხოლოდ იმ შემთხვევაშია გასაზიარებელი, თუ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა სცდება სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებს და ხელშეკრულების გარეშეც ასეთად დაკვალიფიცირდებოდა.<sup>251</sup>

იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ხელშეკრულებით თანხმდებიან, რომ, რამდენიმე კონკურირებადი მოთხოვნის საფუძველის არსებობის მიუხედავად, მხარე უნდა შეიზღუდოს მხოლოდ ერთი მოთხოვნის საფუძველით, ან უშუალოდ სასამართლო პროცესზე შეთანხმდნენ სხვა მოთხოვნების გაქარწყლების შესახებ, ასეთი შეთანხმება ნამდვილია და იურიდიულად დასაშვები, თუ ეს მოთხოვნები ერთსა და იმავე „ეკონომიკურ“ მიზანზეა მიმართული.<sup>252</sup>

#### 4. კუმულაციური „კონკურენცია“

მოთხოვნათა კონკურენციის შინაარსიდან გამომდინარე, არსებობს შემთხვევები, როდესაც კონკურენციის არსებობა მხოლოდ მოჩვენებითია,

<sup>247</sup> შეად. *ბოელინგი/ვანტურია*, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მე-2 გამოცემა, 2004, გვ. 192, №4-ის შემთხვევის განხილვისას ავტორი შეცილების უფლების გამოყენებასა და სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევიდან წარმოშობილ მეორად მოთხოვნებს შორის უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მოსარჩელის სამართლებრივი და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით.

<sup>248</sup> *Eickmann*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 6, 2009, § 1174, RdNr. 4.

<sup>249</sup> *Kramer*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 25.

<sup>250</sup> *Зюды*, Актуальные Проблемы Советского Права, 1988, стр. 194.

<sup>251</sup> *Amsberg*, Anspruchskonkurrenz, Cumul und Sameloop, 1994, S. 58.

<sup>252</sup> BGH Urteil vom 09.12.1998 – XII ZR 170/96 (Nürnberg), NJW-RR 1999, S. 698 ff.

რეალურად კი იგი არ არსებობს. ასე მაგალითად, ურთიერთთანამდევნი მოთხოვნების ცალკე კონკურენციის სახედ გამოყოფა არ არის გამართლებული, ვინაიდან იგი არ წარმოშობს მოთხოვნათა წინააღმდეგობასა და საგნის იდენტურობას, რაც კონკურენციის არსებობის უმთავრესი წინაპირობაა.

კონკურენციის შემთხვევაში მოქმედი პრინციპია: პირმა, რომელმაც ერთი სარჩელით რაიმე მოითხოვა, კიდევ ერთხელ ვერ მოითხოვს მეორე სარჩელით. კერძოდ, ნებისმიერი სასარჩელო მოთხოვნა წყვეტს არსებობას, თუ იგი სხვა სარჩელით დაკმაყოფილებულ იქნა.<sup>253</sup>

შესაბამისად, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა შემოწმდეს, ერთი სარჩელით მიღწეული შედეგი მეორე სარჩელით მიღწევადი შედეგის იდენტურია თუ არა.<sup>254</sup> ერთ შემთხვევაში მეორე სარჩელი შთანთქმულია განხორციელებული სარჩელით, მეორე შემთხვევაში კი იგი შეუფერხებლად განხორციელებადია. თუ პირველ შემთხვევას ცალსახად შეიძლება ეწოდოს ალტერნატიული კონკურენცია, მეორე შემთხვევაში კონკურენცია სახეზე არ არის.<sup>255</sup>

პრაქტიკაში ამგვარი ცალსახად გამოკვეთილი შემთხვევები არ არის. ხშირად ერთი მოთხოვნა მიღწეული შედეგის მეორით მიღწევადი შედეგის ნაწილობრივ დაკმაყოფილებაა, კერძოდ, შედეგები მხოლოდ ნაწილობრივია ერთმანეთის იდენტური. ასეთ შემთხვევაში მეორე მოთხოვნა მხოლოდ იმ ნაწილში რჩება განხორციელებადი, რომელშიც პირველი მოთხოვნით მიღწეულ შედეგთან იდენტური არ იყო.<sup>256</sup>

#### 4.1 მოთხოვნათა კუმულაცია

მოთხოვნათა კუმულაცია<sup>257</sup> სახეზეა, როდესაც მხარეებს შორის პარალელურად არსებობს რამდენიმე მოთხოვნა<sup>258</sup> ისე, რომ ყოველი მათგანის განხორციელება შესაძლებელია ერთდროულად და დამოუკიდებლად.<sup>259</sup>

მოთხოვნათა კუმულაცია წმინდა ფორმალური გაგებით არ არის კონკურენციის სახე, ვინაიდან თითოეული მოთხოვნა დამოუკიდებელ მიზანს ისახავს და დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს.<sup>260</sup>

მოთხოვნათა კუმულაციაა ასევე, როდესაც ერთი პირის მიმართ ერთ ფაქტობრივ სასარჩელო გარემოებაზე დაყრდნობით რამდენიმე მოთხოვნა თანადროულად და პარალელურად არსებობს (მაგალითად, მატერიალური ზიანი და, სსკ-ის მე-18 მუხლის შესაბამისად, მორალური ზიანის

<sup>253</sup> Savigny, System des heutigen römischen Rechts, Band 5, 1841, S. 214.

<sup>254</sup> შეად. Kramer, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 24.

<sup>255</sup> Savigny, System des heutigen römischen Rechts, Band 5, 1841, S. 213 f.

<sup>256</sup> Savigny, System des heutigen römischen Rechts, Band 5, 1841, S. 260, Böcking, Einleitung in die Pandekten des gemeinen Civilrechts, 2. Aufl. 1853, S. 485.

<sup>257</sup> აღნიშნული არ არის კონკურენციის სახე, თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში, ხშირად, კონკურენციად იწოდება. შეად. Savigny, System des heutigen römischen Rechts, Band 5, 1841, S. 238.

<sup>258</sup> „cumulus actionum“.

<sup>259</sup> Puchta, ueber die gerichtlichen Klagen, besonder in Streitigkeiten der Landeigentuemers, 1833, S. 69, 72; Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 18, RdNr. 24.

<sup>260</sup> Savigny, System des heutigen römischen Rechts Band 5, 1841, S. 238.



ანაზღაურების მოთხოვნა)<sup>261</sup>. კუმულაციური კონკურენციის შემთხვევაში მოთხოვნები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოიშობა და ერთმანეთს არ გამორიცხავს.<sup>262</sup>

## 4.2 მოთხოვნის საფუძველთა კუმულაცია

მოთხოვნათა კუმულაციისაგან უნდა გაიმიჯნოს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კუმულაცია. ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც მოთხოვნა რამდენიმე მოთხოვნის საფუძვლის ერთობლივი გამოყენების საფუძველზე წარმოიშობა.

მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ნაკლიანი ნივთის გადაცემის შემთხვევაში სსკ-ის 491-ე, 352-ე და 405-ე მუხლების ერთობლიობა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას წარმოშობს.

შესაბამისად, მოთხოვნა შესაძლებელია გამომდინარეობს არა ერთი, არამედ რამდენიმე მოთხოვნის საფუძვილიდან ერთდროულად. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნის საფუძველია, დანარჩენი ნორმები კი დამხმარე მოთხოვნის საფუძველები. ხშირ შემთხვევაში, ერთი ნორმის ფარგლებში მითითება ხდება სხვა სამართლებრივ საფუძველზე ან სხვა ნორმით განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგზე.<sup>263</sup>

სამართლებრივ საფუძველზე მითითების მაგალითია სსკ-ის 491-ე მუხლი, რომელიც შემდგომ მითითებას ახდენს სსკ-ის 352-ე მუხლზე, ის კი, თავის მხრივ, შემდგომ მითითებას ახორციელებს სსკ-ის 405-ე მუხლით მოწესრიგებულ მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობებზე;<sup>264</sup>

სამართლებრივ შედეგზე, კერძოდ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე, მითითების მაგალითია სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი.

სამართლებრივ შედეგზე მითითება გულისხმობს შემთხვევებს, როდესაც ნორმა განსაზღვრავს მისი გამოყენების წინაპირობებს, ხოლო წინაპირობების არსებობისას აკეთებს მითითებას სხვა ნორმის, მოთხოვნის საფუძვლის

<sup>261</sup> *Kramer*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 23, ასევე *Kuhlenbeck*, Von den Pandekten zum Bürgerlichen Gesetzbuch Band 1, 1898, S. 554-557; შეად. *Gnos*, Anspruchskonkurrenz in schweizerischen Produkthaftpflichtrecht, 1997, S. 37.

<sup>262</sup> შეად. *Kuhlenbeck*, Von den Pandekten zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 1, 1898, S. 555.

<sup>263</sup> „*Rechtsgrundverweisung*“, შედარებისათვის იხ. *Kindl*, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2009, § 951, RdNr. 2; შეად. ასევე *Ernst*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2007, § 326, RdNr. 106.

<sup>264</sup> სსკ-ის 491-ე მუხლის თანახმად, გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ნაკლიანი ნივთის გადაცემის შემთხვევაში მყიდველი უფლებამოსილია, გავიდეს ხელშეკრულებიდან სსკ-ის 352-ე მუხლის შესაბამისად. ეს უკანასკნელი ნორმა კი, თავის მხრივ, მიუთითებს სსკ-ის 405-ე მუხლის წინაპირობების არსებობის აუცილებლობაზე. შესაბამისად, სსკ-ის 491-ე მუხლი მიუთითებს სსკ-ის 352-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგზე, რომელიც წარმოიშობა მას შემდეგ, რაც, სსკ-ის 405-ე მუხლის თანახმად, წარმოშობილია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება და იგი განხორციელებულია სსკ-ის 355-ე მუხლის შესაბამისი წესების დაცვით.

სამართლებრივ შედეგზე. მითითებული ნორმის საფუძველზე უნდა განისაზღვროს მხოლოდ მოთხოვნის ფარგლები და შინაარსი.<sup>265</sup>

მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კუმულაცია, თავის მხრივ, იმიჯნება შემთხვევისაგან, როდესაც მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა გაერთიანება<sup>266</sup> ხდება იმგვარად, რომ რამდენიმე დამოუკიდებელი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ურთიერთზეგაველენას განიცდის.<sup>267</sup> ასეთ შემთხვევაში, ორი დამოუკიდებელი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი გაერთიანების შედეგად ერთ მოთხოვნას აფუძნებს.<sup>268</sup>

ეს ხდება მაშინ, როდესაც მოსამართლე შინაგანი რწმენისა და ნორმათა კომპლექსური განმარტების შედეგად შემთხვევის ამგვარ კვალიფიკაციას უფრო მიზანშეწონილად და სამართლიანად მიიჩნევს. ასეთ შემთხვევაში სახეზეა კონკურირებადი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა სრული ან ნაწილობრივი თანხვედრა.<sup>269</sup> აღნიშნული განსაკუთრებით ხშირია ხანდაზმულობის საკითხებთან მიმართებით.<sup>270</sup>

### 4.3 სპეციალური შემთხვევა – ერთმანეთის შემდგომი კონკურენცია

საერთო სამართლის დროინდელ გერმანულ დოქტრინაში განხილული „ერთმანეთის შემდგომი კონკურენცია“ კონკურენციის სახედ არ უნდა იქნეს განხილული.

*პუხტას* განმარტებით, აღნიშნული სახეზეა, როდესაც მოთხოვნათა თანმიმდევრობა განსაზღვრავს და განაპირობებს მათ წარმოშობას.<sup>271</sup> კერძოდ, როდესაც ერთი „აქციოთი“ სასამართლოს მიერ უნდა დადგინდეს ისეთი გარემოება, რომელიც შემდგომ შესაძლებელს გახდის მეორე მოთხოვნის დაყენებას (მაგალითად, მამობის დადგენა და შემდეგ ალიმენტის მოთხოვნა).<sup>272</sup>

შესაბამისად, „ერთმანეთის შემდგომ კონკურენციად“ განიხილება შემთხვევა, როდესაც ერთი სარჩელის საგანი მეორე სარჩელით დასახული მიზნის მიღწევის საშუალებაა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მათი ურთიერთმიმართება განსხვავებულია.

უდავოა, რომ აღნიშნული შემთხვევა სარჩელთა კონკურენციის ჭრილში არ უნდა იქნეს განხილული,<sup>273</sup> ვინაიდან მოთხოვნათა მიზნები, მიუხედავად

<sup>265</sup> „Rechtsfolgenverweisung“, შედარებისთვის იხ. *Grothe*, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2007, § 346, RdNr. 57.

<sup>266</sup> *Gnos*, Anspruchskonkurrenz in schweizerischen Produkthaftpflichtrecht, 1997, S. 37.

<sup>267</sup> *Georgiades*, Die Anspruchskonkurrenz zum Zivilrecht und Zivilprozeßrecht, 1967, S. 86.

<sup>268</sup> „Einwirkende Konkurrenz“, შეად. *Amsberg*, Anspruchskonkurrenz, Cumul und Sameloop, 1994, S. 19; შეად. *Wagner*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 5, 2009, Vorbem., RdNr. 68.

<sup>269</sup> შეად. ასევე *Зюдце*, Актуальные Проблемы Советского Права, 1988, стр. 196.

<sup>270</sup> იხ. ქვემოთ, XI თავი. შეად. ასევე BGH Beschluß vom 16.02.1993 – VI ZR 252/92 (Oldenburg), NJW-RR, 1993, S. 1113; შეად. *Seibt/Wollenschläger*, Fortgeschrittenenklausur – Zivilrecht: Vertragliche und deliktische Haftung – Ein Fernsehinterview mit Folgen, JuS, 2008, S. 800.

<sup>271</sup> ავტორი ამ შემთხვევას კონკურენციის ჭრილში განიხილავს, თუმცა ამგვარი განმარტება არაზუსტია და კონკურენციის როგორც ეტიმოლოგიურ, ისე სამართლებრივ მნიშვნელობას არ შეესაბამება.

<sup>272</sup> *Puchta*, ueber die gerichtlichen Klagen, besonder in Streitigkeiten der Landeigentuemers, 1833, S. 70.

<sup>273</sup> *Savigny*, System des heutigen römischen Rechts, Band 5, 1841, S. 211 f.

გარკვეული ურთიერთკავშირისა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია და განსხვავებული.

„ერთმანეთის შემდგომი კონკურენცია“, საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ვერ იარსებებს. ის, რომ აღიარებითი სარჩელით დასახული მიზნის მიღწევის შედეგად შესაძლებელია გარკვეული, მისგან გამომდინარე, მოთხოვნის დაყენება, გამორიცხავს ამ ორ მოთხოვნას შორის კონკურენციის არსებობას.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის შესაბამისად, აღიარებითი სარჩელის წარდგენა მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ მის მიმართ სამართლებრივი ინტერესი არსებობს. პროცესის ეკონომიურობის პრინციპის შესაბამისად, აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ მიკუთვნებითი სარჩელით მიზნის მიღწევა შესაძლებელია.<sup>274</sup>

#### IV. სასამართლოს როლი და მოქმედების თავისუფლების ფარგლები

##### 1. სასამართლოს როლი სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისას

*მონტესკიეს* მიხედვით, გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის თავისუფლება მკაცრად იზღუდება კანონის ტექსტით. შესაბამისად, იგი მხოლოდ კანონის ტექსტის გამხმოვანებელია.<sup>275</sup>

თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში აღნიშნული დამოკიდებულება აღარ არის გაზიარებული. კანონმდებლობა განსაზღვრავს მოსამართლის ბოჭვისა და, შესაბამისად, მისი მოქმედების თავისუფლების ფარგლებს.

თეზა, რომ კანონი ყოველთვის მოსამართლეზე მაღლა დგას, არის მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც სახელმწიფოში ინდივიდის სამართლებრივი დაცვის გარანტიაა.<sup>276</sup> ამასთან, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსამართლე კანონის სიტყვასიტყვითი განმარტებით უნდა შეიზღუდოს. ეს იქნებოდა აღნიშნული პრინციპის მცდარი გაგება, რაც სამოსამართლო სამართლის დანიშნულებასა და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა.

იმედროულად, მოსამართლე შებოჭილია სამართლით, რომელიც მას არ აძლევს უფლებას, კანონის ნორმა ცალკეულ შემთხვევასთან მიმართებით „ავტომატურად“ გამოიყენოს, მაგალითად, მაშინ, თუ ის არ შეესაბამება სამართლის ზოგად პრინციპებს.<sup>277</sup>

მოსამართლემ კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები ინტერესთა შესაბამისად უნდა შეაფასოს, განავრცოს და, ზოგიერთ შემთხვევაში,

<sup>274</sup> *ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეულ მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009, გვ. 11 და შემდგომში; შეად. ასევე *ბიოლინგი/ჭანტურია*, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მე-2 გამოცემა, 2004, გვ. 37.

<sup>275</sup> შეად. *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 65 შემდგომი მითითებებით.

<sup>276</sup> *Heck*, das Problem der Rechtsgewinnung, Gesetzesauslegung und Interessenjurisprudenz, Begriffsbildung und Interessenjurisprudenz, 1932, S. 50.

<sup>277</sup> *Brandenburg*, Die teleologische Reduktion, 1983, S. 4.

შეასწოროს კიდევ. მოსამართლის ამოცანაა, კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტისას იპოვოს სამართალი.<sup>278</sup> ის არის კანონმდებლის ყველაზე უფრო სავარაუდო ნების „ამსრულებელი“;<sup>279</sup> მის მიერ გამოსაყენებელი ნორმის შინაარსის თანაშემოქმედი, და არა კანონის ტექსტის მექანიკურად გამხმოვანებელი.<sup>280</sup>

შესაბამისად, მოსამართლემ ნორმის შეფარდებისას დასაშვებია, მისი რეგულირების სფერო გააფართოვოს ან შეავიწროვოს,<sup>281</sup> ანუ, კანონიდან გამომდინარე, დაცული ფასეულობები დააკონკრეტოს.<sup>282</sup>

ამასთან, ყოველი გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს მოდავე მხარეთა ინტერესების გამიჯვნის, მათი ღირებულების შეფასებისა და „აწონ-დაწონის“<sup>283</sup> შედეგად. გასათვალისწინებელია, რომ ღირებულებების შეფასება უნდა მოხდეს არა ყოველი მოსამართლის პირადი შეხედულების შესაბამისად, არამედ კერძო სამართლებრივი კანონმდებლობის მიზნებიდან გამომდინარე. მოსამართლემ ყოველი ნორმა თუ, ნორმათა კონკურენციის შემთხვევაში, ალტერნატიული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლებრივი საფუძვლები, იმგვარად უნდა განმარტოს, რომ უზრუნველყოს პირთა თანასწორობა და არ დაუშვას ერთ-ერთი მხარის უფლებამოსილებათა უსაფუძვლო შეზღუდვა თუ გაფართოება.<sup>284</sup> ამასთან, მოსამართლის თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, იზღუდება კეთილსინდისიერებისა და თანასწორობის პრინციპებით.

სასამართლო გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, ემსახურება ცალკეული შემთხვევის გადაწყვეტას, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი როლი სხვა მსგავსი საქმეების გადაწყვეტასთან მიმართებით.<sup>285</sup> სამოსამართლო სამართალი არ არის სავალდებულო ძალის მქონე სამართლის წყარო, თუმცა სულ უფრო იზრდება მისი როლი და მნიშვნელობა რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახის სამართლებრივ სისტემებში.<sup>286</sup>

უკანასკნელ პერიოდში მსგავსი ტენდენციები შეინიშნება საქართველოს სამართლებრივ სისტემაშიც. მაგალითად, სსსკ-ის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარე უფლებამოსილია, სასამართლოს წარუდგინოს იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებანი. ცხადია, აღნიშნული არ ბოჭავს მოსამართლეს, მიიღოს განსხვავებული გადაწყვეტილება, თუმცა მხარის მიერ მსგავს საქმეზე წარმოდგენილი სხვა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სარეკომენდაციო და სახელმძღვანელო ხასიათს

<sup>278</sup> Heck, das Problem der Rechtsgewinnung, Gesetzesauslegung und Interessenjurisprudenz, 1932, S. 11; Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 3, RdNr. 37.

<sup>279</sup> „Gehilfe“.

<sup>280</sup> იხ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 65 და შემდგომი; შეად. ასევე Heck, das Problem der Rechtsgewinnung, Gesetzesauslegung und Interessenjurisprudenz, Begriffsbildung und Interessenjurisprudenz, 1932, S. 55.

<sup>281</sup> Brandenburg, Die teleologische Reduktion, 1983, S. 1.

<sup>282</sup> Heck, das Problem der Rechtsgewinnung, Gesetzesauslegung und Interessenjurisprudenz, Begriffsbildung und Interessenjurisprudenz, 1932, S. 35.

<sup>283</sup> გერმანულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში შეესაბამება ტერმინი „Abwägung“.

<sup>284</sup> Зюды, Актуальные Проблемы Советского Права, 1988, стр. 199.

<sup>285</sup> „sachliche Angemessenheit“, Heck, das Problem der Rechtsgewinnung, Gesetzesauslegung und Interessenjurisprudenz, Begriffsbildung und Interessenjurisprudenz, 1932, S. 50.

<sup>286</sup> შეად. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 58 და შემდგომი.

ატარებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს გადაწყვეტილება ზემდგომი სასამართლოს მიერაა მიღებული.

სამოსამართლო სამართალი ესწრაფვის ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რაც სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის ფორმულირებაშიც ვლინდება. ამ ნორმის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებზე დასაშვებია, თუ საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილება ან ცალკეულ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული ერთიანი სასამართლო პრაქტიკა, ჩვეულებითი სამართლის ცალკეული ნორმის მსგავსად, შესაძლოა დამკვიდრდეს ბრუნვაში, როგორც მოქმედი სამართალი.<sup>287</sup> ამასთან, სამოსამართლო სამართალმა შესაძლოა ახალი სამართლის ნორმის შექმნა ან ამა თუ იმ საკანონმდებლო რეგულირების ცვლილება გამოიწვიოს.

ცალკეული ნორმის სასამართლოსმიერი ინტერპრეტაცია სამართლის განვითარებას ემსახურება.<sup>288</sup> ამ პროცესში მეცნიერება დამხმარე ფუნქციას ასრულებს. იგი იკვლევს და სისტემურად წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილებათა ძირითად საფუძვლებს, ვინაიდან მეცნიერული კვლევის საგანი, უმთავრესად, სწორედ სასამართლო გადაწყვეტილებებია.<sup>289</sup>

## 2. სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპები

სამოქალაქო სამართლით მიიღწევა მხარეთა უფლებებისა და ინტერესების სამართლიანი და თანაზომიერი დაბალანსება. ამ ფუნქციის რეალიზებას ემსახურება ნებისმიერი საკანონმდებლო გადაწყვეტილება და მისი სასამართლოსმიერი განმარტება.<sup>290</sup>

შესაბამისად, სასამართლოს დანიშნულებაა, მართლმსაჯულების განხორციელებისას დაადგინოს ნორმის მიზანი, რაც, თავის მხრივ, საკმაოდ ფართო სამოსამართლო თავისუფლებასაც გულისხმობს.<sup>291</sup> ამასთან, მოსამართლე ხელმძღვანელობს, ერთი მხრივ, კანონმდებლის მიერ ამა თუ იმ ნორმისათვის მინიჭებული, ხოლო, მეორე მხრივ, ზოგადად, სამოქალაქო კანონმდებლობის მიზნით, რაც კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფასა და დარღვეული თანასწორობის აღდგენას გულისხმობს. ამგვარად, მოსამართლის განმარტების თავისუფლება ექცევა სწორედ კონკრეტული ნორმიდან გამომდინარე და ზოგადი პრინციპებით განსაზღვრულ ფარგლებში, რაც სამართლიანი სამართლის აღსრულების<sup>292</sup>, ანუ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების საწინდარია.

<sup>287</sup> Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 3, RdNr. 43; *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 56.

<sup>288</sup> *Rechtsgewinnung*. შეად. ასევე Jhering, Scherz und Ernst in der Jurisprudenz, 1884, 348; ასევე Sendler, Richterrecht – rechtstheoretisch und rechtspraktisch, Berlin, NJW, 1987, S. 3240.

<sup>289</sup> Heck, das Problem der Rechtsgewinnung, Gesetzesauslegung und Interessenjurisprudenz, Begriffsbildung und Interessenjurisprudenz, 1932, S. 10.

<sup>290</sup> შეად., მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 278-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი. იხ. ასევე Bitter/Rauhut, Grundzüge zivilrechtlicher Methodik – Schlüssel zu einer gelungenen Fallbearbeitung, JuS, 2009, S. 289.

<sup>291</sup> Brandenburg, Die teleologische Reduktion, 1983, S. 9.

<sup>292</sup> *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 64.

მოსამართლემ ნორმის განმარტების მეთოდების დახმარებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სამართლიანობის, თანაზომიერებისა და კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად,<sup>293</sup> უნდა მიიღოს კანონმდებლის მიერ ამა თუ იმ ნორმით დასახული მიზნის შესაბამისი შედეგი.

კანონმდებლის მიერ დაცული ინტერესი, ამავე დროს, შეუძლებელია ეწინააღმდეგებოდეს სხვა ნორმებსა და პრინციპებს.<sup>294</sup> მიუღებელია, მოსამართლემ დაუშვას, რომ კანონმდებლის მიერ ერთ, კონკრეტულ ნორმაში გამოვლენილი ნება წინააღმდეგობაში იყოს მის მიერვე დამკვიდრებულ სხვა პრინციპებსა და წესებთან. კანონმდებლის ნებისმიერი გადაწყვეტილება სამართლიანობასა და მიზანშეწონილობაზე დამყარებული სამართლებრივი წესრიგის შემადგენელი ნაწილია<sup>295</sup> და სწორედ ამ სისტემაში ცალკეული ნორმისთვის მინიჭებული მნიშვნელობის დადგენა მოსამართლის პრეროგატივაა.

## 2.1 დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები

მხარეთა ინტერესების სამართლიანი დაბალანსება სამოქალაქო საპროცესო სამართალში დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების აღიარებით ვლინდება. სამოქალაქოსამართლებრივი დავა მხოლოდ მხარის მოთხოვნისა და ინიციატივის საფუძველზე წარმოებს. მხარეთა მიერ ხდება დავის საგნის განსაზღვრა, ანუ „მხარის მოთხოვნის გარეშე არ არსებობს მართლმსაჯულება“.<sup>296</sup>

დავის შინაარსს განსაზღვრავენ მხოლოდ მხარეები. ისინი განაგებენ საპროცესო მასალებს, მტკიცებულებებსა და ფაქტებს.<sup>297</sup> შესაბამისად, მხარე, უმთავრესად, თვითონ არის პასუხისმგებელი თავის ხელთ არსებული ფაქტებისა და უფლებების სწორად გამოყენებაზე.<sup>298</sup>

დისპოზიციურობის პრინციპი, სსსკ-ის მე-3 მუხლის შესაბამისად, გულისხმობს მხარეთა უფლებამოსილებას, თავად დაიწყონ საქმის წარმოება სასამართლოში სსსკ-ით გათვალისწინებული წესების მიხედვით, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელისა თუ განცხადების შეტანის შესახებ.

მხარეებს შეუძლიათ, დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად, საქმე მორიგებით დაამთავრონ, ასევე მოსარჩელე უფლებამოსილია, უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხე – ცნოს სარჩელი. აღნიშნული პრინციპი განსაზღვრავს მხარეთა პროცესზე ბატონობის უფლებამოსილებას, ანუ პროცესის დაწყების, შინაარსის, მიმდინარეობისა და დასრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.<sup>299</sup>

<sup>293</sup> *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 62.

<sup>294</sup> შეად. *Brandenburg*, Die teleologische Reduktion, 1983, S. 54.

<sup>295</sup> შეად. *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 74, ასევე იხ. *Paland/Heinrichs*, BGB, 2008, Einleitung, RdNr. 46.

<sup>296</sup> „ne eat iudex ultra petita partium“ იხ. *Musiellak*, Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung, 3. Aufl., 2008, § 308, RdNr. 1.

<sup>297</sup> *Schurter*, Grundzüge des materiellen Beweisrechtes in der schweizerischen Civilprozessgesetzgebung, 1890, S. 24.

<sup>298</sup> *Schneider*, Ueber richterliche Ermittlung und Feststellung des Sachverhalts im Civilprozesse, 1888, S. 20.

<sup>299</sup> *Rauscher*, Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung, 3. Aufl., Band 1, 2008, Einl., RdNr. 275.

სსსკ-ის მე-4 მუხლის შესაბამისად, სამართალწარმოება სამოქალაქო საქმეებზე მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით. „მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნა, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წაყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.“ შეჯიბრებითობის პრინციპი მხარეთა ავტონომიურობასა და თვითპასუხისმგებლობას განსაზღვრავს.<sup>300</sup>

ერთი მხრივ, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს აქვს სრული თავისუფლება, საკუთარი შეხედულებისა და სურვილისამებრ კანონმდებლობით მინიჭებულ ფარგლებში განკარგოს თავისი კერძოსამართლებრივი სიკეთე.<sup>301</sup> ამ უფლებამოსილების განხორციელება სამოქალაქო პროცესში სწორედ შეჯიბრებითობის პრინციპით გამოიხატება. რაც შეეხება „დისპოზიციურობის პრინციპის უზენაესობას“,<sup>302</sup> ეს არის სამოქალაქო საქმეზე მოსამართლისათვის მხარეთა ავტონომიურობაში შეჭრის აკრძალვა, რაც, ამავე დროს, მოიცავს მოდავე მხარეებზე პასუხისმგებლობის ტვირთის მნიშვნელოვნად გადატანას.<sup>303</sup>

აღნიშნული პრინციპები თანამედროვე სამართლებრივი სისტემების საპროცესო სამართალში დამკვიდრდა, მიუხედავად იმისა, რომ მას გასული საუკუნის მეორე ნახევარში მოწინააღმდეგეები ჰყავდა.<sup>304</sup>

## 2.2 სასამართლოს საპროცესო თანაქმედება

სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს სასამართლოს ზოგად უფლებამოსილებას, საქმის გარემოებათა გასარკვევად მიმართოს თავისი ინიციატივით „ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს.“<sup>305</sup>

შესაბამისად, დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი არ უნდა განიმარტოს იმდენად ფართოდ, რომ მოსამართლის როლი მართლმსაჯულების განხორციელებაში სრულიად უმნიშვნელოდ იქცეს. კერძოდ, დაუშვებელია სასამართლოს მიერ მხარეთა მიერ წარმოდგენილი ფაქტების შესწავლა და შეფასება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ იმ ნაწილში და იმგვარად, როგორც ეს მხარის მიერაა წარმოდგენილი.<sup>306</sup>

ენდემანი მიიჩნევს, რომ აღნიშნული პრინციპების ამგვარი ინტერპრეტაციით იკარგება სასამართლოს უმთავრესი დანიშნულება მართლმსაჯულების

<sup>300</sup> Rauscher, Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung, 3. Aufl., Band 1, 2008, Einl., RdNr. 291 ff.

<sup>301</sup> Schneider, Ueber richterliche Ermittlung und Feststellung des Sachverhalts im Civilproceße, 1888, S. 18.

<sup>302</sup> „Dispositionsmaxime“.

<sup>303</sup> Schneider, Ueber richterliche Ermittlung und Feststellung des Sachverhalts im Civilproceße, 1888, S. 19.

<sup>304</sup> შეად., მაგალითად, Bar, Recht und Beweis im Civilproceße, 1968, S. 2, რომელიც მიიჩნევს, რომ მხარეთათვის სამართლის დისპოზიციურობის აღიარება და აღნიშნულით სასამართლოს აბსოლუტური შეზღუდვა ცალკეულ შემთხვევაში გაუმართლებელია, ვინაიდან ეს ჭეშმარიტების დადგენას აბრკოლებს. შეად. ასევე Zink, Ueber die Ermittlung des Sachverhaltes im französischen Civilproceße, Band 1, Die Abhandlung selbst, 1860, S. 354 ff.

<sup>305</sup> შეად. Ohlinger, Der gemeine deutsche und Württemb. Civil-Prozess, 1862, S. 8.

<sup>306</sup> Schurter, Grundzüge des materiellen Beweisrechtes in der schweizerischen Civilprozessgesetzgebung, 1890, S. 27.

განხორციელებისას, კერძოდ, სუსტი მხარის ინტერესების დაცვა<sup>307</sup> და მისთვის სამართლიანი სამართლის აღიარება, შესაბამისი უფლების მიკუთვნება.

თანამედროვე დოქტრინაში უდავოა საკითხი, რომ სამოქალაქო პროცესში მოქმედებს შეჯიბრებითობის პრინციპი და მხარის „ბატონობა“ ფაქტობრივ მოთხოვნაზე, ანუ დისპოზიციურობის პრინციპი,<sup>308</sup> თუმცა მხარეთა თავისუფლება შეუზღუდავი არ არის. მაგალითისათვის, სასამართლოს აკისრია დაზუსტების,<sup>309</sup> კერძოდ, თავის საქმიანობის განხორციელებისას, დავის საგნის ფარგლებში შეკითხვის დასმის ვალდებულება, ცალკეული საკითხების დაზუსტების მიზნით.<sup>310</sup>

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანია არა მხარეთა მიერ დაყენებული მოთხოვნის სიტყვასიტყვითი გაგება, არამედ მოთხოვნის მფლობელის შეცნობადი ნება.<sup>311</sup> სასამართლოს მიერ დავის საგნის დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართალწარმოების სწორად წარმართვისათვის.<sup>312</sup>

მოსამართლის მიერ განმარტება ხორციელდება მოსარჩელის მიერ წაყენებული მოთხოვნის ფარგლებში, მათ შორის კითხვის დასმის ნაწილშიც. სასამართლოს არ აქვს უფლება, სრულიად ახალი, დამატებითი მოთხოვნის სტიმულირება მოახდინოს.<sup>313</sup>

მოსამართლის თანაქმედების უფლებამოსილებას ითვალისწინებს სსსკ-ის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის შესაბამისად, მოსამართლეს შეუძლია, მიუთითოს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე და მხარეებს შესთავაზოს მორიგების პირობები. ამასთან, სსსკ-ის 222-ე მუხლის შესაბამისად, მოსამართლეს უფლება აქვს, მისცეს მხარეებს შეკითხვა, რომელიც ხელს უწყობს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულად და ზუსტად გამოკვლევას, ამ გარემოებების დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენას, სასამართლოში წარდგენას და მათი უტყუარობის გამორკვევას. სსსკ-ის 223-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო იღებს ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზომებს, რათა საქმე ყოველმხრივ იქნეს გამოკვლეული. მხარეთა მიერ აღნიშნულის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით გაითვალისწინოს ის გარემოებები ან მოთხოვნები, რომლებიც მისი შეხედულებისამებრ ამყარებს ან ასაბუთებს ერთ-ერთი მხარის მოთხოვნას.<sup>314</sup>

### 2.3 მოსამართლის მოქმედების თავისუფლება მოთხოვნის საფუძვლის შერჩევისა და გამოყენებისას

თანამედროვე სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მოქმედებს მოსამართლის მიერ სამართლის შეფარდების პრინციპი<sup>315</sup>. სასამართლომ

<sup>307</sup> *Endemann*, Die Beweislehre des Zivilprozesses, 1860, S. 46.

<sup>308</sup> *Thomas/Putzo*, ZPO Kommentar, 25. Aufl., 2003, Einl. I, RdNr. 5.

<sup>309</sup> „*Aufklärungspflicht*“.

<sup>310</sup> *Baumbach/Lauterbach/Abertts/Hartmann*, ZPO Beck'sche Kurzkommentare, 51. Aufl., 1993, § 128, RdNr. 28.

<sup>311</sup> შეად. *Thomas/Putzo*, ZPO Kommentar, 25. Aufl., 2003, Einl. II, RdNr. 6 f.

<sup>312</sup> *Thomas/Putzo*, ZPO Kommentar, 25. Aufl., 2003, Einl. II, RdNr. 2.

<sup>313</sup> *Baumbach/Lauterbach/Abertts/Hartmann*, ZPO Beck'sche Kurzkommentare, 51. Aufl., 1993, § 308, RdNr. 3 f.

<sup>314</sup> *Rauscher*, Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung, 3. Aufl., Band 1, 2008, Einl., RdNr. 305.

<sup>315</sup> „*Grundsatz der richterlichen Rechtsanwendung*“.



მოცემული შემთხვევის მარეგულირებელი ყველა მატერიალურსამართლებრივი მოთხოვნის საფუძველი უნდა შეამოწმოს. აღნიშნული ვალდებულება მოსამართლეს აკისრია იმის მიუხედავად, მიუთითა თუ არა მხარემ ისინი.

მხარეებმა უნდა წარადგინონ მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებები და არ არიან ვალდებული, მიუთითონ სამართლებრივი საფუძველი. სამართლის შეფარდებას თავად სასამართლო ახორციელებს,<sup>316</sup> ანუ მხარეთა მიერ შეჯიბრებითობის პრინციპის შესაბამისად წარმოდგენილი მოთხოვნებისა და ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება სასამართლოს კომპეტენციაა.<sup>317</sup> ამასთან, მოსამართლემ უნდა განიხილოს და გამოიკვლიოს მხოლოდ ის ფაქტები, რომლებიც პროცესის მონაწილე მხარეთა მიერ არის წარმოდგენილი და მტკიცებულებით უზრუნველყოფილი.<sup>318</sup>

აღნიშნულის მსგავსად, ქართულ სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში უდავოდ მიიჩნევა, რომ მოსამართლესა და მხარეებს შორის მოქმედებს პრინციპი: „მომეცი ფაქტები და მოგცემ სამართალს“.<sup>319, 320</sup> აღნიშნული პრინციპის თანახმად, მოსამართლემ უნდა იცოდეს სამართალი, უნდა განმარტოს იგი და გამოიყენოს.<sup>321</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს: „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მოსარჩელის მოთხოვნა, გარემოებები, რომელზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს, მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს. აღნიშნული ნორმის თანახმად, სარჩელში მითითებული უნდა იყოს მოსარჩელის მოთხოვნა, ანუ სარჩელის საგანი... ამ ნორმის მიხედვით, მოსარჩელეს არ ევალება სადავო სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიული კვალიფიკაცია, რაც ნიშნავს, რომ მოსარჩელე არაა ვალდებული, იურიდიულად დაასაბუთოს თავისი სასარჩელო მოთხოვნა.<sup>322</sup> საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „სასამართლო არ არის შეზღუდული მოსარჩელის მიერ მითითებული სამართლებრივი საფუძველით, სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მოსარჩელისეული იურიდიული კვალიფიკაციით და ის თავად აძლევს კვალიფიკაციას სადავო სამართლებრივ ურთიერთობას.“<sup>323</sup>

ყოველი კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტისას მოთხოვნის საფუძველი უნდა შეირჩეს, უპირველეს ყოვლისა, იმ სამართლებრივი ინტერესის<sup>324</sup> შესაბამისად,

<sup>316</sup> „*iura novit curia*“ („სასამართლო იცნობს სამართალს“).

<sup>317</sup> Rauscher, Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung, 3. Aufl., Band 1, 2008, Einl., RdNr. 306.

<sup>318</sup> Gnos, Anspruchskonkurrenz in schweizerischen Produkthaftpflichtrecht, 1997, S. 39.

<sup>319</sup> „*da mihi facta, dabo tibi ius*“.

<sup>320</sup> შეად. ბოელინგი/ჰანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდთა, მე-2 გამოცემა, 2004, გვ. 42, სქ. 50.

<sup>321</sup> იხ. Prütting, Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung, 3. Aufl., Band 1, 2008, § 293, RdNr. 2, ასევე Säcker, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., 2006, Band 1, Einl., RdNr. 7.

<sup>322</sup> შეად. ბოელინგი/ჰანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდთა, მე-2 გამოცემა, 2004, გვ. 41 და შემდგომი, რომლის თანახმადაც, მხარის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი საფუძველის მითითება და დასაბუთება არ არის საავალდებულო და არც მოსამართლისათვისაა მხოჭავი.

<sup>323</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 4 მარტის №ას-973-1208-04 განჩინება.

<sup>324</sup> Regelsberger, Pandekten, Band 1, 1893, S. 653; Olzen/Wank Zivilrechtliche Klausurenlehre mit Fallrepetitorium, 2. Aufl., 1998, S. 26.

რომლის დადგომაც სურს მხარეს. მოთხოვნის საფუძვლის სწორი შერჩევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნათელია მოთხოვნის მიზანი.

მას შემდეგ, რაც განისაზღვრება მოთხოვნის მიზანი, უნდა შეირჩეს მოთხოვნის ის სამართლებრივი საფუძველი, რომლის შედეგიც ეკონომიკურად და სამართლებრივად ყველაზე ახლოს დგას ამ მიზანთან.<sup>325</sup>

სსსკ-ის 178-ე მუხლის თანახმად, სარჩელში, სხვა სავალდებულო მონაცემებთან ერთად, მითითებული უნდა იყოს მოსარჩელის მოთხოვნა, ის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი საფუძველი, რომელზეც ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას.

სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის ფორმულირების თანახმად, სარჩელში სავალდებულო წესით „უნდა აღინიშნოს“ ყველა ის მონაცემი, რაც ამ ნორმაში ჩამოთვლილ პუნქტებშია მითითებული. ამასთან, ერთი შეხედვით, მოსარჩელის მიერ მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლებრივი საფუძვლის არმითითების შემთხვევაში, სარჩელი ხარვეზიანად უნდა ჩაითვალოს და, შესაბამისად, დასაშვებად არ უნდა იქნეს ცნობილი.

ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგება თანამედროვე ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედ უმთავრეს პრინციპს – „სასამართლო იცნობს სამართალს“,<sup>326</sup> ისევე როგორ სასამართლო პრაქტიკასა და ლიტერატურაში დამკვიდრებულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც სამართლებრივი შეფასება მხოლოდ სასამართლოს ვალდებულება და უფლებამოსილებაა.

„მოსამართლე ვალდებულია, მოსარჩელის სასარჩელო განცხადებიდან გამომდინარე, მოძებნოს კანონი, რომელიც ითვალისწინებს იმ სამართლებრივ შედეგს, რომელსაც მოსარჩელე თავისი სარჩელით მოითხოვს. მოსამართლემ უნდა დაადგინოს, მიუთითებს თუ არა მოსარჩელე იმ გარემოებებზე, რომლებიც კანონის მიერ განსაზღვრულია ამ სამართლებრივი შედეგის დადგომის წინაპირობად. უნდა დადგინდეს განსახილველი მოთხოვნის საფუძვლისათვის აუცილებელი წინაპირობები, ანუ კანონით დადგენილი ნორმის შემადგენლობის ნიშნები. იურიდიული მუშაობის მეთოდის მიხედვით, ნორმები უნდა დაიშალოს მისი ელემენტების, კერძოდ ნორმის აღწერილობითი ნაწილის შემადგენელი ელემენტების, მიხედვით. იურიდიული სამუშაო სწორედ ამ ამოხსნის სისწორეზეა დამოკიდებული.“<sup>327</sup>

სსსკ-ის 178-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი სსსკ-ის 183-ე მუხლის მე-2 ნაწილთან ურთიერთკავშირში (სადაც სარჩელის მიღების წინაპირობებია განსაზღვრული) უნდა განიმარტოს, შესაბამისად, სარჩელში სამართლებრივი საფუძვლის მითითება უნდა იქნეს მიჩნეული სარჩელის სასურველ და არა სავალდებულო წინაპირობად.

მხარის მიერ სამართლებრივი საფუძვლის მითითება არ არის მხარის ვალდებულება, თუმცა აღნიშნული, როგორც წესი, მნიშვნელოვან დახმარებას

<sup>325</sup> *Schiffner*, Systematisches Lehrbuch des oesterreichischen allgemeinen Civilrechtes Band 1, Den allgemeinen Teil enthaltend, 1882, S. 176.

<sup>326</sup> შეად. *Zugehör*, Anwaltsverschulden, Gerichtsfehler und Anwaltshaftung, NJW, 2003, S. 3228.

<sup>327</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 58-60.

უწევს მოსამართლეს სამართლებრივი შეფასებისას.<sup>328</sup> სასამართლო, ცხადია, არ არის მხარეთა მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი საფუძველითა და შეფასებებით შებოჭილი.<sup>329</sup> მან დავა უნდა გადაწყვიტოს ყველა შესაძლო სამართლებრივი საფუძველის გაანალიზების შედეგად, უპირატესად გამოსაყენებელი სამართლებრივი საფუძველის შერჩევისა და სათანადოდ კვალიფიკაციის გზით.<sup>330</sup>

პრინციპი – „სასამართლო იცნობს სამართალს“ – გარკვეულ წინააღმდეგობებს წარმოშობს პრაქტიკაში. კერძოდ, მოსარჩელე, რომელიც მისთვის ნაკლებად მომგებიან სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს არ წარმოადგენს იმ ვარაუდით, რომ ეს საფუძველი სასამართლოს მიერ მოცემული შემთხვევის გადაწყვეტისას არ იქნება გათვალისწინებული, შესაძლოა, არათანასწორ და წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდეს მოპასუხე მხარესთან შედარებით, თუ სასამართლო შემთხვევას სწორედ ამ სამართლებრივი საფუძველის შესაბამისად დააკვალიფიცირებს. მოსარჩელე დამატებით მტკიცებულებებს ვეღარ წარადგენს ძირითადი სხდომის შემდეგ, ვინაიდან ამის უფლებას უზღუდავს მას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა.<sup>331</sup> სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის შესახებ შუამდგომლობებს განიხილავს მხოლოდ გამონაკლისის სახით, კერძოდ: თუ მხარეს მათი წარდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე არ შეეძლო ობიექტური მიზეზებით, ანუ აღნიშნულის შესახებ არ იცოდა, ან შუამდგომლობათა წარდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარემ ვერ უზრუნველყო საპატიო მიზეზებით. სასამართლო, როგორც წესი, არ არის შებოჭილი მხარეთა მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დასაბუთებით ან თანმიმდევრობით. შესაბამისად, მხარე ვერ მოითხოვს სასამართლოსაგან, არ იმსჯელოს ამა თუ იმ მოთხოვნის საფუძველზე.<sup>332</sup>

მოთხოვნის საფუძველის სწორად შერჩევის პროცესში საკვანძო საკითხი მოთხოვნის საფუძველთა ურთიერთმიმართებაა. ნორმათა კონკურენციის შემთხვევაში, მოსამართლის უმნიშვნელოვანესი ამოცანა უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნის საფუძველის შეუცდლომედი შერჩევაა.

### 3. ნორმის განმარტების მეთოდები და მოსამართლის შეფასებითი თავისუფლება

მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის ცალკეული შემთხვევის სამართლებრივი შეფასება უნდა მოხდეს ნორმის განმარტების მეთოდების გამოყენებით.

#### 3.1 გრამატიკული განმარტების მიმართება ლოგიკური განმარტების მეთოდთან

სამართლის ნორმის შინაარსის დადგენის მეთოდები სხვადასხვა ეპოქასა თუ სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში განსხვავებულ კრიტერიუმებს ემყარებოდა. ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი იყო ნორმის სიტყვასიტყვით

<sup>328</sup> უეად. *Doms*, Neue ZPO – Umsetzung in der anwaltlichen Praxis, NJW, 2002, S. 778.  
<sup>329</sup> *Rauscher*, Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung, 3. Aufl., Band 1, 2008, Einl., RdNr. 306; *Musielak*, Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung, 3. Aufl., 2008, § 308, RdNr. 15.  
<sup>330</sup> BGH Urteil vom 26.06.2003 – VII ZR 281/02 (LG Potsdam), NJW-RR, 2003, S. 1321 f.  
<sup>331</sup> *Doms*, Neue ZPO – Umsetzung in der anwaltlichen Praxis, NJW, 2002, S. 779.  
<sup>332</sup> *Baumbach/Lauterbach/Aberlts/Hartmann*, ZPO Beck'sche Kurzkommentare, 51. Aufl., 1993, § 308, RdNr. 6.

მნიშვნელობასა და მის ე.წ. შეფასებით კატეგორიებზე დამყარებულ განმარტებას შორის გაკეთებული გამოიჯგნა. ევროპული საერთო სამართალი იცნობდა და განასხვავებდა გრამატიკული და ლოგიკური განმარტების მეთოდებს.<sup>333</sup>

ცნებათა იურისპრუდენციის წარმომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ ცნებათა გამოცალკევებისა და მათი ურთიერთკავშირის ანალიზის საფუძველზე ხდება ნორმის განმარტება. ეს მხოლოდ ფორმალურ-ლოგიკური პროცესია და იგი შორსაა ე.წ. შეფასებითი კატეგორიებისაგან.<sup>334</sup> ამ მიდგომამ, რომელიც უგულბებლყოფდა შეფასებით კატეგორიებსა თუ კრიტერიუმებს, თანდათან დაუთმო ადგილი თანამედროვე სამართლებრივი წესრიგისთვის დამახასიათებელ მიდგომას, რომლისგანაც განუყოფელია კეთილსინდისიერების პრინციპის აღიარება და მასზე დაყრდნობით სამართლის შემდგომი განვითარება;<sup>335</sup>

ინტერესთა იურისპრუდენციის წარმომადგენლებისთვის ყოველი სამართლებრივი ნორმა შეიცავს ინტერესთა კონფლიქტის გადაჭრის გზას.<sup>336</sup> ნორმის გამოყენებულმა, უპირველესად, უნდა გამოიკვლიოს, თუ რა ინტერესები უპირისპირდება ერთმანეთს, შემდეგ კი უნდა დაადგინოს, როგორ გადაჭრა ეს ინტერესთა კონფლიქტი კანონმდებელმა.<sup>337</sup> ამასთან, ინტერესთა იურისპრუდენციის მიმდევრებისათვის ნორმის ადეკვატური განმარტება გულისხმობს მხარეთა ინტერესებისა და კანონის მიზნის შესაბამისი სამართლიანი და თანაზომიერი გადაწყვეტილების მიღებას;<sup>338</sup>

შეფასებითი იურისპრუდენციის თანახმად, კანონმდებლისა და მოსამართლის საქმიანობა უპირველესად შეფასებაა.<sup>339</sup> ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი „საზღვრები (სასაზღვრო ზონა)“<sup>340</sup> არ არის გამოკვეთილი და რომ თითოეული ნორმის განმარტება უნდა მოხდეს სამართლის ზოგადი პრინციპებისა და კანონის მიზნების გათვალისწინებით;<sup>341</sup>

შეფასებითი იურისპრუდენცია არ ტოვებს ყოველი ცნებისა და ნორმის მიმართ შეფასების ერთგვაროვნად ფართო ფარგლებს, ანუ შეფასების თავისუფლებას.<sup>342</sup> განმარტების შეფასებით თავისუფლებაში ექცევა ისეთი სამართლებრივი კატეგორიები, როგორებიცაა კანონის ნორმის არსი და მიზნები. ამის საპირისპიროდ, განმარტების ფარგლებს არ განეკუთვნება, მაგალითად, ცალკეულ შემთხვევაში იმის დადგენა, არის თუ არა პირი ნივთის მესაკუთრე და აქვს თუ არა მას, სსკ-ის 172-ე მუხლის შესაბამისად, ნივთის

<sup>333</sup> შეად. *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 66.

<sup>334</sup> იხ., მაგალითად, *Savigny*, System des heutigen römischen Rechts Band 1, 1840, S. 212 ff.; შეად. ასევე მოკლე მიმოხილვით *Palandt/Heinrichs*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, Einleitung, RdNr. 34.

<sup>335</sup> შეად. *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 67.

<sup>336</sup> შეად. *Jhering*, der Kampf um das Recht, S. 115.

<sup>337</sup> იხ., მაგალითად, *Heck*, das Problem der Rechtsgewinnung, Gesetzesauslegung und Interessenjurisprudenz, Begriffsbildung und Interessenjurisprudenz, 1932, S. 55; შეად. ასევე *Palandt/Heinrichs*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, Einleitung, RdNr. 35.

<sup>338</sup> *Heck*, das Problem der Rechtsgewinnung, Gesetzesauslegung und Interessenjurisprudenz, Begriffsbildung und Interessenjurisprudenz, 1932, S. 55.

<sup>339</sup> *Larenz/Canaris*, Methodenlehre der Rechtswissenschaft, 1995, 36 ff.

<sup>340</sup> „Randzone“.

<sup>341</sup> შეად. ასევე მოკლე მიმოხილვით *Palandt/Heinrichs*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, Einleitung, RdNr. 36.

<sup>342</sup> *Palandt/Heinrichs*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, Einleitung, RdNr. 39.

გამოთხოვნის უფლება. აღნიშნულის დადგენა „სუბსუმციის“ ფარგლებში ხორციელდება, რაც ნორმის გამოყენების წინაპირობების შეფარდებას გულისხმობს ფაქტობრივ გარემოებებთან.

კანონის განმარტება გულისხმობს ნორმის მისი არსისა და გამოკვლეული მიზნის შესაბამისად გამოყენებას.<sup>343</sup> განასხვავებენ შემდეგი სახის განმარტების მეთოდებს:

გრამატიკული ანუ სიტყვასიტყვითი განმარტება მოიცავს ცნებისა თუ რეგულირების შეფასებას, როგორც გრამატიკული,<sup>344</sup> ასევე იურიდიული ტერმინოლოგიის გათვალისწინებით.<sup>345</sup> ეს უკანასკნელი აუცილებლად გასათვალისწინებელია, როდესაც ესა თუ ის ტერმინი გარკვეული შინაარსით დამკვიდრებული და განმარტებულია სამართლებრივ წესრიგში.<sup>346</sup> ზოგიერთ შემთხვევაში, ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების მეთოდის შესაბამისი ინტერპრეტაცია არასაკმარისია მისი მიზნისა და შინაარსის სწორი შეფასებისათვის. ეს ხდება, მაგალითად, მაშინ, როდესაც ორი სამართლის ნორმა ერთმანეთს ეწინააღმდეგება იმგვარად, რომ მოსამართლის მიერ მათი სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია,<sup>347</sup>

ნორმის განმარტების სისტემური მეთოდი იკვლევს რამდენიმე ნორმის სამართლებრივ თუ შინაარსობრივ კავშირსა და მათ ურთიერთმიმართებას. აღნიშნული კავშირის დადგენა შესაძლებელს ხდის ცალკეული ნორმის არსის დადგენას,<sup>348</sup> კერძოდ, სისტემური განმარტება გულისხმობს ნორმის განმარტებას არა იზოლირებულად, არამედ ერთიანი სამართლის სისტემისა თუ შესაბამისი კანონის კონტექსტში მისი ადგილის მიხედვით;<sup>349</sup>

ისტორიული განმარტების მეთოდი კანონის წარმოშობის ისტორიის, მისი შემუშავების მოტივების გამოკვლევას გულისხმობს. კერძოდ, უნდა დადგინდეს ის, თუ რა მიზანს ისახავდა კანონმდებელი აღნიშნული ნორმის მოწესრიგებით, ანუ რა იყო მისი „ისტორიული ნება“.<sup>350</sup> ამასთან, გასათვალისწინებელია, რა ღირებულებებზე დაყრდნობით იქნა შესაბამისი ნორმა შემუშავებული და რა ფასეულობების დაცვის მიზანს ემსახურებოდა მისი შექმნა.<sup>351</sup>

მე-18 საუკუნის დასაწყისში მოღვაწე იტალიელი მეცნიერის, *რაპოლას*,<sup>352</sup> მიხედვით, ნორმის შეფასებისას შესაძლოა გაიმიჯნოს ნორმის მიღების

<sup>343</sup> *Bitter/Rauhut*, Grundzüge zivilrechtlicher Methodik – Schlüssel zu einer gelungenen Fallbearbeitung, JuS, 2009, S. 292; *Palandt/Heinrichs*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, Einleitung, RdNr. 40.

<sup>344</sup> *Endemann*, Lehrbuch des bürgerlichen Rechts, 6. Aufl., Band 1, 1899, S. 43.

<sup>345</sup> *Huber*, Irrtumsanfechtung und Sachmängelhaftung: eine Studie zur Konkurrenzfrage vor dem Hintergrund der internationalen Vereinheitlichung des Vertragsrechts, 2001, S. 190.

<sup>346</sup> *Palandt/Heinrichs*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, Einleitung, RdNr. 41.

<sup>347</sup> *Brandenburg*, Die teleologische Reduktion, 1983, S. 1.

<sup>348</sup> *Endemann*, Lehrbuch des bürgerlichen Rechts, 6. Aufl., Band 1, 1899, S. 42.

<sup>349</sup> *Huber*, Irrtumsanfechtung und Sachmängelhaftung: eine Studie zur Konkurrenzfrage vor dem Hintergrund der internationalen Vereinheitlichung des Vertragsrechts, 2001, S. 191; *Palandt/Heinrichs*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, Einleitung, RdNr. 42.

<sup>350</sup> *Palandt/Heinrichs*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, Einleitung, RdNr. 40, RdNr. 46.

<sup>351</sup> *Huber*, Irrtumsanfechtung und Sachmängelhaftung: eine Studie zur Konkurrenzfrage vor dem Hintergrund der internationalen Vereinheitlichung des Vertragsrechts, 2001, S. 191.

<sup>352</sup> *Francisco Rapolla*.

მამოძრავებელი საფუძველი<sup>353</sup> და საბოლოო მიზანი,<sup>354,355</sup> შესაბამისად, ნორმის მიღების მამოძრავებელი საფუძველი კანონმდებლის ისტორიულ ნებად,<sup>356</sup> ხოლო საბოლოო მიზანი ლოგიკური განმარტების შედეგად მიღებულ შეფასებად იქნეს მიჩნეული.<sup>357</sup>

თანამედროვე განმარტების მეთოდი ლოგიკური განმარტების მეთოდისგან იღებს სათავეს და გულისხმობს ამა თუ იმ ნორმის შექმნის ე.წ. „გონივრული საფუძველის“<sup>358</sup> ანუ მიზნის დადგენას,<sup>359</sup> რაც პირთა თანასწორობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.<sup>360</sup> მას ხშირად ტელეოლოგიური განმარტების მეთოდად იხსენიებენ.

ისტორიული განმარტების მეთოდისაგან განსხვავებით, იგი ნორმის განმარტების მომენტისათვის არსებული გარემოებების გათვალისწინებით ხორციელდება,<sup>361</sup> კერძოდ, ნორმის შეცვლილი, კანონმდებლის მიერ გაუთვალისწინებელი, გარემოებების იმგვარად შეფასების შედეგად, როგორც ეს კანონმდებლის სავარაუდო მიზანი იქნებოდა ნორმის შეფარდების მომენტში. ამგვარი განმარტების შესაბამისად, შესაძლოა, ამა თუ იმ ნორმის რეგულირების ქვეშ მოექცეს ისეთი შემთხვევა, რომელიც კანონმდებლის ისტორიული ნება არ იყო.<sup>362</sup>

არ არსებობს წესი, რომლის მიხედვითაც ნორმის განმარტების მეთოდებს შორის წინააღმდეგობისას ერთ-ერთს რაიმე კრიტერიუმით უპირატესობა უნდა მიენიჭოს. შესაბამისად, სადავოა, რამდენად შეიძლება განმარტების მეთოდებს შორის დადგინდეს იერარქიული თანმიმდევრობა.<sup>363</sup> ამის მიუხედავად, ამა თუ იმ დებულების განმარტების დროს, როგორც წესი, უპირატესად გასათვალისწინებელია სწორედ კანონმდებლის ნება და განსახილველი ნორმის მიზანი. შესაბამისად, განმარტების მეთოდებს შორის ხშირ შემთხვევაში უპირატესობა სწორედ ტელეოლოგიური განმარტების მეთოდს ენიჭება.<sup>364</sup> გასათვალისწინებელია, რომ ამ განმარტების მეთოდის გამოყენება სასურველ სამართლიან შედეგს წარმოშობს, თუ იგი ინტერესების შეფასება-შეპირისპირების გზით ხორციელდება.<sup>365</sup>

<sup>353</sup> „*causa impulsiva*“.

<sup>354</sup> „*causa finalis*“.

<sup>355</sup> იხ. *Brandenburg*, Die teleologische Reduktion, 1983, S. 8.

<sup>356</sup> *Endemann*, Lehrbuch des bürgerlichen Rechts, 6. Aufl., Band 1, 1899, S. 42.

<sup>357</sup> *Endemann*, Lehrbuch des bürgerlichen Rechts, 6. Aufl., Band 1, 1899, S. 45.

<sup>358</sup> „*ratio legis*“.

<sup>359</sup> შეად. *Palandt/Heinrichs*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, Einleitung, RdNr. 46.

<sup>360</sup> *Huber*, Irrtumsanfechtung und Sachmängelhaftung: eine Studie zur Konkurrenzfrage vor dem Hintergrund der internationalen Vereinheitlichung des Vertragsrechts, 2001, S. 191.

<sup>361</sup> *Säcker*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 1, 2006, Einl., RdNr. 135.

<sup>362</sup> „...*ist der alte Rechtsatz nun, was vordem nicht war*“, *Endemann*, Lehrbuch des bürgerlichen Rechts, 6. Aufl., Band 1, 1899, S. 45.

<sup>363</sup> *Huber*, Irrtumsanfechtung und Sachmängelhaftung: eine Studie zur Konkurrenzfrage vor dem Hintergrund der internationalen Vereinheitlichung des Vertragsrechts, 2001, S. 193.

<sup>364</sup> *კერესელაძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 74; შეად. ასევე *Palandt/Heinrichs*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, Einleitung, RdNr. 46; *Säcker*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 1, 2006, Einleitung, RdNr. 127 ff., 134.

<sup>365</sup> *Herzberg*, Kritik der teleologischen Gesetzesauslegung, NJW, 43. Jahrgang, 1990, S. 2526 ff., შეად. *Heck*, das Problem der Rechtsgewinnung, Gesetzesauslegung und Interessenjurisprudenz, Begriffsbildung und Interessenjurisprudenz, 1932, S. 174.

### 3.2 ნორმის შინაარსობრივად შემზღუდავი და განმარტობი განმარტება

ტელეოლოგიური განმარტება შესაძლოა განხორციელდეს ტელეოლოგიური „რედუქციის“ გზით, რომლის შესაბამისად, ნორმა, მის სიტყვასიტყვით მნიშვნელობასთან მიმართებით, უფრო ვიწრო შინაარსით განიმარტება.<sup>366</sup> მაგალითად, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა, ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად რეგულირება ვრცელდებოდეს ისეთ შემთხვევაზე, რომელიც ნორმის მიზნის შესაბამისი განმარტების შედეგად მასზე არ უნდა გავრცელდეს. ასეთი შედეგი მიუღებელია, ვინაიდან შესაბამისი შემთხვევის ამ სახით მოწესრიგება არ იყო კანონმდებლის მიზანი. ამ დროს ნორმის მოქმედებისა თუ გამოყენების ფარგლები იზღუდება რეგულირების მიზნის თანახმიერად.

მაგალითად, გერმანიის თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა ახლებურად განმარტავს შეზღუდულქმედუნარიანის მიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით დადებულ გარიგებებში „უფლებრივ სარგებელს“.<sup>367</sup> ცალკეულ შემთხვევაში, უძრავი ქონების ჩუქების ვალდებულებითსამართლებრივი გარიგება თანხმობასავალდებულოდ განიხილება და, შესაბამისად, მერყევად ბათილად. მიუხედავად ამისა, გერმანიის სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული არ ვრცელდება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ სანივთო გარიგებაზე, გერმანულ სამართალში მოქმედი აბსტრაქციის პრინციპიდან გამომდინარე.<sup>368</sup>

ამის საპირისპიროდ, ე.წ. ტელეოლოგიური „ექსტენციის“<sup>369</sup> დროს ნორმის სიტყვასიტყვითი ფორმულირება იმდენად ვიწროა, რომ აუცილებელია ნორმის ფართოდ განმარტება თუ „კორექცია“,<sup>370</sup> რათა იგი გავრცელდეს შემთხვევებზე, რომლებიც ამ ნორმის რეგულირების მიზნის ქვეშ უდავოდ ექცევიან.

შესაბამისად, ენობრივი თვალსაზრისით არასაკმარისად ზუსტი ფორმულირების კანონმდებლის ნების მიხედვით მოდიფიცირება ექსტენციური ტელეოლოგიური განმარტების მეთოდით დასაშვებია და გამართლებულია. თუ ნორმის შინაარსი მისი გამოყენების სფეროს იმგვარად ავიწროებს, რომ იგი ნორმის მიზანს აღარ შეესაბამება, ნორმის განმარტება უნდა მოხდეს იმდენად ფართოდ, რომ კანონმდებლის მიერ ამ ნორმით დასახული მიზნის მიღწევა იყოს უზრუნველყოფილი.<sup>371</sup>

<sup>366</sup> Bitter/Rauhut, Grundzüge zivilrechtlicher Methodik – Schlüssel zu einer gelungenen Fallbearbeitung, JuS, 2009, S. 294.

<sup>367</sup> შეად. სსკ-ის მე-15 და 63-ე მუხლები, შეად. კერესელდოე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 128 და შემდგომი.

<sup>368</sup> შეად. Wilhelm, Das Merkmal „lediglich rechtlich vorteilhaft“ bei Verfügungen über Grundstücksrechte, NJW, 2006, S. 2353 („Die neuen Entscheidungen des BGH betrafen die Auflassung des Grundstückseigentums. Sie zeigen, dass das Merkmal der ausschließlichen rechtlichen Vorteilhaftigkeit gerade im Grundstücksrecht außerordentlich unsicher ist. Selbstverständlich ist der durch Auflassung zu begründende Erwerb des Eigentums an einem Grundstück als solcher lediglich rechtlich vorteilhaft. Datum der Rechtsprechung ist weiter das Trennungs- und Abstraktionsprinzip mit der Folge, dass etwaige Nachteile des Kausalgeschäfts nur dieses zustimmungsbedürftig machen, für die Übereignung aber nicht zu berücksichtigen sind“).

<sup>369</sup> „teleologische Extension“.

<sup>370</sup> Huber, Irrtumsanfechtung und Sachmängelhaftung: eine Studie zur Konkurrenzfrage vor dem Hintergrund der internationalen Vereinheitlichung des Vertragsrechts, 2001, S. 193.

<sup>371</sup> Bitter/Rauhut, Grundzüge zivilrechtlicher Methodik – Schlüssel zu einer gelungenen Fallbearbeitung, JuS, 2009, S. 294 f.

### 3.3 მოსამართლის შეფასებითი თავისუფლება

კანონის ხარვეზების შევსება სასამართლოს უფლებამოსილებაა, რაც ხშირად პრაქტიკულად ახალი ნორმის შექმნით გამოიხატება.<sup>372</sup>

სამოსამართლო სამართლის მეშვეობით სამართლის განვითარებისას<sup>373</sup> მოსამართლე შებოჭილია მოქმედების გარკვეული ფარგლებით, ე.წ. შეფასებითი თავისუფლებით. იგი ზემოთ განხილული განმარტების მეთოდების გამოყენებისას ვალდებულია, ითვალისწინებდეს სამართლისა და კონსტიტუციის ძირითად ფასეულობებსა და პრინციპებს.<sup>374</sup> იმისათვის, რომ სასამართლოს მიერ ცალკეულ შემთხვევაზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ უზრუნველყოს კანონმდებლობით მოწესრიგებული ინტერესების დაცვა, იგი უნდა ემყარებოდეს მოსამართლის მიერ კანონმდებლის ნებისა თუ სამართლის ნორმის ადეკვატურ განმარტებას.<sup>375</sup>

ამდენად, მოსამართლეს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია: მან უნდა დაასაბუთოს ამა თუ იმ განმარტების მეთოდის გამოყენებით მიღებული დასკვნის მიზანშეწონილობა.<sup>376</sup> მოსამართლე ეძებს სამართლიან და თანაზომიერ გამოსავალს. შესაბამისად, ის განსაზღვრავს თანაზომიერების ფარგლებს და უფლებამოსილია, გასცდეს ამა თუ იმ ნორმის განმარტების ვიწრო ჩარჩოებს, თუ გამოსაყენებელი ნორმის სხვაგვარი ინტერპრეტაცია კანონმდებლის მიზნებთან შეუსაბამო შედეგს წარმოშობს.<sup>377</sup>

მოსამართლის მიერ ე.წ. აშკარა<sup>378</sup> საკანონმდებლო ხარვეზის დადგენა და მისი შევსება შედარებით მარტივი ამოცანაა. პრობლემას მოსამართლე აწყდება მაშინ, როდესაც საქმე ეხება დაფარულ საკანონმდებლო ხარვეზს.<sup>379</sup> დაფარული ხარვეზის არსებობის დადგენა და შევსება განსაკუთრებულ ძალისხმევას საჭიროებს. ასეთ შემთხვევაში არსებობს ამა თუ იმ საკითხის მარეგულირებელი ნორმა, თუმცა ამის მიუხედავად სახეზეა საკანონმდებლო ხარვეზი,<sup>380</sup> ვინაიდან შესაბამისი ურთიერთობა არაადეკვატურად არის მოწესრიგებული. მოსამართლემ არსებული საკანონმდებლო ხარვეზი უნდა შეავსოს კონკრეტული ნორმის მისი არსისა და მიზნის შესაბამისი განმარტების მეშვეობით.

ანალოგია – ესაა ცალკეული შემთხვევის ან შემთხვევების მარეგულირებელი ნორმის გავრცელება სხვა სამართლებრივად მსგავს შემთხვევაზე.<sup>381</sup> კანონით დაურეგულირებელი ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით, ანალოგიის გამოყენება ხორციელდება განსახილველ შემთხვევასთან ყველაზე ახლოს მდგომი ნორმის შერჩევისა და გამოყენების გზით.<sup>382</sup>

<sup>372</sup> Heck, das Problem der Rechtsgewinnung, Gesetzesauslegung und Interessenjurisprudenz, Begriffsbildung und Interessenjurisprudenz, 1932 S, 13, 14.

<sup>373</sup> Palandt/Heinrichs, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, Einleitung, RdNr. 57.

<sup>374</sup> Palandt/Heinrichs, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, Einleitung, RdNr. 57.

<sup>375</sup> Heck, das Problem der Rechtsgewinnung, Gesetzesauslegung und Interessenjurisprudenz, Begriffsbildung und Interessenjurisprudenz, 1932, S. 55.

<sup>376</sup> Brandenburg, Die teleologische Reduktion, 1983, S. 54.

<sup>377</sup> Brandenburg, Die teleologische Reduktion, 1983, S. 54.

<sup>378</sup> „offene Regelungslücke“.

<sup>379</sup> „verdeckte Regelungslücke“.

<sup>380</sup> Brandenburg, Die teleologische Reduktion, 1983, S. 30.

<sup>381</sup> Palandt/Heinrichs, BGB Kommentar 67. Aufl., 2008, Einleitung, RdNr. 48.

<sup>382</sup> Endemann, Lehrbuch des bürgerlichen Rechts, 6. Aufl., Band 1, 1899, S. 45.



აღნიშნული სცდება ამა თუ იმ ნორმის კანონმდებლისეული ნების ანუ ნორმის არსისა და მიზნის დადგენას. ამ მიდგომის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ გარკვეული წინაპირობების, კერძოდ კანონმდებლის მიერ ე.წ. დაუგეგმავი საკანონმდებლო ხარვეზის, არსებობისას.<sup>383</sup>

ანალოგიის საპირისპირო პროცესია ე.წ. უკუდასკვნა<sup>384</sup>. ის, რომ კანონმდებელმა ესა თუ ის სამართლებრივი შედეგი კონკრეტული ფაქტობრივი შემადგენლობისათვის გაითვალისწინა, შეიძლება მიუთითებდეს, რომ აღნიშნული სამართლებრივი შედეგი სხვა შემთხვევებზე არ უნდა გავრცელდეს. აღნიშნული მეთოდის გამოყენება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდოა კანონმდებლის მიერ შესაბამისი შემთხვევის განჭვრეტა და მის მიმართ საკუთარი ნების ამ ფორმით დაფიქსირება.<sup>385</sup>

## V. მოთხოვნათა და მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია ნასყიდობის სამართალში

ნასყიდობის სამართალში წარმოდგენილ მოთხოვნათა და მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის ცალკეული შემთხვევები კონკურენციათა სახეების არსებობის ნათელი დასტურია, რაც, ამავე დროს, კონკურენციათა შორის გამიჯვნის პრაქტიკულ მნიშვნელობასაც წარმოაჩენს.

### 1. მოთხოვნათა კონკურენცია

ნასყიდობის სამართალში წარმოდგენილია როგორც მოთხოვნათა გამომრიცხავი, ასევე ალტერნატიული კონკურენციის შემთხვევები. ამასთან, არსებობს ზოგიერთ მოთხოვნასთან მიმართებით მოთხოვნათა კუმულაციის შესაძლებლობაც. ამ განსხვავებების წარმოსაჩენად ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს და დამოუკიდებლად გაანალიზდეს ნასყიდობის სამართალში არსებულ მოთხოვნათა კონკურენციის შემთხვევები.

#### 1.1 პირველად და მეორად მოთხოვნათა გამომრიცხავი კონკურენცია

კრედიტორის პირველად და მეორად მოთხოვნათა შორის საწყის ეტაპზე, ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის მომენტისათვის, როგორც წესი, წარმოიშობა მოთხოვნათა გამომრიცხავი კონკურენცია პირველად და მეორად მოთხოვნებს შორის.<sup>386</sup>

პირველადი შესრულების მოთხოვნა გამომრიცხავს მეორად მოთხოვნებს, სანამ არ გამოიკვეთება მოვალის მიერ ვალდებულების არ- ან ვერშესრულება. იმ შემთხვევაში, თუ მოვალე ვალდებულებას ხელშეკრულებით შეთანხმებული

<sup>383</sup> Bitter/Rauhut, Grundzüge zivilrechtlicher Methodik – Schlüssel zu einer gelungenen Fallbearbeitung, JuS, 2009, S. 295.

<sup>384</sup> „argumentum contrario“; „Umkehrschluss“.

<sup>385</sup> შეად., მაგალითად: Bitter/Rauhut, Grundzüge zivilrechtlicher Methodik – Schlüssel zu einer gelungenen Fallbearbeitung, JuS, 2009, S. 296 („Daraus lässt sich im Umkehrschluss folgern, dass der Gesetzgeber diesen Fall nicht als Fall der „besonderen Umstände“ (§ 281 II Alt. 2 bzw. § 323 II Nr. 3) ansehen wollte“); Palandt/Heinrichs, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, Einleitung, RdNr. 50.

<sup>386</sup> გარდა იმ შემთხვევისა, თუ სახეზეა დამატებითი შესრულებისათვის ვადის განსაზღვრის გამომრიცხავი კანონით ზუსტად გათვალისწინებული გარემოებები.

პირობების შესაბამისად არ შეასრულებს, კრედიტორს წარმოეშობა მეორადი მოთხოვნების განხორციელების უფლებამოსილება.<sup>387</sup>

პირველადი მოთხოვნა მეორადისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი უშუალოდ ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარეობს<sup>388</sup> და ხელშემკერელი მხარის პირველადი, მთავარი ინტერესია. ამასთან, სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაკონკრეტებულია, რომ „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.“ მხოლოდ ასეთი შესრულება იწვევს ვალდებულების შესრულებით შეწყვეტას.

მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში მყიდველის პირველადი ინტერესია გამყიდველის მიერ მისთვის ხელშეკრულების შესაბამისი ნასყიდობის საგნის გადაცემა. კერძოდ, სსკ-ის 477-ე მუხლისა და სსკ-ის 487-ე-489-ე მუხლების შესაბამისად, გამყიდველი ნასყიდობის ხელშეკრულებით ვალდებულია, მყიდველს გადასცეს ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი.<sup>389</sup>

მეორადი მოთხოვნები პირველადი მოთხოვნების ადგილს იკავებს მაშინ, როდესაც პირველადი მოთხოვნა დარღვეულია. ამგვარად, ამ ორი სახის მოთხოვნების ერთდროულად არსებობა შეუძლებელია, ვინაიდან მეორადი მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობაა პირველადი მოთხოვნის განუხორციელებლობა, ანუ მოვალის მიერ შეუსრულებლობა.

ხშირად, მეორადი მოთხოვნების წარმოშობა დამატებითი წინაპირობების არსებობაზეც არის დამოკიდებული, რაც, მაგალითად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში ბრალის არსებობაა, ხელშეკრულებიდან გასვლის დროს კი, როგორც წესი, დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლა.<sup>390</sup>

## 12 დამატებითი შესრულების მოთხოვნა, როგორც გამომრიცხავი მოთხოვნა, სხვა მეორად მოთხოვნებთან მიმართებით

თავის მხრივ, მეორად მოთხოვნებს შორის არსებული ურთიერთმიმართება განაპირობებს კონკურენციის სხვადასხვა სახეს. გამომრიცხავი კონკურენციის მაგალითია დამატებითი შესრულების მიმართება ყველა სხვა მეორად მოთხოვნასთან.

დამატებითი შესრულება მეორად მოთხოვნათა შორის უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნაა.<sup>391</sup> იგი მოვალისთვის დამატებითი შანსია, „გადაარჩინოს“ ხელშეკრულება და დააკმაყოფილოს შესრულების ინტერესი.<sup>392</sup> შესაბამისად, ამ მოთხოვნის უპირატესი გამოყენება განპირობებულია უშუალოდ ხელშეკრულების მხარეთა ინტერესებით. ისინი ხელშეკრულებას შესრულების მიღების, და არა მეორადი მოთხოვნების რეალიზების, მიზნით დებენ.

<sup>387</sup> შეად. ასევე *Westermann*, Das neue Kaufrecht, NJW, 2002, S. 248.

<sup>388</sup> *Pruetting/Wegen/Weinreich*, BGB Kommentar, 2006, § 241, RdNr. 21.

<sup>389</sup> შეად. *Westermann*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 3, 2008, § 433, RdNr. 2, 51.

<sup>390</sup> *Kramer*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 14.

<sup>391</sup> *Mankowski*, Das Zusammenspiel der Nacherfüllung mit den kaufmännischen Untersuchungs- und Rügeobliegenheit, NJW, 2006, S. 865.

<sup>392</sup> *Westermann*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 3, 2008, § 433, RdNr. 2; შეად. ასევე *ბილინივი/ლუტრინგაუსი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009, გვ. 40.

შესაბამისად, თანამედროვე სამართლებრივ სისტემაში თავისთავად ცხადია დამატებითი შესრულების მოწესრიგება და მისთვის უპირატესად მოქმედი მეორადი მოთხოვნის სტატუსის მინიჭება. აღნიშნულის საერთაშორისო დონეზე აღიარების მაგალითია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ ვენის 1980 წლის კონვენცია.<sup>393</sup>

დამატებითი შესრულების მოთხოვნის უპირატესი გამოყენება საქართველოს კანონმდებლობაში, უდავოდ, გამომდინარეობს სსკ-ის 490-ე და 405-ე მუხლების დებულებებიდან. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა უშედეგოდ ჩაივლის, მყიდველს ეძლევა შესაძლებლობა, განახორციელოს სხვა მეორადი მოთხოვნები, როგორებიცაა: ხელშეკრულებიდან გასვლა, ფასის შემცირება თუ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება.

### 1.2.1 შესრულებისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრა, როგორც სხვა მეორად მოთხოვნათა წარმოშობის აუცილებელი წინაპირობა

სსკ-ის 405-ე მუხლის შესაბამისად, იმისათვის, რომ მხარეს წარმოეშვას დამატებითი შესრულებისაგან განსხვავებული მეორადი მოთხოვნები, აუცილებელია „დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლა“.

აღნიშნულის განხორციელებამდე, როგორც წესი, არ წარმოიშობა ხელშეკრულებიდან გასვლისა თუ ფასის შემცირების და, შესრულების ნაცვლად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები. გამონაკლისი გათვალისწინებულია სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომელშიც ჩამოთვლილი წინაპირობების არსებობისას დამატებითი ვადის დაწესება თუ დამატებითი შესრულების მოთხოვნის განხორციელება აზრს მოკლებული და, შესაბამისად, არასავალდებულოა.

ამასთან, შესრულებისათვის დამატებითი ვადის დაწესებისა თუ დამატებითი შესრულების მოთხოვნის რეალიზების წინაპირობაა, რომ ვალდებულების შესრულება ვადამოსული იყოს.<sup>394</sup>

შესაბამისად, შესრულებისათვის დამატებითი ვადის დაწესება განსაზღვრავს დამატებითი შესრულების სრულიად კონკრეტულ შინაარსს.<sup>395</sup> მაგალითად, მყიდველის დამატებითი შესრულების მოთხოვნა გამყიდველის მიმართ ვლინდება ან ნაკლის გამოსწორების, ან ნაკლიანი ნივთის უნაკლოთი შეცვლის მოთხოვნით. მათი სამართლებრივი შედეგი იდენტურია – მყიდველი იღებს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთს, ანუ ხელშეკრულების შესაბამის შესრულებას. ამ გზით ხელშეკრულების მიზანი, თუმცა დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის რეალიზების შემდეგ, მაინც დაკმაყოფილებულია.

<sup>393</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ (United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, Annex I of the 1980 Vienna conference, UN Doc. A/CONF.97/19, 1980).

<sup>394</sup> შეად. *Ernst*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2007, § 323, RdNr. 46; *Westermann*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 3, 2008, § 439, RdNr. 6.

<sup>395</sup> იხ., მაგალითად, *Ernst*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2007, § 323, RdNr. 68; შეად. ასევე *Busche*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 4, 2009, § 636, RdNr. 5.

ნიშანდობლივია, რომ ნაკლის გამოსწორებასა და ნაკლიანი ნივთის უნაკლოთი შეცვლას შორის არჩევანის უფლებასთან დაკავშირებით გერმანულ და ქართულ სამართალში განსხვავებული მიდგომა შეინიშნება.<sup>396</sup> კერძოდ, გერმანული რეგულირებისაგან განსხვავებით, სსკ-ის 490-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არჩევანის უფლება გამყიდველს აქვს მინიჭებული.<sup>397</sup>

ამგვარად, დამატებითი შესრულების მოთხოვნა გამომრიცხავ კონკურენციას წარმოშობს სხვა მეორად მოთხოვნებთან მიმართებით.<sup>398</sup> კერძოდ, თუ დამატებითი შესრულების შესახებ მოთხოვნა არ განხორციელებულა, სხვა მეორადი მოთხოვნები, როგორც წესი, არ წარმოიშობა.<sup>399</sup> ხოლო, თუ დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა უშედეგოდ გავიდა, ასეთ შემთხვევაში მყიდველს აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის, ფასის შემცირებისა და, ბრალის არსებობის შემთხვევაში, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელნიც, თავის მხრივ, ალტერნატიულ კონკურენციაში იმყოფებიან ერთმანეთთან.

## 12.2 დამატებითი ვადის დაწესების „ვალდებულების“ არსი

სსკ-ის 405-ე და 394-ე მუხლების შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლისა თუ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა მას შემდეგ, რაც მოვალეს კრედიტორის მიერ განესაზღვრა დამატებითი ვადა. ეს ვადა დამატებითი შესრულების უზრუნველყოფას ემსახურება, რაც გამართლებულია ხელშეკრულების პირველადი შესრულების ინტერესით, ანუ ხელშეკრულების გადარჩენის მიზნით.

ამ შემთხვევაში ვადის დაწესების „ვალდებულება“ ცალსახად არ გულისხმობს მოთხოვნის უფლების წარმოშობას მეორე მხარისათვის. აღნიშნული „ვალდებულება“ მისი ვიწრო გაგებით უნდა განიმარტოს. მისი განუხორციელებლობა უფლებამოსილ პირს ართმევს სხვა მეორადი მოთხოვნების განხორციელების უფლებას.

მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილში საუბარია დამატებითი ვადის დაწესების „შესაძლებლობაზე“ („შეუძლია დაუნიშნოს ვალდებულების შესრულებისთვის აუცილებელი დრო“), აღნიშნული უნდა განიმარტოს არა მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, ანუ როგორც „შესაძლებლობა“, არამედ სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის მსგავსად, როგორც აუცილებლად განსახორციელებელი წინაპირობა.

დამატებითი ვადის დაწესების მიზანია, მოვალემ გაითვალისწინოს შესაძლო შედეგები და ყველა ზომა გამოიყენოს, რათა გადაარჩინოს ხელშეკრულება და შეასრულოს შესაბამისი ვალდებულება.<sup>400</sup> ამდენად, კანონმდებელი ამ

<sup>396</sup> დეტალურად იხ. *ჩაჩავა*, მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2004, სპეციალური გამოცემა, გვ. 41; გერმანულ სამართალთან დაკავშირებით შეად. *Schroeter*, das Wahlrecht des Käufers im Rahmen der Nacherfüllung, NJW, 2006, S. 1761 ff.

<sup>397</sup> *ჩაჩავა*, მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2004, სპეციალური გამოცემა, გვ. 51.

<sup>398</sup> *Kleine/Scholl*, das Konkurrenzverhältnis primärer und sekundärer Gläubigerrechte bei Pflichtverletzung im allgemeinen Schuldrecht, NJW, 2006, S. 3462.

<sup>399</sup> *Palandt/Weidenkaff*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 437, RdNr. 4.

<sup>400</sup> *ბიოლინგი/ლუტრინგაუსი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009, გვ. 39-40.

შემთხვევაში სწორედ ვალდებულებას გულისხმობს და არა შესაძლებლობას.<sup>401</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრს მოკლებული იქნება აღნიშნული ნორმის მე-3 ნაწილის რეგულირება, რომლის შემადგენლობაშიც საუბარია საფუძვლებზე, რომლის არსებობისას დამატებითი ვადის განსაზღვრა საჭირო არ არის.

ტერმინით „შეუძლია“, სისტემური, კერძოდ „შინაარსობრივი კონტექსტის დადგენისა“<sup>402</sup> და ტელეოლოგიური განმარტების, კერძოდ ნორმის მიზნის გამოკვლევის შედეგად, უდავოა,<sup>403</sup> კანონმდებელი (ასეთი ფორმულირებით) მიზნად ისახავს დამატებითი ვადის დაწესების, როგორც უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნის განხორციელების წინაპირობის, მოწესრიგებას.

ამასთან, სსკ-ის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუკი მოვალე კრედიტორის მიერ განსაზღვრულ დამატებით დროშიც არ შეასრულებს ვალდებულებას, მაშინ კრედიტორი უფლებამოსილია, ვალდებულების შესრულების ნაცვლად, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

როგორც სსკ-ის 405-ე, ისე 394-ე მუხლებით გათვალისწინებული დამატებითი ვადის დაწესების „ვალდებულება“ ვალდებულების განსხვავებული სახეა. იგი არ აფუძნებს მესამე პირთა მოთხოვნებს, არამედ ვალდებულები პირის მიერ მისი განუხორციელებლობა თავად კრედიტორს ართმევს, დამატებითი ვადის დაწესების მოთხოვნის განუხორციელებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულებიდან გასვლისა თუ შესრულების ნაცვლად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობას.

### 1.3 ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლასა და სხვა მოთხოვნებთან კომბინაციაში

თანამედროვე დოქტრინაში ერთმანეთისაგან იმიჯნება, ერთი მხრივ, შესრულების ნაცვლად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც, როგორც წესი, ალტერნატიული მოთხოვნაა ხელშეკრულებიდან გასვლასა და ფასის შემცირების მოთხოვნებთან მიმართებით და, მეორე მხრივ, ე.წ. ჩვეულებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების მიმართ არსებული ინტერესის მიუხედავად.<sup>404</sup> ეს უკანასკნელი შესაძლებელია განხორციელდეს მათ შორის დამატებითი შესრულების მოთხოვნის პარალელურად.<sup>405</sup>

შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისაგან განსხვავებით, ხელშეკრულებიდან გასვლასთან ერთად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, როგორც წესი, წარმოიშობა მხოლოდ კრედიტორის მიერ მოვალისათვის დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. შესაბამისად, მისი გამოყენების წინაპირობაა მეორად მოთხოვნათაგან უპირატესად გამოსაყენებელი, დამატებითი შესრულების მოთხოვნის უშედეგოდ განხორციელება.<sup>406</sup>

<sup>401</sup> *Unberath, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2009, § 280, RdNr. 25 ff.*

<sup>402</sup> „Bedeutungszusammenhang“.

<sup>403</sup> *Bitter/Rauhut, Grundzüge zivilrechtlicher Methodik – Schlüssel zu einer gelungenen Fallbearbeitung, JuS, 2009, S. 293, 295.*

<sup>404</sup> *Ernst, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2007, § 280, RdNr. 5.*

<sup>405</sup> *Ernst, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2007, § 280, RdNr. 2; ასევე Unberath, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2009, § 280, RdNr. 46 ff.*

<sup>406</sup> შეად. *Magnus, Staudinger Kommentar zum BGB, 2005, CISG, Art. 45, RdNr. 21 ff.*

შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დამოუკიდებელი მოთხოვნაა და მისი სხვა მოთხოვნებთან ერთად განხორციელება დაუშვებელია.

ამის საპირისპიროდ, ე.წ. კუმულირებადი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლოა წარმოიშვას ვალდებულების დარღვევისთანავე.<sup>407</sup> შესრულებასთან ერთად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მეორად მოთხოვნათა შორის გამონაკლისია, ვინაიდან იგი შესაძლოა წარმოიშვას და განხორციელდეს როგორც პირველადი, ისე დამატებითი შესრულების მოთხოვნასთან ერთად.<sup>408</sup>

ამ სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ასევე განსხვავდება მისი ურთიერთმიმართებით სხვა მეორად მოთხოვნებთან. კერძოდ, ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლასა თუ დამატებით შესრულებასთან კომბინირებადი თუ კუმულირებადია<sup>409</sup> და მისი განხორციელება ამ მოთხოვნებთან ერთად, ანუ მათ პარალელურად, არის შესაძლებელი.

#### 1.4 მეორად მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენცია

მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისა და კრედიტორის მიერ მოვალისათვის განსაზღვრული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ წარმოიშობა მეორად მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენცია.<sup>410</sup> ამას შეიძლება ეწოდოს მერყევი მდგომარეობა, ვინაიდან კრედიტორის მიერ მოვალისათვის დაწესებული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ კრედიტორი არ არის შებოჭილი წარმოშობილი მეორადი მოთხოვნების განხორციელების რაიმე ვალდებულებით. მას აქვს თავისუფალი არჩევანის უფლება, კვლავ მოითხოვოს ვალდებულების შესრულება დამატებითი შესრულების შესახებ მოთხოვნის წაყენების მეშვეობით,<sup>411</sup> ან გამოიყენოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლება და განახორციელოს მის მიერ შერჩეულ მეორად მოთხოვნათაგან ერთ-ერთი ან რამდენიმე.<sup>412</sup>

სსკ-ის 492-ე მუხლის შესაბამისად, „თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ“ და არც ხელშეკრულებიდან გასვლას<sup>413</sup>, მას შეუძლია, მოითხოვოს ფასის შემცირება.

აღნიშნული მუხლი რამდენიმე ალტერნატივას განსაზღვრავს. კერძოდ, მას შემდეგ, რაც მყიდველის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადა უშედეგოდ გავიდა, იგი კვლავ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს დამატებითი

<sup>407</sup> *Unberath, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2009, § 280, RdNr. 46.*

<sup>408</sup> *Kleine/Scholl, das Konkurrenzverhältnis primärer und sekundärer Gläubigerrechte bei Pflichtverletzung im allgemeinen Schuldrecht, NJW, 2006, S. 3462.*

<sup>409</sup> *ბილინგი/ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009, გვ. 30.*

<sup>410</sup> შეად. *Westermann, Das neue Kaufrecht, NJW, 2002, S. 241 ff.*

<sup>411</sup> შეად. *Bressler, Selbstvornahme im „Schwebezustand“ nach Ablauf der Nacherfüllungsfrist, NJW, 2004, 3385.*

<sup>412</sup> *Kleine/Scholl, das Konkurrenzverhältnis primärer und sekundärer Gläubigerrechte bei Pflichtverletzung im allgemeinen Schuldrecht, NJW, 2006, S. 3462.*

<sup>413</sup> სსკ-ის 492-ე მუხლში ხელშეკრულების „მოშლა“ გამოყენებულია ხელშეკრულებიდან გასვლის მნიშვნელობით.

შესრულება. თუ იგი აღნიშნულ მოთხოვნას არ იყენებს და არც სსკ-ის 491-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 405-ე მუხლების შესაბამისად ხელშეკრულებაზე ამბობს უარს, ასეთ შემთხვევაში მყიდველს აქვს ფასის შემცირების ალტერნატიული მოთხოვნის განხორციელების შესაძლებლობა.

მოთხოვნების ალტერნატიული კონკურენცია, თუ ე.წ. მერყევი მდგომარეობა, უნდა დასრულდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი ერთ-ერთ ამ ალტერნატიულ უფლებათაგანს აირჩევს, მოვალეს წარუდგეს და მოვალე შესაბამისი მოთხოვნიდან გამომდინარე ვალდებულებას შეასრულებს.

ამასთან, დასაზუსტებელია, ალტერნატიულ მოთხოვნათა შორის არჩევანის თავისუფლება რა მოქმედების განხორციელების შემდეგ იზღუდება ან გამოირიცხება.

ერთი მხრივ, ეს შესაძლოა იყოს კრედიტორის მიერ განხორციელებული ნამდვილი ნების გამოვლენა ერთ-ერთი ამ მოთხოვნათაგანის განხორციელების შესახებ,<sup>414</sup> ვინაიდან არჩევანის გაკეთების შემდეგ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის კონცენტრაცია, როგორც წესი, კრედიტორის მიერ არჩეულ მოთხოვნაზე ხდება.<sup>415</sup>

მეორე მხრივ, შესაძლოა, გამართლებული იყოს მიდგომა, რომ ერთ-ერთი მოთხოვნის განხორციელებით სხვა ალტერნატიულ კონკურენციაში მყოფი მოთხოვნები მხოლოდ მაშინ შეიზღუდოს, თუ განხორციელებული მოთხოვნის შესაბამისი მოქმედება კრედიტორის მხრიდან შესრულდა, ან მისი შესრულება დაწყებულია.<sup>416</sup>

ცხადია, ეს წესი არ გავრცელდება პირველად მოთხოვნაზე, რომელიც მეორად მოთხოვნათაგან ერთ-ერთის განხორციელებისთანავე, თავისთავად, პირველად და მეორად მოთხოვნათა შორის გაკეთებულ არჩევანზე მიუთითებს მეორად მოთხოვნათა სასარგებლოდ. მოთხოვნათა კონცენტრაცია ასეთ შემთხვევაში მეორად მოთხოვნებზე ხდება, რითაც პირველადის წაყენების შესაძლებლობა გამოირიცხება.<sup>417</sup>

არჩევანის უფლება შესაძლებელია, მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში არსებობდეს. თუმცა კრედიტორზე ზემოქმედება, რათა მან გამოიყენოს ეს უფლება, დასაშვებია, თუ აღნიშნულის აუცილებლობა გამართლებული და მიზანშეწონილია კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე.<sup>418</sup>

აღნიშნული საკითხი, ყოველი კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით, ინტერესთა შეფასებისა და თანასწორობისა თუ კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, უნდა გადაიჭრას ისე, რომ, ერთი მხრივ, დაცული იქნეს კანონმდებლის მიერ მეორადი მოთხოვნების მოწესრიგების მიზანი,

<sup>414</sup> *Kleine/Scholl*, das Konkurrenzverhältnis primärer und sekundärer Gläubigerrechte bei Pflichtverletzung im allgemeinen Schuldrecht, NJW, 2006, S. 3463.

<sup>415</sup> *Langheineken*, Anspruch und Einrede nach dem Deutschen Bürgerlichen Gesetzbuch, 1903, S. 195.

<sup>416</sup> შეად. *Bressler*, Selbstvornahme im „Schwebezustand“ nach Ablauf der Nacherfüllungsfrist, NJW, 2004, 3382 ff., 3384 f.; შეად. *Kuhlenbeck*, Von den Pandekten zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 1, 1898, S. 555.

<sup>417</sup> *Derleder*, Der Wechsel zwischen den Gläubigerrechten bei Leistungsstörungen und Mängeln, NJW, 2003, S. 1000 f.

<sup>418</sup> *Kleine/Scholl*, das Konkurrenzverhältnis primärer und sekundärer Gläubigerrechte bei Pflichtverletzung im allgemeinen Schuldrecht, NJW, 2006, S. 3463.

კერძოდ კრედიტორის დაცვა, და, მეორე მხრივ, აღიკვეთოს აღნიშნული უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა, კრედიტორის მიერ მოვალის ინტერესების არაკეთილსინდისიერად ხელყოფის გზით.

ხელშეკრულებიდან გასვლა, როგორც ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით.<sup>419</sup> შესაბამისად, იგი ნამდვილია მას შემდეგ, რაც, სსკ-ის 51-ე მუხლის შესაბამისად, მიუვა მეორე მხარეს. კერძოდ, როდესაც ნების გამოვლენა გამოძვლების ძალაუფლების სფეროდან გადადის მიმღების ძალაუფლების სფეროში და ამ უკანასკნელს აქვს მისი შინაარსის გაცნობის რეალური შესაძლებლობა.<sup>420</sup>

სსკ-ის 355-ე მუხლის თანახმად, გასვლა ხორციელდება მეორე მხარის მიმართ ნების გამოვლენით, მისთვის შეტყობინებით. ეს მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა, რომელიც განხორციელებისთანავე წარმოშობს სამართლებრივ შედეგს. შესაბამისად, მისი უკან გამოთხოვა დასაშვებია მხოლოდ სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული ნების გამოვლენის მისვლამდე ან მისვლისთანავე.<sup>421</sup>

იგივე წესი ვრცელდება ფასის შემცირების მოთხოვნაზე, რომლის განხორციელებაც ხელშეკრულებიდან გასვლის იდენტურად ცალმხრივი ნების გამოვლენით ხორციელდება.<sup>422</sup> თუმცა იგი შესაძლოა განხორციელდეს კონკლუდენტური მოქმედებითაც, კერძოდ, ფასის შემცირების კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, მყიდველის მიერ ფასის გადახდისას გარკვეული თანხის დაკავების გზით.<sup>423</sup> ასეთ შემთხვევაში გამყიდველის სსკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად არსებული ფასის გადახდის მოთხოვნა გაქარწყლებულია მყიდველის მიერ განხორციელებული ფასის შემცირების შესახებ ნამდვილი ნების გამოვლენით.<sup>424</sup>

ის, თუ რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნული მოქმედების (მყიდველის მიერ საფასურის ნაწილის დაკავება) ფასის შემცირების შესახებ ნების გამოვლენად განმარტება, ცალკეულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს იმის შესაბამისად, თუ რამდენად შეცნობადია ობიექტური შემფასებლისათვის ნების გამოძვლების ნება, მიმართული სწორედ ფასის შემცირებაზე და არა, მაგალითად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასა ან ხელშეკრულებიდან გასვლაზე.

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ქარწყდება იმ შემთხვევაში, თუ იგი, სხვა მოთხოვნებთან ერთად, ალტერნატიულ კონკურენციაში იმყოფება,

<sup>419</sup> *Dernburg*, die Schuldverhältnisse nach dem Rechte des Deutschen Reichs und Preussens, 4. Aufl., Band 1, allgemeine Lehre, 1909, S. 291 ff.

<sup>420</sup> იხ. *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 246 და შემდგომში.

<sup>421</sup> შეად. *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 246 და შემდგომში; იხ. ასევე გერმანულ დოქტრინასთან დაკავშირებით, მაგალითად, *Dernburg*, die Schuldverhältnisse nach dem Rechte des Deutschen Reichs und Preussens, 4. Aufl., Band 1, allgemeine Lehre, 1909, S. 291 ff.

<sup>422</sup> BGH Urteil vom 21.12.2005 – VIII ZR 49/05, JuS, 2006, S. 653.

<sup>423</sup> *Westermann*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 3, 2008, § 441, RdNr. 4 f.

<sup>424</sup> *Huber*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 3, 2008, CISG, Art. 50, RdNr. 25, 28.



უფლებამოსილი პირი კი ახორციელებს სხვა, ალტერნატიულ მოთხოვნას, როგორცაა, მაგალითად, ფასის შემცირება.

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ქარწყლდება ასევე იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებიდან გასვლისათვის (ამ უფლების განხორციელებისთვის) მეორე მხარემ დააწესა ვადა, ხოლო უფლებამოსილმა პირმა აღნიშნულ ვადაში არ განახორციელა ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინება.<sup>425</sup>

შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ალტერნატიულ კონკურენციაშია დამატებითი შესრულების,<sup>426</sup> ფასის შემცირებისა და ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნებთან. მყიდველის მიერ აღნიშნულ მოთხოვნათა შორის არჩევანის განხორციელება იწვევს ალტერნატიულ კონკურენციაში მყოფ სხვა დანარჩენ მოთხოვნათა გაქარწყლებას, ანუ ალტერნატიული კონკურენციის დასრულებას.

## 2. მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის შემთხვევები

ცალკეული მოთხოვნის განხორციელებისათვის აუცილებელია ადეკვატური მოთხოვნის საფუძვლის შერჩევა. ამასთან, შესაბამისი მოთხოვნის რეალიზებისათვის შეიძლება არ იყოს საკმარისი ერთი კონკრეტული მოთხოვნის საფუძვლის გამოყენება და აუცილებელი გახდეს რამდენიმე მოთხოვნის საფუძვლის ერთობლივი გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოთხოვნის მფლობელის ინტერესების რეალიზება შეუძლებელი იქნება.

კონკრეტული მოთხოვნის საფუძვლის შერჩევისას შესაძლებელია არსებობდეს მისი ფორმირების რამდენიმე ალტერნატივა, ანუ რამდენიმე მოთხოვნის საფუძვლის სხვადასხვა კომბინაცია. ამ მოთხოვნის საფუძვლების ურთიერთმიმართება წარმოშობს კონკურენციის სხვადასხვა სახეს. ამასთან, მოთხოვნის მფლობელისთვის სასურველი სამართლებრივი შედეგის მიღწევა შეიძლება დამოკიდებული იყოს სხვადასხვა მოთხოვნის ერთობლივ გამოყენებაზე, ანუ კუმულაციაზე.

### 2.1 მოთხოვნის ძირითად და დამხმარე საფუძველთა კუმულაცია

ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში ვალდებულების დარღვევის, კერძოდ მყიდველის მიერ გამყიდველისათვის ნაკლიანი ნივთის გადაცემის, შემთხვევაში მეორადი მოთხოვნების წარმოშობის სპეციალური სამართლებრივი საფუძველებია სსკ-ის 490-ე, 491-ე, 492-ე და 494-ე მუხლები.

იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი დაარღვევს მყიდველისათვის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთის სსკ-ის 487-ე-489-ე მუხლებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, მყიდველს წარმოეშობა მეორადი მოთხოვნები. შესაბამისად, მას შეუძლია, პირველ ეტაპზე მოითხოვოს დამატებითი შესრულება (ნაკლის გამოსწორება ან ნაკლიანი ნივთის უნაკლოთი შეცვლა), ხოლო შემდგომ, დამატებითი წინაპირობების არსებობისას, მას წარმოეშობა ხელშეკრულებიდან გასვლის ან ფასის შემცირების მოთხოვნის უფლება. გარდა ამისა, მას შეუძლია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესრულებასთან ერთად ან მისგან დამოუკიდებლად.

<sup>425</sup> შეად. სსკ-ის 405-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

<sup>426</sup> ამ შემთხვევაში იგულისხმება დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ კვლავ დამატებითი შესრულების მოთხოვნა.

აღნიშნული მოთხოვნების რეალიზებას სსკ-ის 490-ე და შემდგომი მუხლები შეიძლება ვერ უზრუნველყოფდნენ. ამგვარად, მაგალითად, მყიდველის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა მხოლოდ სსკ-ის 491-ე მუხლის შესაბამისად ვერ განხორციელდება, ვინაიდან ამ ნორმაში უშუალოდ არის მითითებული სსკ-ის 352-ე მუხლის ზოგად მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, სსკ-ის 405-ე მუხლს უთითებს. ეს ცხადყოფს, რომ სსკ-ის 491-ე მუხლი არ არის მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველი. შესაბამისად, მყიდველის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის საფუძველი იქნება სსკ-ის 491-ე მუხლი სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლებთან ურთიერთკავშირში.

### **2.1.1 ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები ნასყიდობის სამართალში**

სსკ-ის 494-ე მუხლის თანახმად, ნივთის ნაკლით ან ხელშეკრულების სხვა პირობის დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ზოგადი წესებით ხორციელდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მყიდველმა წინასწარ იცოდა ნაკლის შესახებ. ეს მითითებითი ნორმაა, რომლის მე-2 ნაწილიც დამატებით საგამონაკლისო წინაპირობას ადგენს. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ მყიდველმა წინასწარ იცოდა ნივთის ნაკლის შესახებ.

სსკ-ის 494-ე მუხლი არ არის მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველი, ვინაიდან იგი არ განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურების წინაპირობების ამომწურავ ჩამონათვალს. იგი ასევე არ აწესრიგებს ზიანის ანაზღაურების წესსა და პირობებს.

ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის გათვალისწინებით შესაძლებელია, მხარეს კვლავ ჰქონდეს ხელშეკრულების შესრულების მიმართ ინტერესი, თუმცა, ამის მიუხედავად, იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, შესაძლებელია ზიანის ანაზღაურების კომბინირება როგორც დამატებით შესრულების, ისე ხელშეკრულებიდან გასვლის მეორად მოთხოვნასთან.

ხელშეკრულებიდან გასვლასთან ერთად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გამომდინარეობს სსკ-ის 494-ე მუხლის, 407-ე მუხლის, 394-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 395-ე მუხლის პირველი ნაწილის კუმულაციის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში საუბრობენ ასევე კომბინირებადი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების შესახებ.<sup>427</sup>

შესაბამისად, მოთხოვნის საფუძველი, ნაკლიანი შესრულების გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში, სსკ-ის 494-ე მუხლის, 394-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 395-ე მუხლის პირველი ნაწილის ერთობლიობაა.

რაც შეეხება, ვადის გადაცილების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, იგი მოიცავს როგორც შეუსრულებლობას, მათ შორის

<sup>427</sup> ბილინგი/ლუტრინგპაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009, გვ. 30.

შესრულების შეუძლებლობას, ასევე ვადის გადაცილებას.<sup>428</sup> იგი, როგორც წესი, ხორციელდება სსკ-ის 494-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 ალტერნატივისა და სსკ-ის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

## 2.1.2 ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მოთხოვნის საფუძვლების ფორმირება

სსკ-ის 491-ე მუხლში გათვალისწინებულია ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა, თუმცა იგი განხილულ უნდა იქნეს სსკ-ის 405-ე და 352-ე მუხლთან, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის ზოგად მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებთან, ერთობლიობაში.<sup>429</sup>

სსკ-ის 405-ე მუხლი დეტალურად აწესრიგებს ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლების წარმოშობის წინაპირობებსა და გამონაკლისებს, ისევე როგორც აღნიშნული უფლების წარმოშობის დამაბრკოლებელ გარემოებებს. სსკ-ის 491-ე მუხლი ამ შემთხვევაში სპეციალური და, ამავე დროს, ერთგვარი დამხმარე მოთხოვნის საფუძველია, რომელსაც „მითითებით“ მოთხოვნის საფუძველსაც უწოდებენ,<sup>430</sup> ვინაიდან იგი მყიდველისათვის ნაკლიანი ნივთის გადაცემის შემთხვევაში სსკ-ის 352-ე მუხლზე მიუთითებს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, სსკ-ის 405-ე და 491-ე მუხლების წინაპირობების არსებობისას წარმოშობს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის უფლებას, ანუ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შესაბამის სამართლებრივ შედეგს.

გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის რეალიზაცია, სსკ-ის 355-ე მუხლის თანახმად, დამოკიდებულია მეორე მხარისათვის შეტყობინებაზე, ანუ ცალმხრივ მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაზე. ამდენად, შესაბამისი სამართლებრივი შედეგი არ დადგება იმ მომენტამდე, სანამ მყიდველი კანონის შესაბამისად არ განახორციელებს აღნიშნულ მოთხოვნას.

რაც შეეხება ფასის შემცირების მოთხოვნას, იგი, სსკ-ის 492-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების გასვლის ალტერნატიული მოთხოვნაა.<sup>431</sup> კერძოდ, მყიდველი, რომელიც სსკ-ის 491-ე, 405-ე და 352-ე მუხლების მიხედვით ითხოვს ხელშეკრულებიდან გასვლას, ასევე უფლებამოსილია მოითხოვოს ფასის შემცირება.<sup>432</sup> შესაბამისად, ფასის შემცირების შესახებ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი სსკ-ის 492-ე, 491-ე, 405-ე მუხლების ერთობლიობაა.

## 2.2 მოთხოვნის საფუძველთა გამომრიცხავი კონკურენცია

### 2.2.1 ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის მოთხოვნების საფუძველთა ურთიერთმიმართება

<sup>428</sup> შეად. *ბიოლინგი/ლუტრინგაუსი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009, გვ. 38.

<sup>429</sup> *Schulze/Ebers*, Streitfragen im neuen Schuldrecht, JuS, 2004, S. 463.

<sup>430</sup> მითითებით ნორმასთან დაკავშირებით შეად. *Bitter/Rauhut*, Grundzüge zivilrechtlicher Methodik – Schlüssel zu einer gelungenen Fallbearbeitung, JuS, 2009, S. 291.

<sup>431</sup> BGH Urteil vom 09.01.2008 – VIII ZR 210/06, JuS, 2008, S. 558.

<sup>432</sup> შეად. *Magnus*, Staudinger Kommentar zum BGB, 2005, CISG, Art. 45, RdNr. 23.

სსკ-ის 399-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, პატივსადები მიზეზის არსებობისას, უარი თქვას გრძელვადიან ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. ეს ნორმა ადგენს გამონაკლისს სსკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებული წესიდან. კერძოდ, გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლის შესაძლებლობას კანონმდებელი უშვებს იმ შემთხვევაშიც, თუ სახეზე არ არის სსკ-ის 405-ე მუხლით დადგენილი უმთავრესი წინაპირობა – ვალდებულების დარღვევა.

ამ მოთხოვნის წარმოშობისათვის აუცილებელია სახეზე იყოს გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა და პატივსადები მიზეზი, რომლის არსებობისას მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების გაგრძელება და არც ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაცვა.<sup>433</sup>

ცნება „გრძელვადიანი ურთიერთობა“ შემდეგი ნიშნებით ხასიათდება: გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის განმავლობაში მხარეებს განგრძობითად წარმოეშობათ გარკვეული ვალდებულებები ისე, რომ შესასრულებელი ვალდებულების შინაარსობრივი ფარგლები წინასწარ არ არის განსაზღვრული.

გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობათა რიცხვს განეკუთვნება, მაგალითად: ქირავნობა, იჯარა, ლიზინგი, დაზღვევა, იურიდიული პირის დაფუძნების ხელშეკრულება, ერთობლივი საქმიანობა.<sup>434</sup>

გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობას განეკუთვნება ასევე მომსახურებისა და მიწოდების ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, როდესაც წინასწარ განსაზღვრული და განსაზღვრადი არ არის ხელშეკრულების მოქმედების ან შესრულების ფარგლები და მისი მოცულობა. ასეთია, მაგალითად, ელექტროენერჯის, წყლის ან გაზის მიწოდების ხელშეკრულება.<sup>435</sup>

ამის საპირისპიროდ, გრძელვადიანი ხელშეკრულება არ არის ისეთი ხელშეკრულება, რომელიც ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულებას ითვალისწინებს, მაგალითად: ნასყიდობა განვადებით ან მიწოდების ხელშეკრულება, რომლის დროსაც ხელშეკრულების ფარგლები წინასწარ არის განსაზღვრული ან განსაზღვრადია.<sup>436</sup>

აღნიშნული ნორმა, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამონაკლისია, რომელიც გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეს უპირატეს მდგომარეობაში აყენებს სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეებთან მიმართებით, ვინაიდან მას პატივსადები მიზეზის არსებობისას უფლება აქვს, მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

<sup>433</sup> *ზოდო*, ჭანტურია/ზოდო/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, გვ. 410.

<sup>434</sup> *Medicus in Prütting/Wegen/Weinreich* (Hrsg.), BGB Kommentar, 2006, S. 520, § 314, RdNr. 4.

<sup>435</sup> *Medicus in Prütting/Wegen/Weinreich* (Hrsg.), BGB Kommentar, 2006, S. 520, § 314, RdNr. 6.

<sup>436</sup> შეად. *Gaier*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2007, § 314, RdNr. 8 („*Sukzessivlieferungsvertrag*“).

უმეტესწილად ხელშეკრულების მოშლისა თუ ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველია ვალდებულების დარღვევა, რაც, ცხადია, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარისათვის სწორედ პატივსადებ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს, რომლის არსებობისას მას, სსკ-ის 405-ე მუხლის თანახმად, უფლება აქვს, დამატებითი ვადის უშუალოდ გასვლის შემდეგ<sup>437</sup> უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სსკ-ის 399-ე მუხლის მე-2 ნაწილი იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ, თუ პატივსადები მიზეზი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევაა, ასეთ შემთხვევაში გრძელვადიანი ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია იქნება მხოლოდ სსკ-ის 405-ე მუხლით დადგენილი წინაპირობების დაცვით.<sup>438</sup> კერძოდ, სსკ-ის 405-ე მუხლი გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში ვალდებულების დარღვევის შემთხვევისთვის უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია. იგი გამომრიცხავ კონკურენციას წარმოშობს სსკ-ის 399-ე მუხლთან მიმართებით.<sup>439</sup>

შესაბამისად, სსკ-ის 399-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ უნდა იქნეს განმარტებული ნორმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით,<sup>440</sup> არამედ, იგი უნდა განიმარტოს ნორმის აზრისა და მიზნის შესაბამისად ისე, რომ გამოირიცხოს სსკ-ის 399-ე მუხლის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა.

## 2.2.2 ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი

სსკ-ის 398-ე მუხლის პირველ ნაწილში<sup>441</sup> გათვალისწინებულია შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულების დადების დროს არსებული ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრისათვის არსებითი გარემოებები ხელშეკრულების დადების შემდეგ მნიშვნელოვნად იცვლება და ეს მხარეებს ხელშეკრულების დადების მომენტში რომ გათვალისწინებინათ, ისინი ხელშეკრულებას არ დადებდნენ ან დადებდნენ სხვა პირობებით. ასეთ შემთხვევაში კანონმდებელმა გამართლებულად მიიჩნია სახელშეკრულებო ბოჭვისაგან იმ პირის გათავისუფლება, რომელიც გარემოებათა ცვლილების შედეგად მნიშვნელოვნად და არათანაზომიერად ზარალდება.

შედარებისათვის, გერმანულ სამართალში სახელშეკრულებო ბოჭვის ვალდებულებისაგან მხარეთა გათავისუფლების ეს შესაძლებლობა სამოსამართლო სამართლით ჩამოყალიბდა და იგი კერძოსამართლებრივი

<sup>437</sup> ანალოგიური შედეგი დგება, თუ არსებობს სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამატებითი ვადის დაწესების გამომრიცხავი გარემოებები.

<sup>438</sup> სსკ-ის 314-ე პარაგრაფი სსკ-ის 399-ე მუხლის იდენტური შინაარსის მარგულირებელი ნორმაა. ამ პარაგრაფის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ პატივსადები მიზეზია სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია მხოლოდ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 323-ე პარაგრაფით დადგენილი დამატებითი ვადის უშუალოდ გასვლის შემდეგ.

<sup>439</sup> Medicus in Prütting/Wegen/Weinreich (Hrsg.), BGB Kommentar, 2006, § 314, RdNr. 17 ff.

<sup>440</sup> სსკ-ის 399-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „თუ საფუძველი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევაა, ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია მხოლოდ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის დადგენილი ვადის უშუალოდ გასვლის ან უშუალოდ გაფრთხილების შემდეგ. შესაბამისად გამოიყენება 405-ე მუხლის მე-2 ნაწილი“.

<sup>441</sup> შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 313-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი.

კანონმდებლობით გამყარებული კეთილსინდისიერების პრინციპის უზრუნველყოფასა და მხარეთა ინტერესების დაბალანსებას ისახავს მიზნად.<sup>442</sup>

პირს, რომლის ინტერესებიც ილახება ამა თუ იმ გარემოების შეცვლის შედეგად, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან. იგი ასევე უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, ანუ გავიდეს ხელშეკრულებიდან.<sup>443</sup>

შესაბამისად, ხელშეკრულებით შეთანხმებული ვალდებულება ხელშეკრულების მხარეთათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ბოჭვა, ხელშეკრულების დადების დროს არსებული მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ვალდებულების შესრულების მომენტიდან. შესაბამისად, ზოგადად მოქმედი პრინციპია ის, რომ გარემოებები, რომელთა გათვალისწინებითაც დაიდო ხელშეკრულება, არსებითად არ უნდა იყოს შეცვლილი ვალდებულებათა შესრულების მომენტისათვის.<sup>444</sup>

არსებითა თუ არა ამა თუ იმ გარემოების ცვლილება და რამდენად უქმნის ეს ცვლილება მხარეთა ინტერესების ბალანსს საფრთხეს,<sup>445</sup> ცალკეული შემთხვევის თავისებურებათა გათვალისწინებით უნდა დადგინდეს. გარემოებათა ცვლილება აშკარა და არსებით ცვლილებად უნდა იქნეს მიჩნეული მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები ან ერთ-ერთი მათგანი, ამ ცვლილების გათვალისწინების შემთხვევაში, ხელშეკრულებას არ დადებდა, ან სხვა შინაარსით დადებდა.<sup>446</sup>

შესაბამისად, აღნიშნული ნორმის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია მართებული, თუ გარემოებები იმდენად მნიშვნელოვნად შეიცვალა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს სახელშეკრულებო ვალდებულების უპირობო შესრულება არათანაზომიერად მძიმე ტვირთად აწვება, რაც, თავის მხრივ, მხარეთა ინტერესებისა და თანაბარი შესაძლებლობების ბალანსს უდავოდ არღვევს. ამასთან, მოვალისათვის სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების მოთხოვნა თანასწორობისა და თანაზომიერების პრინციპებთან წინააღმდეგობას ქმნის.<sup>447</sup>

<sup>442</sup> BGH Urteil vom 23.05.1951 – II ZR 71/50 (Düsseldorf), NJW, 1951, S. 604 („eine Berücksichtigung des Fortfalls der Geschäftsgrundlage grundsätzlich nur dann anerkannt, wenn mit Rücksicht auf den Geschäftszweck das Festhalten an dem Vertrag nach Treu und Glauben dem Verpflichteten nicht mehr zugemutet werden kann, und der OGH ist in dieser Richtung noch weitergegangen, indem er die Durchbrechung des obersten Grundsatzes der Vertragstreue unter diesem Gesichtspunkt nur zur Vermeidung untragbarer, mit Recht und Gerechtigkeit unvereinbarer Ergebnisse zugel. hat“).

<sup>443</sup> Unberath, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2009, § 313 BGB, Normzweck, RdNr. 1.

<sup>444</sup> Unberath, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2009, § 313 BGB, Grundlagen, RdNr. 2.

<sup>445</sup> Heck, das Problem der Rechtsgewinnung, Gesetzesauslegung und Interessenjurisprudenz, Begriffsbildung und Interessenjurisprudenz, 1932, S. 55.

<sup>446</sup> Unberath, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2009, § 313 BGB, II Begriff, RdNr. 6.

<sup>447</sup> Unberath, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2009, § 313 BGB, I Grundlagen, RdNr. 3 („Der Grundsatz der Vertragstreue gebietet darüber hinaus, vom Vertrag nur dann abzugehen, wenn eine derartig grundlegende Änderung der maßgeblichen Umstände vorliegt, dass ein weiteres Festhalten an der ursprünglichen Vertragsregelung zu einem untragbaren, mit Recht und Gerechtigkeit schlechthin nicht mehr zu vereinbarenden Ergebnis führen würde“); შეად. ზოძიჯ, ჭანტურია/ზოძიჯ/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხამე, 2001, გვ. 408.

### 2.2.2.1 სსკ-ის 398-ე მუხლით დაფუძნებული მოთხოვნის საფუძვლები

სსკ-ის 398-ე მუხლი მოთხოვნის დამფუძნებელი დამოუკიდებელი საფუძველია იმ შემთხვევაში, თუ პირის ინტერესები გარემოებათა ცვლილებით არსებითად ილახება და იგი უფლებამოსილია, მეორე მხარისაგან მოითხოვოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. აღნიშნული შესაძლოა მიჩნეულ იქნეს პირველად, მხარის მიერ უპირატესად განსახორციელებელ, მოთხოვნად. ამ მოთხოვნის უპირატესად განხორციელება გამომდინარეობს სსკ-ის 398-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან, რომლის თანახმად, „მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს.“ ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მისადაგება შეუძლებელია, ან ხელშეკრულების მეორე მხარე აღნიშნულს არ ეთანხმება, მხარე, რომლის ინტერესებიც შეილახა, უფლებამოსილია, გავიდეს ხელშეკრულებიდან.

შესაბამისად, სსკ-ის 398-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის უშედეგოდ განხორციელების ან აღნიშნულის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება. ეს უფლება სსკ-ის 399-ე მუხლის<sup>448</sup> სპეციალური შემთხვევაა, რომელიც, 399-ე მუხლის შემადგენლობისაგან განსხვავებით, ვრცელდება ნებისმიერი სახის, და არა მხოლოდ გრძელვადიან, ხელშეკრულებებზე.

სსკ-ის 398-ე მუხლი ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების წარმოშობის წინაპირობად ერთ-ერთ პატივსაცემ საფუძველს, კერძოდ, ხელშეკრულებისათვის არსებითი გარემოების მნიშვნელოვან ცვლილებას განსაზღვრავს. შესაბამისად, სსკ-ის 398-ე მუხლი 399-ე მუხლთან მიმართებით, უდავოდ, საგამონაკლისო წესსა და წინაპირობებს ითვალისწინებს და ამ უკანასკნელის გამოყენებას გამორიცხავს.

გარდა ამისა, სსკ-ის 398-ე მუხლი სსკ-ის 405-ე მუხლით მოწესრიგებულ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების დამფუძნებელი რეგულირებისაგანაც განსხვავებულ, საგამონაკლისო წესს განსაზღვრავს. იგი ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობას ითვალისწინებს მაშინაც კი, თუ არ არსებობს სსკ-ის 405-ე მუხლით დადგენილი ხელშეკრულებიდან გასვლისათვის აუცილებელი წინაპირობა – სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა.

მართალია, სსკ-ის 398-ე მუხლი აწესრიგებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების წარმოშობის საგამონაკლისო წესსა და პირობებს და ის სსკ-ის 405-ე მუხლის გამოყენებას გამორიცხავს, თუმცა სსკ-ის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობისას ხელშეკრულებიდან გასვლა ხორციელდება ზოგადი წესის შესაბამისად. ამ უფლების რეალიზების შემთხვევაში<sup>449</sup> სამართლებრივ შედეგს განსაზღვრავს და შესაბამის, ხელშეკრულების დადებაამდე არსებული პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის, მოთხოვნას აფუძნებს სსკ-ის 352-ე მუხლი სსკ-ის 398-ე მუხლთან ურთიერთკავშირში.

<sup>448</sup> შეად. სსკ-ის 399-ე მუხლი, რომელიც პატივსაცემი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში აწესრიგებს ხელშეკრულების მოშლის უფლებას.

<sup>449</sup> შეად. სსკ-ის 355-ე მუხლი.



### 2.2.2.2 ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი ფულის ერთეულის მსყიდველობათუნარიანობის ცვლილებისას

სსკ-ის 389-ე მუხლის შესაბამისად, „თუ გადახდის ვალდებულების დადგომამდე გაიზარდა ან შეიცვალა ფულის ერთეული (კურსი) ან შეიცვალა ვალუტა, მოვალე ვალდებულია, გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. ვალუტის გადაცვლის შემთხვევაში გადაცვლით ურთიერთობებს საფუძვლად უნდა დაედოს ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის.“

სსკ-ის 389-ე მუხლთან დაკავშირებით უნდა განიმარტოს „ვალდებულების წარმოშობის დრო“ თუ მომენტი, რომელსაც ეს ნორმა უკავშირებს არსებული კურსის შესაბამისად ვალდებულების შესრულებას. ვალდებულების წარმოშობის დრო სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად არის დრო, როდესაც დაიდო ხელშეკრულება.<sup>450</sup>

აღნიშნული ინტერპრეტაცია გამართლებულია, როდესაც სახეზეა ფულის ერთეულის გაზრდა ან შემცირება, კერძოდ, ე.წ. ფულის მსყიდველობათუნარიანობის შეცვლა.<sup>451</sup> იმ შემთხვევაში, თუ ფულის ერთეულის მსყიდველობათუნარიანობის ცვლილება უმნიშვნელოა, იგი უნდა შესრულდეს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის მომენტისათვის არსებული კურსის შესაბამისად. თუმცა საკითხავია, რამდენად შეიძლება აღნიშნულ რეგულირებას გამომრიცხავი ძალა მიენიჭოს სსკ-ში 398-ე მუხლთან მიმართებით, როდესაც ფულის მსყიდველობათუნარიანობა იმდენად აშკარად და არსებითად შეიცვალა, რომ აღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვნად აზარალებს ხელშეკრულების მეორე მხარეს.

კანონმდებელმა სსკ-ის 389-ე მუხლით მოაწესრიგა გამონაკლისი, რომელიც მიზნად ისახავს ფასთა სტაბილურობის უზრუნველყოფას და მომხმარებელთა დაცვას.<sup>452</sup> შესაბამისად, ფულის მსყიდველობათუნარიანობის ცვლილების შემთხვევაში გამართლებულია, ვალდებულების შესრულება მოხდეს სწორედ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული კურსის შესაბამისად.<sup>453</sup>

იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმებული საზღაური სხვა ვალუტაშია გამოხატული, მოვალე კი ვალდებულებას ადგილობრივ ვალუტაში ასრულებს,<sup>454</sup> ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოვალის მიერ ვალდებულების

<sup>450</sup> შეად. *ზოიძე*, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, გვ. 347; ასევე იხ., მაგალითად, *Sutschet, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2009, § 241, RdNr. 5.*

<sup>451</sup> შეად. *ზოიძე*, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, გვ. 346.

<sup>452</sup> *Grothe, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2007, § 244, RdNr. 17;* შეად. „ფასის მითითების შესახებ“ კანონის პირველი პარაგრაფი („...*Zum Zwecke der Unterrichtung und des Schutzes der Verbraucher und der Förderung des Wettbewerbs sowie zur Durchführung von diesen Zwecken...*“, Gesetz über die Preisangaben vom 3. Dezember 1984, zuletzt geändert durch Art. 11 Zweites BürokratieabbauG vom 7. 9. 2007).

<sup>453</sup> შეად. *ხანტაძე*, ნების გამოვლენის განმარტება, პირგასამტეხლოს შემცირება, ნომინალიზმის პრინციპი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2002 (5), გვ. 174 („ფულადი ვალდებულების შესრულების დროს მოქმედებს ე.წ. ნომინალური პრინციპი, ე.ი. პრინციპი იმის შესახებ, რომ ვალი ნომინალურად იმ თანხაში უნდა დაიფაროს, რომლის შესაბამისადაც იყო დადებული ხელშეკრულება.“).

<sup>454</sup> შეად. *წკეპლაძე*, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა, ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას, ქართული სამართლის მიმოხილვა 2003 (6), გვ. 194.



შესრულების მომენტისათვის არსებული გაცვლითი კურსი და არა ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული კურსი.<sup>455</sup> კერძოდ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ვალდებულების წარმოშობის მომენტი ვიწრო გაგებით განიმარტება და იგი უშუალოდ ვალდებულების შესრულების დროდ უნდა იქნეს მიჩნეული.<sup>456</sup>

არ არის გამოკვეთილი სსკ-ის 389-ე მუხლის მიმართება სსკ-ის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ რეგულირებასთან. კერძოდ, ვალუტის კურსისა თუ ფულის ერთეულის ცვლილება შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევაში, ხელშეკრულების მნიშვნელოვან გარემოებათა ცვლილება იყოს. სსკ-ის 389-ე მუხლი, სსკ-ის 398-ე მუხლისაგან განსხვავებით, ფულის ერთეულის მსყიდველობითუნარიანობის ცვლილების შემთხვევაში, ერთი შეხედვით, გამორიცხავს ხელშეკრულების მისადაგების შესაძლებლობას. ფულის ერთეულის ან კურსის ცვლილების შემთხვევაში კი ითვალისწინებს ე.წ. ავტომატურ მისადაგებას ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებასთან.<sup>457</sup>

სსკ-ის 389-ე და 398-ე მუხლების ურთიერთმიმართების შეფასების დროს გაუმართლებელია სსკ-ის 389-ე მუხლის უპირატესობის უდავოდ აღიარება. ამ საკითხზე მსჯელობისას აუცილებელია, ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით შეფასდეს, რამდენად და რა შემთხვევებში უნდა ჩაითვალოს ფულის ერთეულის ან ფულის კურსის ცვლილება იმგვარ ცვლილებად, რომელიც ხელშეკრულების არსზე არსებით ზეგავლენას ახდენს. კერძოდ, მხარეთათვის აღნიშნული ცვლილება რამდენადაა ისეთი გარემოება, რომლის გათვალისწინების შემთხვევაში ისინი ან ერთ-ერთი მათგანი აღნიშნულ ხელშეკრულებას არ ან სხვა პირობებით დადებდა.<sup>458</sup>

სსკ-ის 398-ე და 389-ე მუხლების ურთიერთმიმართებაზე მსჯელობისას უნდა დადგინდეს, რამდენად იყო მხარეების მიერ აღნიშნული გარემოების ცვლილება წინასწარ განჭვრეტადი. ამასთან, გარემოებათა ცვლილება უნდა იყოს აშკარა და იგი მძიმე შედეგებს უნდა იწვევდეს მოვალისათვის.<sup>459</sup>

სსკ-ის 389-ე მუხლი სსკ-ის 398-ე მუხლთან მიმართებით, ძირითადად, უნდა ჩაითვალოს საგამონაკლისო ნორმად, ვინაიდან იგი აწესრიგებს უშუალოდ ფულის ერთეულის, კურსისა თუ ვალუტის შეცვლის შემთხვევაში განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს.<sup>460</sup> თუმცა, სსკ-ის 389-ე და 398-ე მუხლების კონკურენციის შემთხვევაში, გაუმართლებელია სსკ-ის 389-ე მუხლის უპირატესობის უპირობო აღიარება და მისი სსკ-ის 398-ე მუხლთან მიმართებით გამომრიცხავი ძალის მქონე რეგულირებად აღიარება.

სსკ-ის 398-ე მუხლის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ხელშეკრულების დადების შემდეგ ისეთ გარემოებათა აშკარა ცვლილება, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში შეუძლებელია, სავარაუდო იყოს

<sup>455</sup> Schmidt-Kessel in Prütting/Wegen/Weinreich (Hrsg.), BGB Kommentar, 2006, § 245, RdNr. 14.

<sup>456</sup> ფულის კურსის ცვლილების შემთხვევაში შესრულება უნდა მოხდეს შესრულების ადგილას გადახდის მომენტისათვის არსებული კურსის შესაბამისად. შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 244-ე პარაგრაფი („zur Zeit der Zahlung“).

<sup>457</sup> შეად. Grothe, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2007, § 244, RdNr. 19.

<sup>458</sup> Clausius, „Vertragskontinuität und Anpassungsbedarf“, NJW, 1998, S. 3148 ff.

<sup>459</sup> Clausius, „Vertragskontinuität und Anpassungsbedarf“, NJW, 1998, S. 3150 f.

<sup>460</sup> შეად. Grothe, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2007, § 244, RdNr. 19.

ხელშეკრულების დადებისადმი მხარეების (ან ერთ-ერთი მხარის) დაინტერესება. შესაბამისად, გარემოების ცვლილება იმდენად უნდა ამძიმებდეს ერთ-ერთი მხარის მდგომარეობას, რომ მისგან ხელშეკრულების უპირობო შესრულების მოთხოვნა არათანაზომიერად უნდა ხელყოფდეს მის ინტერესებს.<sup>461</sup> შესაბამისად, თუ განხილული წინაპირობები სახეზეა ფულის ერთეულის, მისი კურსისა თუ ვალუტის ცვლილების სახით, ასეთ შემთხვევაში, სსკ-ის 398-ე მუხლს, შესაბამისი სამართლებრივი შედეგებით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს, რათა დაცულ იქნეს ორივე ნორმის მიზანი.<sup>462</sup>

### 2.2.3 დამატებითი ვადის დაწესების ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველებს შორის წინააღმდეგობა

სსკ-ის 405-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობაა ვალდებულების დარღვევა და დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, დამატებითი ვადის განსაზღვრა საჭირო არ არის, თუ აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ მოჰყვება, მაგალითად, როდესაც მოვალე დამატებით შესრულებაზე „ერთმნიშვნელოვნად და საბოლოოდ აცხადებს უარს“.<sup>463</sup> ანალოგიური შედეგი დგება იმ შემთხვევაში, თუ მოვალის მიმართ წარმოებს გაკოტრების საქმე ან სახეზეა ისეთი წინაპირობები, რომლებიც მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს.<sup>464</sup>

დამატებითი ვადის დაწესების ვალდებულება არ არსებობს, აგრეთვე, სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ ვალდებულება არ შესრულდა განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის გ) ქვეპუნქტის შესაბამისად, დამატებითი ვადის განსაზღვრა საჭირო არ არის ასევე, თუ განსაკუთრებული საფუძველებიდან გამომდინარე, მხარეთა ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა.<sup>465</sup>

სსკ-ის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 405-ე მუხლის მსგავსად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობად განსაზღვრავს მოვალის მიერ ვადის გადაცილების შემთხვევაში (რაშიც ნებისმიერი შეუსრულებლობა იგულისხმება<sup>466</sup>), კრედიტორის მიერ დაწესებული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლას.

ვადის დაწესება არ არის საჭირო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „თუ აშკარაა, რომ მას რაიმე შედეგი არ მოჰყვება“, ან „განსაკუთრებული გარემოებებისა“ და „ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით“,

<sup>461</sup> შეად. Heck, das Problem der Rechtsgewinnung, Gesetzesauslegung und Interessenjurisprudenz, Begriffsbildung und Interessenjurisprudenz, 1932, S. 49.

<sup>462</sup> Brandenburg, Die teleologische Reduktion, 1983, S. 36.

<sup>463</sup> შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 281-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის პირველი ალტერნატივა („die Leistung unmissverständlich, endgültig und ernsthaft verweigert“).

<sup>464</sup> Unberath, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2009, § 281, RdNr. 22.

<sup>465</sup> შეად. Grothe, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2007, § 323, RdNr. 23, 25.

<sup>466</sup> ბიოლინგი/ლუტრინგაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, 2009, გვ. 38.

გამართლებულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაუყოვნებლივ განხორციელება.

სადავოა, რამდენად არის გამართლებული, სსკ-ის 394-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 ალტერნატივა ფართოდ განიმარტოს ისე, რომ ცალკეულ შემთხვევაში მოიცვას სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა. კერძოდ, თუ მხარე ხელშეკრულების დროულ შესრულებას უკავშირებდა „ხელშეკრულების გაგრძელების ინტერესს“, ხოლო ვალდებულება აღნიშნულ ვადაში არ შესრულდა, რამდენად მიზანშეწონილია, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან მიმართებით, ეს გარემოება გაგრძელებს როგორც დამატებითი ვადის დაწესებისაგან გათავისუფლების საფუძველი.<sup>467</sup>

ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, ზიანის ანაზღაურების დაუყოვნებლივ მოთხოვნა, როგორც წესი, გამართლებულია, როდესაც კრედიტორისათვის დამატებითი ვადის დაწესების მოთხოვნა მისი ინტერესების არათანაზომიერ ხელყოფას იწვევს, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როდესაც მხარემ ხელშეკრულებისადმი ინტერესი ვალდებულების დროულ შესრულებას დაუკავშირა, ვალდებულება კი შეთანხმებულ ვადაში არ შესრულდა.<sup>468</sup>

შესაბამისად, 394-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 ალტერნატივის თანახმად, მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ხელშეკრულებით შეთანხმებულ ვადაში „განსაკუთრებულ გარემოებად“ ყოველთვის არ უნდა იქნეს განხილული. ცალკეულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია კუმულაციურ პირობად დადგენილი მხარეთა ორმხრივი ინტერესები.<sup>469</sup>

ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის მიმართ დამატებითი ვადის დაწესების გამომრიცხავი საფუძვლის ანალოგიის წესით გამოყენება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ, გაუმართლებელია,<sup>470</sup> ვინაიდან სსკ-ის 394-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საგამონაკლისო რეგულირებას სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობისათვის დამატებითი ვადის დაწესებისაგან კრედიტორის გათავისუფლების შესახებ.

შესაბამისად, მოსამართლის მიერ ორივე მხარის ინტერესების შეფასების შედეგად უნდა გადაწყდეს, არის თუ არა მოვალის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაუყოვნებელი განხორციელება კონკრეტულ შემთხვევაში ადეკვატური და თანაზომიერი საშუალება. მხარეთა ინტერესების შეფასება გულისხმობს თანასწორობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების შესაბამისად მხარეთა ინტერესთა შეპირისპირებას, რომლის ფარგლებშიც

<sup>467</sup> შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 281-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი და 323-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი.

<sup>468</sup> Unberath, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2009, § 281, RdNr. 27. შეად. ასევე Grothe, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2007, § 323, RdNr. 25.

<sup>469</sup> Bitter/Rauhut, Grundzüge zivilrechtlicher Methodik – Schlüssel zu einer gelungenen Fallbearbeitung, JuS, 2009, S. 296 „Daraus lässt sich im Umkehrschluss folgern, dass der Gesetzgeber diesen Fall nicht als Fall der „besonderen Umstände“ (§ 281 II Alt. 2 bzw. § 323 II Nr. 3) ansehen wollte“; Ernst, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2007, § 281, RdNr. 59.

<sup>470</sup> Jaensch, Der Gleichlauf von Rücktritt und Schadensersatz, NJW, 2003, 3613 f.; შეად. ასევე Brandenburg, Die teleologische Reduktion, 1983, S. 60 ff., 77; ანალოგიასა და უკუდასკვნასთან დაკავშირებით იხ. ასევე Heck, das Problem der Rechtsgewinnung, Gesetzesauslegung und Interessenjurisprudenz, Begriffsbildung und Interessenjurisprudenz, 1932, S. 175.

აუცილებელია მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის სიმძიმის, ბრალისა და კრედიტორის შესრულების მიმართ არსებული ინტერესის გათვალისწინება.<sup>471</sup>

შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაუყოვნებელი განხორციელება ცალკეულ შემთხვევაში გაუმართლებლად უნდა იქნეს მიჩნეული, იმის მიუხედავად, რომ მოვალემ ვალდებულება არ შეასრულა შეთანხმებულ ვადაში, ხოლო კრედიტორი ხელშეკრულების გაგრძელებას სწორედ დროულ შესრულებას უკავშირებდა. ეს შედეგი უნდა დადგეს მაშინ, თუ ამგვარი გადაწყვეტა არსებითად და არათანაზომიერად მიიმე შედეგებს წარმოშობდა მოვალისათვის.<sup>472</sup>

## 2.2.4 პასუხისმგებლობის გამომრიცხავი ან შემამსუბუქებელი რეგულირება

ხელშეკრულებით შესაძლოა მხარეთა შორის მოხდეს სახელშეკრულებო ვალდებულებებთან მიმართებით პასუხისმგებლობის სრულად ან ნაწილობრივ შეზღუდვა ან გამორიცხვა.

პასუხისმგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული განსხვავებული რეგულირება უპირატესად გამოსაყენებელი დებულებაა და გამორიცხავს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნათა წარმოშობას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული შეთანხმება კანონით დადგენილ იმპერატიულ ნორმებს ეწინააღმდეგება და, შესაბამისად, სსკ-ის 54-ე მუხლის მიხედვით, ბათილია.

იგივე წესი ვრცელდება კანონით გათვალისწინებულ საგამონაკლისო მოთხოვნის საფუძვლებთან მიმართებით, რომელნიც განსაზღვრავენ პასუხისმგებლობის განსხვავებულ ფარგლებსა და წესს, რაც შესაძლოა, ასევე გამოიხატოს მოთხოვნათა განხორციელების განსხვავებულ ვადებსა და ბრალის განსხვავებულ ფორმაში.<sup>473</sup>

გამომრიცხავი კონკურენცია უდავოდ სახეზეა სახელშეკრულებო და კანონისმიერ მოთხოვნებსა თუ მოთხოვნის საფუძველს შორის იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვევა უშუალოდ და მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით გამოიხატება. ასეთ შემთხვევაში სახელშეკრულებო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, როგორც წესი, უფრო სპეციალურ და უპირატესად გამოსაყენებელ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად უნდა იქნეს მიჩნეული,<sup>474</sup> განსაკუთრებით მაშინ, თუ სახელშეკრულებო მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლებრივი ნორმა შემადგენლობის საგამონაკლისო წინაპირობას განსაზღვრავს.

მაგალითად, სსკ-ის 495-ე მუხლის თანახმად, თუ მყიდველი მეწარმეა, იგი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი და ნაკლის აღმოჩენიდან გონივრულ ვადაში (ან იმ ვადაში, რა ვადაშიც შესაძლებელია მისთვის ცნობილი გამხდარიყო ნაკლის შესახებ) შეატყობინოს ამის შესახებ

<sup>471</sup> შეად. *Grothe*, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2007, § 323, RdNr. 23, 28.

<sup>472</sup> თანაზომიერებასა და ინტერესთა შეფასებასთან დაკავშირებით შეად. *Heck*, das Problem der Rechtsgewinnung, Gesetzesauslegung und Interessenjurisprudenz, Begriffsbildung und Interessenjurisprudenz, 1932, S. 50, 72; ასევე *Ernst*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2007, § 281, RdNr. 57.

<sup>473</sup> შეად. *Hoffmann*, Die Koordination des Vertrags- und Deliktsrechts in Europa, 2006, S. 36

<sup>474</sup> *Weber*, Produkthaftung im belgischen Recht, 1998, S. 15-19.

გამყიდველს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს ნაკლის გამო მეორადი მოთხოვნების განხორციელების უფლებას. განხილული რეგულირება პირდაპირ განსაზღვრავს მეწარმე მყიდველის ვალდებულებას, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაშიც არ წარმოიშობა, სსკ-ის 487-ე-489-ე მუხლების მოთხოვნების დარღვევის მიუხედავად, სსკ-ის 490-ე და შემდგომი მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

სსკ-ის 495-ე მუხლის მოთხოვნის შეუსრულებლობის მიუხედავად, შესაძლებელია განხილულ იქნეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დელიქტის საფუძველზე წარმოშობა. სსკ-ის 494-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის განუხორციელებლობა, ნასყიდობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმით დაკისრებული მოვალეობის დარღვევის გამო, შესაძლებელია, ავტომატურად არ ნიშნავდეს იმას, რომ კრედიტორს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ერთმევა სხვა მოთხოვნის საფუძველიდან გამომდინარე.

ამ თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები სსკ-ის 495-ე მუხლის შემუშავების მიზანი და მისი ურთიერთმიმართება სსკ-ის სხვა ნორმებთან. იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებლის მიზანი სწორედ ნაკლიანი ნივთის მიწოდებისას მეწარმე მყიდველისთვის ნივთის დროული შემოწმებისა და შეტყობინების ვალდებულების დაკისრებაა, ამ უკანასკნელისთვის, სსკ-ის 992-ე მუხლის შემადგენლობის საფუძველზე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობის დაშვება გაუმართლებელია.

სსკ-ის 494-ე და 394-ე მუხლების ერთობლიობიდან აქ გამოირიცხება სსკ-ის 992-ე მუხლის გამოყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სსკ-ის 495-ე მუხლის მიზანი განუხორციელებელი დარჩება.

დელიქტური ვალდებულების კონტექსტში არ უნდა იქნეს განხილული მოქმედებები, რომლებიც უშუალოდ სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ხორციელდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი სახელშეკრულებო ვალდებულების ბრალეული დარღვევა, რომლის საფუძველზეც წარმოიშვა ზიანი, ამავე დროს, დელიქტად დაკვალიფიცირდება.<sup>475</sup> კანონმდებლის ნება უდავოდ არ არის დელიქტების მომწესრიგებელი დებულებების მოქმედების სფეროს ამგვარი გაფართოება.<sup>476</sup>

ცალკეული შემთხვევის განხილვისას სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, ვალდებულების დარღვევა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ხორციელდება, თუ გასცდა მის ფარგლებს<sup>477</sup> და შესაბამისად შეაფასოს, ცალკეული შემთხვევის მიმართ სახეზეა მოთხოვნის საფუძველთა გამომრიცხავი თუ ალტერნატიული კონკურენცია. საზღვრის გავლება და გამიჯვნა – მოთხოვნა წარმოშობილია სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის საფუძველზე – ხშირად

<sup>475</sup> ქირაენობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმებისა და დელიქტური ვალდებულების დამფუძნებელ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციასთან დაკავშირებით იხ. *Зюдце, Актуальные Проблемы Советского Права*, 1988, стр. 195.

<sup>476</sup> *Cosack, Lehrbuch des Deutschen buergerlichen Rechts auf der Grundlage des Buergerlichen Gesetzbuchs fuer das Deutsche Reich*, Band 1, 1898, S. 585; *Isay, Die Geschaeftsfuehrung nach dem Buergerlichen Gesetzbuche fuer das Deutsche Reich*, 1900, S. 399, შეად. ასევე *Зюдце, Актуальные Проблемы Советского Права*, 1988, стр. 196.

<sup>477</sup> შეად. *Weber, Produkthaftung im belgischen Recht*, 1998, S. 15 ff.

საკმაოდ რთულია და მოსამართლის განსაკუთრებულ ძალისხმევას საჭიროებს.<sup>478</sup>

### 2.3. მოთხოვნის საფუძველთა ალტერნატიული კონკურენცია

დელიქტური და სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძველთა ალტერნატიული კონკურენცია შესაძლოა დასაშვებად იქნეს მიჩნეული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვევა, რომელმაც წარმოშვა ზიანი, უდავოდ სცდება სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის ფარგლებს. დელიქტის შესაბამისი მოთხოვნა სახელშეკრულებო მოთხოვნებთან ერთად ერთ საფეხურზე შეიძლება განიხილებოდეს, თუ ორივე მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველით გათვალისწინებული შემადგენლობა ერთდროულადაა მოცემული.<sup>479</sup>

მაგალითად, თუ ნახმარი ავტომანქანის შეძენიდან რამდენიმე დღეში მყიდველი ავტომანქანის დეფექტის გამო ხვდება ავტოსაგზაო შემთხვევის მსხვერპლი და მიიღებს სხეულის დაზიანებას, ასეთ შემთხვევაში შესაძლოა განხილულ იქნეს მოთხოვნები სახელშეკრულებო ძირითადი ვალდებულების დარღვევის გამო, თუკი სახეზეა ნივთობრივი ნაკლი, სსკ-ის 488-ე მუხლის გაგებით.<sup>480</sup> ჩვეულებრივი სარგებლობისათვის ვარგისად ჩაითვლება ნივთი, როდესაც მისი გამოყენება ამ ნივთისათვის მიღებული დანიშნულებით შესაძლებელია და მისით სარგებლობა განსაკუთრებულ საფრთხეს არ უქმნის შემძენს ან მესამე პირებს.<sup>481</sup> იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნაკლიანი ნივთი, განიხილება სსკ-ის კოდექსის 490-ე და შემდგომი მუხლებით გათვალისწინებული მეორადი მოთხოვნების წარმოშობის შესაძლებლობა შესაბამისი მოთხოვნათა დამფუძნებელ ზოგად ნორმებთან ურთიერთკავშირში.

გარდა ამისა, გამყიდველის მიერ შესაძლოა დარღვეული იყოს არა მხოლოდ უშუალოდ სახელშეკრულებო ძირითადი ვალდებულება – ნაკლიანი ნივთის გადაცემის სახით, არამედ ე.წ. განსაკუთრებული „გულისხმიერების ვალდებულება“, სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით.

განხილულ შემთხვევაში „გულისხმიერების ვალდებულება“ მყიდველის ქონებისა თუ ინტერესებისადმი ყურადღების გამოჩენით უნდა გამოვლენილიყო, რაც ასევე უნდა გულისხმობდეს ავტომანქანის დეფექტის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. აღნიშნული გულისხმიერება გამყიდველს რომ გამოევლინა, შესაძლოა არ დამდგარიყო ავტოსაგზაო შემთხვევა და შესაბამისი ზიანი.<sup>482</sup>

<sup>478</sup> Зюдызе, Актуальные Проблемы Советского Права, 1988, стр. 195.

<sup>479</sup> Palandt/Sprau, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 823, RdNr. 5.

<sup>480</sup> სსკ-ის 488-ე მუხლის შესაბამისად, ნაკლიანია ნივთი, თუ იგი შეთანხმებული ხარისხის (თვისებების მატარებელი) არ არის, ასევე, თუ არ არის ვარგისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის; შეად. ასევე Faust, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2007, § 434, RdNr. 57 („Erwartungshorizont eines vernünftigen Durchschnittskäufers“).

<sup>481</sup> Faust, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2007, § 434, RdNr. 61.

<sup>482</sup> შეად. BGH Urteil vom 11.02.2004 – VIII ZR 386/02 (OLG Saarbrücken), NJW, 2004, S. 1032; Berger/Jauernig, BGB Kommentar, 13. Aufl., 2009, § 437, RdNr. 35.

ამგვარად, მოვალის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა იწვევს ზიანს,<sup>483</sup> რომლის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა სსკ-ის 494-ე, 394-ე, 316-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 318-ე მუხლის ერთობლიობის საფუძველზე. სადავოა, რამდენად შეიძლება გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა სხვა მეორად მოთხოვნათა წარმოშობის წინაპირობაც გახდეს.

სსკ-ის 494-ე და 394-ე მუხლების მიხედვით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობის ალტერნატიული სამართლებრივი საფუძველი არის სსკ-ის 992-ე მუხლი, კერძოდ, პირი, რომელიც სხვა პირს განზრახი ან გაუფრთხილებელი, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აანაზღაუროს ეს ზიანი.<sup>484</sup> ამ ნორმით დაცული სიკეთე – პირის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება და სხვა – განსაკუთრებული დაცვის ღირსი აბსოლუტური სიკეთეა, რაც არაპირდაპირ ვალდებულების დამფუძნებელი მოთხოვნის საფუძველით დაცულ ღირებულებათა იდენტურია.<sup>485</sup>

შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა მყიდველის მიერ ამ ღირებულებების მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ხელყოფა, რომელმაც გამოიწვია ზიანი, ამ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლოა წარმოიშვას სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე.<sup>486</sup> ამდენად, სახეზეა ალტერნატიული კონკურენცია სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნის საფუძველს შორის.<sup>487</sup>

მართალია, კანონისმიერი ვალდებულების არსი და მისი ხელყოფის შედეგად მოთხოვნის წარმოშობის უმთავრესი წინაპირობა მისი წარმოშობის არასახელშეკრულებო საფუძველია,<sup>488</sup> თუმცა დელიქტური მოთხოვნის საფუძველიდან მოთხოვნის წარმოშობა, სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, შესაძლოა, გამართლებული იყოს, თუ ხელყოფა გასცდება სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის ფარგლებს.

ცალკეული შემთხვევის განხილვისას ხშირად რთული გასამიჯნია, მოთხოვნა წარმოშობილია სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის საფუძველზე.<sup>489</sup>

ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა გერმანიის თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა, ისევე როგორც დოქტრინა, რომელიც აღიარებს სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნის საფუძველთა ალტერნატიულ კონკურენციას.<sup>490</sup> ამ კუთხით, ეს მიდგომა მნიშვნელოვნად განსხვავდება გერმანულ დოქტრინაში ადრე განხილული მკაცრი გამიჯვნისგან სახელშეკრულებო და დელიქტურ

<sup>483</sup> *Gsell*, Deliktsrechtlicher Eigentumsschutz bei „weiterfressendem“ Mangel, NJW, 2004, S. 1915; შეად. ასევე *ვაშაკიძე*, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2007 (10), გვ. 48.

<sup>484</sup> BGH Beschluß vom 16.02.1993 - VI ZR 252/92 (Oldenburg), NJW-RR, 1993, S. 1113

<sup>485</sup> შეად. *Gnos*, Anspruchskonkurrenz in schweizerischen Produkthaftpflichtrecht, 1997, S. 43, 47; *Mansel/Jauernig*, BGB Kommentar, 13. Aufl., 2009, § 242, RdNr. 25 f.

<sup>486</sup> შეად. *Georgiades*, Die Anspruchskonkurrenz zum Zivilrecht und Zivilprozeßrecht, 1967, S. 86.

<sup>487</sup> *Mansel/Jauernig*, BGB Kommentar, 13. Aufl., 2009, § 241, RdNr. 14.

<sup>488</sup> *Endemann*, Lehrbuch des bürgerlichen Rechts, 6. Aufl., Band 1, 1899, S. 907.

<sup>489</sup> *Зюды*, Актуальные Проблемы Советского Права, 1988, стр. 195.

<sup>490</sup> BGH Urteil vom 16.09.1987 – VIII ZR 334/86 (Frankfurt), NJW, 1988, S. 52.

მოთხოვნის საფუძვლებს შორის, რომელიც სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძვლებს არსებითად უპირატესად გამოსაყენებლად განიხილავდა.<sup>491</sup>

ამის მიუხედავად, გერმანული სამართალი ითვალისწინებს სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნის საფუძველთა ალტერნატიული კონკურენციის აღიარებიდან გამონაკლისებს, როგორც საკანონმდებლო, ისე სასამართლო პრაქტიკის თვალსაზრისით. მაგალითად, პასუხისმგებლობის შეზღუდვისა თუ გამორიცხვის და ხანდაზმულობის საკითხებთან მიმართებით, იგი სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძველს დღესაც უპირატესად განიხილავს ან, ცალკეულ შემთხვევაში, სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძველიდან გამომდინარე პრეფერენციულ პირობებს ავრცელებს დელიქტური მოთხოვნის საფუძველიდან წარმოშობილ ურთიერთობაზე.<sup>492</sup>

## VI. მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია ნაჩუქარი ნივთის უკან გამოთხოვის შემთხვევაში

ჩუქების ხელშეკრულებიდან გასვლისა თუ უარის თქმის საფუძველსა და ამ ხელშეკრულების საცილობას შორის შეიძლება გამომრიცხავი კონკურენცია წარმოიშვას. ასეთ შემთხვევაში არსებითია იმის განსაზღვრა, თუ რომელი ნორმაა უპირატესად გამოსაყენებელი მისი სპეციალური ბუნების გამო.<sup>493</sup>

ერთი მხრივ, მხედველობაშია მისაღები ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველები, როგორებიცაა: სსკ-ის 529-ე მუხლით გათვალისწინებული დასაჩუქრებულის მიერ მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავების მიმართ „მძიმე შეურაცხყოფის მიყენება“ ან „დიდი უმადურობის გამოჩენა“, და მათი მიმართება სსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილით რეგულირებულ „შეცდომასთან კონტრაქტის პიროვნების მიმართ“, რომელშიც იდენტობაში შეცდომის გარდა, ასევე კონტრაქტის „პირად თვისებებში“ შეცდომაა გაერთიანებული.<sup>494</sup>

მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია სსკ-ის 530-ე მუხლით რეგულირებული მჩუქებლის „მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენა“, რაც მისი „საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების“ რჩენის ვალდებულების შეუძლებლობას განაპირობებს, და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სსკ-ის 398-ე მუხლის შემთხვევის მიმართება, როდესაც „აშკარად“ იცვლება „გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა“.

გარდა ამისა, ხელშეკრულებიდან გასვლისა თუ საცილობის სხვადასხვა საფუძველის ურთიერთმიმართება განაპირობებს ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის საფუძვლების კონკურენციას. სსკ-ის 172-ე მუხლის თანახმად, მესაკუთრე უფლებამოსილია, მოსთხოვოს მფლობელს მისი საკუთრების უკან დაბრუნება. შესაბამისად, ეს საფუძველი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მჩუქებელი კვლავ მესაკუთრეა, მაგალითად, ხელშეკრულების საცილობისა

<sup>491</sup> იხ. *Schollmeyer*, das Recht der einzelnen Schuldverhältnisse im Bürgerlichen Gesetzbuch, 2. Aufl., 1904, S. 233; ასევე *Isay*, Die Geschäftsführung nach dem Bürgerlichen Gesetzbuche für das Deutsche Reich, 1900, S. 398.

<sup>492</sup> *Hoffmann*, Die Koordination des Vertrags- und Deliktsrechts in Europa, 2006, S. 36.

<sup>493</sup> შეად. გამომრიცხავ კონკურენციასთან დაკავშირებით, მაგალითად, *Gnos*, Anspruchskonkurrenz in schweizerischen Produkthaftpflichtrecht, 1997, S. 37.

<sup>494</sup> შეად. *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 329 და შემდგომი.



და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ნამდვილი შეცდომების შემდეგ. ამის საპირისპიროდ, სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულია უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნა, თუ გარიგება ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო „არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში“. სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილი აწესრიგებს ხელშეკრულებაზე „უარის თქმის“ შემთხვევაში მიღებული შესრულებისა და სარგებლის უკან დაბრუნებას, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილი, – ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში, ფულად ანაზღაურებას.

## 1. ჩუქება, როგორც მოთხოვნის დამფუძნებელი ხელშეკრულება

სსკ-ის 524-ე მუხლის თანახმად, „ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით.“ ამასთან, სსკ-ის 525-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით კონკრეტდება, რომ „ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება“ მოძრავი ნივთის შემთხვევაში მისი „გადაცემის“, ხოლო უძრავი ნივთის შემთხვევაში „საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან“. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია „ჩუქების დაპირების“ ნამდვილობისათვის წერილობითი ფორმის დაცვის სავალდებულობა.

შესაბამისად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს კანონმდებლობით, ჩუქების ხელშეკრულების დადების ორი სახე წესრიგდება: ერთ შემთხვევაში, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობა უკავშირდება ვალდებულების შესრულებას, ხოლო მეორე შემთხვევაში, შესრულების მომენტისაგან დამოუკიდებლად წარმოიშობა და დამოკიდებულია მჩუქებლის ნების გამოვლენისათვის დადგენილ დამატებითი წინაპირობის არსებობაზე – მის წერილობით გამოვლენაზე.

სწორედ სსკ-ის 325-ე მუხლის მოწესრიგებიდან გამომდინარე, საქართველოს იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება უშუალოდ ნივთის უსასყიდლოდ გადაცემის, ანუ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისა, და აღნიშნულის მიღებაზე დასაჩუქრებულის თანხმობის შედეგად.<sup>495</sup>

მიუხედავად ამისა, სსკ-ის 524-ე მუხლი სსკ-ის 327-ე მუხლის პირველ ნაწილთან ურთიერთკავშირში, სხვა ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებების მსგავსად, განსაზღვრავს ჩუქების ხელშეკრულების დადების წინაპირობას – მხარეთა შეთანხმებას ხელშეკრულების არსებით პირობებზე ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენის შედეგად.

ამ შემთხვევაში ჩუქების ხელშეკრულების მხარეები ავლენენ საერთო ნებას, რომელიც ემთხვევა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მომენტს. ფრაზაში – ხელშეკრულებით „მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით,“ – ამავე დროს, იგულისხმება მხარეთა თუნდაც კონკლუდენტური ორმხრივი ნების გამოვლენა, ანუ ხელშეკრულება. ამასთან, ვინაიდან ჩუქება ცალმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულებაა, ანუ ძირითადი ვალდებულების

<sup>495</sup> შეად., მაგალითად: კახიძე, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, გვ. 70; ასევე ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, 1994, გვ. 155.

შესრულება ხელშეკრულების მხოლოდ ერთ მხარეს ეკისრება, ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებული მოქმედება ავლენს ნებას, უსასყიდლოდ გადასცეს მეორე მხარეს საკუთრების უფლება ქონებაზე. დასაჩუქრებულის მიერ ქონების მიღება თუ „თანხმობა“ კი მისი საპასუხო ნების გამოვლენაა.

ამ ზოგადი სქემიდან გამონაკლისის სახით „ჩუქების დაპირებისას“ მჩუქებლის ანალოგიური ვალდებულება შესრულების მომენტისგან დამოუკიდებლად წარმოიშობა. ამ შემთხვევაში, მჩუქებელი დასაჩუქრებულს ნაჩუქარი ნივთის გადაცემის ნაცვლად ანიჭებს შესაბამისი ქონებისა და მასზე საკუთრების უფლების უსასყიდლოდ გადაცემის მოთხოვნის უფლებას.<sup>496</sup> იმის მიუხედავად, რომ, ერთი შეხედვით, ეს მოთხოვნა არ წარმოიშობა სხვა ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი ტიპური ფორმით,<sup>497</sup> მის არსში არსებითად არაფერი იცვლება, გარდა იმისა, რომ ერთ-ერთი მხარის ნების გამოვლენისათვის კანონით დადგენილია სავალდებულო ფორმის დაცვა.<sup>498</sup> გერმანულ სამართლის სივრცეშიც ჩუქების დაპირებისათვის, ანუ ჩუქების შესახებ მჩუქებლის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობისათვის, აუცილებელია სავალდებულო სანოტარო ფორმის დაცვა.<sup>499</sup>

ნიშანდობლივია, რომ ადრეული პერიოდის გერმანულ დოქტრინაში ჩუქება, იუსტინიანეს ინსტიტუციების მსგავსად,<sup>500</sup> საკუთრების უფლების წარმოშობის ცალმხრივ ნებაყოფლობით აქტად განიხილებოდა.<sup>501</sup> ზოგიერთ სხვა, თანამედროვე სამართლებრივ სისტემაშიც ჩუქება არ არის აღიარებული დამოუკიდებელ, მაგალითად, ნასყიდობისა თუ გაცვლის ხელშეკრულების მსგავს, ხელშეკრულებად.<sup>502</sup>

საქართველოს კანონმდებლობაში ჩუქების ხელშეკრულების მიმართ ჩამოყალიბებულია მკაფიო მოწესრიგება. უდავოა, რომ ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენის არსებობა.<sup>503</sup> ერთ შემთხვევაში, მჩუქებლის მიერ გამოხატული ნება ჩუქების განხორციელებაში ვლინდება, ხოლო ჩუქების დაპირების შემთხვევაში, წერილობითი ნების გამოვლენით.

ჩუქების არსი არსებითად ვლინდება მჩუქებლის ნების გამოვლენაში, რომელიც მიმართული უნდა იყოს საკუთარი დანაკარგის ხარჯზე მეორე პირის გამდიდრებაზე.<sup>504</sup> ამასთან, ჩუქების ნამდვილობისა და შესაბამისი

<sup>496</sup> Otto, die Formerfordernisse der Schenkung nach Österreichischem Rechte, 1883, S. 101.

<sup>497</sup> შეად. Sagviny, System des heutigen römischen Rechts, Band 4, 1841, S 118, ff.

<sup>498</sup> შეად. ჩუქების დაპირების ნების გამოვლენის სავალდებულო ფორმასთან დაკავშირებით *კერესელოდე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 283.

<sup>499</sup> შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 518-ე პარაგრაფი, რომელიც ჩუქების დაპირებისათვის სანოტარო ფორმის სავალდებულობას ითვალისწინებს. იხ. ასევე ავსტრიის სამართალთან დაკავშირებით Otto, die Formerfordernisse der Schenkung nach Österreichischem Rechte, 1883, S.102.

<sup>500</sup> შეად., მაგალითად, Sagviny, System des heutigen römischen Rechts, Band 4, 1841, S. 2.

<sup>501</sup> Sagviny, System des heutigen römischen Rechts, Band 4, 1841, S. 4, 8.

<sup>502</sup> მაგალითად, ინგლისური სამართალი ჩუქებას, მისი ცალმხრივად მავალდებულო ბუნების გამო, არ მიიჩნევს ხელშეკრულებად. შეად. *დანელია*, გამოქვეყნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2008, სპეციალური გამოცემა, გვ. 51.

<sup>503</sup> შეად. Шершеневичь, Учебник Русского Гражданскаго Права, 1909, ст. 489.

<sup>504</sup> Sagviny, System des heutigen römischen Rechts, Band 4, 1841, S. 4; *Dernburg*, die Schuldverhältnisse nach dem Rechte des Deutschen Reichs und Preussens, 4. Aufl., Band 2, Einzelne Obligationen, 1915, S. 156;

ვალდებულებების წარმოშობისათვის აუცილებელია დასაჩუქრებულის თანხმობა, როგორც ჩუქების დაპირების, ასევე ჩუქების რეალურად განხორციელების შემთხვევაში. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება ადასტურებს, რომ ჩუქება ხელშეკრულებაა, ვინაიდან სამართლებრივი შედეგების წარმოშობისათვის, სულ მცირე, ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენის არსებობაა საჭირო.

## 2. ჩუქების ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები და შესაბამისი მოთხოვნის საფუძვლები

საკუთრების უფლების, როგორც აბსოლუტური უფლების უზრუნველყოფის მიზნით, ჩუქების ხელშეკრულებიდან გასვლა მხოლოდ გამონაკლისის სახით დაიშვება ისეთი გარემოებების არსებობისას, რომელნიც წარმოიშვა ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდგომ.<sup>505</sup>

### 2.1 ჩუქების ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის საფუძველი უმადურობისა და „მძიმე შეურაცხყოფის“ შემთხვევაში

სსკ-ის 529-ე მუხლის შესაბამისად, გერმანულ სამართალში გათვალისწინებული რეგულირების მსგავსად, ჩუქება შეიძლება „გაუქმდეს“, თუ დასაჩუქრებელი „მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.“<sup>506</sup> ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ჩუქება „გაუქმდება“,<sup>507</sup> მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ, ხოლო მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჩუქების „გაუქმება“ შესაძლებელია განხორციელდეს გაუქმების საფუძვლის შეტყობიდან ერთი წლის განმავლობაში.<sup>508</sup>

შესაბამისად, სსკ-ის 529-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს მოთხოვნის წარმოშობისათვის აუცილებელ წინაპირობებს, ნორმის შემადგენლობას:<sup>509</sup> მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ დასაჩუქრებულის მიერ სორციელდება „მძიმე შეურაცხყოფის მიყენება“ ან „დიდი უმადურობის გამოჩენა“.

აღნიშნული წინაპირობების არსებობისას მჩუქებელი სსკ-ის 529-ე მუხლის მე-2 ნაწილით უფლებამოსილია, ნამდვილი და, შესაბამისად, უკვე მოქმედი ხელშეკრულება ძალადაკარგულად<sup>510</sup> აქციოს,<sup>511</sup> ანუ „გააუქმოს“ იგი დასაჩუქრებულისათვის შესაბამისი შეტყობინებით.<sup>512</sup>

---

თანამედროვე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში შეად. დანელია, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2008, სპეციალური გამოცემა, გვ. 56.

<sup>505</sup> შეად. *Jhering, der Kampf um das Recht*, 1872, S. 125, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2003 წლის 1 აპრილის N1/2/155 გადაწყვეტილება.

<sup>506</sup> შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 530-ე პარაგრაფი (*Widerruf der Schenkung*).

<sup>507</sup> ნამდვილი ნების გამოვლენის საფუძველზე ჩუქების გაუქმებასთან დაკავშირებით შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 531-ე პარაგრაფი (*Widerrufserklärung*).

<sup>508</sup> შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 532-ე პარაგრაფი (*Ausschluss des Widerrufsrechts*).

<sup>509</sup> *Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts*, 9. Aufl., 2004, § 18, RdNr. 15.

<sup>510</sup> „entkräften“.

<sup>511</sup> *Sagviny, System des heutigen römischen Rechts*, Band 4, 1841, S. 231 ff.

<sup>512</sup> *Dernburg, die Schuldverhältnisse nach dem Rechte des Deutschen Reichs und Preussens*, 4. Aufl., Band 2, Einzelne Obligationen, 1915, S.172.

ამასთან, ჩუქების გამოთხოვასთან მიმართებით ბუნდოვანია, ხელშეკრულების „გაუქმება“ ხელშეკრულებიდან გასვლით ხორციელდება თუ მისი შეცვლების საფუძველზე ბათილობის მოთხოვნით:

თუ მოცემული შემთხვევა განიხილება შეცვლების შედეგად ბათილობის შესაბამის სამართლებრივი შედეგების ჭრილში, შესაძლოა სსკ-ის 172-ე მუხლი უპირატესად გამოსაყენებელ, ძირითადი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად იქნეს მიჩნეული. აღნიშნულის დაზუსტება მნიშვნელოვანია, რათა შეირჩეს მოთხოვნის შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი;

თუ „გაუქმება“ არ გულისხმობს შეცვლების შედეგად ხელშეკრულების ბათილად ქცევას, საკუთრების უფლება, როგორც გერმანული,<sup>513</sup> ასევე ქართული სამართლის შესაბამისად,<sup>514</sup> გადასულია შემძენზე და სავინდიკაციო მოთხოვნის საფუძველი ვეღარ გამოიყენება.<sup>515</sup>

ჩუქების გაუქმების შეტყობინების ძალაში შესვლა, ანუ ნამდვილობა, ავტომატურად წარმოშობს მჩუქებლის მიერ დასაჩუქრებულისაგან ქონების უკან გამოთხოვის უფლებას.<sup>516</sup> აღნიშნული უფლებისა თუ მოთხოვნის განხორციელების სპეციალური ხანდაზმულობის ვადა მოიცავს მჩუქებლის მიერ ჩუქების გაუქმების საფუძველის შეტყობიდან ერთ წელს.

## 2.1.1 მოთხოვნის საფუძველის შემადგენლობა

სსკ-ის 529-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დასაჩუქრებულის მიერ მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავების მიმართ „მძიმე შეურაცხყოფის მიყენება“ ან „დიდი უმადურობის გამოჩენა“, როგორც ხელშეკრულების „გაუქმებისა“ თუ ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველები, ჩამოყალიბებულია ალტერნატიული წინაპირობების სახით.<sup>517</sup>

ორივე ალტერნატივა ხელშეკრულებიდან გასვლის, უდავოდ, არასტანდარტული და საგამონაკლისო წინაპირობაა სსკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებულ სავალდებულო წინაპირობასთან – ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით.

მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ შეურაცხყოფა შესაძლოა გამოვლინდეს როგორც ფიზიკურ ქმედებაში, მაგალითად, მისი ქონების, სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნაში, ასევე სიტყვიერ შეურაცხყოფაში.<sup>518</sup> ასეთ „მძიმე შეურაცხყოფად“ უნდა ჩაითვალოს,

<sup>513</sup> შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 929-ე (*Einigung und Übergabe*) და 873-ე პარაგრაფები (*Einigung und Eintragung*).

<sup>514</sup> საკუთრების უფლების გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით ხორციელდება უძრავი ქონების შემთხვევაში წერილობითი ხელშეკრულებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შედეგად (სსკ-ის 183-ე მუხლი), ხოლო მოძრავი ნივთის შემთხვევაში ნამდვილი უფლების, კერძოდ სამართლებრივი საფუძველისა და ნივთის მფლობელობაში გადაცემის შედეგად (სსკ-ის 186-ე მუხლი).

<sup>515</sup> შეად. *Sagviny*, System des heutigen römischen Rechts, Band 4, 1841, S. 15.

<sup>516</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 15, RdNr. 69; იხ. ასევე სსკ-ის 51-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>517</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 530-ე პარაგრაფი ამ წინაპირობებს აღგენს კუმულაციურ და არა ალტერნატიულ წინაპირობებად. იხ., მაგალითად, *Palandt/Weidankaff*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 530, RdNr. 8.

<sup>518</sup> შეად., მაგალითად: *Palandt/Weidenkaff*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 530, RdNr. 6; *Gehrlein*, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2007, § 530, RdNr. 4.

მაგალითად, ეჭვის საკმარისი საფუძვლის არარსებობის მიუხედავად, მჩუქებლისათვის დანაშაულის ან სხვა უკანონო ქმედების დაბრალება.<sup>519</sup> გერმანულ სამართალში ასეთ საფუძვლად მიჩნეულ იქნა ასევე ღალატი, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც მეუღლეთა შორის ჩუქების, და არა თანასაკუთრების, უფლების წარმომშობი საქორწინო შეთანხმება იყო დადებული.<sup>520</sup>

ჩუქების „პირადი ხასიათიდან“ გამომდინარე,<sup>521</sup> განსაკუთრებულ უმაღურობად უნდა ჩაითვალოს მჩუქებლის მიერ ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც მხარეთა შორის, სოციალურ-მორალური თვალსაზრისით თუ კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით, მიუღებელი და ნაკლებად მოსალოდნელია.<sup>522</sup> ამასთან, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ მჩუქებლის მიერ დასაჩუქრებულის ასეთი ქმედების წინასწარ გათვალისწინების შემთხვევაში, ჩუქების ხელშეკრულება არ დაიდებოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „სსკ-ის 529-ე მუხლის შინაარსიდან აშკარად ჩანს, რომ დასაჩუქრებულის არაზნეობრივი საქციელის შემფასებელი თვითონ მჩუქებელია, რაზეც მეტყველებს ნორმაში არსებული გამონათქვამები: „ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ“, „ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.“ მართალია, სასამართლო განმარტავს, რომ ჩუქების მოშლას იწვევს არა ყოველგვარი ზნეობის საწინააღმდეგო მოქმედება, არამედ მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმაღურობა. თუმცა, თუ რა სახის შეურაცხყოფაა პირისათვის მძიმე, ან რას მიიჩნევს დიდ უმაღურობად, ეს საკითხი, სასამართლოს განმარტებით, მხოლოდ კონკრეტული სუბიექტის – მჩუქებლის შეფასების საგანი შეიძლება იყოს.<sup>523</sup>

უდავოდ გასაზიარებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ განსაკუთრებული უმაღურობა და მძიმე შეურაცხყოფა შეფასებითი კატეგორიაა, თუმცა მიუღებელია აღნიშნულის დადგენის შეფასებისას მხოლოდ მხარის თვალსაწიერის გათვალისწინება. აღნიშნული წინაპირობების არსებობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც მჩუქებლის გარემოებების აღქმა, ე.წ. სუბიექტური

<sup>519</sup> BGH Urteil vom 23.05.1984 – IVa ZR 229/82 (Hamburg), NJW, 1984, S. 2089 f.

<sup>520</sup> შეად. BGH Urteil vom 09.07.2008 – XII ZR 179/05 (OLG Jena), NJW, 2008, S. 3277, ასევე Palandt/Weidenkaff, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 530, RdNr. 7.

<sup>521</sup> შეად. Jhering, der Kampf um das Recht, 1872, S. 125.

<sup>522</sup> იხ.: *Dernburg*, die Schuldverhältnisse nach dem Rechte des Deutschen Reichs und Preussens, 4. Aufl., Band 2, Einzelne Obligationen, 1915, S. 170 f.; *Gehrlein*, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2007, § 530, RdNr. 4; შეად. ასევე: OLG Köln Urteil vom 25.03.1981 – 2 U 3/81, NJW, 1982, S. 390 („Der Ehebruch des Ag., verstärkt durch die verbotene Eigenmacht hinsichtlich des Schmucks der Ast., erfüllt die Voraussetzungen des „grogen Undanks“. Jede Schenkung beruht auf einer besonderen persönlichen Verbundenheit der Beteiligten oder schafft sie. Zerstört der Beschenkte diese Beziehung, dann darf der Schenker daraus die Konsequenz ziehen. Das ist der Grundgedanke des § 530 I BGB, eines gesetzlichen Anwendungsfalles der Lehre vom Wegfall der Geschäftsgrundlage, gedacht für die Konstellation, daß der Schenker ein bestimmtes Verhalten des Beschenkten erhofft, in dieser Erwartung jedoch grundlegend enttäuscht wird.“).

<sup>523</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 86.

თვალსაწიერი, ასევე მოსამართლის ობიექტური შეფასება,<sup>524</sup> თუ როგორ აღიქვამდა ამ გარემოებებს იმავე პირობებში მყოფი სხვა ადამიანი.<sup>525</sup>

შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლომ მხარეთა ინტერესების შეფასების, ასევე თანაზომიერებისა და კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად მიიღოს გადაწყვეტილება ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების წინაპირობების არსებობა-არარსებობის შესახებ.<sup>526</sup>

## 2.12 სამართლებრივი შედეგი

სსკ-ის 529-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს სამართლებრივ შედეგს, რომელიც მჩუქებელს ამავე მუხლის პირველი ნაწილით მოწესრიგებული წინაპირობების არსებობისას ანიჭებს უფლებას, „გააუქმოს“ ჩუქების ხელშეკრულება და მოითხოვოს ნაჩუქარი ნივთის უკან დაბრუნება.<sup>527</sup> ამასთან, სასამართლო პრაქტიკა უდავოდ მიიჩნევს, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლება მხოლოდ მჩუქებელს აქვს.<sup>528</sup>

შესაბამისად, სსკ-ის 529-ე მუხლი ჩუქების ხელშეკრულებიდან გასვლის სპეციალური მოთხოვნის საფუძველია, ვინაიდან ის განსაზღვრავს მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობებს და ასევე ამ წინაპირობების არსებობისას დამდგარ შესაბამის სამართლებრივ შედეგს.

გერმანული სამართლისაგან განსხვავებით, რომელიც ნივთის უკან გამოთხოვას უსაფუძვლო გამდიდრების სამართლით მოწესრიგებული მოთხოვნის საფუძველზე ამყარებს,<sup>529</sup> საქართველოს კანონმდებლობით, ვალდებულებითი ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის საფუძველიდან უშუალოდ გამომდინარეობს ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება.

ბათილობის სამართლებრივი შედეგებისაგან განსხვავებით, სსკ-ის 172-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის საფუძველი არ გამოიყენება, ვინაიდან ნივთზე საკუთრების უფლება მჩუქებელს აღარ აქვს. ამ შემთხვევაში მჩუქებლის მიერ ნამდვილი უფლების, ანუ ჩუქების ხელშეკრულების, საფუძველზე ხდება ნივთის და მასზე არსებული საკუთრების უფლების დასაჩუქრებულისათვის გადაცემა.

ამდენად, სსკ-ის 529-ე მუხლი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 530-ე და 531-ე პარაგრაფებისაგან განსხვავებით, უშუალოდ განსაზღვრავს მოთხოვნის უფლებას, კერძოდ შესაბამის სამართლებრივ შედეგს. აღნიშნული, გერმანული რეგულირებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ჩუქების გაუქმების უფლებას კი არ

<sup>524</sup> BGH Urteil vom 23.05.1984 – IVa ZR 229/82 (Hamburg), NJW, 1984, S. 2089 („Die Würdigung eines Verhaltens als schwere Verfehlung, die den groben Undank des Beschenkten zum Ausdruck bringt, liegt allerdings weitgehend im tatrichterlichen Ermessen.“).

<sup>525</sup> შეად. *Dernburg*, die Schuldverhältnisse nach dem Rechte des Deutschen Reichs und Preussens, 4. Aufl., Band 2, Einzelne Obligationen, 1915, S. 171.

<sup>526</sup> BGH Urteil vom 23.05.1984 – IVa ZR 229/82 (Hamburg), NJW, 1984, S. 2089.

<sup>527</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 18, RdNr. 7.

<sup>528</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 85.

<sup>529</sup> იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 812-ე და შემდგომი პარაგრაფები. შეად. *Gehrlein*, *Bamberger/Roth* (Hrsg.), *Beck'scher Online-Kommentar zum BGB*, 15. Aufl., 2007, § 531, RdNr. 2; *Hoppenz* in *Prütting/Wegen/Weinreich* (Hrsg.), *BGB Kommentar*, 2006, § 531, RdNr. 2.

წარმოშობს,<sup>530</sup> არამედ აფუძნებს გაუქმების შემდეგ ნივთის უკან გამოთხოვის უფლებასაც. შესაბამისად, იგი სპეციალური მოთხოვნის დამოუკიდებელ სამართლებრივ საფუძვლად უნდა იქნეს მიჩნეული.

## 2.2 მძიმე მდგომარეობა

სსკ-ის 530-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ნაჩუქარი ნივთის გამოთხოვა დასაშვებია, როდესაც მჩუქებელი ჩუქების შემდეგ „მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის, ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა.“

ბრუნვის სტაბილურობის გათვალისწინებით, როგორც წესი, აღნიშნული უფლება დროში იზღუდება.<sup>531</sup> კერძოდ, იგი შესაძლოა არსებობდეს მანამდე, სანამ არსებობს მჩუქებლის მიერ განხორციელებული სიკეთის შედეგები ან მის სანაცვლოდ მიღებული უპირატესობით დასაჩუქრებული კვლავ გამდიდრებულია.<sup>532</sup> კერძოდ, სსკ-ის 530-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, მჩუქებელი უფლებამოსილია, დასაჩუქრებლისაგან მოითხოვოს ნაჩუქარი ნივთი იმ შემთხვევაში, თუ იგი რეალურად კვლავ არსებობს, ანუ იგი კვლავ დასაჩუქრებლის საკუთრებაში უნდა იყოს.<sup>533</sup>

დასაჩუქრებლის მიერ შესაბამისი ნივთის გასხვისების ან სხვაგვარად განკარგვის შემთხვევაში, იგი არ უნდა გათავისუფლდეს უკან დაბრუნების ვალდებულებისაგან. ეს შედეგი განსაკუთრებით იმ შემთხვევაში დგება, თუ დასაჩუქრებლის მიერ ნაჩუქარი ნივთით მიღებული უპირატესობა ან სარგებელი სახეზეა.<sup>534</sup>

გასათვალისწინებელია, რომ სსკ-ის 530-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნაჩუქარი ნივთის გამოთხოვის უფლება მჩუქებელს აქვს მხოლოდ დასაჩუქრებლისგან, და არა ნებისმიერი მესამე პირისაგან, ვინაიდან ჩუქება პირადი ხასიათის ურთიერთობაა უშუალოდ ხელშეკრულების მხარეებს შორის.<sup>535</sup>

<sup>530</sup> იხ. გერმანიის სამართალში, მაგალითად, *Hoppenz in Prütting/Wegen/Weinreich* (Hrsg.), BGB Kommentar, 2006, § 531, RdNr. 2.

<sup>531</sup> *Pollack*, Der Schenkungswiderruf insbesondere seine Vererblichkeit, 1886, S. 12.

<sup>532</sup> შეად. სსკ-ის 530-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება, რომლის შესაბამისად, პირი უფლებამოსილია, მოითხოვოს განუქმებლის უკან დაბრუნება, თუ იგი „მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა“, მაშინ თუ განუქმებული ნივთი კვლავ არსებობს.

<sup>533</sup> შეად. ვრცლად საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ივნისის №ას-73-419-07 განჩინება.

<sup>534</sup> შეად. *Palandt/Weidenkaff*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 529 RdNr. 1. ff., ასევე *Palandt/Sprau*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 818, RdNr. 34.

<sup>535</sup> შეად. *Pollack*, Der Schenkungswiderruf insbesondere seine Vererblichkeit, 1886, S. 13. <sup>535</sup> იხ. გერმანიის სამართალში, მაგალითად, *Hoppenz in Prütting/Wegen/Weinreich* (Hrsg.), BGB Kommentar, 2006, § 531, RdNr. 2.

<sup>535</sup> *Pollack*, Der Schenkungswiderruf insbesondere seine Vererblichkeit, 1886, S. 12.

<sup>535</sup> შეად. სსკ-ის 530-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება, რომლის შესაბამისად, პირი უფლებამოსილია, მოითხოვოს განუქმებლის უკან დაბრუნება, თუ იგი „მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა“, მაშინ თუ განუქმებული ნივთი კვლავ არსებობს.

<sup>535</sup> შეად. ვრცლად საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ივნისის №ას-73-419-07 განჩინება.

<sup>535</sup> შეად. *Palandt/Weidenkaff*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 529 RdNr. 1. ff., ასევე *Palandt/Sprau*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 818, RdNr. 34.

სსკ-ის 530-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს როგორც ნაჩუქარი ნივთის უკან გამოთხოვის უფლების წარმოშობის წინაპირობებს (მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენა), ასევე შესაბამის სამართლებრივ შედეგს (უკან მოითხოვოს დასაჩუქრებულისაგან ნაჩუქარი ნივთი); ასევე ამავე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები ითვალისწინებს იმ გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც ნაჩუქარი ნივთის უკან გამოთხოვის უფლება არ წარმოიშობა. ეჭვს არ იწვევს, რომ განხილული ნორმა მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველია.

ამასთან, სსკ-ის 530-ე მუხლის პირველი ნაწილი ნივთის გამოთხოვის დამოუკიდებელ საფუძველად შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ ნივთი ფიზიკურად კვლავ არსებობს და თუ დასაჩუქრებულს არ დაუკარგავს მასზე საკუთრების უფლება.

ნივთის არარსებობის შემთხვევაში იგი მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველი აღარ იქნება და ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა წარმოიშობა სსკ-ის 530-ე მუხლის სსკ-ის 352-ე ან 976-ე და შემდგომ მუხლებთან ურთიერთკავშირში.

ამასთან, სსკ-ის 530-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის წინაპირობაა ისეთ გარემოებათა არსებითი ცვლილება, რომელთა გათვალისწინება გამორიცხავდა ხელშეკრულების დადებას.

შესაბამისად, სსკ-ის 530-ე მუხლის რეგულირება სსკ-ის 398-ე მუხლით მოწესრიგებული ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების წარმოშობის შემადგენლობას ემსგავსება და მის ერთ-ერთ, სპეციალურ ნორმაში გათვალისწინებულ, გამოვლინებად შეიძლება იქნეს მიჩნეული. შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა, სადავო იყოს სსკ-ის 398-ე და 530-ე მუხლების ურთიერთმიმართება.

სსკ-ის 530-ე მუხლის პირველი ნაწილი ნაჩუქარი ნივთის უკან გამოთხოვის მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძველად ვერ განიხილება იმ შემთხვევაში, თუ ნაჩუქარი ნივთი აღარ არის მესაკუთრის საკუთრებაში ან ობიექტურად აღარ არსებობს. ასეთ შემთხვევაში, უკან დაბრუნების მოთხოვნა შესაძლოა წარმოიშვას ან სსკ-ის 530-ე და 352-ე მუხლების, ან სსკ-ის 530-ე და 976-ე და შემდგომი მუხლების ურთიერთკავშირში, მათი კუმულაციის საფუძველზე.<sup>536</sup>

სსკ-ის 530-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა არ წარმოიშობა, თუ დასაჩუქრებული ნაჩუქარის უკან დაბრუნების შემთხვევაში მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება, ანუ რჩება იმ აუცილებელი სარჩოს გარეშე, რომელსაც იგი ნაჩუქარი ნივთით იღებდა.<sup>537</sup> წინაპირობაა ის, რომ ამ შემოსავლის გარეშე დასაჩუქრებული არათანაზომიერად მძიმე მდგომარეობაში უნდა აღმოჩნდეს.

*სავინის* მიერ ჩუქების გაუქმების ერთ-ერთ საფუძველად განიხილება შემთხვევა, როდესაც მჩუქებელს ჩუქების შემდგომ შეეძინა შვილები.<sup>538</sup> ეს უკანასკნელი

<sup>536</sup> შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 86.

<sup>537</sup> Palandt/Weidenkaff, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 529, RdNr. 2 f.

<sup>538</sup> Sagviny, System des heutigen römischen Rechts, Band 4, 1841, S. 228.



შემთხვევა ეხმიანება სსკ-ის 530-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის მიზანსა და არსს. მიუხედავად ამისა, *საეინისაგან* განსხვავებით, თანამედროვე სამართალში ნაკლებად არის გასათვალისწინებელი ის მიზეზი, რის გამოც გაუარესდა მჩუქებლის მატერიალური მდგომარეობა. ეს შესაძლოა იყოს მათ შორის შეილებების შექმნაც, თუმცა ასევე ნებისმიერი სახის შემოსავლის წყაროს დაკარგვა, ან სხვა მისგან დამოუკიდებელი გარემოება.<sup>539</sup>

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია სსკ-ის 530-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოწესრიგება, რომლის შესაბამისად, მჩუქებელს არ წარმოეშობა, ამავე მუხლის პირველი ნაწილის წინაპირობების არსებობის მიუხედავად, ნივთის უკან გამოთხოვის უფლება, თუ მან თავი მძიმე მდგომარეობაში ჩაიგდო განზრახვი ან უხეში გაუფრთხილებლობით.<sup>540</sup>

### 2.3 არაპირითადი ვალდებულების დარღვევა

ჩუქების ხელშეკრულების მოწესრიგება ცხადყოფს, რომ ჩუქების ხელშეკრულებიდან გასვლა მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ განსაკუთრებულ შემთხვევებშია შესაძლებელი. ამასთან, კანონმდებლის მიერ ჩუქების ხელშეკრულების თავში მოწესრიგებულ დებულებათაგან არცერთი არ შეიცავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების დამფუძნებელ რეგულირებას დასაჩუქრებულის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო. ერთი შეხედვით, ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ჩუქება ცალმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულებაა.

არსებობს განსხვავებული ხედვაც. მაგალითად, *დერნბურგის* მიხედვით, ჩუქების ხელშეკრულება შესაძლოა აფუძნებდეს დასაჩუქრებულის გარკვეულ ვალდებულებას, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელშეკრულებით პირდაპირ იკისრა თავად დასაჩუქრებულმა.<sup>541</sup>

„ჩუქების ხელშეკრულება“, რომლითაც დასაჩუქრებულს შესაძლოა ეკისროდეს გარკვეული ვალდებულების შესრულება, აღარ შეესაბამება ჩუქების, როგორც ცალმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულების, კლასიკურ სახეს. დასაჩუქრებულის ვალდებულების წარმოშობა ჩუქების ხელშეკრულების არსს ეწინააღმდეგება და მასზე ამ უკანასკნელის მარეგულირებელი ნორმები, როგორც წესი, არ უნდა გავრცელდეს.<sup>542</sup>

ასეთი ხელშეკრულება, სსკ-ის 340-ე მუხლის თანახმად, შერეული ტიპის ხელშეკრულებაა და, შესაბამისად, მისი კვალიფიკაციის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ნორმები, რომლებიც არსებული ხელშეკრულების შესრულების არსთან ყველაზე ახლოს დგანან.

შესაბამისად, „ორმხრივად მავალდებულებელი ჩუქების ხელშეკრულების მიმართ“ უპირატესად გამოსაყენებელია სხვა ორმხრივად მავალდებულებელი

<sup>539</sup> შეად. სსკ-ის 530-ე მუხლის მსგავსი მოწესრიგება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 528-ე პარაგრაფში.

<sup>540</sup> შეად. *Palandt/Weidenkaff*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 529, RdNr. 1 f.: *კახაძე*, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, გვ. 79.

<sup>541</sup> შეად. *Dernburg*, die Schuldverhältnisse nach dem Rechte des Deutschen Reichs und Preussens, 4. Aufl., Band 2, Einzelne Obligationen, 1915, S. 162.

<sup>542</sup> *Gehrlein*, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2007, § 516, RdNr. 6.

ხელშეკრულებების (მაგალითად, ნასყიდობის, გაცვლის, მომსახურების თუ ნარდობის) მომწესრიგებელი და მათგან გამომდინარე დამოუკიდებელი მოთხოვნის დამფუძნებელი საფუძვლები. გარდა ამისა, იმოქმედებს ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში მოცემული ისეთი მოთხოვნის საფუძვლები, როგორებიცაა სსკ-ის 405-ე და 352-ე, ასევე 394-ე მუხლები, რომელთა გამოყენების სფერო, როგორც წესი, შეზღუდულია ცალმხრივად მავალდებულებელ ხელშეკრულებებთან მიმართებით.<sup>543</sup>

ვალდებულება, რომლის არსებობაც ჩუქების ხელშეკრულების შემთხვევაში არ უნდა გამოირიცხოს, არის სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული „გულისხმიერების“ ვალდებულება: „თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერებას“.

იმის მიუხედავად, „გულისხმიერება“ კეთილსინდისიერების პრინციპიდან ნაწარმოებ, მისგან დამოუკიდებელ თუ მხოლოდ მის დამაკონკრეტებელ ინსტიტუტად განიხილება,<sup>544</sup> სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან, უდავოდ, გამომდინარეობს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ნებისმიერი მონაწილის ვალდებულება, გაუფრთხილდეს „მეორე მხარის უფლებებსა და ქონებას“ და, შესაბამისი ურთიერთობის „შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით“, არ დაუშვას მათი არათანაზომიერი ხელყოფა.

საქართველოს კანონმდებლობით, ჩუქების ხელშეკრულება, უდავოდ, ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების სახეა და, შესაბამისად, იგი ხელშეკრულების მხარეებს შორის სწორედ ისეთ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას აფუძნებს, რომელზეც ვრცელდება სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ჩუქების ხელშეკრულებით, მართალია, დასაჩუქრებულს არ ეკისრება საპასუხო შესრულება დასაჩუქრებულის მიმართ, ხელშეკრულების უსასყიდლო ბუნებიდან გამომდინარე, თუმცა დასაჩუქრებულს ეკისრება „ზნეობრივად ქცევის ვალდებულება.“ ეს დარღვევა კი ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საგამონაკლისო შემთხვევის წინაპირობაა.<sup>545</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 529-ე მუხლის შესაბამისად, კანონმდებელი დასაჩუქრებულს მჩუქებლისაგან ქონებრივი სიკეთის უსასყიდლოდ მიღების სანაცვლოდ აკისრებს ზნეობრივად ქცევის ვალდებულებას. „ზნეობრივ ფასეულობათა დაცვა ამ შემთხვევაში ხდება ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებით, რასაც თან ახლავს სათანადო

<sup>543</sup> შეად. ასევე *Sagviny*, System des heutigen römischen Rechts, Band 4, 1841, S. 234.

<sup>544</sup> შეად.: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 92 და შემდგომი; *ოსკელიანი*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2007, სპეციალური გამოცემა, გვ. 60; *ვაშაკიძე*, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქტია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2007 (10), გვ. 18.

<sup>545</sup> შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 1 აპრილის №1/2/155, გადაწყვეტილება.

სამართლებრივი შედეგი – მჩუქებლისათვის გაჩუქებული ნივთის საკუთრებაში დაბრუნება.<sup>546</sup>

შესაბამისად, „გულისხმიერების“, „ზნეობრივად ქცევისა“ თუ „ზნეობრივ ფასეულობათა“ დაცვის ვალდებულების ხელყოფა შესაძლოა, ე.წ. არაძირითადი ვალდებულების დარღვევად იქნეს მიჩნეული და, მჩუქებელს, გამონაკლისის სახით, მიეცეს ჩუქების ხელშეკრულების „გაუქმების“ უფლება.

ასეთი მიდგომა სრულ შესაბამისობაში იქნებოდა სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოწესრიგების არსთან და უზრუნველყოფდა ჩუქების ხელშეკრულების ფარგლებში კეთილსინდისიერებისა თუ გულისხმიერების ვალდებულებიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგების მოქმედებას.

მიუხედავად ამისა, უმჯობესია, სსკ-ის 529-ე მუხლის მოწესრიგებით გამოხატული კანონმდებლის ნება, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება დაექვემდებაროს მხოლოდ განსაკუთრებულ საფუძვლებს, ჩაითვალოს სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოწესრიგების არსის სპეციალურ დაკონკრეტებად.

შესაბამისად, დასაჩუქრებულის მიერ გულისხმიერების ვალდებულების დარღვევად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევები, რომლებიც სსკ-ის 529-ე მუხლის შემადგენლობიდან გამომდინარეობს. მოსამართლემ ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით, სსკ-ის 529-ე მუხლისა და 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის შემადგენლობები ურთიერთკავშირში უნდა განმარტოს ისე, რომ მიღწეულ იქნეს აღნიშნულ რეგულირებათა მიზანი.<sup>547</sup>

### 3. გასვლისა და სხვა მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია

ჩუქების ხელშეკრულების „გაუქმება“ ხორციელდება ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით დასაჩუქრებულის მიმართ.<sup>548</sup> ჩუქების გაუქმების შეტყობინება ნამდვილია იმ მომენტიდან, როდესაც შესაბამისი ნების გამოვლენა მოექცევა მიმღების ძალაუფლების სფეროში და მას რეალური შესაძლებლობა ექნება, გაეცნოს აღნიშნულს.<sup>549</sup>

შესაბამისად, ჩუქების გაუქმება ხორციელდება მეორე მხარის მიმართ ნების გამოვლენით,<sup>550</sup> რომელიც, შეცილებისა თუ ხელშეკრულებიდან გასვლის მსგავსად, განხორციელებისთანავე წარმოშობს შესაბამის იურიდიულ შედეგს. ამგვარად, ჩუქების გაუქმება კანონმდებლის მიერ პირისათვის მინიჭებული ძალაუფლებაა, ცალმხრივად, ანუ მეორე მხარის თანაქმედების გარეშე, გამოიწვიოს სასურველი სამართლებრივი შედეგი.<sup>551</sup> იგი მიმართული უნდა

<sup>546</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 86.

<sup>547</sup> შეად. *Dernburg*, die Schuldverhältnisse nach dem Rechte des Deutschen Reichs und Preussens, 4. Aufl., Band 2, Einzelne Obligationen, 1915, S. 171.

<sup>548</sup> შეად. სსკ-ის 51-ე მუხლი და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 130-ე პარაგრაფი, ასევე იხ. *Hoppertz in Prütting/Wegen/Weinreich* (Hrsg.), BGB Kommentar, 2006, § 531, RdNr. 1.

<sup>549</sup> *Wendland*, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2009, § 130, RdNr. 9.

<sup>550</sup> *Dernburg*, die Schuldverhältnisse nach dem Rechte des Deutschen Reichs und Preussens, 4. Aufl., Band 2, Einzelne Obligationen, 1915, S.172.

<sup>551</sup> იხ., მაგალითად, *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 15, RdNr. 69 („Gestaltungsrecht“).

იყოს ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების გაუქმებისაკენ და მასში მითითებული იყოს ჩუქების გაუქმების საფუძველი.<sup>552</sup>

ჩუქების გაუქმების მოთხოვნა შესაძლებელია მიმართული იყოს უშუალოდ დასაჩუქრებულის მიმართ. შესაბამისად, მჩუქებლის მიერ აღნიშნული მოთხოვნის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მეორე მხარის სიცოცხლის განმავლობაში.<sup>553</sup>

თავის მხრივ, მოთხოვნის წარდგენის უფლება აქვს პირადად მჩუქებელს.<sup>554</sup> შესაბამისად, მემკვიდრეებზე ეს უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავა, თუ მჩუქებლის მიერ გარდაცვალებამდე წარდგენილია მოთხოვნა ამის თაობაზე. *დერნბურგი* მართებულად განიხილავს შემთხვევებს, როდესაც ნაჩუქარი ნივთის გამოთხოვის უფლება, უდავოდ, უნდა გადავიდეს მემკვიდრეებზე, მაგალითად, როდესაც დასაჩუქრებულმა მჩუქებელს მოუსპო სიცოცხლე ან სხვაგვარად განზრახი და მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ხელი შეუშალა მჩუქებლის მიერ ხელშეკრულების გაუქმებას.<sup>555</sup>

სადავოა და ბუნდოვანი „ჩუქების გაუქმების“ არსი და მისი სამართლებრივი ბუნება. გასაანალიზებელია, ეს არის ხელშეკრულებიდან გასვლის სპეციალური შემადგენლობა, შეცილება თუ მათგან დამოუკიდებელი მოთხოვნის დამფუძნებელი უფლება. თუ ჩუქების გაუქმება, სსკ-ის 529-ე მუხლის გაგებით, ან ნაჩუქარი ნივთის გამოთხოვა, სსკ-ის 530-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის მნიშვნელობით გამოიყენება, შესაძლოა სსკ-ის 405-ე ან 398-ე მუხლების სსკ-ის 352-ე მუხლთან ურთიერთკავშირში გამოიყენება. ამის საპირისპიროდ, თუ ხელშეკრულების გაუქმება დაკვალიფიცირდება შეცილებად, სსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი შედეგების დადგომა დაუკავშირდება სსკ-ის 172-ე ან სსკ-ის 976-ე და შემდგომი მუხლების წინაპირობების არსებობას.

შედარებისათვის, არც გერმანულ სამართალში გამოყენებული ტერმინი „გამოთხოვა“<sup>556</sup> არ არის უალტერნატივო და მართებული. იგი გამოიყენება ასევე ნების გამოვლენის გამოთხოვასთან მიმართებით და, ბუნებრივია, ვერ იქნება იდენტური შინაარსის გამომხატველი. ნების გამოვლენის გამოთხოვის შემთხვევაში საქმე ეხება მიღებასავალდებულო ნების გამოვლენას, რომელიც ჯერ არ გამხდარა ნამდვილი და მისი გამოთხოვა ხდება ამ ნების გამოვლენის მისვლამდე ან მისვლისთანავე. ამის საპირისპიროდ, ჩუქების ხელშეკრულებასთან მიმართებით, „გამოთხოვა“ მიმართულია ჩუქების ნამდვილი ხელშეკრულების გაუქმებაზე.

### 3.1 მიმართება საცილობასთან

<sup>552</sup> *Gehrlein, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2007, § 531, RdNr. 1.*

<sup>553</sup> *Sagviny, System des heutigen römischen Rechts, Band 4, 1841, S. 233.*

<sup>554</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 85, ასევე *Hoppenz in Prütting/Wegen/Weinreich (Hrsg.), BGB Kommentar, 2006, § 530, RdNr.3.*

<sup>555</sup> *Dernburg, die Schuldverhältnisse nach dem Rechte des Deutschen Reichs und Preussens, 4. Aufl., Band 2, Einzelne Obligationen, 1915, S.171.*

<sup>556</sup> შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 130-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება („widerruf“).

სსკ-ის 529-ე მუხლის ალტერნატიული წინაპირობები, უდავოდ, ემსგავსება სსკ-ის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ შეცილების ერთ-ერთ საფუძველს, რომელიც შეცდომის არსებობასა და გარიგების საცილოობას უკავშირებს შეცდომას კონტრაქტის პიროვნებაში და მის პირად თვისებებს.

ბუნებრივია, ცალკეული შემთხვევის კვალიფიკაცია, სსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წინაპირობების შესაბამისად, წარმოშობს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შეცილების უფლებას. შეცილების განხორციელების შემთხვევაში კი წარმოიშობა სსკ-ის 172-ე ან 976-ე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები, მიმართული ნაჩუქარი ქონების უკან დაბრუნებასა თუ გამოთხოვაზე. თავის მხრივ, შესაბამისი მოთხოვნა შესაძლებელია, აკმაყოფილებდეს სსკ-ის 529-ე მუხლის წინაპირობებსაც, რაც, უდავოდ, მოთხოვნის საფუძველთა ალტერნატიულ კონკურენციას განაპირობებს.

ანალოგიურად უნდა დაკვალიფიცირდეს მჩუქებლის მიერ ჩუქების შეცილების მოთხოვნა, როდესაც ის, სსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის ან შეცდომის სხვა საფუძვლის გამო, განახორციელებს შეცილებას, სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, და ნაჩუქარი ნივთის უკან დაბრუნებას ითხოვს, სსკ-ის 172-ე მუხლის შესაბამისად.

მსგავსად უნდა მოხდეს ჩუქების ხელშეკრულების ფარგლებში არსებული ნებისმიერი საცილოობისა თუ ბათილობის საფუძვლის არსებობის შემთხვევაში არსებული მოთხოვნის საფუძველთა განხილვა, თუ შესაბამისი მოთხოვნა როგორც სახელშეკრულებო, ისე ბათილობისა თუ საცილოობისა ნებისმიერ სხვა შემთხვევაში იდენტურია.

### 3.2 გასვლის ზოგადი საფუძვლის კონკურენცია სპეციალურთან

განსხვავებულად წყდება საკითხი სსკ-ის 529-ე მუხლისა და 405-ე მუხლის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების გაუქმება განიმარტება ხელშეკრულებიდან გასვლად. სსკ-ის 529-ე მუხლი დამოუკიდებელ მოთხოვნის საფუძველად განიხილება, ვინაიდან იგი ამომწურავად განსაზღვრავს როგორც ნორმის შემადგენლობას, ისე შესაბამის სამართლებრივ შედეგსაც.

შესაბამისად, სსკ-ის 352-ე მუხლი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს როგორც დამატებითი, დამხმარე მოთხოვნის საფუძველი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სსკ-ის 529-ე მუხლი ცალკეულ შემთხვევასთან მიმართებით სპეციალურ წესს არ განსაზღვრავს. შესაბამისად, სსკ-ის 352-ე მუხლი ასეთ შემთხვევაშიც გარკვეული დათქმით უნდა გავრცელდეს იმგვარად, რომ მისი გამოყენებით არ იქნეს ხელყოფილი სსკ-ის 529-ე მუხლის დაცვითი ფუნქცია, მის სპეციალურ ნორმად მოწესრიგებით კანონმდებლის მიერ დასახული მიზანი.<sup>557</sup>

ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძვლის ამომწურავად მომწესრიგებელი სსკ-ის 530-ე მუხლი, ძირითადად, გამომრიცხავ კონკურენციაშია სსკ-ის 398-ე მუხლთან, ვინაიდან ის გარემოებები, რომელთა შეცვლაც შესაძლოა გახდეს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძველი,

<sup>557</sup> უეად. *Bitter/Rauhut*, Grundzüge zivilrechtlicher Methodik – Schlüssel zu einer gelungenen Fallbearbeitung, JuS, 2009, S. 293.

სპეციალური ნორმებით არის მოწესრიგებული და ისინი უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნის საფუძველებია, სსკ-ის 398-ე მუხლთან მიმართებით.

შესაბამისად, სსკ-ის 398-ე მუხლის გამოყენების სფერო, როგორც წესი, არ ვრცელდება ჩუქების ხელშეკრულებაზე. სსკ-ის 530-ე მუხლის, როგორც საგამონაკლისო რეგულირების, მიზანია, ერთი მხრივ, დასაჩუქრებულის საკუთრების უფლების დაცვა და, მეორე მხრივ, განსაკუთრებული, კანონით ზუსტად განსაზღვრული, გარემოებების არსებობისას, მჩუქებლის ინტერესების დაცვა.

სსკ-ის 398-ე მუხლის გამოყენება ჩუქების ხელშეკრულებასთან მიმართებით საფრთხეს უქმნის სპეციალურ რეგულირებათა მიზნის უზრუნველყოფას, კერძოდ, მხარეთა ინტერესების წონასწორობას.<sup>558</sup> ამდენად, სსკ-ის 398-ე მუხლი შესაძლოა ჩუქების ხელშეკრულებასთან მიმართებით გამოყენებულ იქნეს მხოლოდ 530-ე მუხლის მიზნების გათვალისწინებით, მასთან მჭიდრო კავშირში, რაც მის დამოუკიდებელ, უფლების დამფუძნებელ ნორმად გამოყენებას გამორიცხავს.

მოთხოვნათა ალტერნატიულ კონკურენციად უნდა იქნეს განხილული შემთხვევა, როდესაც სსკ-ის 529-ე ან 530-ე მუხლით წარმოშობილი მოთხოვნის პარალელურად მჩუქებელს აქვს ნაჩუქარი ნივთის სანაცვლოდ კომპენსაციის მოთხოვნის უფლება<sup>559</sup> 352-ე ან/და 976-ე მუხლების შესაბამისად. შემთხვევის თავისებურება ისაა, რომ, სსკ-ის 529-ე, 352-ე და 172-ე მუხლების საფუძველზე, თუ ნივთის არარსებობის გამო შეუძლებელია თავად ნივთის უკან გამოთხოვა, სსკ-ის 976-ე და 352-ე მუხლების შესაბამისად, ნივთის სანაცვლო კომპენსაციის მოთხოვნა კვლავ აგრძელებს არსებობას.

### 3.3 მიმართება უსაფუძვლო გამდიდრებასთან

უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმების გამოყენება, ჩუქების გაუქმების შედეგად ნივთის უკან გამოთხოვის თვალსაზრისით, საფუძველს მოკლებულია იმ შემთხვევაში, თუ „ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება“ ხელშეკრულებიდან გასვლად განიხილება. ასეთ შემთხვევაში სსკ-ის 529-ე მუხლი ამომწურავად აწესრიგებს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძველს, ისევე როგორც მოთხოვნის სამართლებრივ შედეგს. შესაბამისად, სსკ-ის 976-ე და შემდგომ მუხლებთან მიმართებით იგი სპეციალური ნორმაა, და მათთან გამომრიცხავ კონკურენციაში იმყოფება.

მიუხედავად ამისა, სსკ-ის 976-ე და შემდგომი მუხლების გამოყენება, შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევაში, მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული. ეს დასაშვებია, თუ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძველის პარალელურად სახეზეა შეცილების საფუძველი მოტყუების ან შეცდომის სახით და უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაუქმების შეცილებად განმარტება.

ამ შემთხვევაში ნორმის განმარტება ნების გამოვლენის ჭეშმარიტი შინაარსის დადგენას ემსახურება, თუმცა მხოლოდ ნების გამოვლენის სუბიექტური ნება არ არის გადამწყვეტი. უპირატესად გასათვალისწინებელია მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის განმარტების შემთხვევაში ე.წ.

<sup>558</sup> OLG Karlsruhe Urteil vom 09.09.1988 – 10 U 32/88, NJW, 1989, S. 2136.

<sup>559</sup> კახაძე, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, გვ. 78.

მიმღების თვალსაწიერი, მის მიერ ობიექტურად აღქმადი ნება.<sup>560</sup> საკმარისი არ არის მხოლოდ იმის დადგენა, თუ რა იყო ნების გამოვლენის შინაგანი ნება და არც ის, თუ როგორ გაიგო ეს ნების გამოვლენის მიმღებმა, არამედ უნდა გაირკვეს ობიექტური შეფასებით როგორ შეიძლებოდა აღქმულიყო შესაბამისი ნების გამოვლენა.<sup>561</sup> ამგვარად, ნების გამოვლენის განმარტების დროს გასათვალისწინებელია ყველა ის გარემოება, რომლებიც მხარეთა შორის არსებული ურთიერთობების ფარგლებშია მოცემული.

ასეთ შემთხვევაში სსკ-ის 976-ე და შემდგომი მუხლების გამოყენება მიზანშეწონილია, თუ სახეზე არ არის სსკ-ის 172-ე მუხლის სავინდიკაციო მოთხოვნის წაყენების წინაპირობები. გასაზიარებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაცია, რომლის თანახმად, სასამართლო სსკ-ის 529-ე მუხლის შემადგენლობის არსებობისას უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს დასაშვებად, როდესაც სსკ-ის 529-ე მუხლის რეგულირებით დასახული მიზანი – მჩუქებლის ინტერესების დაცვა – სხვაგვარად ვერ მიიღწევა,<sup>562</sup> დასაჩუქრებულის მიერ კანონის გვერდის ავლისა ან უფლების ბოროტად გამოყენების გამო.<sup>563</sup>

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული პოზიციის თანახმად, „თუ დასაჩუქრებელი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ჩაიდენს განზრახ ქმედებას, რომლის შედეგადაც შეუძლებელი ხდება გადაწყვეტილების აღსრულება და ნაჩუქარი ნივთის ამოღება (ნივთის გასხვისება, განადგურება, მოხმარება და ა.შ.), მისი ღირებულება შეიძლება ამოღებულ იქნეს დასაჩუქრებულისაგან უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებითი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად ანუ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ დასაჩუქრებულის ზემოაღნიშნული ქმედება განიხილება როგორც უსაფუძვლო გამდიდრება, რადგანაც მესაკუთრის უფლებამოსილების რეალიზაციის სამართლებრივი საფუძველი დასაჩუქრებულს უკვე აღარ გააჩნდა. რაც შეეხება არაბრალეულ, ანუ გაუფრთხილებელ ქმედებებს დასაჩუქრებულის მხრიდან, რომელთა შედეგადაც შეუძლებელია ნაჩუქრობის საგნის ნატურით დაბრუნება, ვერ გახდება მისგან საგნის ღირებულების ამოღების საფუძველი.“<sup>564</sup>

საგნის ღირებულების კომპენსაციის მოთხოვნის არსებობის აღიარება მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული და დასაშვები, თუ გამდიდრების ნიშნები კვლავ არსებობს, კერძოდ, ნაჩუქარი ნივთის განკარგვა მოხდა სანაცვლო უპირატესობის მიღებით.<sup>565</sup>

### 3.4 ხელშეკრულებიდან გასვლის შეცილება კონვერსია

<sup>560</sup> შეად. *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 253.

<sup>561</sup> იხ. სსკ-ის 52-ე მუხლი. შეად. *ჩანტლაძე*, ნების გამოვლენის განმარტება, პირგასამტეხლოს შემცირება, ნომინალიზმის პრინციპი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2002 (5), გვ. 170.

<sup>562</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 85 და შემდგომი.

<sup>563</sup> შეად. ასევე *Benecke*, *Gesetzesumgehung im Zivilrecht*, 2004, S. 205 ff.

<sup>564</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 85 და შემდგომი.

<sup>565</sup> *Schwab*, *Münchener Kommentar zum BGB*, Band 5, 5. Aufl., 2009, § 818, RdNr. 160.

იმის მიუხედავად, თუ ნების გამოვლენა ობიექტურად აღქმადია როგორც ხელშეკრულებიდან გასვლა, იგი შესაძლოა, განიმარტოს შეცილებად. სსკ-ის მე-60 მუხლის თანახმად, თუ ბათილი გარიგება აკმაყოფილებს სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ეს უკანასკნელი ბათილი გარიგების ადგილს იკავებს იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს სურთ მისი ნამდვილობა.

ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის შემთხვევაში, გადამწყვეტია ნების გამოვლენის ნება, თუმცა შესაძლოა, სასამართლომ აღნიშნული კონვერსია განიხილოს, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ნების გამოვლენის მიერ გამოხატული სურვილი, კერძოდ, როდესაც მისი პოტენციური შესაძლო ნება შეცნობადი და სავარაუდოა. ეს შედეგი მისაღებია, მაგალითად, მაშინ, თუ მას სურს ხელშეკრულების დადებამდე არსებული პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, თუმცა ეს ხელშეკრულებიდან გასვლით განხორციელებს თუ შეცილებით, მისთვის არსებითად მნიშვნელოვანი არ არის.<sup>566</sup>

კონვერსიის აუცილებელი წინაპირობა არის პირველადი ნების გამოვლენის ბათილობა. იგი სახეზეა, თუ, მაგალითად, ხელშეკრულებიდან გასვლა განხორციელებულია იმგვარად, რომ კანონით დადგენილ წინაპირობებს არ აკმაყოფილებს. შესაბამისად, იგი, სსკ-ის 54-ე მუხლის მიხედვით, კანონით დადგენილ წესს ეწინააღმდეგება და ბათილია.

ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, ხელშეკრულებიდან გასვლა ბათილი აღმოჩნდება, თუ განსაკუთრებული უმადურობის ფაქტი ვერ დასტურდება, თუმცა უდავოა დასაჩუქრებულის მიერ გარიგების დადების მიზნით მოტყუების, ან ჩუქებლის მხრიდან დასაჩუქრებულის პიროვნების თვისებებში შეცდომა, რის შესაბამისადაც სახეზეა შეცილების ერთი ან რამდენიმე საფუძველი.

სსკ-ის 976-ე მუხლის გამოყენება შესაძლოა ასევე გამართლებული იყოს, თუ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით სასამართლო ვერ იღებს გადაწყვეტილებას მხოლოდ სსკ-ის 529-ე მუხლს შესაბამისად. სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, რომ სახეზეა კანონმდებლის მიერ დაუგეგმავი ხარვეზი, რომლის შევსების მიზნით სასამართლო ვალდებულია, ანალოგიის წესით გამოიყენოს სსკ-ის 352-ე ან სსკ-ის 976-ე და შემდგომი მუხლები.

აღნიშნულ ნორმათა ანალოგიის წესით გამოყენებისას სახელმძღვანელო უმნიშვნელოვანესი პრინციპი ის არის, რომ ზოგადი ნორმა შეზღუდული ფარგლებით უნდა გაგრცელებდეს. შესაბამისად, მისმა გამოყენებამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას სპეციალური ნორმით დასახული მიზნის განხორციელებას, არ შელახოს მისი დაცვითი ფუნქცია.<sup>567</sup> ორი ან რამდენიმე დამოუკიდებელი მოთხოვნის საფუძველის ერთობლივად და გარკვეული შეზღუდვებით გამოყენების შემთხვევას ურთიერთზეგამვლენ<sup>568</sup> კონკურენციასაც უწოდებენ.<sup>569</sup>

<sup>566</sup> Ahrens in Prütting/Wegen/Weinreich (Hrsg.), BGB Kommentar, 2006, § 140, RdNr. 10.

<sup>567</sup> შეად. Brandenburg, Die teleologische Reduktion, 1983, S. 37, 51; იხ. ასევე Bitter/Rauhut, Grundzüge zivilrechtlicher Methodik – Schlüssel zu einer gelungenen Fallbearbeitung, JuS, 2009, S. 297.

<sup>568</sup> „einwirkende“.

<sup>569</sup> შეად., მაგალითად: Georgiades, Die Anspruchskonkurrenz zum Zivilrecht und Zivilprozeßrecht, 1967, S. 86; Amsberg, Anspruchskonkurrenz, Cumul und Sameloop, 1994, S. 19. ანალოგიურად წყდება საკითხი



## VII. მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია შრომის ხელშეკრულების მოშლისას

შრომითსამართლებრივი და სხვა კერძოსამართლებრივი ნორმები და, შესაბამისად, ამ ნორმებიდან გამომდინარე მოთხოვნები ერთმანეთთან მიმართებით გამომრიცხავ ან ალტერნატიულ კონკურენციაში იმყოფებიან.

ერთი შეხედვით, უდავოა, რომ იმ შემთხვევაში, თუ შრომისსამართლებრივი მოთხოვნა არსებობს, ის უფრო სპეციალურად უნდა იქნეს განხილული, მასთან შედარებით უფრო ზოგად კერძოსამართლებრივ მოთხოვნასთან მიმართებით. შესაბამისად, მისი არსებობა უნდა გამორიცხავდეს სხვა კერძოსამართლებრივი მოთხოვნების განხორციელებას.

მიუხედავად ამისა, საგულისხმოა, რომ შრომისსამართლებრივი სპეციალური ნორმის შემუშავების მიზანი სწორედ დასაქმებულისათვის დაცვის უპირატესი რეჟიმის განსაზღვრაა და თუ სპეციალური ნორმიდან ადეკვატური დაცვა არ გამომდინარეობს, მისი მოწესრიგების სფეროს სივიწროვის მიუხედავად, მან შეიძლება არ ჩაანაცვლოს ზოგადი სამოქალაქოსამართლებრივი მოწესრიგება.

შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ შრომითსამართლებრივ და ვალდებულებითსამართლებრივ მოთხოვნას შორის ერთგვარი ალტერნატიული კონკურენცია წარმოიშვას. ის, თუ რომელი მოთხოვნის განხორციელებას მიენიჭება უპირატესობა ცალკეულ შემთხვევაში, დასაქმებულის ინტერესების ადეკვატურ რეალიზებაზეა დამოკიდებული და გადაწყდება დაცვის სტანდარტით გათვალისწინებული მიზნის უკეთ მიღწევის კონტექსტში.

### 1. შრომითსამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგების არსი

2006 წლიდან მოქმედი საქართველოს შრომის კოდექსის<sup>570</sup> შემუშავების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ეკონომიკურ სტაბილურობასა და შრომის თავისუფლებას შორის ადეკვატური ბალანსის დაცვაა.<sup>571</sup> სახელმწიფოს მიზანი ინდივიდთა ინტერესების რეალიზების უზრუნველყოფისას შრომითი ურთიერთობის მხარეების უფლებების იმ მოცულობით მოწესრიგებას გულისხმობს, რაც აუცილებელია „საერთო ჰარმონიის“ აღსადგენად.<sup>572</sup> შრომის სამართლის მიზანი, თავისი ისტორიული განვითარების თანახმად, არის დასაქმებულის დაცვა მისი ინტერესების უსაფუძვლო და არათანაზომიერი ხელყოფისაგან.<sup>573</sup>

#### 1.1 ქვემდებარეობის პრინციპი და თანაზომიერი დაცვის სტანდარტი

შრომითი ხელშეკრულება სხვა ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებებისგან „ქვემდებარეობის“ პრინციპის მოქმედებით განსხვავდება,

---

დელიქტური და სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციისას, როდესაც ხანდაზმულობის ვადებთან მიმართებით ხდება მათი შერწყმა თუ „ურთიერთხეგავლენა“.

<sup>570</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2006 წლის 19 ივნისი, №23, 183-ე მუხლი.

<sup>571</sup> *Frankenstein*, *Der Arbeitsschutz*, 1896, S. 14 f.

<sup>572</sup> *Lehmkuhl*, *Die sociale Fragen und die staatliche Gewalt*, 2. Aufl., 1893, S. 21; შეად. ასევე სსკ-ის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>573</sup> *Palandt/Weidenkaff*, *BGB Kommentar*, 67. Aufl., 2008, § 611, RdNr. 2 ff; *Lingemann* in *Prütting/Wegen/Weinreich* (Hrsg.), *BGB Kommentar*, 2006, § 611, RdNr. 16; *Lieb*, *Arbeitsrecht*, 8. Aufl., 2003, S. 4; *Benecke*, *Gesetzesumgehung im Zivilrecht*, 2004, S. 205 ff.

რაც დასაქმებლის მითითების უფლების საკანონმდებლო აღიარებასა<sup>574</sup> და დასაქმებულისათვის ადეკვატური დაცვის უზრუნველყოფით ვლინდება.<sup>575</sup>

საყურადღებოა, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის შრომითი ხელშეკრულება განიმარტებოდა როგორც ორმხრივად მავალდებულებელი ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება, რომლითაც ხელშემკვრელი მხარეები სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ ანაზღაურების გადახდას ითვალისწინებენ.<sup>576</sup> შესაბამისად, ამ პერიოდის დოქტრინაში შრომის ხელშეკრულების ორი ძირითადი მახასიათებელი იკვეთება: სამუშაო და ანაზღაურება.<sup>577</sup> შრომის ხელშეკრულების განმარტებისას გირკე სცდება ამ ორ ელემენტს და საუბრობს ქვემდებარეობაზე, რასაც ავტორი „პიროვნულ-სამართლებრივი“ და განსაკუთრებულ ნდობაზე დაფუძნებული შრომითი ურთიერთობისათვის დამახასიათებელ თვისებად განიხილავს.<sup>578</sup> ქვემდებარეობის პრინციპი, როგორც შრომითსამართლებრივი ურთიერთობის უმთავრესი ელემენტი, თანდათან უალტერნატივო გახდა.<sup>579</sup>

შრომის ხელშეკრულების თავისებურება კარგად არის ჩამოყალიბებული საქართველოში, 1920 წლის შრომის ხელშეკრულების შესახებ კანონის<sup>580</sup> პირველ მუხლში, რომლის თანახმად, შრომის ხელშეკრულებით „დაქირავებული თავის სამუშაო ძალას აძლევს სხვა პირს – დამქირავებელს – განსაზღვრული, განუსაზღვრელი, ან გარიგებული სამუშაოს დამთავრებამდე და ვალდებული ხდება, დამქირავებლის მიერ ნაჩვენები განსაზღვრული სახის მოქმედება შეასრულოს სასყიდლით – სამუშაო ფასით...“<sup>581</sup> ეს განმარტება ცხადყოფს, რომ შრომის ხელშეკრულების ფარგლებში დაქირავებული ვალდებულია, სამუშაო შეასრულოს დამქირავებლის მითითებების შესაბამისად, (დამქირავებლის მიერ „ნაჩვენები განსაზღვრული სახის მოქმედებები,“ რომელიც სამუშაოს შინაარსს განსაზღვრავს), რის სანაცვლოდაც დამქირავებელი ვალდებულია, მას გადაუხადოს შესაბამისი ანაზღაურება.

ფრანგულ დოქტრინაში დამკვიდრებულია მსგავსი მიდგომა, რომლის თანახმად, შრომითი ხელშეკრულება სხვა ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებისაგან იმით განსხვავდება, რომ დასაქმებული ვალდებულია, სამუშაო შეასრულოს პირადად, დაქვემდებარებულ მდგომარეობაში.<sup>582</sup>

<sup>574</sup> შეად. *ადეი შვილი/კერესელიძე*, საქართველოს შრომის კოდექსის პროექტი და კონტინენტური ევროპის ქვეყნების შრომის სამართლის ზოგიერთი ძირითადი პრინციპი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2003 (6), გვ. 4 და შემდგომში.

<sup>575</sup> შეად.: *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 7.

<sup>576</sup> Hess, Einfache und höhere Arbeit, 1905, S. 25.

<sup>577</sup> Lotmar, Der Arbeitsvertrag nach dem Privatrecht des deutschen Reiches Band 1, 1902, S. 53; შეად. Coing, Europäisches Privatrecht, Band 2, 19. Jahrhundert, Überblick über die Entwicklung des Privatrechts in den ehemals gemeinrechtlichen Ländern, 1985, S. 195.

<sup>578</sup> Gierke, Deutsches Privatrecht, Band 3, 1917, S. 594.

<sup>579</sup> Coing, Europäisches Privatrecht, Band 2, 19. Jahrhundert, Überblick über die Entwicklung des Privatrechts in den ehemals gemeinrechtlichen Ländern, 1985, S. 197.

<sup>580</sup> იხ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1990, საქართველოს დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 14 აგვისტოს კანონი შრომის ხელშეკრულების შესახებ.

<sup>581</sup> შრომის ხელშეკრულების შესახებ კანონის პირველი მუხლი.

<sup>582</sup> *ადეი შვილი/კერესელიძე*, საქართველოს შრომის კოდექსის პროექტი და კონტინენტური ევროპის ქვეყნების შრომის სამართლის ზოგიერთი ძირითადი პრინციპი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2003 (6), გვ. 10.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.“ გარდა ამისა, საქართველოს შრომის კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „დასაქმებული არის ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს.“ შესაბამისად, დასაქმებული არის პირი, რომელიც ვალდებულია იმყოფებოდეს სხვის სამსახურში,<sup>583</sup> ხოლო „სხვის სამსახურში ყოფნის ვალდებულება“ თავის თავში გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, დასაქმებულის დაქვემდებარებას დამსაქმებელზე.<sup>584</sup> აღნიშნული მოიაზრება ასევე „ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებშიც“, რომელიც სწორედ დამსაქმებლის მიერ სამუშაო პირობების მოწესრიგებას, მათ დადგენასა და დასაქმებულის მიერ ამ პირობებისადმი დაქვემდებარებას გულისხმობს.

თანამედროვე დოქტრინაში უდავოდ არის მიჩნეული ქვემდებარეობის პრინციპი შრომითი ხელშეკრულების ძირითად მახასიათებელ ნიშნად. დასაქმებული შებოჭილია დამსაქმებლის მითითების ფარგლებით.<sup>585</sup> საქართველოს შრომის კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „დამსაქმებელს უფლება აქვს, დასაქმებულისათვის მითითებით დააზუსტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოება, რომელიც არსებითად არ ცვლის ხელშეკრულების პირობებს.“ აღნიშნული შრომითსამართლებრივი ურთიერთობის მომსახურებისა თუ ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობისგან გამიჯვნის ძირითადი კრიტერიუმია.<sup>586</sup>

შესაბამისად, შრომითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარე დასაქმებული, როგორც პიროვნულად ისე ეკონომიკურად, დამოკიდებულია დამსაქმებელზე. ეს განაპირობებს დამსაქმებლის მიერ ამ დამოკიდებულების ბოროტად გამოყენების ალბათობას. ასეთი საფრთხის განეიტრალება სახელმწიფოს უფლებამოსილება და, იმავდროულად, ვალდებულებაა.<sup>587</sup>

ამ დაცვითი ფუნქციის განხორციელების ფორმაა ამა თუ იმ სამართლებრივ სივრცეში შრომის სამართლებრივი ურთიერთობის სპეციალური „დამცავი“ კანონმდებლობით მოწესრიგება.<sup>588</sup> საქართველოში შრომითსამართლებრივი

<sup>583</sup> შეად. *Staudinger/Richardi*, *Staudinger Kommentar zum BGB*, 2005, Einleitung, § 611, RdNr. 125 ff.

<sup>584</sup> *Lotmar*, *Der Arbeitsvertrag nach dem Privatrechts des deutschen Reiches*, Band 2, 1908, S. 898.

<sup>585</sup> შეად. *Hess*, *Einfache und höhere Arbeit*, 1905, S. 42.

<sup>586</sup> შეად. *ადგი შვილი/კერესელიძე*, საქართველოს შრომის კოდექსის პროექტი და კონტინენტური ევროპის ქვეყნების შრომის სამართლის ზოგიერთი ძირითადი პრინციპი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2003 (6), გვ. 4 და შემდგომში; ასევე იხ., მაგალითად, *Lieb*, *Arbeitsrecht*, 8. Aufl., 2003, S. 1, RdNr. 1.

<sup>587</sup> იხ., მაგალითად, *Lehmkuhl*, *Die sociale Fragen und die staatliche Gewalt*, 2. Aufl., 1893, S. 23; შეად. ასევე: *Schliemann*, *Das Arbeitsrecht im BGB, Kommentar*, 2. Aufl., 2002, § 611, RdNr. 18; *Ruffert*, *Vorrang der Verfassung und Eigenstaendigkeit des Privatrechts*, 2001, S. 424.

<sup>588</sup> დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის არსებული ურთიერთობის თანასწორობის რეჟიმში მოქცევა, მათი სტატუსის „გათანაბრება“ მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან აქტიურად განიხილება. ამ პერიოდის იურიდიულ დოქტრინაში აქტუალური ხდება „შრომელი ინდივიდის გათავისუფლების“ პრობლემა (*Oppenheim*, *Die Gewerbefreiheit und der Arbeitsvertrag*, 1880, S. 5), რასაც თანდათან მოჰყვა შრომის სამართლის, როგორც დასაქმებულის დამცავი ნორმების, სამართლის დამოუკიდებელი მიმართულების სახით ჩამოყალიბება. მაგალითად, საფრანგეთში შრომის სამართალს, როგორც დაცვით სამართალს, 1884 წელს მიღებული პროფესიული გაერთიანებებისა და 1898 წლის შრომის დაცვის შესახებ სპეციალური კანონმდებლობით

ურთიერთობის მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობა ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში ჩამოყალიბდა. განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია 1920 წლის კანონი შრომის ხელშეკრულების შესახებ, რომელიც დასაქმებულის ინტერესების დამცავ ნორმებს შეიცავს და დეტალურად აწესრიგებს ასევე ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივ საფუძვლებს.<sup>589</sup>

ხელშეკრულების მოშლის განსაკუთრებულად ლიბერალური მიდგომაა ასახული საქართველოს მოქმედ შრომის კოდექსში, რაც, ხშირ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენების აუცილებლობას განაპირობებს.

## 12 შრომითი სამართლის დამცავი ნორმების მიმართება ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებთან

შრომითი ურთიერთობის საფუძველი შრომის ხელშეკრულებაა. იგი, თავისი არსით, კერძოსამართლებრივი ბუნებისაა.<sup>590</sup> შესაბამისად, მასზე ვრცელდება მხარეთა თანასწორობისა<sup>591</sup> და ნების ავტონომიის<sup>592</sup> პრინციპები, ასევე კერძოსამართლებრივი კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი სხვა მოწესრიგება. შრომითი ურთიერთობის შინაარსი მხოლოდ იმ შემთხვევაში გასცდება კერძოსამართლებრივი კანონმდებლობის რეგულირების ფარგლებს, როდესაც კანონმდებლობით დადგენილია სპეციალური დამცავი მოწესრიგება.<sup>593</sup>

შრომის ხელშეკრულება ვალდებულებითი ხელშეკრულების სპეციალური სახეა. ამასთან, შრომითი ხელშეკრულების თავისებურება, რაც შრომითი ხელშეკრულების დადების შემდეგ მხარეთა თანასწორობის პრინციპის ერთგვარ ცვლილებაში ვლინდება, ანუ დასაქმებული ექცევა დამსაქმებლის გავლენის სფეროში და დამოკიდებული ხდება მის მითითებებზე,<sup>594</sup> კანონმდებლისა თუ მოსამართლის განსაკუთრებულ სიფხიზლეს საჭიროებს. დაუშვებელია, დამსაქმებლის მითითების უფლებამ სამუშაოს არსთან მიმართებით უფრო მეტად შეზღუდოს დასაქმებულის თავისუფლება.

შრომის ხელშეკრულება გრძელვადიან ხელშეკრულებათა სახეს მიეკუთვნება, შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება განგრძობადია, დროის ხანგრძლივ მონაკვეთზე გათვლილი, და მისი დროის გარკვეულ მომენტში ერთჯერადად შესრულება შეუძლებელია. შრომითი ხელშეკრულების ეს თავისებურება კიდევ უფრო ამყარებს დასაქმებულის დაქვემდებარებულ მდგომარეობას დამსაქმებელზე.<sup>595</sup>

---

ჩაყვარა საფუძველი. ამასთან, სპეციალური კანონების პარალელურად 1910 წლიდან შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი კანონი გახდა შრომის კოდექსი. იხ. *ადგი შვილი/კერესელოძე*, საქართველოს შრომის კოდექსის პროექტი და კონტინენტური ევროპის ქვეყნების შრომის სამართლის ზოგიერთი ძირითადი პრინციპი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2003 (6), გვ. 4.

<sup>589</sup> იხ. შრომის ხელშეკრულების შესახებ კანონის 73-ე მუხლი („დამქირავებლის მიერ შრომის ხელშეკრულების გაუქმება“).

<sup>590</sup> *Schaub, Arbeitsrechtshandbuch*, 9. Aufl., 2000, § 29, RdNr. 2.

<sup>591</sup> შეად. სსკ-ის პირველი მუხლის მოწესრიგება.

<sup>592</sup> *Stadthagen, Das Arbeitsrecht*, 1904, S. 14; შეად. სსკ-ის მე-9 და მე-10 II მუხლები.

<sup>593</sup> *Benecke, Gesetzesumgebung im Zivilrecht*, 2004, S. 205 ff.

<sup>594</sup> იხ. *ადგი შვილი/კერესელოძე*, საქართველოს შრომის კოდექსის პროექტი და კონტინენტური ევროპის ქვეყნების შრომის სამართლის ზოგიერთი ძირითადი პრინციპი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2003 (6), გვ. 10.

<sup>595</sup> *Schaub, Arbeitsrechtshandbuch*, 9. Aufl., 2000, § 29, RdNr. 8.

1920 წლის შრომის ხელშეკრულების შესახებ კანონის IV თავის მე-14 მუხლის თანახმად, შრომის ხელშეკრულების ყოველი პირობა დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე. თუმცა, ამავე მუხლის თანახმად, „ნამდვილად არ ჩაითვლება ისეთი პირობა, რომელიც... აუარესებს მშრომელის მდგომარეობას წარმოებაში, შინაური წესრიგისა და შრომის დამცველი კანონებით დაწესებულ პირობებთან შედარებით.“

კანონმდებელი თანმიმდევრულია: იგი, ერთი მხრივ, შრომის ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის ძირითად წყაროდ მხარეთა შეთანხმებას განიხილავს, თუმცა იქვე აზუსტებს, რომ სახელშეკრულებო თავისუფლება შრომით ურთიერთობაში იზღუდება დასაქმებულის ინტერესების სასარგებლოდ.

დღეს მოქმედი შრომის კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით.“ შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ კანონმდებლის მიზანია, ცალსახად მიანიჭოს უპირატესობა შრომის კოდექსის დებულებებს, იმის მიუხედავად, აუმაჯობებს თუ არა ისინი დასაქმებულის მდგომარეობას სსკ-ის მოწესრიგებასთან მიმართებით. ამდენად, განსაკუთრებულ ანალიზს საჭიროებს ამ ნორმის შინაარსის განმარტება, ზოგადად, შრომითი ურთიერთობების მოწესრიგების არსთან ურთიერთკავშირში. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია სახელშეკრულებო თავისუფლების ანალიზი, ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებისა და, მეორე მხრივ, ხელშეკრულების მოშლის თვალსაზრისით.

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის თანახმად, პირებს შეუძლიათ, თავისუფლად დაამყარონ სახელშეკრულებო ურთიერთობა, განსაზღვრონ საკუთარი უფლება-მოვალეობები, თუ ისინი წინააღმდეგობაში არ მოვლენ კანონის ნორმებთან.<sup>596</sup> ამასთან, სადავოა ის, თუ რამდენად უნდა ჰქონდეს დამსაქმებელს, ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების დადების მსგავსად, სრული თავისუფლება, თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს, დადებს თუ არა, ან რა შინაარსით დადებს ხელშეკრულებას ამა თუ იმ პირთან.<sup>597</sup>

სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რომელშიც გარკვეულწილად დარღვეულია მხარეთა თანასწორობა, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის მოქმედება, დასაშვებია, შეიზღუდოს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს მხარეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათანაბრება. სწორედ მხარეთა ინტერესების დაბალანსებას ემსახურება სსკ-ის 319-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, რომლებიც ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობის მქონე პირებს ან მეწარმეებს, როგორც უფრო ძლიერ და გამოცდილ მხარეს, სამოქალაქო ბრუნვაში ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებს უვიწროვებს და გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს.

შრომით სამართალშიც მიზანშეწონილია გარკვეული დამცავი ნორმების გათვალისწინება, მაგალითად, წინასახელშეკრულებო ურთიერთობების

<sup>596</sup> Menger, Das Bürgerliche Recht und die Besitzlosen Volksklassen, 1890, S. 143.

<sup>597</sup> საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები; შეად.: Endemann, Lehrbuch des bürgerlichen Rechts, 6. Aufl., Band 1: Einleitung; allgemeiner Theil: Recht der Schuldverhältnisse, 1899, S. 427; Menger, Das Bürgerliche Recht und die Besitzlosen Volksklassen, Tübingen, 1890, S. 3, 146; Marcus, Das Recht der Privatversicherung nach den allgemeinen Lehren des Entwurfes eines Reichsgesetzes über Versicherungsvertrag, 1907, S. 7.

თავისებურებების უკეთ მოსაწესრიგებლად.<sup>598</sup> ამასთან, მოქმედებს ხელშეკრულების ცალკეული დებულების საეჭვოობისას მისი შინაარსის დასაქმებულის სასარგებლოდ განმარტების ალტერნატივა.<sup>599</sup>

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა უვადო, ანუ განუსაზღვრელი ვადით, დადებული შრომის ხელშეკრულებისა და მისი ვადიან ხელშეკრულების დადებასთან მიმართებით ანალიზი. შრომითი ხელშეკრულების ტიპური სახეა უვადო ხელშეკრულება,<sup>600</sup> თუმცა ის შესაძლოა დაიდოს ასევე განუსაზღვრელი ვადით. ამასთან, ვადის დაწესება არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ დამსაქმებელი მხოლოდ იმიტომ დებს ასეთ ხელშეკრულებას, რომ მისი მეშვეობით უვადო ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედი დაცვითი ნორმების გვერდის ავლა სურს. აღნიშნული სახეზეა, როდესაც დამსაქმებელს განსაზღვრული ვადით ხელშეკრულების დადების ობიექტური საფუძველი არ აქვს.<sup>601</sup>

კანონით დადგენილი მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლება<sup>602</sup> მოხვედრებითა,<sup>603</sup> ვინაიდან შრომითი ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ერთნაირად თავისუფალნი არ არიან თავიანთ გადაწყვეტილებაში. დასაქმებული, ხშირ შემთხვევაში, იძულებული ხდება, დათანხმდეს დამსაქმებლის მიერ შეთავაზებული ხელშეკრულების ამა თუ იმ პირობას, მათ შორის შრომის ხელშეკრულების განსაზღვრული ვადით დადებას, მიუხედავად იმისა, მოსწონს თუ არა იგი და აცნობიერებს თუ არა, რამდენად საზიანოა ეს პირობა მისთვის.<sup>604</sup>

შესაბამისად, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი შრომით ურთიერთობაში სახეშეცვლილი ფორმით მოქმედებს. მაგალითად, გერმანიის ფედერალური შრომის სასამართლოს განმარტებით, შრომით ურთიერთობაში დარღვეულია სახელშეკრულებო თანასწორობა,<sup>605</sup> რაც დასაქმებულის ინტერესების დაცვის უზრუნველყოფას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.<sup>606</sup> ამ თვალსაზრისით, დიდია სასამართლოს როლი შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში, სპეციალური პრინციპებისა თუ ქცევის წესების შემუშავების თვალსაზრისით.<sup>607</sup> მაგალითად, შესაძლებელია დადგინდეს, რომ, თუ განსაზღვრული ვადით ხელშეკრულების დადების გამოკვეთილი და საფუძვლიანი ინტერესი არ არსებობს, ხელშეკრულება იდება განუსაზღვრელი ვადით.

შრომის სამართალი იცავს დასაქმებულს, როგორც ხელშეკრულების უფრო „სუსტ“ მხარეს. იგი დასაქმებულის დასაცავად ადგენს მინიმალურ

<sup>598</sup> იხ. საქართველოს შრომის კოდექსის მე-5 მუხლი.

<sup>599</sup> *Schaub, Arbeitsrechtshandbuch*, 9. Aufl., 2000, § 2, RdNr. 5-6.

<sup>600</sup> იხ., მაგალითად, *Schliemann, Das Arbeitsrecht im BGB, Kommentar*, 2. Aufl., 2002, S. 164; *Hümmerich/Boecken/Düwell, Anwaltkommentar, Arbeitsrecht*, Band 2, 2007, RdNr. 53.

<sup>601</sup> *Schaub, Arbeitsrechtshandbuch*, 9. Aufl., 2000, § 38, RdNr. 1.

<sup>602</sup> იხ. საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>603</sup> შეად. *Ruffert, Vorrang der Verfassung und Eigenstaendigkeit des Privatrechts*, 2001, S. 424; *Hess, Einfache und höhere Arbeit*, 1905, S. 59.

<sup>604</sup> *Böniger, Die Bestrafung des Arbeitsvertragsbruchs der Arbeiter, insbesondere der gewerblichen Arbeiter*, 1891, S. 8.

<sup>605</sup> „gestörte Vertragsparität“.

<sup>606</sup> *Däubler, Das Arbeitsrecht* 2, 1990, S. 77.

<sup>607</sup> *Keil, Die Systematik privatrechtlicher Rechtsprechungsänderungen*, 2007, S. 16.

სტანდარტებს, და მათი შეცვლა-დაზუსტება სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში მხოლოდ დასაქმებულის სასარგებლოდაა შესაძლებელი.<sup>608</sup>

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ხელშეკრულების მოშლის ლიბერალური მიდგომა, კანონის ნორმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის გათვალისწინების პოპულარობის გათვალისწინებით, სწორედ სასამართლოს მიერ არის დასაძლევნი. სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენების აუცილებლობის დასაბუთება, მაშინ როდესაც „შრომითსამართლებრივი“ მოწესრიგება დასაქმებულისთვის უფრო ნაკლებ დაცვის სტანდარტს ითვალისწინებს, უაღტერნატივოა. შრომითსამართლებრივი დამცავი ნორმების შემუშავების არსიდან გამომდინარე, შეუძლებელია ჩაითვალოს, რომ კანონმდებლის მიზანი შრომის სამართლით დასაქმებულის უფრო ნაკლები დაცვა იყო, ვიდრე ეს შრომისსამართლებრივი მოწესრიგების გარეშე იქნებოდა. ასეთი განმარტება საქართველოს კონსტიტუციურ ფასეულობებს ეწინააღმდეგება.<sup>609</sup>

ხედავ, თითქოს საქართველოში კანონმდებლის მიერ შეგნებულად ითქვას უარი შრომითსამართლებრივი დამცავი ნორმების მოწესრიგებაზე, რაც სპეციალური მოწესრიგების გამოყენებას უნდა განაპირობებდეს, საქართველოში მოსამართლის ერთგვარი გამოცდაა. კანონთან და თავის თავთან, ანუ შინაგან რწმენასთან, დარჩენილი მოსამართლე იძულებული იქნება, მისი ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებისკენ მიდრეკილების მიუხედავად, შრომისსამართლებრივი და სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების ალტერნატიული კონკურენციის საფუძველზე, არჩევანი დასაქმებულისთვის უპირატესი შედეგის სასარგებლოდ გააკეთოს. ამ კონტექსტში გამართლებულია შესაბამისი ნორმების კუმულაციაც.<sup>610</sup>

შესაბამისად, სხვა სახელმწიფოთა მოწესრიგებისაგან განსხვავებით, სადაც ვალდებულებითსამართლებრივ მოთხოვნებთან მიმართებით შრომისსამართლებრივ მოთხოვნებს გამომრიცხავი ფუნქცია აკისრიათ, საქართველოში მათ შორის ალტერნატიული კონკურენციისა და, უფრო მეტიც, კუმულაციური ურთიერთმიმართების აღიარება უნდა მოხდეს.

## 2. შრომითი ხელშეკრულების მოშლა

დამსაქმებლისა და დასაქმებულის ინტერესებს შორის ადეკვატური ბალანსის დაცვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტის პრაქტიკაში სწორად დანერგვის კონტექსტში. ხელშეკრულების მოშლის მეორადი მოთხოვნის რეალიზებისას წარმოშობილი სამოქალაქოსამართლებრივი და შრომისსამართლებრივი მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციისას მხედველობაშია მისაღები შრომისსამართლებრივი მოწესრიგების შემუშავების

<sup>608</sup> ადგილზე/კერესელიძე, საქართველოს შრომის კოდექსის პროექტი და კონტინენტური ევროპის ქვეყნების შრომის სამართლის ზოგიერთი ძირითადი პრინციპი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2003 (6), გვ. 10.

<sup>609</sup> სოციალური ღირებულებების დამკვიდრება, როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაშია ჩამოყალიბებული, კერძოდ, საქართველოს მოქალაქეთა „ურყევი ნებაა დაამკვიდრონ... სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო...“.

<sup>610</sup> სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპის თანახმად, ხარვეზების შევსების სასამართლოს უფლებამოსილებასა თუ ვალდებულებასთან დაკავშირებით შეად. *Jelinek*, Ein Verfassungsgerichtshof für Österreich, 1885, S. 56; *Zitelmann*, Lücken im Recht, 1903, S. 6, 9.

მიზანი – დასაქმებულის დაცვა მისი ინტერესების არათანაზომიერი შეზღუდვისგან.

## 2.1 შრომითი ხელშეკრულების მოშლა შრომის კოდექსის თანახმად

საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლი განსაზღვრავს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს. ამ ნორმიდან გამომდინარე, ხელშეკრულების შეწყვეტა, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, გულისხმობს ხელშეკრულების დასრულებას, ანუ მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად დამდგარ სამართლებრივ შედეგს, – ე.წ. „იურიდიულ ფაქტს“,<sup>611</sup> ხელშეკრულების შეწყვეტა განპირობებულია სხვადასხვა საფუძვლით, მათ შორის ხელშეკრულების მხარის გარდაცვალებით.<sup>612</sup> საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ხელშეკრულება წყდება ასევე ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების პირობის დარღვევით, ხოლო „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომის ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე. ეს ორი საფუძველი დეტალურ ანალიზს მოითხოვს.

ბუნდოვანია კანონმდებლის ნება საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულების დარღვევა, მისი სახის, სიმძიმისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, წარმოშობს ვალდებულების დარღვევის გამო მეორადი მოთხოვნის წაყენებისა და განხორციელების უფლებას. ამის საპირისპიროდ, სამართლებრივად წარმოუდგენელია, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობის დარღვევამ „ავტომატურად“ გამოიწვიოს ხელშეკრულების შეწყვეტა, როგორც იურიდიული ფაქტი. ვალდებულების დარღვევას ხელშეკრულების შეწყვეტა ვერ მოჰყვება იმ პირის ნების გამოვლენისაგან დამოუკიდებლად, რომლის მიმართაც დარღვეულ იქნა ვალდებულება.

თუ კანონმდებელმა ხელშეკრულების „შეწყვეტა“ უფლებამოსილი პირის ნების გამოვლენად მიიჩნია,<sup>613</sup> უდავოდ სახეზეა ტერმინოლოგიური უზუსტობა. მხარის ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია ხელშეკრულების შეწყვეტაზე, სორციელდება ხელშეკრულების მოშლით, ანუ ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით. აღნიშნული შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის დამოუკიდებელი საფუძველია საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ამდენად, „გ“ ქვეპუნქტის მოწესრიგება აზრს მოკლებულია.

საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის გ) და დ) ქვეპუნქტების გამიჯვნით, სავარაუდოდ, კანონმდებელმა განასხვავა ხელშეკრულების მოშლა ვალდებულების დარღვევის გამო ხელშეკრულების მოშლისაგან სხვა პატივისადები საფუძველით.<sup>614</sup> ასეთი ნების არსებობის

<sup>611</sup> ტერმინ „იურიდიული ფაქტის“ მნიშვნელობასთან დაკავშირებით იხ. *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 76, 461-ე სქოლიო.

<sup>612</sup> *Kardinahl*, Darstellung der Rechtsgrundlagen für die Beendigung eines Arbeitsverhältnisses gegen Zahlung einer Abfindung im deutschen Arbeitsrecht, 2008, S. 5.

<sup>613</sup> შეად. სსკ-ის 51-ე მუხლი.

<sup>614</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 31 მარტი №ას-772-987-08 განჩინება.



შემთხვევაშიც ეს გამოიყვნა არაფრისმომცემია, ვინაიდან შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი ორივე შემთხვევაში საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების მოშლაა.

ნიშანდობლივია, რომ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, დასაქმებულის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა აძლევს დამსაქმებელს უფლებას, საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „გაათავისუფლოს იგი სამუშაოდან“,<sup>615</sup> ანუ მოშალოს შრომითი ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში სასამართლო მართებულად გასცდა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას და განმარტა, რომ ეს უკანასკნელი წარმოშობს ხელშეკრულების მოშლის უფლებას.

საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, რომ შრომითი ხელშეკრულების მოშლა შესაძლოა ერთ-ერთი მხარის ინიციატივით ამ მუხლით დადგენილი წესით. თუმცა, ხელშეკრულების მოშლის წესსა და წინაპირობებს აღნიშნული მუხლი არ განსაზღვრავს.

იმისათვის, რომ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილემ განახორციელოს ესა თუ ის მოთხოვნა, იგი უნდა ემყარებოდეს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნის საფუძველს. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, თავის მხრივ, უნდა შეიცავდეს ზუსტად განსაზღვრული შემადგენლობის ნიშნებს, ანუ წინაპირობებს. ამ წინაპირობების არსებობისას მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს შესაბამისი მოქმედების განხორციელება ან მისი ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით გამოიწვიოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სამართლებრივი შედეგის დადგომა. შესაბამისად, მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ნორმის შემადგენლობისა და სამართლებრივი შედეგისაგან.<sup>616</sup>

საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლი არ შეესაბამება მოთხოვნის ძირითადი საფუძვლისათვის წაყენებულ მოთხოვნებს. იგი ადგენს სამართლებრივ შედეგს: „უფლება აქვს, მოშალოს ხელშეკრულება“, თუმცა არ განსაზღვრავს, თუ რა საფუძველითა და რა წინაპირობების დაცვით ხორციელდება ეს უფლება. შესაბამისად, იგი შესაძლოა განხილულ იქნეს მხოლოდ როგორც მოთხოვნის დამატებითი სამართლებრივი საფუძველი მოთხოვნის ძირითად საფუძველთან ერთობლიობაში.

ამ საკითხზე პრაქტიკაში არსებული მოსაზრებები წინააღმდეგობრივია და ხშირად საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე და 38-ე მუხლები მოთხოვნის ძირითად სამართლებრივ საფუძველად განიხილება, მიუხედავად იმისა, რომ ეს მუხლები არ აწესრიგებს ხელშეკრულების მოშლის წესსა და პირობებს.<sup>617</sup>

<sup>615</sup> შეად. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის განჩინება; იხ. უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 2 მაისის №ას-54-338-08 განჩინება.

<sup>616</sup> შეად., მაგალითად: ბიოლინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მე-2 გამოცემა, 2004, გვ. 38; ბიოლინგი/ლუტრინგაუსი/შატერაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2005, გვ. 166.

<sup>617</sup> შეად. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის განჩინება, რომელიც ძალაში იქნა დატოვებული საქართველოს უზენაესი

საქართველოს შრომის კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, „შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელთაც არ აწესრიგებს ეს კოდექსი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.“ საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და 38-ე მუხლის პირველი ნაწილის რეგულირება, უდავოდ, არასაკმარისია იმისათვის, რომ ისინი მოთხოვნის ძირითად თუ დამოუკიდებელ საფუძვლად იქნნენ მიხნეულნი. შრომითი ხელშეკრულების მოშლის წინაპირობები და პროცედურა არის საკითხები, „რომელთაც არ აწესრიგებს ეს კოდექსი“, რაც, შესაბამისად, სსკ-ით მოწესრიგებული გრძელვადიანი ხელშეკრულების მოშლისათვის გათვალისწინებული წესისა და პირობების გამოყენების აუცილებლობას განაპირობებს.

## 2.2 ხელშეკრულების მოშლის ზოგადი წესი

### 2.2.1 ვალდებულების დარღვევა და გაფრთხილების ვალდებულება

სსკ-ის 399-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში ხელშეკრულების მხარის მიერ ვალდებულების დარღვევისას გამოიყენება სსკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებული წესი. მხარეს, რომელმაც დაარღვია ვალდებულება, მეორე მხარის მიერ განესაზღვრება დამატებითი ვადა ნაკლის გამოსასწორებლად, ან ვალდებულების დარღვევის სპეციფიკის გათვალისწინებით მიეცემა გაფრთხილება.

შრომითი ურთიერთობის თავისებურება, როგორც წესი, სწორედ გაფრთხილების გამოყენებას გულისხმობს. გაფრთხილების „უშედეგობის“, ანუ შესაბამისი დარღვევის გამეორების შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია, მოშალოს ხელშეკრულება.

ასეთი მოწესრიგების მიზანია თანაზომიერების პრინციპის დაცვა. ხელშეკრულების მოშლა ინტერესთა კონფლიქტის დარეგულირების უკიდურესი ზომაა. შესაბამისად, დაუშვებელია ხელშეკრულების მოშლა, თუ არსებობს დამსაქმებლის ინტერესების დაცვის ისეთი საშუალება, რომელიც დასაქმებულისათვის ნაკლებად საზიანოა. შედარებისათვის, საქართველოს შრომის კოდექსის პროექტის 119-ე მუხლი დეტალურად არეგულირებდა ხელშეკრულების მოშლის მიზანშეწონილობის საკითხს. მაგალითად, ამ ნორმის პირველ ნაწილში მითითებული იყო, რომ „[დამსაქმებლის] მიერ ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი თავიდან აცილება შეუძლებელია [დასაქმებულისთვის] ნაკლებად მკაცრი შედეგის გამომწვევი საშუალებით, მესამე პირის კანონიერი ინტერესების შეუღახავად.“<sup>618</sup>

დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის გაფრთხილება მიზნად ისახავს შრომითი ურთიერთობის გადარჩენას. დამსაქმებელი დასაქმებულს იმ გარემოებებზე უთითებს, რაც შემდგომი ურთიერთობის გაგრძელებას საფრთხეს უქმნის. შესაბამისად, გაფრთხილების დანიშნულებაა დასაქმებულის მიერ აღნიშნული

სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის №ას-873-1183-07 განჩინებით.

<sup>618</sup> შრომის კოდექსის ზოგადი და ინდივიდუალური ნაწილის პროექტი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2003 (6), გვ. 72.

გარემოებების არსებობის, მისი აღკვეთის აუცილებლობისა და შესაძლო სამართლებრივი შედეგების გაცნობიერება. იმ შემთხვევაში, თუ გაფრთხილებას სასურველი შემდეგი არ მოჰყვება, დამსაქმებელი უფლებამოსილია, მოშალოს შრომითი ხელშეკრულება.<sup>619</sup>

გასათვალისწინებელია, რომ თვით გაფრთხილებაც უნდა ჯდებოდეს თანაზომიერების ჩარჩოებში, კერძოდ, გაფრთხილება, რომელიც უმნიშვნელო საფუძველით ხორციელდება, არ ჩაითვლება ნამდვილად და, შესაბამისად, არ წარმოშობს ხელშეკრულების მოშლის უფლებას.<sup>620</sup>

## 2.2.2 ხელშეკრულების მოშლა გაფრთხილების გარეშე

სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია გამონაკლისი, როდესაც გაფრთხილება არ არის აუცილებელი. მაგალითად, თუ აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგები არ მოჰყვება, ან „განსაკუთრებული საფუძველებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივი მოშლა.“

ეს საფუძველები, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა უკავშირდებოდეს დასაქმებულის პირად თვისებებს, როგორებიცაა, მაგალითად, დასაქმებულის შრომის უნარის სრულად ან ნაწილობრივ დაკარგვა,<sup>621</sup> ან დასაქმებულის მხრიდან ისეთი ხასიათისა და სიმძიმის ვალდებულების დარღვევა, რომელიც, თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, ამართლებს დამსაქმებლის მიერ ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლას.<sup>622</sup> ასეთი შემთხვევაა, მაგალითად, დაწესებულების ბუღალტრის მიერ სამსახურებრივი თანხების მითვისება ან გაფლანგვა, რაც იწვევს დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის მიმართ ნდობის შეუქცევადად შერყევას. ამა თუ იმ გარემოების შეფასებისას განმსაზღვრელია ის, თუ რამდენად არის შესაძლებელი სახელშეკრულებო ურთიერთობის „გადარჩენა“.

ვინაიდან ხელშეკრულების მოშლა უკიდურესი ზომაა, მხარეს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აღნიშნული უფლება, თუ არ არსებობს მხარეთა შორის დავის მოგვარების უფრო მსუბუქი ზომა. სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია, თუ ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა, ან, თუ სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნების დარღვევის მიუხედავად, მხარეს შესაძლოა მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება.<sup>623</sup>

ამასთან, სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილით მოწესრიგებული გაფრთხილების ვალდებულებისაგან უნდა გაიმიჯნოს ხელშეკრულების მოშლის შესახებ შეტყობინება. გაფრთხილების ვალდებულება არის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულების მოშლის წინაპირობა, რომელიც ემსახურება ხელშეკრულების შენარჩუნების მიზანს. შესაბამისად, როგორც დამატებითი ვადის დაწესება, ასევე გაფრთხილება

<sup>619</sup> Lieb, Arbeitsrecht, 8. Aufl., 2003, S. 113, RdNr. 359 f.

<sup>620</sup> Schaub, Arbeitsrechtshandbuch, 9. Aufl., 2000, § 61, RdNr. 46-50.

<sup>621</sup> ზოდუ, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, გვ. 439.

<sup>622</sup> Lieb, Arbeitsrecht, 8. Aufl., 2003, S. 113, RdNr. 360.

<sup>623</sup> შეად. ზოდუ, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, გვ. 440 და შემდგომში.

ვლინდება ვალდებულების დამრღვევი მხარისათვის დამატებითი შესაძლებლობის მიცემით, გამოასწოროს სახელშეკრულებო ურთიერთობის დამაბრკოლებელი გარემოება. ამის საპირისპიროდ, ხელშეკრულების მოშლის შესახებ შეტყობინების (რომელიც მოწესრიგებული იყო 2006 წლამდე მოქმედ შრომის კანონთა კოდექსში<sup>624</sup> და განსაზღვრულია „ევროპის სოციალური ქარტიის“<sup>625</sup> მე-4 მუხლის მე-4 ნაწილით) მიზანია დასაქმებულის მინიმალური სოციალური დაცვა, რათა დასაქმებულს მიეცეს გონივრული ვადა, მოძებნოს ხელშეკრულების მოშლამდე პერიოდში დასაქმების სხვა ალტერნატივა.

შრომის ხელშეკრულების მოშლის კანონიერების შეფასებისას საქართველოს უზენაესი სასამართლო მართებულად მიიჩნევს, რომ სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს „ევროპის სოციალური ქარტიის“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით, რომელიც აღიარებს დამსაქმებლის ვალდებულებას, წინასწარ შეატყობინოს დასაქმებულს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. სასამართლო აქვე განმარტავს, რომ, ქარტიის დანართის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სამსახურიდან დაუყოვნებლივ დათხოვნა (მოშლის შესახებ წინასწარ შეტყობინების გარეშე) დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა დასაქმებულის მხრიდან შრომის ხელშეკრულების „სერიოზული“ დარღვევა. ამდენად, გასაზიარებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება, რომ ქარტიის მითითებული ნორმა გამოყენებული უნდა იქნეს დანართში მითითებულ დებულებასთან ერთობლიობაში და, ცალკეულ შემთხვევაში, უნდა დადგინდეს, თუ რა სახისა და სიმძიმის დარღვევამ განაპირობა დასაქმებულის დაუყოვნებლივ დათხოვნა სამსახურიდან.<sup>626</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელია, სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს სამართლებრივად დასაბუთებული გადაწყვეტილება.

„ევროპის სოციალური ქარტიის“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის განმარტებიდან, ქარტიის დანართის მე-2 ნაწილის შესაბამისად, არ გამოძინარეობს ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლის აკრძალვა. დამსაქმებელს უფლება აქვს, მოშალოს ხელშეკრულება დასაქმებულისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე, თუ სახეზეა დამსაქმებლის მიერ ვალდებულების ისეთი უხეში დარღვევა, რომელიც ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლას „ამართლებს“.

დასაქმებულის მხრიდან უხეში დარღვევა იმგვარად ხელყოფს ხელშეკრულების საფუძველს, რომ დამსაქმებელს ხელშეკრულების ერთი დღით გაგრძელებაც კი არ შეიძლება მოეთხოვოს.<sup>627</sup> ხელშეკრულების მოშლა წინასწარ შეტყობინების გარეშე, ანუ მოშლისათვის გათვალისწინებული ვადის დაცვის გარეშე, უკიდურესი ზომაა და გამართლებული იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ზომების გამოყენება ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით გამორიცხებულია. ასეთი შეიძლება იყოს კეთილსინდისიერებისა<sup>628</sup> და გულისხმიერების<sup>629</sup> ვალდებულების უხეში დარღვევა, კონფიდენციალურობის

<sup>624</sup> შეად. 1973 წლის საქართველოს სსრ-ის სამოქალაქო კოდექსის 42<sup>2</sup>-ე მუხლი, რომლის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულს ხელშეკრულების მოშლის შესახებ შეატყობინოს მინიმუმ ერთი თვით ადრე, რისი მიღებაც დასაქმებულმა, თავის მხრივ, წერილობით უნდა დაადასტუროს.

<sup>625</sup> რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 1 ივლისის №1876-რს დადგენილებით.

<sup>626</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის №ას-911-1218-07 განჩინება.

<sup>627</sup> Urteil vom 24.03.2006, Zivilabteilung des schweizerischen Bundesgerichts, 4C.400/2005/sza.

<sup>628</sup> შეად. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი და სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>629</sup> შეად. სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

დაცვის ვალდებულების დარღვევა და სხვა,<sup>630</sup> რაც იწვევს ნდობის საბოლოო დაკარგვას და ამართლებს ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლას. ასეთი საფუძველი, უდავოდ, სახეზეა დასაქმებულის მიერ დანაშაულებრივი ქმედების<sup>631</sup> ჩადენაში საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას (მაგალითად: ქრთამის აღება, ქურდობა, თაღლითობა, კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელება<sup>632</sup>). ამასთან, ვალდებულების უხეში დარღვევის მტკიცების ტვირთი ხელშეკრულების მომშლელ მხარეს აწევს.<sup>633</sup>

## 2.3 ხელშეკრულების მოშლის სამოქალაქოსამართლებრივი და შრომისსამართლებრივი მოთხოვნის საფუძვლების მიმართება

შრომის სამართლის ნორმებით, დასაქმებულთა უფლებების დაცვა ეკონომიკურად და სოციალურად უფრო ძლიერი დამსაქმებლის თავისუფლების თანახომიერ შეზღუდვას ემსახურება, დასაქმებულის დაცვის ღირსი ინტერესების უზრუნველსაყოფად.<sup>634</sup> კონკრეტული შემთხვევის მარეგულირებელი ნორმების არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება მასთან არსითა და მიზნით ყველაზე ახლოს მდგომი სამართლის ნორმა.

### 2.3.1 სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების გამოყენების მიზანშეწონილობა

კანონის ანალოგია გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი შემთხვევისათვის კანონის ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი უნდა გავრცელდეს არსებითად მსგავს, მაგრამ სამართლებრივად მოუწესრიგებელ, შემთხვევაზე.<sup>635</sup> ვინაიდან საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე და 38-ე მუხლებში არ არის გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის წინაპირობები, ხოლო სპეციალური შრომისსამართლებრივი ნორმის მიღება მხოლოდ დასაქმებულის ინტერესების უკეთ რეალიზებას უნდა ემსახურებოდეს, ამ შემთხვევაში, შესაძლებელია საკანონმდებლო ხარვეზზე საუბარი.

ხარვეზის არსებობა უდავოდ მიიჩნევა, როდესაც ერთი შემთხვევის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმა არსებობს, ხოლო მეორე, მისი მსგავსი შემთხვევისა, არა.<sup>636</sup> ამასთან, ხელშეკრულების მოშლა შრომის სამართალში არათუ მინიმალურ სამოქალაქოსამართლებრივ დაცვის სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს, არამედ არსებითად მასზე უპირატეს დაცვის რეჟიმს უნდა აწესებდეს.

შესაბამისად, ყველაზე მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმაა სსკ-ის 399-ე მუხლი, რომელიც აწესრიგებს გრძელვადიანი ხელშეკრულების მოშლის წესსა და პირობებს პატივსადები საფუძვლის არსებობისას ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად.

<sup>630</sup> Benda, Industrielle Herrschaft und sozialer Staat, 1966, S. 461.

<sup>631</sup> Schliemann, Das Arbeitsrecht im BGB, Kommentar, 2. Aufl., 2002, S. 828.

<sup>632</sup> LAG Thüringen, Urteil vom 09.12.2003 – 5 Sa 157/02, 5 Ca 1580/01 Arbeitsgericht Gera, Beck-Rechtspredung, 2009, 68120.

<sup>633</sup> Krüger, Fristlose Kündigung, 2005, S. 12.

<sup>634</sup> Stadthagen, Das Arbeitsrecht, 1904, S. 15.

<sup>635</sup> Lücke, Auslegung, Rechtsfortbildung und Verfassung am Beispiel vorläufiger Gesetze, Urteile, Beschlüsse und Verwaltungsakte, 1991, S. 102.

<sup>636</sup> შეად. Zitelmann, Lücken im Recht, 1903, S. 24.

გრძელვადიანია ურთიერთობა, რომლის მხარეებს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში წარმოეშობათ განგრძობითად შესასრულებელი ვალდებულებები. მათ რიცხვს განეკუთვნება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობაც.<sup>637</sup>

პატივსაღებია საფუძველი, როდესაც ხელშეკრულების მომწოდებელ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ შორის დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების გაგრძელება ხელშეკრულების ვადის ან მისი მოშლისათვის გათვალისწინებული ვადის გასვლამდე.<sup>638</sup>

შესაბამისად, სსკ-ის 399-ე მუხლი უნდა გავრცელდეს შრომით ურთიერთობებში შრომითი ხელშეკრულების პატივსაღები საფუძველით მოშლის შემთხვევაზე. ამასთან, მოსამართლე ასეთ შემთხვევაში ისარგებლებს ანალოგიის ინსტიტუტით, თუ სსკ-ის 399-ე მუხლის გამოყენებას დაასაბუთებს შრომისსამართლებრივი, როგორც უპირატესი დაცვის სტანდარტის დამდგენი, ნორმის შემუშავების მიზნით არაარსებითია.

ცხადია, შრომითი ხელშეკრულება ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ერთ-ერთი სახეა და მისი მომწესრიგებელი სპეციალური ნორმებით ამ ურთიერთობის თავისებურების გათვალისწინება უნდა მოხდეს. შრომის სამართლის ძირითადი პრინციპი, დაიცვას დასაქმებულის ინტერესები, განამტკიცებს მოსაზრებას, რომ დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს სსკ-ით დადგენილი ზოგადი წესებით დადგენილი მინიმალური დაცვით.

საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა და 38-ე მუხლის თანახმად, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია ხელშეკრულების მოშლა. ამასთან, საქართველოს შრომის კოდექსის პირველი მუხლის შესაბამისად, შრომით ხელშეკრულებაზე უნდა გავრცელდეს ყველა ზოგადი, სხვა ხელშეკრულებების მიმართ მოქმედი, წესი, თუ შრომის კოდექსითა და სპეციალური კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული შრომითი ურთიერთობის მარგულირებელი სპეციალური წესი. ცხადია, ეს ვრცელდება ასევე გრძელვადიანი ხელშეკრულების მოშლაზე, პატივსაღები მიზეზის არსებობისას.

ამასთან, შრომითსამართლებრივი ურთიერთობის სპეციალური კანონმდებლობით მოწესრიგების მიზნებიდან გამომდინარე, სპეციალური ნორმა დასაშვებია ითვალისწინებდეს დასაქმებულისთვის მხოლოდ უფრო პრეფერენციულ წესს, ვიდრე ეს უფრო ზოგადი კანონმდებლობიდან გამომდინარეობს.

### 2.3.2 მოშლის ზოგადი და სპეციალური წინაპირობები

სსკ-ის 399-ე მუხლი, როგორც მოთხოვნის ძირითადი საფუძველი, აწესრიგებს გრძელვადიანი ხელშეკრულების მოშლის ზოგად, ხოლო საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები დამატებით წინაპირობებს. კერძოდ, დამსაქმებელი პატივსაღები საფუძველით ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში ვალდებულია, დასაქმებულს მისცეს

<sup>637</sup> შეად., მაგალითად, *Medicus in Prütting/Wegen/Weinreich* (Hrsg.), *BGB Kommentar*, 2006, § 314, RdNr. 4.

<sup>638</sup> *ხოდუ*, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, გვ. 410.

ანაზღაურება არანაკლებ ერთი თვის ხელფასის ოდენობით. დასაქმებული, თავის მხრივ, ვალდებულია, გააფრთხილოს დამსაქმებელი ხელშეკრულების მოშლის შესახებ ერთი თვით ადრე.

საქართველოს უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ დამსაქმებლის სტრუქტურულ ერთეულში რეორგანიზაცია, სტრუქტურული ცვლილებები, საშტატო რიცხოვნების შემცირება, შესაძლოა, ხელშეკრულების მოშლის პატივსადებ საფუძვლად იქნეს მიჩნეული.<sup>639</sup> სასამართლო ასევე ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტს. ამ უკანასკნელით გათვალისწინებულია სახელმწიფოს მხრიდან თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა, რომელიც, სასამართლოს განმარტებით, გულისხმობს მეწარმის უფლებას, თავისი შეხედულებით შეარჩიოს კონტრაქტი, თავისი მიზნებიდან გამომდინარე დაიქირავოს და შეწყვიტოს პირთან შრომითი ურთიერთობები.<sup>640</sup>

სასამართლოს განმარტებით, სამეწარმეო უფლებამოსილების განხორციელებისას შრომითსამართლებრივი ურთიერთობები ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით. სამეწარმეო იურიდიული პირების საკუთრების უფლების რეალიზების ერთ-ერთ უმთავრესი მიზანია მოგების მიღება. თავის მხრივ, ამ მიზნის რეალიზება დასაქმებულთა შერჩევის თავისუფლებაში ვლინდება.<sup>641</sup>

დამსაქმებლის მხრიდან საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის ამგვარი განმარტების ბოროტად გამოყენების საფრთხე დიდია. დაზუსტებას საჭიროებს ის ფარგლები, რომელშიც დამსაქმებელს აქვს უფლება, „თავისი შეხედულებისამებრ შეარჩიოს კონტრაქტი“. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის განმარტებისას მნიშვნელოვანია ცალკეულ შემთხვევაში მხარეთა ინტერესების შეფასება თანაზომიერების პრინციპის მიხედვით.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ ასევე უნდა იმსჯელოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებისათვის ხელშეწყობის ფარგლებზე. მეწარმის კონტრაქტის შერჩევის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციის ნორმების შესაბამისად უნდა განიმარტოს. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი უფლება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ურთიერთკავშირში უნდა გაანალიზდეს.

გასათვალისწინებელია, რომ დამსაქმებლის მიერ აღნიშნულ ნორმებზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს თანაზომიერი,<sup>642</sup> რის შეფასებისას სასამართლო ვალდებულია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმსჯელოს, რამდენად მიზანშეწონილია, შესაბამისი და აუცილებელი მეწარმის მიერ შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში მიღებული გადაწყვეტილება, მათ შორის ხელშეკრულების მოშლის შესახებ.

<sup>639</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 2 აპრილის №ას-680-1010-07 განჩინება.

<sup>640</sup> იქვე.

<sup>641</sup> იქვე.

<sup>642</sup> *Lehmkuhl*, Die sociale Fragen und die staatliche Gewalt, 2. Aufl., 1893, S. 23.

ამასთან, კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის ისეთი ინტერპრეტაცია, რომელიც კანონით დადგენილ ნორმებთან და შრომის სამართლის ძირითად პრინციპებთან, და თვით კონსტიტუციის პრეამბულაში გაცხადებულ „სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრების ნებასთან“<sup>643</sup> წინააღმდეგობაშია, დაუსაბუთებელი და მცდარია.<sup>644</sup>

პატივსადავ საფუძვლად უნდა ჩაითვალოს შრომით ურთიერთობაში ისეთი გარემოების არსებობა, რომელიც შეუძლებელს ხდის მხარეთა ურთიერთობის გაგრძელებას მინიმალური ვადითაც კი. ასეთ შემთხვევაში დამსაქმებელი თავისუფლდება დასაქმებულისათვის ხელშეკრულების მოშლის შესახებ შეტყობინების ვალდებულებისაგან. პატივსადავ საფუძველი შესაძლოა, სუბიექტური ან ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით ჩაითვალოს ასეთად. მაგალითად, პატივსადავ მიზეზის არსებობის საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს დასაქმებულის მიმართ დასაბუთებული ექვსის არსებობა თაღლითობის, ქურდობის, გაფლანგვის, დამსაქმებლის რესურსების არამიზნობრივი ხარჯვის, მომხმარებელთა მოტყუებისა და სხვა მსგავს შემთხვევებში.<sup>645</sup>

პატივსადავ საფუძვლად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ასევე, მაგალითად, საწარმო აუცილებლობა, ლიკვიდაცია ან გაკოტრების საქმის გახსნა. ამასთან, ამ გარემოებების არსებობა არ ათავისუფლებს დამსაქმებელს ხელშეკრულების მოშლის შესახებ წინასწარი შეტყობინების ვალდებულებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ, კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით, შრომითი ურთიერთობის გაგრძელება მინიმალური გონივრული ვადითაც კი შეუძლებელია.<sup>646</sup>

### 2.3.3 მოშლის სამართლებრივი შედეგები

შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია...“ ამავე მუხლის მე-4 ნაწილში განმარტებულია, რომ „დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.“ ამის საპირისპიროდ, დისკრიმინაციად არ ჩაითვლება, შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „პირთა განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.“

<sup>643</sup> შეად. „სოციალურ უფლებებთან დაკავშირებით სახელმწიფოს ვალდებულებების“ თაობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს №1/2/434 გადაწყვეტილება, განსხვავებული აზრი, მე-9 პუნქტი.

<sup>644</sup> *Schneider/Lecheler*, Artikel 12 GG – Freiheit des Berufs und Grundrechte der Arbeit, in: Veröffentlichungen der Vereinigung der Deutschen Staatsrechtslehrer, 1985, S. 37.

<sup>645</sup> *Lingemann* in Prütting/Wegen/Weinreich (Hrsg.), BGB Kommentar, 2006, § 626, RdNr. 3-9.

<sup>646</sup> შეად. *ადგილზელი/კერესელიძე*, საქართველოს შრომის კოდექსის პროექტი და კონტინენტური ევროპის ქვეყნების შრომის სამართლის ზოგიერთი ძირითადი პრინციპი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2003 (6), გვ. 24.



ხელშეკრულების მოშლა, რომელიც აუარესებს დასაქმებულის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით, კანონით დადგენილ წესს, ანუ შრომის კოდექსის მე-2 მუხლის დისკრიმინაციის აკრძალვას ეწინააღმდეგება. ამასთან, გარიგება, რომელიც „კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს“ ეწინააღმდეგება, სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია და იგი არ წარმოშობს იურიდიულ შედეგს.<sup>647</sup> გარდა ამისა, სსკ-ის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, მოქმედებები, რომლებიც ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ იმპერატიულ ნორმებს, „ბათილია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონი პირდაპირ მიუთითებს სხვაგვარ შედეგზე.“ სხვაგვარ შედეგზე მითითებას ამ საკითხთან მიმართებით საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

ხელშეკრულების მოშლა არის ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა,<sup>648</sup> რომელიც შესაძლოა იყოს კანონსაწინააღმდეგო და, შესაბამისად, ბათილი.<sup>649</sup> დამსაქმებლის მიერ შრომითი ხელშეკრულების მოშლა დასაქმებულისათვის წინასწარ შეტყობინების გარეშე (მაშინ, როდესაც წინასწარ შეტყობინების ვალდებულების გამომრიცხავი გარემოება სახეზე არ არის), წინააღმდეგობაში მოდის „ევროპის სოციალური ქარტიის“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტთან.

ხელშეკრულების მოშლა, როგორც ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა თუ გარიგება,<sup>650</sup> რომელიც კანონით დადგენილ წესს ეწინააღმდეგება, სსკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად, ბათილია. სსკ-ის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილი გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან და იგი ვერ წარმოშობს იურიდიულ შედეგს.<sup>651</sup> მაშასადამე, ხელშეკრულების მოშლა არ არის ნამდვილი და, სსკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არ იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას.<sup>652</sup> შედეგად, შრომის ხელშეკრულება ნამდვილია, დამსაქმებელი კი, შრომის კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულია, მის მიერ გამოწვეული (კანონის დარღვევით განხორციელებული ხელშეკრულების მოშლით, რომელიც ბათილია) იძულებითი მოცდენა აანაზღაუროს სრული ოდენობით.

გარდა ამისა, ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი შედეგები ვერ დადგება, თუ დამსაქმებელი დასაქმებულს ვალდებულების დარღვევის გამო არ განუხაზღვრავს დამატებით ვადას ან არ მისცემს გაფრთხილებას, 405-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 399-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად. ეს წესი არ გავრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად დასტურდება, რომ არსებობს, სსკ-ის 405-ე

<sup>647</sup> შეად. *Lingemann* in *Prütting/Wegen/Weinreich* (Hrsg.), *BGB Kommentar*, 2006, § 612a, RdNr. 3.

<sup>648</sup> *Lotmar*, *Der Arbeitsvertrag nach dem Privatrecht des deutschen Reiches*, Band 1, 1902, S. 561; *Geschnitzer/Faistenberger/Barta/Eccher*, *Österreichisches Schuldrecht besonderer Teil und Schadensersatz*, 1988, S. 336; შეად. *Arnold*, *die Wohnungsmiethe nach dem Bürgerlichen Gesetzbuche mit besonderer Rücksicht auf die bisherige Zustände in München*, 1900, S. 135; შეად. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 10 მარტის №ას-920-1127-08 გადაწყვეტილება.

<sup>649</sup> *Schliemann*, *Das Arbeitsrecht im BGB, Kommentar*, 2002, 2. Aufl., S. 740.

<sup>650</sup> *Schaub*, *Arbeitsrechtshandbuch*, 9. Aufl., 2000, § 123, RdNr. 1.

<sup>651</sup> *ზოდუ*, *ჯორბენაძე/ახვლედიანი/ზოდუ/ნინიძე/ჭანტურია* (რედ.), *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი*, 1999, გვ. 198.

<sup>652</sup> შეად. *Dernburg*, *Die Schuldverhältnisse nach dem Rechte des deutschen Reichs und Preussens*, 4. Aufl., Band 2, einzelne Obligationen, 1915, S. 235.

მუხლის მე-2 ნაწილით მოწესრიგებული, ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლის საფუძველთაგან ერთ-ერთი.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ დაუშვებელია ხელშეკრულების მოშლა იმ პირთან, რომლის შრომითი ურთიერთობა შეჩერებულია. ამასთან, შრომის კოდექსის 36-ე მუხლის პირველი ნაწილით წესრიგდება შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველები, მათ შორის არის: სამხედრო საკადდებულო სამსახური, შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, დროებითი შრომისუუნარობა, კვალიფიკაციის ამაღლებისა თუ პროფესიული გადამზადება, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულება და სხვა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს, რომ, დასაქმებულის მიერ ჩამოთვლილი საფუძველით შრომითი ურთიერთობის შეჩერების მოთხოვნის შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია, შრომითი ურთიერთობა გონივრული ვადით შეაჩეროს.

გასაანალიზებელია, თუ რა სამართლებრივი შედეგები დადგება იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებული ითხოვს შრომითი ურთიერთობის შეჩერებას კანონით მოწესრიგებული საფუძველით, დამსაქმებელი კი აღნიშნულ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს და შემდეგ ახორციელებს ხელშეკრულების მოშლას. პრაქტიკაში ამგვარი შემთხვევა უნდა განიხილავს როგორც კანონით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელებული ხელშეკრულების მოშლა.

შრომის კოდექსის 36-ე მუხლის მე-3 ნაწილის განმარტების შედეგად უდავოდ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის ხელშეკრულების შეჩერების საფუძველის არსებობის შესახებ შეტყობინება განხილულ უნდა იქნეს როგორც შრომითი ხელშეკრულების შეჩერების შესახებ შუამდგომლობა. დამსაქმებელი ვალდებულია, დააკმაყოფილოს ეს უკანასკნელი და მასზე უარის თქმის კანონიერი უფლება დამსაქმებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ არ არსებობს შრომის კოდექსის 36-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძველი.

გასაზიარებელია სასამართლოს განმარტება, რომლის თანახმად, სსკ-ის 408-ე და 409-ე მუხლების შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოშლის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია, აღადგინოს დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობა და, შესაბამისად, აუნაზღაუროს ზიანის სახით მიუღებელი გასამრჯელო სამუშაოდან გათავისუფლებიდან თანამდებობაზე აღდგენამდე პერიოდის განმავლობაში.<sup>653</sup>

ბუნდოვანია მსჯელობა ერთ-ერთ საკმეზე, სადაც სასამართლოს სამართლებრივი კვალიფიკაციის „ტვირთი“ მხარეზე გადააქვს. იგი განმარტავს, რომ მხარე ვერ უთითებს ნორმას, რომლის თანახმად, გაუფრთხილებლობის ან დამატებითი ვადის მიუცემლობის შემთხვევაში განთავისუფლებული პირი შეიძლება აღდგეს სამსახურში ან გაუგრძელდეს შრომითი ხელშეკრულება. სასამართლოს განმარტებით, „ასეთი ნორმა არ არსებობს კასატორის მიერ

<sup>653</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, რომელიც უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის განჩინებით, ძალაში დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 2 მაისის №ას-133-410-08 განჩინებით.

მითითებულ არცერთ ნორმატიულ აქტში.<sup>654</sup> შესაძლოა, მხარე მართლაც ვერ უთითებს ან არასწორად უთითებს აღნიშნული ვალდებულების მარეგულირებელ ნორმას, თუმცა სასამართლო ასეთ შემთხვევაში ვალდებულია, მისცეს საქმეში წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სამართლებრივი შეფასება. ამავე სასამართლოს განმარტების შესაბამისად: „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მოსარჩელის მოთხოვნა, გარემოებები, რომელზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს, მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს.“

აღნიშნული ნორმის თანახმად, სარჩელში მითითებული უნდა იყოს მოსარჩელის მოთხოვნა, ანუ სარჩელის საგანი, რადგანაც სასარჩელო მოთხოვნის შინაარსი შეადგენს სარჩელის საგანს. მოსარჩელეს არ ევალება სადავო სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიული კვალიფიკაცია, ანუ მოსარჩელე არაა ვალდებული, იურიდიულად დაასაბუთოს თავისი სასარჩელო მოთხოვნა, ვინაიდან სასამართლო თავად აძლევს კვალიფიკაციას სადავო სამართლებრივ ურთიერთობას.<sup>655</sup>

შესაბამისად, ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში სასამართლოს თავად უნდა ემსჯელა, „ვეროპის სოციალური ქარტიის“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, იყო თუ არა დამსაქმებელი ვალდებული, გონივრული ვადით ადრე შეეცდებინებინა დასაქმებულისთვის ხელშეკრულების მოშლის შესახებ. აღნიშნულზე მსჯელობისას სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა ამავე ქარტიის დანართის მე-2 ნაწილით, რომელიც დასაქმებულისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ წინასწარი შეტყობინების ვალდებულებისაგან დამსაქმებელს ათავისუფლებს იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ვალდებულების მძიმე დარღვევა, რაც შეუძლებელს ხდის სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას და ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლას ამართლებს.

### VIII. სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა და მოთხოვნის საფუძველთა ურთიერთმიმართება

სახელშეკრულებო არაძირითადი ვალდებულებით დაცული სიკეთე, როგორც წესი, იმავდროულად მოიცავს სსკ-ის 992-ე მუხლის რეგულირების სფეროს.<sup>656</sup> ამასთან, არაძირითადი, სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული, ე.წ. „გულისხმიერების“ ვალდებულება იცავს არა მხოლოდ აბსოლუტურ ღირებულებებს, არამედ იმ სიკეთესაც, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება არსებობდეს.<sup>657</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტების შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური „ვალდებულება წარმოიშობა დაზარალებულის აბსოლუტური სუბიექტური სამოქალაქო უფლებების დარღვევის შედეგად, ატარებს

<sup>654</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის №ას-873-1183-07 განჩინება.

<sup>655</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 4 მარტის №ას-973-1208-04 განჩინება.

<sup>656</sup> Amsberg, Anspruchskonkurrenz, Cumul und Sameloop, 1994, S. 12.

<sup>657</sup> Roth, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 31.

არასახელშეკრულებო ხასიათს და მიმართულია მიყენებული ქონებრივი ან მორალური ზიანის ანაზღაურებისაკენ.“<sup>658</sup>

ცალკეულ შემთხვევაში რთულია განისაზღვროს, ატარებს თუ არა ვალდებულების დარღვევა არასახელშეკრულებო ხასიათს. გერმანულ დოქტრინაში განხილული გამიჯვნის კრიტერიუმია ის, რომ ცალკეული ვალდებულების დარღვევის დროს უნდა დადგინდეს, ვალდებულების დარღვევასა და ხელშეკრულებას შორის არსებობს თუ არა რაიმე შინაგანი კავშირი.

ასეთ კავშირი, ერთი შეხედვით, არ არსებობს, მაგალითად, დამქირავებლის მიერ დამქირავებლის გაქურდვის შემთხვევაში.<sup>659</sup> დამქირავებელი ამ შემთხვევაში არ არღვევს სახელშეკრულებო ძირითად ვალდებულებას, თუმცა აღნიშნული ქმედება შესაძლოა დაკვალიფიცირდეს როგორც არაძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა.

სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა შორის ალტერნატიული კონკურენციის აღიარება გამართლებულია მაშინ, თუ ვალდებულების დარღვევა სცდება სახელშეკრულებო, მათ შორის არაძირითადი ვალდებულების, დარღვევის ფარგლებს. ასეთ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის კვალიფიკაცია ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებლად უნდა მოხდეს. თუმცა ცალკეულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის არასახელშეკრულებო ხასიათის მქონედ აღიარება ხშირად შეუძლებელია.

განხილვას საჭიროებს ის, თუ რამდენად არის შესაძლებელი თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბება იმის თაობაზე, რომ აღიარებულ იქნეს სახელშეკრულებო მოთხოვნების პარალელურად კანონისმიერი მოთხოვნების წარმოშობის აღიარება. აღნიშნულთან დაკავშირებით, განსაკუთრებით რთულია გაიმიჯნოს, სახეზეა სახელშეკრულებო არაძირითადი თუ დელიქტის შემადგენლობის შესაბამისი ვალდებულების დარღვევა. არანაკლებ საინტერესოა გაანალიზდეს დელიქტის ზოგადი შემადგენლობის მიმართება მის სპეციალურ, უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის შემადგენლობასთან, ასევე მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამოქალაქო სამართლებრივ და სპეციალური დამცავი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოწესრიგებას შორის.

## 1. დელიქტური და სახელშეკრულებო არაძირითადი მოთხოვნის საფუძველთა ურთიერთმიმართება

გერმანულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში დელიქტისა და სახელშეკრულებო მოთხოვნების დამფუძნებელ სამართლებრივ საფუძველთა ურთიერთმიმართება ალტერნატიულ კონკურენციად განიხილება.<sup>660</sup> აღნიშნული მიდგომის თანახმად, სახელშეკრულებო ურთიერთობის სპეციალური ბუნება

<sup>658</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 77.

<sup>659</sup> შეად. Georgiades, Die Anspruchskonkurrenz zum Zivilrecht und Zivilprozeßrecht, 1967, S. 82.

<sup>660</sup> შეად. Gnos, Anspruchskonkurrenz in schweizerischen Produkthaftpflichtrecht, 1997, S. 38. იხ. ასევე ერთი და იმავე ვალდებულების ერთდროულად, როგორც კანონისმიერი, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, წარმოშობასთან დაკავშირებით Brackenhoeft, die Identität und materielle Connexität der Rechtsverhältnisse oder der Umfang der Wirkung der Res judicata, die Konkurrenz der Klagen, und das Präjudicium, 1839, S. 300.

არ ამართლებს განსხვავებულ მიდგომას, ერთი მხრივ, ზიანის მიმყენებელი ხელშეკრულების მხარისა და, მეორე მხრივ, ხელშეკრულების გარეშე არსებული ზიანის მიმყენებლის მიმართ.<sup>661</sup> დელიქტური მოთხოვნის საფუძვლის შესაბამისად, პასუხისმგებლობის წარმოშობა სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძველთა პარალელურად შესაძლოა გამართლებული იყოს, თუ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შედეგად ზიანი აღება უფლებამოსილი პირის სსკ-ის 992-ე მუხლით დაცულ აბსოლუტურ სიკეთეს (უფლებასა თუ ღირებულებას).<sup>662</sup>

დელიქტური და სახელშეკრულებო ნორმათა კონკურენციის დროს, ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით, შესაძლოა სახეზე იყოს მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია, თუ რამდენიმე ალტერნატიული მოთხოვნის საფუძველთა წარმოშობილი მოთხოვნა იდენტურია და ერთიანი თავისი არსით.<sup>663</sup>

მაგალითად, ქირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში დამქირავებლის მიერ ნაქირავები ნივთის დაზიანების შემთხვევაში გამქირავებელს წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, როგორც ქირავნობის ხელშეკრულებიდან სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გამო, ასევე დელიქტიდან, კერძოდ სხვისი საკუთრების მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ხელყოფის საფუძველზე.<sup>664</sup> ასეთ შემთხვევაში მოთხოვნა შინაარსობრივად აბსოლუტურად იდენტურია, კერძოდ, ნივთის დაზიანების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება, მოთხოვნის საფუძველი კი განსხვავებული.

როდესაც ამა თუ იმ კონკურირებად მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შემადგენლობა და სამართლებრივი შედეგი იდენტური არ არის,<sup>665</sup> შესაძლოა, სახეზე იყოს როგორც მოთხოვნათა, ასევე მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენცია.<sup>666</sup>

<sup>661</sup> BGH Urteil vom 28.06.1978 – VIII ZR 112/77 (Karlsruhe), NJW, 1978, S. 2240; იხ. ასევე Klein, Konkurrenz und Auslegung, 1996, S. 29.

<sup>662</sup> Gsell, Deliktsrechtlicher Eigentumsschutz bei „weiterfressendem“ Mangel, NJW, 2004, S. 1913, იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძვლის განხორციელებით ნაკლებადაა დაცული, ვიდრე დელიქტის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველით, სახელშეკრულებო მოთხოვნის უპირატესობა გაუმართლებელია.

<sup>663</sup> Mansel/Jauernig, BGB Kommentar, 13. Aufl., 2009, § 241, RdNr. 14, („Durch denselben Vorgang kann eine Mehrheit von Schuldverhältnissen und damit Ansprüchen entstehen. Bei Anspruchskonkurrenz steht dem Gläubiger eine Mehrheit selbständiger, im wesentlichen auf die gleiche Leistung gerichteter Ansprüche gegen denselben Schuldner aufgrund verschiedener gleichrangiger Anspruchsgrundlagen aus demselben Sachverhalt zu, bei Gesetzeskonkurrenz nur ein einziger Anspruch aus einer vorrangigen Anspruchsgrundlagen. Bei Anspruchskonkurrenz richten sich die verschiedenen Ansprüche nach Voraussetzungen, Inhalt und Durchsetzung grundsätzlich nur nach den für sie massgeblichen Bestimmungen.“)

<sup>664</sup> შეად. Jäggi, Zum Begriff der Vertraglichen Schadensersatzforderung, Festgabe für Wilhelm Schöneberg, 1968, S. 183, შემდგომი მითითებით: von Tuhr/Sieglwart, Allgemeiner Teil des Schweizerischen Obligationsrechtes, 2. Aufl., 1942, 347.

<sup>665</sup> მაგალითად, ავტომანქანის შეძენის შემთხვევაში თუ აღმოჩნდა, რომ იგი ნაავარიევია, მყიდველს შესაძლოა მიადგეს ზიანი აღნიშნული ნაკლის გამო, თუმცა სახელშეკრულებო მოთხოვნათა შორის მას ფართო არჩევანი აქვს ფასის შემცირებას, ხელშეკრულებიდან გასვლასა და ზიანის ანაზღაურებას შორის. მას შეუძლია ასევე, მაგალითად, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნათა კომბინაცია, მაშინ როდესაც დელიქტის მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლებრივი საფუძველი მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას წარმოშობს.

<sup>666</sup> Mansel/Jauernig, BGB Kommentar, 13. Aufl., 2009, § 241, RdNr. 14, ff. შეად. მაგ. Brackenhoeft, die Identität und materielle Connexität der Rechtsverhältnisse oder der Umfang der Wirkung der Resjudicata, der Konkurrenz der Klagen, und das Praejudicium, 1839, S. 338.

## 1.1 არაძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულება

სამოქალაქო სამართალში ძირითად და არაძირითად ვალდებულებათა ცნებების გამიჯვნა მისი ფუნქციის მიხედვით ხორციელდება.<sup>667</sup>

ძირითადი ვალდებულება განსაზღვრავს ხელშეკრულების არსს და იგი ხელშეკრულების ცალკეული ტიპისათვის დამახასიათებელი ვალდებულებაა;

არაძირითადი ვალდებულება კი ხელშეკრულების თანამდევ და დამცავ ფუნქციას ასრულებს. ეს უკანასკნელი არ არის უშუალოდ დაკავშირებული ძირითად ვალდებულებასთან, თუმცა მისგან გამომდინარეობს.<sup>668</sup> არაძირითადი ვალდებულების შინაარსის განსაზღვრა ვალდებულების წარმოშობის მომენტში ხშირად შეუძლებელიცაა და მისი დაკონკრეტება ვალდებულების განხორციელების პროცესში ხდება.<sup>669</sup>

ვალდებულებათა დაყოფა ძირითად და არაძირითად ვალდებულებებად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი დარღვევის შემთხვევაში კრედიტორის განკარგულებაში არსებული შესაბამისი მეორადი მოთხოვნების განსაზღვრისათვის.<sup>670</sup> არაძირითადი ვალდებულება ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკური სახეა. იგი პირთა შორის განსაკუთრებულ კავშირს ავლენს, რაც, ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად, პირთა შორის არსებული ცალკეული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარეობს.<sup>671</sup>

თანამედროვე გერმანულ დოქტრინაში ერთმანეთისაგან მიჯნავენ შესრულებასთან დაკავშირებულ<sup>672</sup> და ე.წ. დაცვით<sup>673</sup> ვალდებულებას.<sup>674</sup>

შესრულებასთან დაკავშირებული არაძირითადი ვალდებულების მიზანია, უზრუნველყოს ძირითადი ვალდებულების მომზადება და შესრულება. შესაბამისად, აღნიშნული დებულებით დაცული ინტერესი ვალდებულების შესრულებაა და იგი ძირითად ვალდებულებასთან აქსესორულად დაკავშირებულ ვალდებულებად განიხილება;<sup>675</sup>

დაცვითი ვალდებულება კი სახელშეკრულებო ურთიერთობაში მხარეთა მიერ ურთიერთობის კეთილსინდისიერად წარმართვის ერთგვარი გარანტია.

<sup>667</sup> უეად. *Palandt/Heinrichs*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 241, RdNr. 5.

<sup>668</sup> *Kramer*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 16.

<sup>669</sup> ჭანტურია, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე/ნინიძე (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხამე, 2001, გვ 34.

<sup>670</sup> *Pruetting/Wegen/Weinreich*, 2006, BGB Kommentar, S. 311, § 241, RdNr. 18-20, ასევე *მახალაძე*, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი), ქართული სამართლის მიმოხილვა, 2004, სპეციალური გამოცემა, გვ. 74.

<sup>671</sup> *Palandt/Heinrichs*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 241, RdNr. 6.

<sup>672</sup> „Leistungsbezogene“.

<sup>673</sup> „Schutzpflicht“.

<sup>674</sup> *Kramer*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 19; *Mansel/Jauernig*, BGB Kommentar, 13. Aufl., 2009, § 241, RdNr. 10.

<sup>675</sup> *Olzen*, Staudinger Kommentar zum BGB, 2005, § 241, RdNr. 148 ff.

## 1.2 შესრულებასთან დაკავშირებული არაძირითადი ვალდებულება

შესრულებასთან დაკავშირებული არაძირითადი ვალდებულება გულისხმობს კრედიტორის მიერ მოვალისათვის ვალდებულების შესრულებაში ხელშეწყობას. ამას თანამონაწილეობის,<sup>676</sup> თანაქმედების მოვალეობასაც უწოდებენ, რომლის ძალითაც ხელშეკრულების მხარეებს ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულების მიმართ თანაბარწილად ეკისრებათ პასუხისმგებლობა.<sup>677</sup> აღნიშნული თანაქმედების მოვალეობის დარღვევა, როგორც წესი, არ წარმოშობს მოთხოვნას, თუმცა კრედიტორის მიერ ამ მოვალეობის დარღვევამ შესაძლოა, მისი უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება, კერძოდ, ცალკეული უფლებების დაკარგვა გამოიწვიოს.<sup>678</sup>

შესრულებასთან დაკავშირებული არაძირითადი ვალდებულებაა ასევე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება,<sup>679</sup> რომლის შესაბამისად, ხელშეკრულების ნებისმიერი მხარე ვალდებულია, ხელშემკრელ მხარეს მიაწოდოს ძირითად ვალდებულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მიუთითოს ცალკეულ მნიშვნელოვან გარემოებებზე.<sup>680</sup>

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მოწესრიგებულია სსკ-ის 318-ე მუხლით, რომლის თანახმად, „ვალდებულებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს ამა თუ იმ ინფორმაციის მიღების უფლება...“, როცა მას მნიშვნელობა აქვს ვალდებულების შინაარსის განსაზღვრისათვის...“

ზოგიერთ შემთხვევაში, ინფორმაციის მიწოდება მხარეს თავად ძირითადი ვალდებულებით ეკისრება, განსაკუთრებით, როდესაც ინფორმაცია შესრულების ხარისხსა თუ თვისებებს უკავშირდება. ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია, ნივთთან მიმართებით ძირითადი ვალდებულების დარღვევა ამავდროულად ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევაც იყოს. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება სწორედ ისეთ შემთხვევაში, როდესაც მისი მიუწოდებლობა ძირითად ვალდებულებას არ არღვევს, მაგრამ ამ ინფორმაციის არქონის გამო უფლებამოსილ პირს ადგება ზიანი. ამასთან, მნიშვნელოვანია ის, რომ შესაბამისი ინფორმაციის გათვალისწინების შემთხვევაში ზიანი არ დადგებოდა,<sup>681</sup> ხოლო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მხარეს გულისხმიერებისა თუ კეთილსინდისიერების პრინციპების გათვალისწინებით უდავოდ ეკისრებოდა.

<sup>676</sup> Roth, *Mitwirkungspflicht*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 63 ff.

<sup>677</sup> იხ., მაგალითად: სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, ასევე სსკ-ის 390-ე მუხლის მე-2 ნაწილი სსკ-ის 393-ე მუხლთან ურთიერთკავშირში. თუ ვალდებულების შესრულებისათვის საჭიროა კრედიტორის მიერ გარკვეული მოქმედების შესრულება, რომელსაც იგი არ ასრულებს, სახეზეა კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება, რომლის შედეგაზეც იგი თავად აგებს პასუხს. იგი ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი და, ამასთან, მასზე გადადის ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკიც.

<sup>678</sup> Ernst, *Münchener Kommentar zum BGB*, 5. Aufl., Band 2, 2007, § 280, RdNr. 131; Roth, *Münchener Kommentar zum BGB*, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 63; Mansel/Jauernig, *BGB Kommentar*, 13. Aufl., 2009, § 241, RdNr. 13; შეად. ასევე სსკ-ის 390-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, ასევე სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>679</sup> Roth, *Münchener Kommentar zum BGB*, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 71.

<sup>680</sup> Klunzinger, *Einführung in das Bürgerliche Recht*, 10. Aufl., 2001, S. 179.

<sup>681</sup> BGH Urteil vom 11.02.2004 – VIII ZR 386/02 (OLG Saarbrücken), NJW, 2004, S. 1032.

სსკ-ის 318-ე მუხლის ფორმულირება, რომლის საფუძველზეც სავალდებულო ინფორმაციის მიწოდება, თუ იგი მნიშვნელოვანია სახელშეკრულებო ვალდებულების შინაარსის დადგენისათვის, გასაზიარებელია. მიუხედავად ამისა, შემდგომი დაკონკრეტება ინფორმაციის მიწოდების ხარჯების უპირობოდ შემძენზე დაკისრების თაობაზე გაუმართლებელია. აღნიშნული იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ ხარჯები ანაზღაურების ინფორმაციის მიმღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეკისროს, თუ ინფორმაცია არ არის მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო ვალდებულების შინაარსის განსასაზღვრავად, თუმცა იგი სუბიექტურად მნიშვნელოვანია უშუალოდ ხელშეკრულების მხარისათვის.

აღნიშნული საწინააღმდეგო განმარტება ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მოწესრიგებას აზრს დაუკარგავდა, ვინაიდან ინფორმაციის მიწოდება, ზოგიერთ შემთხვევაში, ძირითად ვალდებულებაზე უფრო მნიშვნელოვანია, ვინაიდან მის გარეშე მიღებული შესრულების გამოყენება შესაძლოა, შეუძლებელი ან განსაკუთრებული საფრთხის შემცველი იყოს.<sup>682</sup>

### 1.3 არაძირითადი ვალდებულების „დაცვითი“ ფუნქცია

არაძირითადი ვალდებულების განსხვავებული სახეა დაცვითი ვალდებულებები.<sup>683</sup> აღნიშნულის შესაბამისად, ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან, ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა იმგვარად წარმართონ, რომ არ დაუშვან მეორე მხარის უფლებათა თუ ინტერესების ხელყოფა.

ცალკეულ შემთხვევაში აღნიშნული ვალდებულება გამოიხატება ხელშემკვრელი მხარის ჯანმრთელობისა და საკუთრების დაცვის ან ამ ღირებულებათა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულებაში. მაგალითად, ასეთ ვალდებულებად განიხილება სასტუმროში ქურდობისაგან საკუთრების დაცვის ან საკვებითა თუ სხვა გარემოებით გამოწვეული ჯანმრთელობის დაზიანებისგან მომხმარებლის დაცვის უზრუნველსაყოფად სათანადო ზომების მიღება.<sup>684</sup>

ეს ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობაში არსებითად სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარეობს. კონკრეტული ვალდებულების შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით, ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს ეკისრება „მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების“ ვალდებულება.

„გულისხმიერების“ ვალდებულება, უპირველეს ყოვლისა, სხვა პირის აბსოლუტური უფლებებისა დაცვას ემსახურება.<sup>685</sup> ამით მისი დაცვის ობიექტი დელიქტური მოთხოვნის ზოგადი საფუძველით დაცულ სიკეთეს ემსგავსება. გარდა ამისა, „გულისხმიერების“ ვალდებულებით დაცული სიკეთე არ შემოიფარგლება მხოლოდ აბსოლუტური უფლებების დაცვით და ვრცელდება პირის სხვა დაცვის ღირს ინტერესებზე.

<sup>682</sup> იხ., მაგალითად, *Jaggi*, Zum Begriff der Vertraglichen Schadensersatzforderung, Festgabe für Wilhelm Schöneberg, 1968, S. 184 ff.

<sup>683</sup> *Kramer*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 19.

<sup>684</sup> *Roth*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 97 ff.

<sup>685</sup> *Mansel/Jauernig*, BGB Kommentar, 13. Aufl., 2009, § 242, RdNr. 25 f.



აღნიშნული ვალდებულებების დარღვევის შედეგად მოთხოვნის წარმოშობის შესაძლებლობა უდავოდ უნდა იქნეს მიჩნეული.<sup>686</sup> შესაბამისად, სსკ-ის 316-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა წარმოშობს სხვადასხვა მოთხოვნას, მათ შორის ზიანის ანაზღაურებისა და ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნას.<sup>687</sup>

ის, თუ რამდენად აფუძნებს „გულისხმიერებისა“ თუ კეთილსინდისიერების დარღვევის უფლება სხვა ნებისმიერი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნას, ან რა ფარგლებში წარმოიშობა ისინი, ცალკეული შემთხვევის შესაბამისად უნდა გადაწყდეს.<sup>688</sup>

გულისხმიერების მოვალეობის დარღვევის შედეგად წარმოშობილი ერთ-ერთი მოთხოვნა გათვალისწინებულია სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის რეგულირებით, რომლის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლა გამორიცხულია, თუ დარღვეულია სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „კრედიტორს შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება“. ამდენად, თუ სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება არ არის გამართლებული, ამ მოწესრიგებიდან უპირობოდ გამომდინარეობს, სსკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებული, ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის არსებობა.

ცხადია, მხოლოდ სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი მოთხოვნის განხორციელებისათვის საკმარისი არ არის, ვინაიდან ის არ აღგენს სამართლებრივ შედეგს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილის მიერ შესაბამისი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. იგი დამხმარე მოთხოვნის საფუძველია და გამოიყენება სხვა ძირითადი მოთხოვნის დამფუძნებელ საფუძველებთან ურთიერთკავშირში.<sup>689</sup>

იმ შემთხვევაში, თუ ცალკეული ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები საგამონაკლისო წესს არ აღგენენ, გამოიყენება სახელშეკრულებო ვალდებულების, მათ შორის არაძირითადი ვალდებულების დარღვევისათვის გათვალისწინებული ზოგადი მოთხოვნის საფუძველები, როგორებიცაა სსკ-ის 405-ე, 352-ე და 394-ე მუხლები.

მაგალითად, თუ ავტომანქანის ჩუქების შემთხვევაში მჩუქებელმა არ მიაწოდა ინფორმაცია დასაჩუქრებულს იმის თაობაზე, რომ მას გარკვეული სახის შეკეთება სჭირდება, სსკ-ის 527-ე მუხლის შესაბამისად, მჩუქებელი პასუხს აგებს ნივთის ნაკლით გამოწვეული ზიანისათვის, თუ იგი განზრახ დუმდა ნივთის ნაკლის გამო. ავტომანქანის ჩუქების შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ მას შეკეთება სჭირდება, არ განიხილება ნივთის ნაკლად.<sup>690</sup> შესაბამისად, სსკ-ის 527-ე მუხლის რეგულირების სფერო ამ შემთხვევაში გამოირიცხება, თუმცა შესაძლოა, სახეზე იყოს გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა ავტომანქანის მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიუწოდებლობის სახით. ამდენად, სსკ-ის 527-ე მუხლის მიზნის გათვალისწინებით, შესაძლოა,

<sup>686</sup> შეად. ანალოგიური პოზიციით *Roth*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 113.

<sup>687</sup> *Kramer*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, § 241, RdNr. 19 ff.; *Olzen*, Staudinger Kommentar zum BGB, 2005, § 241, RdNr. 157.

<sup>688</sup> *Olzen*, Staudinger Kommentar zum BGB, 2005, § 241, RdNr. 158 f.

<sup>689</sup> შეად. *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 18, RdNr. 11.

<sup>690</sup> BGH Urteil vom 11.02.2004 – VIII ZR 386/02 (OLG Saarbrücken), NJW, 2004, S. 1032.

გამართლებული იყოს რეგულირების იმგვარად განმარტება, რომ იგი გავრცელდეს მჩუქებლის მიერ ნებისმიერ ვალდებულების დარღვევაზე, რომელიც უშუალოდ ჩუქების საგანს და მის შედეგად წარმოშობილ პასუხისმგებლობას უკავშირდება.<sup>691</sup>

შეიძლება, ნამდვილი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ერთ-ერთი მხარე კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებს მასზე ხელშეკრულებით დაკისრებულ ძირითად ვალდებულებას, თუმცა, ე.წ. დაცვითი ვალდებულების დარღვევის გამო, მაინც წარმოიშვას კანონით გათვალისწინებული მეორადი მოთხოვნები.<sup>692</sup>

დაცვითი ვალდებულების დარღვევად უნდა ჩაითვალოს ასევე, მაგალითად, ექიმის მიერ პაციენტის დაავადების შესახებ ინფორმაციის გახმაურება მაშინაც, თუ ხელშეკრულებით მხარეთა შორის არ ყოფილა კონფიდენციალურობის ვალდებულება გათვალისწინებული.<sup>693</sup> ასეთი ვალდებულების არსებობა უდავოა ისეთ ხელშეკრულებებთან მიმართებით, რომელნიც თავისი არსით განსაკუთრებულ ნდობაზე დაფუძნებული ხელშეკრულებათა სახეებია.<sup>694</sup> ინფორმაციის გახმაურება მხოლოდ მაშინ არ წარმოშობს უფლებამოსილი პირისათვის შესაბამის მოთხოვნებს, თუ მას უპირისპირდება უპირატესი ღირებულების დაცვის ინტერესი.<sup>695</sup>

გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა წარმოშობს შესაბამისი კანონით გათვალისწინებულ მეორად მოთხოვნებს იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ დარღვეულია მხოლოდ არაძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულება. შესაბამისად, პირველ რიგში, სასამართლომ ცალკეული შემთხვევის განხილვის დროს უნდა გამორიცხოს ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა და მხოლოდ ამის შემდეგ იმსჯელოს სხვა შესაძლო მოთხოვნის დამფუძნებელ საფუძვლებზე.<sup>696</sup>

## 2. დელიქტის სპეციალური შემადგენლობის მიმართება დელიქტის ზოგად შემადგენლობასა და სახელშეკრულებო მოთხოვნებთან

დელიქტის მარეგულირებელი ცალკეული საგამონაკლისო ნორმით განისაზღვრება პასუხისმგებლობის განსხვავებული წესი და ფარგლები დელიქტის ზოგად შემადგენლობასთან მიმართებით. ეს, როგორც წესი, განპირობებულია საგამონაკლისო ნორმის გარკვეულ პირთა წრის მიმართ მოქმედების მიზნით, რაც მათი უფლებების უფრო მაღალი დაცვის

<sup>691</sup> შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 524-ე პარაგრაფი, ასევე BGH Urteil vom 23.03.2000 – X ZR 177/97 (Frankfurt a.M.), NJW, 2000, S. 2101; Gehrlein, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2007, § 521, RdNr. 1.

<sup>692</sup> იხ., მაგალითად, BGH Urteil vom 30.10.1990 – VI ZR 40/90 (Oldenburg), NJW, 1991, S. 921, რომელშიც სასამართლომ მიიჩნია, რომ რესტორნის მეპატრონემ უნდა უზრუნველყოს სტუმრების ცეკვის შემთხვევაში ფეხის მოცურების ალბათობის მაქსიმალურად შემცირება.

<sup>693</sup> ინტიმური სფეროს ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით იხ. *კერესელდოე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 148; ასევე: Schünemann, Wandlungen des Vertragsrechts, NJW, 1982, 2028; Laufs, Die Entwicklung des Arztrechts, NJW, 1990, S. 1510.

<sup>694</sup> Weichert, Datenschutz auch bei Anwälten?, NJW, 2009, S. 551; Dahns, Durchbrechung der anwaltlichen Verschwiegenheitspflicht, NJW-Spezial, 2008, S. 158.

<sup>695</sup> Deckenbrock, Neue anwaltliche Betätigungsverbote bei Interessen, NJW, 2008, 1278.

<sup>696</sup> შეად. BGH Urteil vom 14.12.06 – 3W 52/06 (OLG Rostock), NJW-RR, 2007, S. 1092 f.; იხ. ასევე განსხვავებული შეფასებით: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ივნისის №ას-7-362-07 გადაწყვეტილება.

სტანდარტის უზრუნველყოფას ემსახურება.<sup>697</sup> გარდა ამისა, საგამონაკლისო მოთხოვნის საფუძვლის შემადგენლობით პასუხისმგებლობის განსხვავებული, უფრო მკაცრი ზომის დაწესება გამართლებულია, მაგალითად, მომეტებული საფრთხის წყაროდან მომდინარე ზიანის დადგომის მაღალი რისკით.<sup>698</sup>

შესაბამისად, დელიქტის მარეგულირებელი საგამონაკლისო ნორმები, სსკ-ის 992-ე მუხლთან მიმართებით, მოთხოვნის საფუძვლის შემადგენლობის დამატებით წინაპირობებს შეიცავს და პასუხისმგებლობის განსხვავებულ წესსა და პირობებს ითვალისწინებს. შესაბამისად, საგამონაკლისო ნორმები უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნის საფუძვლებია, როგორც ზოგადი დელიქტის პასუხისმგებლობის დამფუძნებელ, ისე სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძვლებთან მიმართებით. სპეციალური ნორმის შემადგენლობის შემცველი შემთხვევის განსხვავებული კვალიფიკაცია გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მხარეები განსხვავებულ წესზე თანხმდებიან და ეს უკანასკნელი კანონის ფარგლებში დასაშვებია.

## 2.1 უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სხვადასხვა მოთხოვნის საფუძველი და მათი ურთიერთმიმართება

უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესისა და ფარგლების სპეციალური ნორმებით მოწესრიგების მიზანია მეწარმის მიერ სახელშეკრულებო თავისუფლების ბოროტად გამოყენების გამორიცხვა, რაც განსაკუთრებით მის მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის გამორიცხვით შეიძლება გამოიხატოს. ამასთან, ბრალის გარეშე მწარმოებლის პასუხისმგებლობის დაწესება მომხმარებლის, როგორც სამოქალაქო კანონმდებლობით განსაკუთრებული დაცვის ღირსი პირის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის უფრო მაღალი სტანდარტით უზრუნველყოფას ისახავს მიზნად.<sup>699</sup>

უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დამფუძნებელი სამართლებრივი საფუძველი, როგორც დელიქტის სპეციალური შემადგენლობა, უპირატესად უნდა ჩაითვალოს სახელშეკრულებო მოთხოვნასთან და, შესაბამისად, მის დამფუძნებელ საფუძველთან მიმართებით. აღნიშნული, როგორც წესი, კანონმდებლის მიერ შესაბამისი მოწესრიგების არსსა და მიზანს შეესაბამება.<sup>700</sup>

ერთი შეხედვით, უდავოა, რომ სახელშეკრულებო და ზოგადი დელიქტის მოთხოვნის საფუძვლები გამომრიცხავ კონკურენციაში იმყოფებიან სსკ-ის 1109-ე-1116-ე მუხლებთან მიმართებით.<sup>701</sup> შესაბამისად, ამ ნორმებით მოწესრიგებული მწარმოებლის ვალდებულებები უპირატესად გამოსაყენებელი ნორმებია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ უშუალოდ მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის დადებული ხელშეკრულებით დგინდება მომხმარებლის დაცვის უფრო მაღალი

<sup>697</sup> შეად. *Schmidt-Salzer*, Verbraucherschutz, Produkthaftung, Umwelthaftung, Unternehmensverantwortung, NJW, 1994, S. 1306.

<sup>698</sup> იხ. ასევე BGH Urteil vom 20.12.1966 – VI ZR 53/65 (Hamm), NJW, 1967, S. 558.

<sup>699</sup> *Schmidt-Salzer*, Verbraucherschutz, Produkthaftung, Umwelthaftung, Unternehmensverantwortung, NJW, 1994, S. 1306.

<sup>700</sup> შეად. *Huber*, Irrtumsanfechtung und Sachmängelhaftung: eine Studie zur Konkurrenzfrage vor dem Hintergrund der internationalen Vereinheitlichung des Vertragsrechts, 2001, S. 191, შემდგომი მითითებებით.

<sup>701</sup> შეად. *Gnos*, Anspruchskonkurrenz in schweizerischen Produkthaftpflichtrecht, 1997, S. 47.

სტანდარტი, ვიდრე ეს სსკ-ის 1109-ე და შემდგომი მუხლებითაა უზრუნველყოფილი.<sup>702</sup>

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვა უხარისხო პროდუქტისა თუ სხვა სახელშეკრულებო ძირითადი ან არაძირითადი ვალდებულების დარღვევისაგან უზრუნველყოფილია ასევე სპეციალური 1996 წლის 20 მარტის კანონით მომხმარებელთა უფლებების შესახებ.<sup>703</sup> შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს სსკ-ის 1109-ე და შემდგომი მუხლების მიმართება მომხმარებელთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონის რეგულირებებთან. ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით, გაუმართლებელია სახელშეკრულებო და ზოგადი დელიქტური მოთხოვნის საფუძვლების გამოყენების უპირობო გამორიცხვა მომხმარებლის მიერ დადებულ ხელშეკრულებასთან მიმართებით.

მომხმარებელთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონი 1996 წლიდან, ხოლო სსკ 1997 წლიდან შევიდა ძალაში. შესაბამისად, ერთი მხრივ, სახეზეა, სსკ-ის მე-2 მუხლის გაგებით, უფრო ახალი, მაგრამ ზოგადი, კანონი, მეორე მხრივ კი, უფრო ძველი, მაგრამ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, უდავოდ, უფრო სპეციალური კანონი.

ახალი კანონი არ შეიძლება აღიარებულ იქნეს უპირობოდ უპირატესად გამოსაყენებელ სამართლად. მაგალითად, *სავინის* თანახმად, ახალ კანონს უპირატესობა უნდა მიენიჭოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უდავოა ახალი კანონით დასახული მიზანი – ჩაანაცვლოს ან განავრცოს არსებული კანონი, უფრო დეტალურად მოაწესრიგოს ესა თუ ის არსებული შემთხვევა.<sup>704</sup>

სსკ-ის მოწესრიგების ასეთი მიზანი, მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ნაკლებად სავარაუდოა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონი, თავისი რეგულირების ვიწრო ფარგლებით, უდავოდ, სპეციალური კანონია და მას, როგორც საგამონაკლისო რეგულირებათა ერთობლიობას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სსკ-თან მიმართებით იმ ნაწილში, რომელშიც ის სპეციალურ რეგულირებას შეიცავს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სსკ თუ სამოქალაქო სამართალი კერძო სამართლის ბირთვის ქმნის და განსაზღვრავს ისეთ ფუძემდებლურ დებულებებს, რომლებიც ვრცელდება „კერძო სამართლის სხვა დარგებზეც“.<sup>705</sup> შესაბამისად, ცალკეული შემთხვევის მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონის მიხედვით კვალიფიკაციის დროსაც, მოთხოვნათა და მოთხოვნის საფუძველთა ფორმირება და მათი განხორციელება მხოლოდ სსკ-ის შესაბამისი რეგულირებების დახმარებით გახდება შესაძლებელი.<sup>706</sup>

<sup>702</sup> შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 13 მარტის №ას/751/1118/06 განჩინება.

<sup>703</sup> საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1996, №7.

<sup>704</sup> იხ. *Savigny*, System des heutigen römischen rechts, Band 5, 1841, S. 251, თუმცა ავტორი ყურადღებას ამახვილებს ასევე ახალი კანონის ჭეშმარიტ მიზნებზე, რომლებიც, ცალკეულ შემთხვევაში, შეიძლება განსხვავებული იყოს.

<sup>705</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 13 ივნისის №3კ/429-01 განჩინება.

<sup>706</sup> მაგალითად, მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული ნაკლის გამოსწორების, ფასის შემცირების, ხელშეკრულებაზე უარის თქმისა თუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების დაფუძნების შემთხვევაში, სსკ-ის შესაბამის მოთხოვნათა მარეგულირებელი ნორმების გამოყენების აუცილებლობა უდავოა.

ცხადია, სსკ-ის ნორმათა გამოყენება და მათი კუმულაცია მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონის შესაბამის ნორმებთან იმგვარად უნდა მოხდეს, რომ საგამონაკლისო ნორმებით დაცული ინტერესი უზრუნველყოფილი იყოს.<sup>707</sup> ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი შემთხვევა, რომლის თავისებურების გათვალისწინებით, მომხმარებლის უფლებები სსკ-ით უკეთ აღმოჩნდება დაცული, ვიდრე ეს მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონითაა უზრუნველყოფილი, გამორიცხავს ამ კანონის უპირატესად გამოყენების აუცილებლობას.

ასეთი შემთხვევა შესაძლოა უკავშირდებოდეს მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონის მე-14 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა განხორციელებისათვის დადგენილ ხანდაზმულობის ვადებს. მომხმარებელი უფლებამოსილია, წარადგინოს ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები დამამზადებლის მიერ დადგენილ საგარანტიო ვადებში ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, ხოლო თუ ასეთი ვადა დადგენილი არ არის, განახორციელოს თავისი უფლებები ნივთის გადაცემიდან 6 თვის, უძრავი ნივთების შეძენის დროს ნაკლოვანების აღმოჩენის შემთხვევაში კი 1 წლის განმავლობაში.

შესაბამისად, ხშირად, აღნიშნული კანონით მოწესრიგებული სახელშეკრულებო მოთხოვნების განხორციელება შეუძლებელია მათთვის კანონმდებლის მიერ დადგენილი ხანმოკლე ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინებით, თუმცა, ცხადია, ასეთ შემთხვევაში უდავოდ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ ზოგადი სახელშეკრულებო მოთხოვნები პარალელურად დამოუკიდებლად არსებობს და განხორციელებადია სსკ-ით დადგენილი უფრო ხანგრძლივი ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინებით.

ამასთან, შესაძლოა, ამ შემთხვევაში გამართლებული იყოს გერმანიის სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ დოქტრინაში დამკვიდრებული ე.წ. ურთიერთზეგამდგენი კონკურენციის აღიარება. კერძოდ, მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები ამავე კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის საფუძველებით თუ მათი შემადგენლობით იყოს განხორციელებადი, მაგრამ მათზე გავრცელდეს უფრო ხანგრძლივი სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადები.<sup>708</sup>

ეს მიზანშეწონილად და გამართლებულად შეიძლება იქნეს მიჩნეული, მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონის მოწესრიგების მიზნების გათვალისწინებით,<sup>709</sup> მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელთა ინტერესებისა და უფლებების დაცვა სხვაგვარად შეუძლებელია.

## 2.2 დელიქტისა და სახელშეკრულებო სპეციალურ მოთხოვნათა და მოთხოვნის საფუძველთა მიმართება

მომხმარებელს უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნა შესაძლოა წარმოეშვას რამდენიმე განსხვავებული სამართლებრივი საფუძველით:

<sup>707</sup> ურთიერთზეგამდგენი კონკურენცია, შეად. *Grünwald/Schmidt*, Münchener Kommentar zum HGB, 2. Aufl., 2007, § 377, RdNr. 102.

<sup>708</sup> შეად. *Weber*, Produkthaftung im belgischen Recht, 1998, S. 156.

<sup>709</sup> *Schmidt-Salzer*, Verbraucherschutz, Produkthaftung, Umwelthaftung, Unternehmensverantwortung, NJW, 1994, S. 1305 f.; *Gnos*, Anspruchskonkurrenz in schweizerischen Produkthaftpflichtrecht, 1997, S. 49.

- ეს შეიძლება იყოს მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონიდან გამომდინარე ერთ-ერთი მოთხოვნის საფუძველი;
- სსკ-ის 1009-ე და შემდგომი მუხლებით მოწესრიგებული მოთხოვნის საფუძველი უხარისხო პროდუქტის მწარმოებლის მიმართ;
- დელიქტის ზოგადი შემადგენლობის მარეგულირებელი სსკ-ის 992-ე მუხლი;
- ასევე, ხშირ შემთხვევაში, სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძველი, თუ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა ნამდვილი ინდივიდუალური შეთანხმებით არ არის გამორიცხული.<sup>710</sup>

შესაბამისად, მომხმარებლის სავარაუდო მოთხოვნები, როგორც წესი, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა გრძელ ჯაჭვს ქმნიან და შესაძლებელია არსებობდნენ როგორც მწარმოებლის, ისე გამყიდველის მიმართ.<sup>711</sup> აღნიშნულ ნორმათა შორის უპირატესად გამოსაყენებელი რეგულირების შესარჩევად აუცილებელია გაიმიჯნოს შესაბამის მოთხოვნის საფუძველთა გამოყენების წინაპირობები და მათი შემადგენლობის ელემენტები.

ზოგადად, უხარისხო პროდუქტის საფუძველზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში უპირატესად განხილულ უნდა იქნეს სსკ-ის 1109-ე და შემდგომი მუხლები, მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონის მე-10 მუხლი. აღნიშნულ მოთხოვნის საფუძველთა ურთიერთმიმართება ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით წყდება და უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ მოთხოვნის საფუძველს, რომელიც არსებითად მომხმარებლის უპირატეს დაცვას უზრუნველყოფს.

თავის მხრივ, ამ მოთხოვნის საფუძველთა უპირატესობა სახელშეკრულებო და დელიქტის ზოგადი შემადგენლობით გათვალისწინებულ მოთხოვნის საფუძველთან მოვალის ბრალის ელემენტის მოდიფიცირებით გამოიხატება.<sup>712</sup>

ამასთან, აღნიშნულ მოთხოვნათა განხორციელება განსხვავებულ ხანდაზმულობის ვადებს ექვემდებარება. კერძოდ, სსკ-ის 1109-ე და შემდგომი მუხლებით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობისას მოთხოვნათა ხანდაზმულობა შეადგენს სსკ-ის 1008-ე მუხლით გათვალისწინებულ 3 წელს „იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ“.

ამის საპირისპიროდ, მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონის მე-10 მუხლის თანახმად, „მომხმარებლის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ქონებისათვის მიყენებული ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას საქონლის ვარგისიანობის დადგენილ ვადებში, ხოლო თუ ასეთი ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ დამზადებიდან 10 წლის განმავლობაში.“

ამ ნორმით გათვალისწინებული პირველი ალტერნატივა, როგორც წესი, მოთხოვნათა განხორციელების უფრო მოკლე ვადას ადგენს, ვიდრე ეს სსკ-ის 1008-ე მუხლით არის გათვალისწინებული. ამით მომხმარებელი

<sup>710</sup> BGH Urteil vom 24.11.1976 – VIII ZR 137/75 (Stuttgart), NJW, 1977, S. 380.

<sup>711</sup> Kossmann, Der Handel im System der Produkthaftung, NJW, 1984, S. 1667.

<sup>712</sup> შეად. Schmidt-Salzer, Verbraucherschutz, Produkthaftung, Umwelthaftung, Unternehmensverantwortung, NJW, 1994, S. 1308.

ხანდაზმულობის ვადის თვალსაზრისით უარეს მდგომარეობაშია სსკ-ით გათვალისწინებულ რეგულირებასთან შედარებით.

იმ შემთხვევაში, თუ ვარგისიანობის ვადა განსაზღვრული არ არის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონის მე-10 მუხლის მეორე ალტერნატივით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა შეიძლება უპირატესი აღმოჩნდეს სსკ-ის 1008-ე მუხლთან მიმართებით.

შესაბამისად, მოცემულ ნორმათა შორის უპირატესად გამოსაყენებელი ნორმა უნდა დადგინდეს, ცალკეული შემთხვევის გარემოებათა გათვალისწინებით, მომხმარებლის ინტერესების მიხედვით.<sup>713</sup> ამასთან, ამ ნორმათა მიმართების დადგენისას უნდა განისაზღვროს ის მოთხოვნები, რომელთა განხორციელება შესაძლებელია ერთი ან მეორე სამართლებრივი რეჟიმის გამოყენებით.

გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები, რომ სსკ-ის 1109-ე და შემდგომ მუხლებსა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონის ნორმებს შორის არსებობს არა მოთხოვნის საფუძველთა, არამედ უშუალოდ მოთხოვნათა კონკურენცია. ეს იმით აიხსნება, რომ სსკ-ის 1009-ე და შემდგომი მუხლები აწესრიგებს დელიქტის სპეციალურ შემადგენლობას, როდესაც ზიანის მიყენება ხდება უხარისხო პროდუქტით. აღნიშნულისაგან განსხვავებით მომხმარებელთა უფლებების შესახებ სპეციალური კანონით დგინდება სახელშეკრულებო მეორად მოთხოვნათა ისეთი რეჟიმი, რომელიც მომხმარებელს უპირატეს მდგომარეობაში აყენებს, ჩვეულებრივ, სსკ-ით გათვალისწინებული სახელშეკრულებო ურთიერთობის რეგულირებასთან მიმართებით.

სპეციალური კანონით მოწესრიგებული ნორმები მოწესრიგების უფრო ვიწრო სფეროს მქონე ნორმებია და მათ უპირატესობა ენიჭებათ უფრო ზოგად ნორმებთან მიმართებით. შესაბამისად, ზოგადი და სპეციალური კანონის რეგულირების კოლიზიისას სახეზეა გამომრიცხავი კონკურენცია, და სპეციალური კანონით მოწესრიგებულ მოთხოვნის საფუძველს უპირატესობა უნდა მიენიჭოს.<sup>714</sup>

აღნიშნული პრინციპიდან გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც სპეციალური კანონით დასახული მიზნის მიღწევა ამავე კანონით მოწესრიგებული ნორმით ნაკლებად განხორციელებადია, უფრო ზოგადი კანონით მოწესრიგებულ ნორმასთან შედარებით, ან აღნიშნული სპეციალური კანონით დასახული ინტერესის დაცვა შეუძლებელია ამავე კანონის ცალკეული ნორმის ვიწრო ჩარჩოებში გამოყენების შემთხვევაში.<sup>715</sup>

<sup>713</sup> შეად.: *Amsberg*, *Anspruchskonkurrenz, Cumul und Sameloop*, 1994, S. 19; ასევე *Wagner*, *Münchener Kommentar zum BGB*, 5. Aufl., Band 5, 2009, Vorbem., RdNr. 68.

<sup>714</sup> *Gnos*, *Anspruchskonkurrenz in schweizerischen Produkthaftpflichtrecht*, 1997, S. 38.

<sup>715</sup> შეად. *Brandenburg*, *Die teleologische Reduktion*, 1983, S. 54.

## IX. მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია სახელშეკრულებო და კანონისმიერი პასუხისმგებლობის გამორიცხვისას

### 1. პასუხისმგებლობის გამორიცხვა სახელშეკრულებო შეთანხმებით

მხარეთა ნამდვილი სახელშეკრულებო შეთანხმებით პასუხისმგებლობის გამორიცხვის შემთხვევაში, შესაძლოა, სახელშეკრულებო მოთხოვნათა წარმოშობა გამორიცხული იყოს ცალკეული ვალდებულების დარღვევისას. ასეთ შემთხვევაში პირს, რომლის უფლებები დაირღვა, არ გააჩნია სახელშეკრულებო მოთხოვნები. თუმცა, ამის მიუხედავად, მას შესაძლოა წარმოეშვას მოთხოვნები სხვა სამართლებრივი საფუძველებიდან, მაგალითად, დელიქტით გათვალისწინებული მოთხოვნის საფუძველის შემადგენლობის წინაპირობების არსებობისას. შესაბამისად, დასაშვებია, მხარეს ჰქონდეს სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არასახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძველიდან.

მოიცავს თუ არა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის გამორიცხვა სხვა მოთხოვნის საფუძველთა შემადგენლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობათა გამორიცხვას, სადავოა. გერმანიის სასამართლო პრაქტიკა, ძირითადად, ემხრობა პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმების ვიწრო განმარტებას, რომლის შესაბამისად, პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმება, როგორც წესი, მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეზღუდვასა და გამორიცხვაზე უნდა გავრცელდეს.<sup>716</sup>

აღნიშნული მოსაზრება გასაზიარებელია, როდესაც პასუხისმგებლობის გამორიცხვა შესრულების კონკრეტულ თვისებასა თუ ხარისხს ან ინფორმაციას შეეხება. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის პასუხისმგებლობის გამორიცხვა ზოგადი ფორმულირებით მოხდა, ასეთი შეთანხმება შესაძლოა ფართოდ განიმარტოს და გავრცელდეს როგორც სახელშეკრულებო, ისე კანონისმიერ მოთხოვნებზე.

გერმანული დოქტრინა, ისევე როგორც სასამართლო პრაქტიკა, სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციას, ძირითადად, ალტერნატიული ანუ „ნამდვილი“ კონკურენციის ჭრილში განიხილავს.<sup>717</sup> ასეთი ხედვა, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობაში მოდის კერძო სამართლის ერთ-ერთ ძირითად, ხელშეკრულების თავისუფლების, პრინციპთან. შესაბამისად, ასეთი მიდგომა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, ცალკეული ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით, კანონმდებლის ნება სწორედ ხელშეკრულების დადების თავისუფლების შეზღუდვაა, განსაკუთრებით პასუხისმგებლობის გამორიცხვის დაუშვებლობის გამო.<sup>718</sup>

<sup>716</sup> *Amsberg*, *Anspruchskonkurrenz, Cumul und Sameloop*, 1994, S. 14, ასევე *Klein*, *Konkurrenz und Auslegung*, 1996, S. 63, 65.

<sup>717</sup> *Gsell*, *Deliktsrechtlicher Eigentumsschutz bei „weiterfressendem“ Mangel*, NJW, 2004, S. 1913; BGH *Beschluß vom 16.02.1993 - VI ZR 252/92 (Oldenburg)*, NJW, 1993, S. 1113 f.

<sup>718</sup> მაგალითად, დაუშვებელია პასუხისმგებლობის გამორიცხვა სამომხმარებლო ხელშეკრულების ფარგლებში, ვინაიდან მომხმარებელთა უფლებების დამცავ რეგულირებათა ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, სწორედ, მომხმარებლის დაცვა ამოცდილი მეწარმის მიერ საკუთარი მოქმედების თავისუფლების ბოროტად გამოყენებისაგან. ეს კი, ძირითადად, სწორედ მომხმარებლის მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გამორიცხვაში შეიძლება გამოისატოს. იხ. დეტალურად BGH *Urteil vom 24.11.1976 - VIII ZR 137/75 (Stuttgart)*, NJW, 1977, S. 380 f.; *Schmidt-Salzer*, *Verbraucherschutz, Produkthaftung, Umwelthaftung, Unternehmensverantwortung*, NJW, 1994, S. 1306.



შესაბამისად, დელიქტსა და სახელშეკრულებო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს შორის ალტერნატიული კონკურენცია მხოლოდ გარკვეული დათქმით უნდა მოქმედებდეს.

ხელშეკრულების მხარეების ან ერთ-ერთი მხარის მიერ, სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის ფარგლებში, პასუხისმგებლობის გამორიცხვა ზეგავლენას არ ახდენს კანონისმიერი ვალდებულებების წარმოშობაზე იმ შემთხვევაში, თუ კანონისმიერი ვალდებულების დარღვევა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის გამორიცხვის ფარგლებს მიღმა წარმოიშვა.

მაგალითად, თუ პასუხისმგებლობა გამოირიცხა ნასყიდობის საგნის კონკრეტულ თვისებასთან დაკავშირებით, პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმება ნამდვილია, თუმცა ის, ცხადია, არ მოიცავს ვალდებულების დარღვევას, რომელიც არ უკავშირდება უშუალოდ იმ თვისებას, რომლის თაობაზეც მოხდა მხარეთა შორის პასუხისმგებლობის გამორიცხვა. ასეთ შემთხვევაში კანონისმიერი მოთხოვნა კვლავ აგრძელებს არსებობას.

ამასთან, როდესაც პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გამოირიცხა საგნის კონკრეტულ თვისებასთან დაკავშირებით, მისი შესატყვისი სახელშეკრულებო მოთხოვნა გამოირიცხება. შესაბამისად, დელიქტური მოთხოვნის განხილვა ალტერნატიული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად. წინააღმდეგობაში მოდის კანონმდებლის ნებასთან. აღნიშნული გაუმართლებელია, ვინაიდან ამგვარი მიდგომა კანონმდებლის მიერ სსკ-ის 497-ე თუ 395-ე მუხლებით დასახულ მიზანს განუხორციელებელსა და შესაბამის რეგულირებას უფუნქციოს ხდის.

კანონმდებელმა როდესაც დაუშვა პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმების შესაძლებლობა, იგი განხორციელებადი უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაინტერესებული მხარე ბოროტად იყენებს ასეთ უფლებას. პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ ნამდვილი შეთანხმების მიუხედავად, დელიქტური პასუხისმგებლობა უნდა წარმოიშვას მაშინაც, როდესაც ვალდებულების დარღვევა უშუალოდ ხელშეკრულების საგნის იმ თვისებებს უკავშირდება, რომელთა თაობაზეც მოხდა პასუხისმგებლობის გამორიცხვა, თუ სახეზეა მოვალის განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობა.<sup>719</sup>

მხარეთა შეთანხმება, სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ, შესაძლოა კონკლუდენტურად მოიცავდეს დელიქტური პასუხისმგებლობის გამორიცხვასაც.<sup>720</sup> სსკ-ის 992-ე და 497-ე, ისევე როგორც 395-ე მუხლები, ურთიერთკავშირში უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ, მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, დაცული იყოს კანონმდებლის მიერ თითოეული მათგანის ინტერესების დაცვის დასახული მიზანი.<sup>721</sup> შესაბამისად,

<sup>719</sup> BGH Urteil vom 30.11.1971 – VI ZR 100/70 (Stuttgart), NJW, 1972, S. 475; შეად. ასევე სსკ-ის 395-ე მუხლის პირველი ნაწილი; OLG Stuttgart Urteil vom 08.05.2008 – 13 U 223/07, NJW, 2009, S. 385, მათ შორის მითითებით, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 521-ე პარაგრაფის ანალოგიის წესით გავრცელება გამართლებულია ყველა უსასყიდლო ხელშეკრულებაზე, ასევე, მაგალითად, გამნათხოვრებლის მიმართ.

<sup>720</sup> შეად. Kohler, Staudinger Kommentar zum BGB, 2005, UmweltHG, § 18, RdNr. 18; Amsberg, Anspruchs Konkurrenz, Cumul und Sameloop, 1994, S. 14, 20.

<sup>721</sup> შეად. Heck, das Problem der Rechtsgewinnung, Gesetzesauslegung und Interessenjurisprudenz, Begriffsbildung und Interessenjurisprudenz, 1932, S. 70.

ცალკეულ შემთხვევაში შესაძლოა პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმების განმარტება იმგვარად,<sup>722</sup> რომ იგი გავრცელდეს სხვა მოთხოვნის საფუძველით გათვალისწინებულ მოთხოვნებზეც.<sup>723</sup>

ასეთი განმარტება გამართლებულია მხოლოდ მაშინ, თუ, ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით, მხარეთა ინტერესების შეპირისპირების შედეგად, პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ დებულების ფართო განმარტების საფუძველზე დამდგარი შედეგი დასახული მიზნის ადეკვატურია და თანაზომიერია. ამასთან, ის შესაბამისობაში უნდა იყოს სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილითა და 316-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების პრინციპთან.<sup>724</sup>

გერმანიის სასამართლო პრაქტიკის თანახმად, პასუხისმგებლობის გამორიცხვა, როგორც წესი, არ მოიცავს დელიქტური პასუხისმგებლობის გამორიცხვას იმ ზიანისათვის, რომელიც, ზოგადად, დაცულ სიკეთეს,<sup>725</sup> განსაკუთრებით ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს შეეხება. ამდენად, პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმება არ უნდა გასცდეს იმ ფარგლებს, რომლის შესახებაც მოხდა პასუხისმგებლობის გამორიცხვა.

მაგალითად, თუ პასუხისმგებლობის გამორიცხვა შეეხება ნივთის გარკვეულ თვისებებს, შეთანხმება ამასთან დაკავშირებით უნდა გავრცელდეს მხოლოდ ნივთის ამ თვისებების, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ხელშეკრულების მხარის მიერ ნებისმიერი სახელშეკრულებო ძირითადი თუ არაძირითადი, და, განსაკუთრებით, არასახელშეკრულებო ვალდებულების, დარღვევაზე.<sup>726</sup>

თანამედროვე ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ სამოქალაქო კანონმდებლობით განსაკუთრებული დაცვის ღირს ღირებულებათა ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის მიზნით, პასუხისმგებლობის გამორიცხვა არცერთ შემთხვევაში არ უნდა გავრცელდეს სხეულის დაზიანებისა<sup>727</sup> და პიროვნული უფლებების ხელყოფის<sup>728</sup> შემთხვევებზე.

მიუხედავად ამისა, საყურადღებოა, რომ აღნიშნული მოსაზრება ზოგიერთ შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოდის, ერთი მხრივ, ხელშეკრულების თავისუფლებისა და, მეორე მხრივ, პირთა თანასწორობის პრინციპთან. შესაბამისად, მიზანშეწონილია, ცალკეული შემთხვევის თავისებურების გათვალისწინებით მოხდეს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა და ნაკლებად გასაზიარებელია მიდგომა, რომელიც ერთიან პრინციპსა თუ წესს განსაზღვრავს პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმების ვიწროდ განმარტებასთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის

<sup>722</sup> შეად. *Bitter/Rauhut*, Grundzüge zivilrechtlicher Methodik – Schlüssel zu einer gelungenen Fallbearbeitung, JuS, 2009, S. 295 („ტელეოლოგიური ექსტენცია“).

<sup>723</sup> *Georgiades*, Die Anspruchskonkurrenz zum Zivilrecht und Zivilprozeßrecht, 1967, S. 87.

<sup>724</sup> BGH Urteil vom 24.11.1976 – VIII ZR 137/75 (Stuttgart), NJW, 1977, S. 380 f. („...Ob eine solche Freizeichnung auch Ansprüche aus unerlaubter Handlung, soweit sie mit der mangelhaften Lieferung zusammenhängen, erfaßt, bemißt sich nach der Auslegung einer derartigen Klausel im Einzelfall... Dabei ist neben dem Gesichtspunkt, daß Freizeichnungsklauseln – als Ausnahme von der sich aus dem dispositiven Recht ergebenden Haftung – grundsätzlich eng auszulegen sind, hier zusätzlich zu berücksichtigen, daß nach der sogenannten „Unklarheitenregel“ verbleibende Zweifel an der Reichweite der in AGB enthaltenen Bestimmungen zu Lasten desjenigen gehen, der sie aufgestellt hat und sich ihrer bedient.“)

<sup>725</sup> BGH Urteil vom 23.03.1966 – I b ZR 150/63 (Karlsruhe), NJW, 1967, S. 42.

<sup>726</sup> *Westermann*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 3, 2008, § 444, RdNr. 10.

<sup>727</sup> *Gnos*, Anspruchskonkurrenz in schweizerischen Produkthaftpflichtrecht, 1997, S. 49.

<sup>728</sup> *Spindler*, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2007, § 823, RdNr. 7.

გამორიცხვის შესახებ შეთანხმების კანონმდებლობით დაშვება პრაქტიკულ მნიშვნელობას დაკარგავს და ამ დაშვების მიზანი განუხორციელებელი დარჩება.

სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის გამორიცხვა, როგორც წესი, არ გამორიცხავს შეცდომების უფლებას შეცდომით დადებული გარიგების გამო, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შეცდომა (შეცდომების საფუძველი) ნასყიდობის სწორედ იმ თვისებაშია, რომლის შესახებ პასუხისმგებლობაც გამორიცხა სახელშეკრულებო შეთანხმებით.<sup>729</sup>

პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმების განმარტება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაცდეს მის სიტყვასიტყვით ფორმულირებას მაშინ, როდესაც შეთანხმება ეხება ბრუნვისათვის მნიშვნელოვან თვისებას.<sup>730</sup> ამასთან, თუ არსებობს სსკ-ის 495-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობა, ანუ გამყიდველი განზრახ დუმდა ნივთის ნაკლის გამო, პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ წინასწარი შეთანხმება ბათილია.<sup>731</sup>

## 2. პასუხისმგებლობის გამორიცხვის ბათილობა

### 2.1 პასუხისმგებლობის გამორიცხვის დაუშვებლობა კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში

სსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილისა და სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებული ხელშეკრულების თავისუფლების თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს უფლება აქვთ, ხელშეკრულებით გამორიცხონ ან შეზღუდონ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა, ან დაავიწროონ მისი ფარგლები, იმის მიუხედავად, კანონით აღნიშნული უფლებამოსილება პირდაპირ არის გათვალისწინებული თუ არა.<sup>732</sup>

ამასთან, მაგალითად, სსკ-ის 497-ე მუხლში უშუალოდ არის გათვალისწინებული გამყიდველის პასუხისმგებლობის შეზღუდვისა თუ გამორიცხვის შესაძლებლობა ნაკლიანი ნივთის გაყიდვისას.

ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპი, როგორც მხარეთა ინტერესების დაბალანსების მექანიზმი, მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ ფარგლებში, თუ უზრუნველყოფილია ხელშეკრულ მხარეთა შესაძლებლობების პარიტეტი.<sup>733</sup>

ამდენად, მაგალითად, იმავე სსკ-ის 497-ე მუხლში გამყიდველის პასუხისმგებლობის შეზღუდვა ან გამორიცხვა დაუშვებლად ცხადდება, „თუ გამყიდველი განზრახ დუმდა ნივთის ნაკლის შესახებ.“ ამ შემთხვევაში სახელშეკრულებო დათქმა ბათილია.

<sup>729</sup> Gnos, Anspruchskonkurrenz in schweizerischen Produkthaftpflichtrecht, 1997, S. 50.

<sup>730</sup> „verkehrs wesentliche Eigenschaft“, ob. OLG Stuttgart Urteil vom 17.03.1989 – 2 U 226/88, NJW, 1989, S. 2547.

<sup>731</sup> შეად. Gnos, Anspruchskonkurrenz in schweizerischen Produkthaftpflichtrecht, 1997, S. 48.

<sup>732</sup> Gnos, Anspruchskonkurrenz in schweizerischen Produkthaftpflichtrecht, 1997, S. 48.

<sup>733</sup> „Kraftparität“, ob. Rittner, Die gestörte Vertragsparität und das Bundesverfassungsgericht, NJW, 1994, S. 3330.

მსგავს რეგულირებას ითვალისწინებს ასევე სსკ-ის 539-ე მუხლი, რომლის თანახმად, პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ან მისი შეზღუდვის შესახებ შეთანხმება ბათილად ცხადდება, თუ „გამქირავებელმა ნაკლი განზრახ დამალა“.

ამ სპეციალური მოწესრიგებების პარალელურად, სსკ-ის 395-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმების მოქმედება დაუშვებელია „მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას“.

გარდა ამისა, სსკ-ის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს კანონის იმპერატიული ნორმები.“ სწორედ ამ მიზანს ემსახურება პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმების პირდაპირი აკრძალვა, რომელიც მომხმარებელთა ინტერესების დაცვის ან განსაკუთრებული დაცვის ღირსი ინტერესების უზრუნველსაყოფად იქნა შემუშავებული.<sup>734</sup>

აღნიშნული აკრძალვების გათვალისწინებით, მხარეთა მიერ პასუხისმგებლობის გამორიცხვა ნამდვილია და დასაშვები, თუ ის კანონით ზუსტად განსაზღვრულ აკრძალვას არ ეწინააღმდეგება. ასეთი აკრძალვა კი, როგორც წესი, უკავშირდება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევას.

შესაბამისად, კანონის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ დადებული შეთანხმება ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გამორიცხვისა თუ მისი გარკვეული ფარგლებით შეზღუდვის შესახებ ბათილია ან უშუალოდ შესაბამისი სპეციალური ნორმიდან გამომდინარე, ან, თუ შესაბამისი ნორმა არ არსებობს, სსკ-ის 54-ე მუხლის ზოგადი დანაწესიდან გამომდინარე.

ამასთან, პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმების ბათილობა, ცხადია, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას, იმ შემთხვევაში, თუ, სსკ-ის 62-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშე.

## 2.2 პასუხისმგებლობის გამორიცხვა ხელშეკრულების სტანდარტული პირობით

პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმება ხელშეკრულების სტანდარტული პირობის სახით ნამდვილია,<sup>735</sup> თუ იგი არ ეწინააღმდეგება სსკ-ის 346-ე მუხლით გათვალისწინებულ „ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს“, ან სსკ-ის 347-ე და 348-ე მუხლებით გათვალისწინებულ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობის რომელიმე სპეციალურ საფუძველს.<sup>736</sup>

ხელშეკრულების სტანდარტული პირობის საფუძველზე პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმება არ უნდა ჩაითვალოს ასევე ნამდვილად, თუ იგი არათანაზომიერად აუარესებს პირის მდგომარეობას, ან თუ სტანდარტული

<sup>734</sup> Adomeit, der Verbraucherschutz und das BGB, NJW, 2004, S. 581.

<sup>735</sup> იხ. სსკ-ის 342-ე-344-ე მუხლები.

<sup>736</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 14 თებერვლის №ას-992-1245-05 განჩინება და 2005 წლის 5 დეკემბრის №ას-772-1045-05 გადაწყვეტილება.

პირობა საკანონმდებლო რეგულირების მიზნებთან შეუსაბამოა.<sup>737</sup> „ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის“ საწინააღმდეგოდ უნდა ჩაითვალოს პირობა, რომელიც ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე უფლებებს იმგვარად ზღუდავს, რომ ხელშეკრულების მიზნის მიღწევას საფრთხე ექმნება.<sup>738</sup>

სსკ-ის 348-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია ხელშეკრულების სტანდარტული პირობის ბათილობის სპეციალური შემთხვევა, რომელიც უკავშირდება „ახალწარმოებული საქონლის მიწოდებისა და სამუშაოების შესრულებისას შემთავაზებლის პასუხისმგებლობას ნივთის ნაკლის გამო.“ ცხადია, პასუხისმგებლობის გამორიცხვა ამ შემთხვევებში მიუღებელია. აღნიშნული მიზნად ისახავს, პასუხისმგებლობის გამორიცხვის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობის იმგვარად შეზღუდვას, რომ არ იქნეს ხელყოფილი კეთილსინდისიერებისა და თანასწორობის პრინციპები.<sup>739</sup>

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მარეგულირებელი ნორმებით გათვალისწინებული ბათილობის საფუძვლები უპირატესად გამოსაყენებელი ნორმებია იმ შემთხვევაში, თუ პასუხისმგებლობის გამორიცხვა ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით მოხდა.<sup>740</sup>

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების სტანდარტული პირობებთან ერთად, მხარეთა შორის არსებობს ინდივიდუალური შეთანხმება პასუხისმგებლობის გამორიცხვის თაობაზე, ამ უკანასკნელს უპირატესობა მიენიჭება. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში იმოქმედებს მხოლოდ სახელშეკრულებო სამართლის შესაბამისი რეგულირებით გათვალისწინებული შეზღუდვა.<sup>741</sup>

მაგალითისათვის, სსკ-ის 497-ე, 539-ე თუ 395-ე მუხლებით დასაშვებად მიიჩნევა პასუხისმგებლობის გამორიცხვა სახელშეკრულებო შეთანხმებით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარე განზრახ დუმდა ნივთის ნაკლის გამო. შესაბამისად, ინდივიდუალური შეთანხმებით პასუხისმგებლობის გამორიცხვა ბათილია მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში. ხელშეკრულების ამ პირობის ბათილობისას მხარეს შეუზღუდავად წარმოეშობა კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაძლო მოთხოვნა.<sup>742</sup>

მოთხოვნები დელიქტის შესაბამისი მოთხოვნის საფუძვლიდან, სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ ნამდვილი შეთანხმების არსებობისას, შესაძლოა წარმოიშვას მხოლოდ გამყიდველის მიერ ნაკლის დაფარვისა და ნაკლიანი ნივთის მიწოდებით მყიდველისათვის ისეთი ზიანის გამოწვევის შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული სცდება სახელშეკრულებო ვალდებულების ფარგლებს. ამასთან, ხელყოფილი უნდა იყოს სამოქალაქო კანონმდებლობით დაცული აბსოლუტური, როგორც ქონებრივი, ისე პიროვნული, უფლებები და სხვა დაცვის ღირსი ინტერესები.<sup>743</sup>

<sup>737</sup> შეად. *Brandenburg*, Die teleologische Reduktion, 1983, S. 52.

<sup>738</sup> *Westermann*, Das neue Kaufrecht, NJW, 2002, S. 242.

<sup>739</sup> *Benecke*, Gesetzesumgehung im Zivilrecht, 2004, S. 205 ff.

<sup>740</sup> იხ. ასევე *Lorenz*, Schuldrechtsreform 2002: Problemschwerpunkte drei Jahre danach, NJW, 2005, S. 1890, 1894.

<sup>741</sup> *Hampel*, Kaufrechtliche Probleme beim Gebrauchtwagenkauf, JuS, 2003, S. 469.

<sup>742</sup> *Dubischar*, Der fehlgeschlagene Grundstückskauf, JuS, 2002, S. 236.

<sup>743</sup> შეად. *Windscheid*, Die Actio des roemischen Civilrechts, vom Standpunkte des heutigen Rechts, 1856, S. 20; ასევე: საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 77; *Зидзе*, Актуальные Проблемы Советского Права, 1988, стр. 201.

### 2.3 პასუხისმგებლობის გამორიცხვის სახელშეკრულებო შეთანხმების განდევნა დელიქტის სპეციალური შემადგენლობით

სსკ-ის 1016-ე მუხლის თანახმად, „მწარმოებლის პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქტისათვის არ შეიძლება წინასწარ არც გამოირიცხოს და არც შეიზღუდოს. საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია.“

ნასყიდობის ხელშეკრულებით, ნივთის ნაკლის გამო პასუხისმგებლობის გამორიცხვა ვრცელდება იმ ნაკლზე, რომელიც მიეძღვნა ჩვეულებრივი ყურადღების გამოჩენის შემთხვევაში შეეძლო და უნდა აღმოეჩინა. შესაბამისად, „ნაკლი“, რომელიც ნივთს ჰქონდა და ის შეცნობადი იყო, ივარაუდება, მიეძღველისათვის მისაღები აღმოჩნდა, რადგან იგი ხელშეკრულების პირობას გამყიდველის პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ დაეთანხმა.<sup>744</sup> შესაბამისად, ნივთის ასეთი თვისება აღარ განიხილება ნაკლად, სსკ-ის 487-ე-489-ე მუხლების გაგებით.

განსხვავებულად წესრიგდება საკითხი, როდესაც საქმე ეხება მწარმოებლის პასუხისმგებლობას მომხმარებლის მიმართ. აღნიშნულ ურთიერთობაში პასუხისმგებლობის წინასწარი გამორიცხვა კანონსაწინააღმდეგო და ბათილია.<sup>745</sup> ეს გამართლებულია იმით, რომ სახელშეკრულებო თავისუფლება პასუხისმგებლობის გამორიცხვის შეთანხმებასთან დაკავშირებით მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის თანასწორობისა და ინტერესთა თანაფარდობის შენარჩუნება შესაძლებელია.

მწარმოებელი, როგორც სამოქალაქო ბრუნვის გამოცდილი მონაწილე, მომხმარებელთან, როგორც განსაკუთრებული დაცვის ინტერესის მქონე პირთან, მიმართებით, არ შეიძლება იმავე სამართლებრივ რეჟიმში მოქმედებდეს, როგორც სხვა ხელშეკრულების მხარეთან მიმართებით. ეს განსაკუთრებით ნათელია იმის გათვალისწინებით, რომ მწარმოებელი ხელშეკრულებით პასუხისმგებლობის გამორიცხვას, ხშირ შემთხვევაში, არ ათანხმებს უშუალოდ მომხმარებელთან.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა გულისხმობს მომხმარებელთა დაცვის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას, რა ფარგლებშიც გამართლებულია მწარმოებლის უფლებების თანაზომიერი შეზღუდვა და, ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო მკაცრი პასუხისმგებლობის დაწესება. შესაბამისად, მწარმოებლისათვის ხელშეკრულებით პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესაძლებლობის ჩამორთმევა მომხმარებელთა ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია და თანაზომიერი.<sup>746</sup>

ამდენად, სსკ-ის 497-ე მუხლით, ისევე როგორც სსკ-ის 395-ე და 539-ე მუხლებით, ზიანის ანაზღაურების შესახებ ვალდებულების წინასწარი გამორიცხვის დასაშვებად აღიარების მიუხედავად, ეს რეგულირება განიდევნება მომხმარებელთა ინტერესების განსაკუთრებული დაცვის უზრუნველსაყოფად შემუშავებული სსკ-ის 1016-ე მუხლის საგამონაკლისო

<sup>744</sup> *Gnos*, *Anspruchskonkurrenz in schweizerischen Produkthaftpflichtrecht*, 1997, S. 43.

<sup>745</sup> შეად. *Wagner*, *Münchener Kommentar zum BGB*, 5. Aufl., Band 5, 2009, § 823, RdNr. 594.

<sup>746</sup> *Schmidt-Salzer*, *Verbraucherschutz, Produkthaftung, Umwelthaftung, Unternehmensverantwortung*, NJW, 1994, S. 1305; *Palandt/Heinrichs*, *BGB Kommentar*, 67. Aufl., 2008, § 134, RdNr. 6 ff.; *Gnos*, *Anspruchskonkurrenz in schweizerischen Produkthaftpflichtrecht*, 1997, S. 49.

რეგულირებით, თუ სახეზეა სსკ-ის 1109-ე-1116-ე მუხლებით მოწესრიგებული საგამონაკლისო ურთიერთობა.

სსკ-ის 1002-ე მუხლი ითვალისწინებს წინასწარ პასუხისმგებლობის გამორიცხვისა თუ შეზღუდვის აკრძალვას „სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად“ ან „ნაგებობიდან გამომდინარე“ დამდგარი ზიანის გამო.<sup>747</sup>

მართალია, სსკ-ის 1002-ე მუხლი, სსკ-ის 395-ე მუხლის მე-2 ნაწილის მსგავსად, არ ითვალისწინებს მხარეთა მიერ პასუხისმგებლობის გამორიცხვისათვის შესაბამის სამართლებრივ შედეგს – ასეთი დათქმის ბათილობას, თუმცა იგი დგება უშუალოდ სსკ-ის 54-ე მუხლის მოწესრიგებიდან გამომდინარე. ამდენად, ეს დათქმა ბათილია, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვას.<sup>748</sup>

შესაბამისად, პასუხისმგებლობის გამორიცხვაც ბათილია, თუ იგი ეხება სსკ-ის 999-ე და მე-1000 მუხლების საფუძველზე წარმოშობილ ზიანს.<sup>749</sup>

### **3. პასუხისმგებლობის გამორიცხვა ან შეზღუდვა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში**

პასუხისმგებლობის გამორიცხვა ან გარკვეული სახით მოდიფიცირება შესაძლებელია, უშუალოდ კანონით იყოს დადგენილი. ასეთი საკანონმდებლო დათქმის მაგალითია სსკ-ის 527-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, მჩუქებელი პასუხს აგებს დასაჩუქრებულის მიმართ ნაჩუქარი ნივთის ნაკლის გამო წარმოშობილი ზიანისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი განზრახ დამალავს ამ ნივთის ნაკლს.

კანონით პირდაპირ გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამორიცხვის კიდევ ერთი შემთხვევა წესრიგდება სსკ-ის 495-ე მუხლით, რომლის თანახმად, გამყიდველი ნივთის ნაკლის გამო წარმოშობილ ვალდებულებათაგან იმ შემთხვევაში თავისუფლდება, თუ მყიდველი მეწარმეა და ნივთის ნაკლის შესახებ დროულად არ შეატყობინებს გამყიდველს.

#### **3.1 მჩუქებლის პასუხისმგებლობის შეზღუდვა ნაკლიანი ნივთის მიწოდებისას**

სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ წარმოიშობა, თუ, სპეციალური ნორმის შესაბამისად, პირდაპირ გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის განსხვავებული, ანუ შეზღუდული, ფარგლები. ზოგადი მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის საფუძველზე მოთხოვნა არ უნდა წარმოიშვას ასევე მაშინ, როდესაც, ამა თუ იმ სპეციალური ნორმის შინაარსისა და მიზნის შეფასების შედეგად, შეცნობადია

<sup>747</sup> ბრალის გარეშე პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 19 ივლისის №ას-477-8202004, 2004 წლის 29 ივნისის №ას-555-834-04 და 2004 წლის 30 ნოემბრის №ას-1096-1297-04 განჩინებები.

<sup>748</sup> შეად. *Palandt/Heinrichs*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 134, RdNr. 6 ff.

<sup>749</sup> *Palandt/Heinrichs*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 276, RdNr. 34 ff.

კანონმდებლის ნება ცალკეული ურთიერთობის მონაწილისათვის პასუხისმგებლობის გამორიცხვის ან შეზღუდვის შესახებ.<sup>750</sup>

სპეციალური საგამონაკლისო ნორმის მიუხედავად, სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა წარმოშობილად უნდა იქნეს მიჩნეული, თუ ზიანის მიმყენებელი ზიანის წარმოშობი ქმედებით გასცდა სპეციალური ნორმით მოწესრიგებული ნორმის შემადგენლობის ფარგლებს<sup>751</sup> და ამ საგამონაკლისო წესით დასახულ დაცვით მიზნებს.<sup>752</sup>

მაგალითად, სსკ-ის 527-ე მუხლის შესაბამისად, მჩუქმებელი პასუხს აგებს ნივთის ნაკლის გამო და ვალდებულია აანაზღაუროს ამით გამოწვეული ზიანი, თუ იგი „ბოროტი“ განზრახვით დამალავს გაჩუქებული ნივთის ნაკლს.<sup>753</sup>

სსკ-ისაგან განსხვავებით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 521-ე პარაგრაფით ზოგადად წესრიგდება მჩუქებლის პასუხისმგებლობის ფარგლები და განისაზღვრება პასუხისმგებლობა მხოლოდ განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის. ამასთან, განცალკევებულად რეგულირდება მჩუქებლის პასუხისმგებლობა ნაკლიანი ნივთის მიწოდებისას. კერძოდ, სსკ-ის 527-ე მუხლის ანალოგიურად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 524-ე პარაგრაფის შესაბამისად, მჩუქმებელი პასუხს აგებს ნივთის ნაკლის გამო წარმოშობილი ზიანისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან განზრახ დამალა ნაკლი.

სსკ-ის ფორმულირება „ბოროტი განზრახვა“, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ანალოგიური რეგულირების გათვალისწინებით, განზრახვას გულისხმობს და სიტყვა „ბოროტი“-ს ცალკე წინაპირობად გამოტანა აზრს მოკლებულია. ამ ტერმინის გამოყენება კანონმდებლის მიერ სსკ-ის 527-ე მუხლის შემადგენლობაში ხარვეზად, ერთგვარ ენობრივ უზუსტობად, უნდა იქნეს მიჩნეული, რაც გერმანული რეგულირების სიტყვასიტყვით გადმოტანის მცდელობით აიხსნება.<sup>754</sup>

სსკ-ის 527-ე მუხლი მჩუქებლის პასუხისმგებლობას ზღუდავს დასაჩუქრებულის მიმართ გაჩუქებული ნივთის გამო. შესაბამისად, აღნიშნული ნორმა წინააღმდეგობაში მოდის როგორც სსკ-ის 394-ე და 395-ე, ისე 992-ე მუხლის

<sup>750</sup> BGH, Urteil vom 12.12.1991 – I ZR 212/89 (Schleswig), NJW, 1992, S. 1679 f. („Eine gesetzliche Einschränkung der Vertragshaftung kann sich allerdings auf die Haftung aus unerlaubter Handlung auswirken. Dies gilt dann, wenn der gesetzlichen Regelung der Vertragshaftung aufgrund ausdrücklicher Vorschrift oder nach ihrem Zweck zu entnehmen ist, daß sie einen Sachverhalt erschöpfend regeln und dementsprechend auch die Haftung aus unerlaubter Handlung ganz ausschließen oder in bestimmter Hinsicht beschränken will“); შეად. ასევე Klein, Konkurrenz und Auslegung, 1996, S. 54.

<sup>751</sup> BGH Urteil vom 12.12.1991 – I ZR 212/89 (Schleswig), NJW, 1992, S. 1680.

<sup>752</sup> შეად. Brandenburg, Die teleologische Reduktion, 1983, S. 52.

<sup>753</sup> Gehrlein, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2007, § 524, RdNr. 1.

<sup>754</sup> შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 524-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი: „განზრახ დუმდა ნივთის ნაკლის გამო“ („verschweigt der Schenker arglistig den Fehler“), სადაც „განზრახ დუმილი“ („arglistig verschwiegen“) სახეზეა, როდესაც მჩუქებელმა იცოდა ნაკლის შესახებ, ან, სულ მცირე, უშეგებდა ნაკლის არსებობას. ამასთან, ნაკლის შესახებ მხარის ინფორმირება კეთილსინდისიერებისა და ურთიერთობებში დამკვიდრებული შეხედულებების გათვალისწინებით მოსალოდნელია, ხოლო მჩუქებელმა იცის ან უნდა ივარაუდოს, რომ მეორე მხარემ აღნიშნული ნაკლის შესახებ არაფერი იცის და ეს რომ სცოდნოდა, ხელშეკრულებას არ დადებდა. შეად. Palandt/Weidenkaff, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 524, RdNr. 5 f.; Palandt/Heinrichs, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 442, RdNr. 18.



შემადგენლობასთან და კონკურენციას წარმოშობს იმ შემთხვევაში, თუ ნაჩუქარი ნივთის ნაკლის გამო დასაჩუქრებულს მიაღება ზიანი.

აღნიშნული შემთხვევის გადაწყვეტა უნდა მოხდეს კონკურენციაში მყოფ ნორმათა მიზნების შესაბამისი განმარტებით. სსკ-ის 527-ე მუხლით, მჩუქებლის მიმართ პასუხისმგებლობის განსხვავებული, შეზღუდული ფარგლების დაწესება ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარეა გამართლებული<sup>755</sup> და მხარეთა ინტერესების თანაზომიერ დაბალანსებას ისახავს მიზნად.<sup>756</sup>

შესაბამისად, სსკ-ის 527-ე მუხლის შემადგენლობის არსებობისას იგი გამორიცხავს სსკ-ის 992-ე მუხლის გამოყენებას მხოლოდ უშუალოდ გაჩუქებული ნივთის ნაკლით წარმოშობილ ზიანთან მიმართებით.<sup>757</sup> სხვა შემთხვევაში, ანუ მჩუქებლის მიერ ნივთის ნაკლის ფარგლებს მიღმა მიყენებული ზიანის მიმართ, სსკ-ის 992-ე მუხლი შეუზღუდავად იმოქმედებს. სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი შესაძლოა, სახელშეკრულებო მოთხოვნის პარალელურად ასევე წარმოიშვას მჩუქებლის მიერ გაჩუქებული ნივთის ნაკლის განზრახ დაფარვის შემთხვევაში,<sup>758</sup> რაც გამორიცხავს მჩუქებლის მიერ სსკ-ის 527-ე მუხლის რეგულირების ბოროტად გამოყენების საფრთხეს.

ჩუქების ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები პასუხისმგებლობის განსხვავებული მოწესრიგების შესახებ საგამონაკლისო რეგულირებაა და უპირატესობა უნდა მიენიჭოს სხვა უფრო ზოგად დებულებებთან მიმართებით. დასაფიქრებელია, რამდენად გამართლებულია, იგივე მიდგომა გავრცელდეს ისეთ შემთხვევათა მიმართ, როდესაც დარღვეულია „გულისხმიერების“ ვალდებულება და ეს უკანასკნელი უშუალოდ ჩუქების საგანს უკავშირდება.<sup>759</sup>

სსკ-ის 527-ე მუხლი ასეთი ფართო განმარტების ფარგლებს არ ადგენს, გერმანული რეგულირებისაგან განსხვავებით კი, სსკ-ი არ ითვალისწინებს, ზოგადად, მჩუქებლის პასუხისმგებლობის შეზღუდვას ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის.

შესაბამისად, ცალკეული შემთხვევის განხილვის დროს მოსამართლის ამოცანაა დაადგინოს, აღნიშნულის მოუწესრიგებლობა კანონმდებლის მიერ შეგნებულად დაშვებული „ვაკუუმი“ თუ არა.<sup>760</sup> მხოლოდ ამ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი და გამართლებული მსჯელობა სსკ-ის 527-ე მუხლის ფართოდ განმარტებაზე ისე, რომ პასუხისმგებლობის განსხვავებული ფარგლები გავრცელდეს მჩუქებლის მიერ ჩუქების ხელშეკრულების ფარგლებში არსებულ ნებისმიერ ვალდებულების დარღვევაზე.

<sup>755</sup> შეად. BGH Urteil vom 23.03.2000 – X ZR 177/97 (Frankfurt a.M.), NJW, 2000, S. 2101.

<sup>756</sup> Gehrlein, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2007, § 521, RdNr.1.

<sup>757</sup> შეად. Brandenburg, Die teleologische Reduktion, 1983, S. 36.

<sup>758</sup> შეად. BGH Urteil vom 23.03.2000 – X ZR 177/97 (Frankfurt a.M.), NJW, 2000, S. 2101.

<sup>759</sup> BGH Urteil vom 20.11.1984 – IVa ZR 104/83 (Celle), NJW, 1985, S. 794 ff.

<sup>760</sup> შეად. Alexy, Theorie der juristischen Argumentation, Die Theorie des rationalen Diskurses als Theorie der juristischen Begründung, 1983, S. 45.

### 3.2 მეწარმის მიმართ გამყიდველის პასუხისმგებლობის გამორიცხვა

სსკ-ის 495-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ მყიდველი მეწარმეს, ის ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი; თუკი იგი ნაკლის აღმოჩენიდან შესაბამის ვადაში ან იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო მისთვის ნაკლის არსებობა, არ წარუდგენს გამყიდველს პრეტენზიას, მას ერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება.“

შესაბამისად, სსკ-ის 495-ე მუხლი ითვალისწინებს მეწარმე მყიდველის ვალდებულებას, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი კარგავს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ, ნივთის ნაკლის გამო მეორადი მოთხოვნების წაყენების უფლებას, რომელიც, ჩვეულებრივ, წარმოიშობა გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ნაკლიანი ნივთის გადაცემის შემთხვევაში.<sup>761</sup>

ამდენად, სსკ-ის 495-ე მუხლით გათვალისწინებული მყიდველის ვალდებულების დარღვევა არ წარმოშობს გამყიდველისათვის მოთხოვნას სსკ-ის 128-ე მუხლის გაგებით, თუმცა მისი შეუსრულებლობა იწვევს უფლებამოსილი პირის სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებას.

აღნიშნული ვალდებულება, ცხადია, ყველა მეორად მოთხოვნას ერთნაირად ეხება, რაც იმას ნიშნავს, რომ მეწარმის მიერ ნივთის გონივრულ ვადაში შემოწმებისა და გამყიდველისათვის ნაკლის შეტყობინების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მას ერთმევა, მათ შორის, დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება.<sup>762</sup> ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული რეგულირების ბოროტად გამოყენების საფრთხის გამორიცხვისა და მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით,<sup>763</sup> ამავე მუხლის პირველი ნაწილის ვალდებულების შეუსრულებლობის მიუხედავად, მყიდველს არ ერთმევა მოთხოვნის უფლება ნივთის ნაკლის გამო იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი შეგნებულად დუმდა ნაკლის თაობაზე.

სსკ-ის 495-ე მუხლი ამომწურავად აწესრიგებს გამყიდველსა და მეწარმე მყიდველს შორის ურთიერთობას, რის შესაბამისადაც ზოგადი სახელშეკრულებო თუ კანონისმიერი მოთხოვნის საფუძველთა გამოყენების სფერო სახეზე არ არის. შესაბამისად, გაუმართლებლად უნდა იქნეს მიჩნეული ასეთ შემთხვევაში სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა და მოთხოვნის საფუძველთა ალტერნატიული კონკურენციის აღიარება.

სსკ-ის 495-ე მუხლი ადგენს საგამონაკლისო წესს და, შესაბამისად, გამომრიცხავ კონკურენციას წარმოშობს სახელშეკრულებო და კანონისმიერ მოთხოვნებსა და მოთხოვნის საფუძველებს შორის.<sup>764</sup> სხვაგვარად, მეწარმეს უფლება ექნება, დაეყრდნოს ზოგად, კანონისმიერ მოთხოვნის საფუძველს, რომელიც მას უფრო მეტი დაცვის გარანტიას ანიჭებს. ამგვარი მიდგომა კი

<sup>761</sup> შეად. გერმანიის საავტორო კოდექსის 377-ე პარაგრაფი.

<sup>762</sup> *Mankowski*, *Das Zusammenspiel der Nacherfüllung mit den kaufmännischen Untersuchungs- und Rügeobliegenheit*, NJW, 2006, S. 865.

<sup>763</sup> შეად. *Sutschet*, *Bamberger/Roth* (Hrsg.), *Beck'scher Online-Kommentar zum BGB*, 15. Aufl., 2009, § 242, RdNr. 57 ff.

<sup>764</sup> შეად. BGH Urteil vom 29.09.1995 – V ZR 130/94 (Karlsruhe), NJW, 1996, S. 52; შეად. *Klein*, *Konkurrenz und Auslegung*, 1996, S. 14.

გამოიწვევს სსკ-ის 495-ე მუხლით კანონმდებლის მიერ დასახული მიზნის – მეწარმისათვის, როგორც სამოქალაქო ბრუნვის გამოცდილი მონაწილისათვის, პასუხისმგებლობის განსხვავებული, უფრო მკაცრი სტანდარტის დაწესების – უგულებელყოფას.<sup>765</sup>

შედარებისათვის, გერმანული სამართლის მიხედვით, თუ მეწარმე არღვევს მასზე კანონით დაკისრებულ ნივთის შემოწმებისა და ნაკლის შემთხვევაში აღნიშნულის შესახებ შეტყობინების ვალდებულებას,<sup>766</sup> გერმანიის სასამართლოს განმარტებით, ამ უკანასკნელს უფლება აქვს, დელიქტის შესაბამისი მოთხოვნის საფუძველით მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიაღება გამყიდველის მიერ არაჯეროვანი შესრულების შედეგად დელიქტის შემადგენლობით დაცული სიკეთის ხელყოფის გამო.<sup>767</sup>

სასამართლოს მიერ ასეთი შესაძლებლობის დაშვება ნაკლებად გასაზიარებელია და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება იქნეს მიჩნეული მიზანშეწონილად.<sup>768</sup> კერძოდ, ცხადია, დელიქტის შესაბამისი მოთხოვნის დამფუძნებელი საფუძველი არ უნდა გავრცელდეს მეწარმის მიერ შექმნილი ნივთის ნაკლის გამო წარმოშობილ ზიანზე და არ უნდა წარმოშვას შესაბამისი მოთხოვნა, ვინაიდან კანონმდებლის მიერ სპეციალური რეგულირების მიზანია, მეწარმისათვის პასუხისმგებლობის უფრო მკაცრი ფარგლების დაწესება, რაც, თავის მხრივ, სამეწარმეო ბრუნვის სწრაფ განხორციელებასა<sup>769</sup> და რისკების სამართლიანად გადანაწილებას ემსახურება.<sup>770</sup>

შესაბამისად, დელიქტის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობის დასაშვებობასა და ფარგლებზე მსჯელობა უნდა მოხდეს სპეციალური რეგულირების მიზნების გათვალისწინებით.<sup>771</sup>

სსკ-ის 495-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა მეწარმე მყიდველის მიერ ნაკლიანი ნივთის მოწონებას გულისხმობს, რაც მყიდველის მიერ ნაკლის გამო შესაძლო მოთხოვნებზე უარის თქმად

<sup>765</sup> BGH Urteil vom 16.09.1987 – VIII ZR 334/86 (Frankfurt), NJW, 1988, S. 52 f. („Die Rügeobliegenheit bezweckt, die Abwicklung der Handelskäufe zu beschleunigen, dem Verkäufer so bald wie möglich Klarheit über später nur schwer feststellbare Mängel zu verschaffen und ihn von der Dispositions- und Beweisunsicherheit zu entlasten, die sich aus der Möglichkeit eines Nachschiebens von Mängelrügen ergäbe“).

<sup>766</sup> შეად. ასევე გერმანიის სავაჭრო კოდექსის 377-ე პარაგრაფი, რომელიც ითვალისწინებს სსკ-ის 495-ე მუხლით მოწვესრებივებული შეტყობინების ვალდებულებას.

<sup>767</sup> შეად., სსკ-ის 992-ე მუხლის მსგავსად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი; ასევე იხ. Grünewald/Schmidt, Münchener Kommentar zum HGB, 2. Aufl., 2007, § 377, RdNr. 102; Grünewald, Just-in-time-Geschäfte – Qualitätssicherungsvereinbarungen und Rügelast, NJW, 1995, S. 1777 ff., 1784; BGH Urteil vom 16.09.1987 – VIII ZR 334/86 (Frankfurt), NJW, 1988, S. 52.

<sup>768</sup> სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება უნდა იყოს გონივრულად დასაბუთებული და გამართლებული, იხ. Alexy, Theorie der juristischen Argumentation, Die Theorie des rationalen Diskurses als Theorie der juristischen Begründung, 1983, S. 24.

<sup>769</sup> Grünewald/Schmidt, Münchener Kommentar zum HGB, 2. Aufl., 2007, § 377, RdNr. 3.

<sup>770</sup> ამასთან, სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთა ინტერესების ადეკვატური დაცვის მიზნის მისაღწევად, გარკვეული საფრთხის არსებობის მიუხედავად, სპეციალური სახელშეკრულებო რეგულირებით დელიქტის დამფუძნებელი მოთხოვნის სრულად გამორიცხვა მიზანშეწონილია. იხ. BGH Urteil vom 16.09.1987 – VIII ZR 334/86 (Frankfurt), NJW, 1988, S. 53; ხოლო რეგულირების მიზანთან დაკავშირებით შეად. Roth, Koller/Roth/Morck (Hrsg.), HGB Kommentar, 6. Aufl., 2007, § 377, RdNr. 2.

<sup>771</sup> შეად. დელიქტის შესაბამისი ზიანის ოდენობის განსაზღვრასთან მიმართებით Grünewald, Just-in-time-Geschäfte – Qualitätssicherungsvereinbarungen und Rügelast, NJW, 1995, S. 1777 ff., 1784; ასევე Klein, Konkurrenz und Auslegung, 1996, S. 31.

განიმარტება. მყიდველის უმოქმედობის ამგვარად ინტერპრეტაციის შემთხვევაში, მყიდველის კონკლუდენტური უარი ნივთის ნაკლის გამო წარმოშობილ შესაძლო მოთხოვნებზე უდავოდ გავრცელდება დელიქტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა საფუძველზე, რომელთა შესაბამისი სამართლებრივი შედეგების წარმოშობა შესაძლოა, განხილული ყოფილიყო ცალკეულ შემთხვევასთან მიმართებით.<sup>772</sup>

დელიქტის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად, მოთხოვნათა წარმოშობა უდავოდ უნდა იქნეს მიჩნეული, მეწარმე მყიდველის მიერ სსკ-ის 495-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის მიუხედავად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვევა და, შესაბამისად, მის საფუძველზე დამდგარი ზიანი ნივთის ნაკლს არ უკავშირდება, კერძოდ, როდესაც სახეზეა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის „ფარგლებს გარეთ“ დამდგარი ზიანი<sup>773</sup> და აბსოლუტური უფლებებისა თუ „საერთო ინტერესების“<sup>774</sup> ხელყოფა.<sup>775</sup>

## X. კონკურენცია სანივთო მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძველების მიმართ

პირის სანივთო მოთხოვნებისა თუ მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია მისი ინტერესების დაკმაყოფილების სხვა ალტერნატივებთან დამოუკიდებელ ანალიზს საჭიროებს. სანივთო მოთხოვნების თავისებურება, ერთი მხრივ, მათი სტატუსიდან – ინდივიდის ინტერესების დაკმაყოფილების მეტი გარანტიიდან, ხოლო, მეორე მხრივ, სხვა მოთხოვნებთან მიმართებით, შუალედური როლიდან გამომდინარეობს. ამასთან, შუალედური როლი იმით ვლინდება, რომ სანივთო მოთხოვნებთან მიმართებით სახელშეკრულებო, მასთან გათანაბრებული (მაგალითად, წინასახელშეკრულებო) და დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან გამომდინარე მოთხოვნები უპირატესად გამოსაყენებელია, ხოლო დელიქტური და უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნების მიმართ, პირიქით, სანივთოს უპირატესობა ენიჭება.

### 1. სანივთო და უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის საფუძველთა ურთიერთმიმართება

სსკ-ის 172-ე მუხლის თანახმად, „მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება...“ ეს ნორმა არის მესაკუთრის მიერ მის

<sup>772</sup> BGH Urteil vom 20.10.1953 – I ZR 125/52 (Hamburg), NJW, 1954, S. 145 (Konkurrenz von Vertrags- und Deliktsanspruch).

<sup>773</sup> შეად. Arnold, Praktische Erörterungen aus dem Rechtsgebiete, 1853, S. 236, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობაში დელიქტური პასუხისმგებლობის წარმოშობის ერთადერთ დასაშვებ შესაძლებლობად განიხილავს შემთხვევას, როდესაც ზიანის მიყენება შესაძლოა მოხდეს სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ მხარეებს შორის, თუმცა ზიანის მიყენება სცდება სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის ფარგლებს. იხ. ასევე Зюидзе, Актуальные Проблемы Советского Права, 1988, стр. 200.

<sup>774</sup> „Verkehrspflichtverletzung gegen Allgemeinheit“.

<sup>775</sup> BGH Beschluß vom 16.02.1993 - VI ZR 252/92 (Oldenburg), NJW, 1993, S. 1113 f. („Bei dem Zusammentreffen von Schadensersatzansprüchen aus Vertragsverletzung und aus unerlaubter Handlung, die beide aus demselben Sachverhalt hergeleitet werden, handelt es sich zwar um eine echte Anspruchskonkurrenz, so daß grundsätzlich auch jeder Anspruch seiner eigenen Verjährungsfrist unterliegt. Ein Verkäufer, der nicht nur seine Vertragspflichten, sondern auch seine gegenüber der Allgemeinheit bestehenden Verkehrspflichten verletzt und daher u. U. auch Dritten gegenüber ersatzpflichtig werden kann, darf nämlich nicht gegenüber denjenigen Opfern privilegiert werden, die mit ihm einen Kaufvertrag abgeschlossen haben.“).

საკუთრებაში არსებული ნივთის უკან გამოთხოვის უფლების დამფუძნებელი ნორმა, რომელიც მოქმედებს ნებისმიერი სხვა პირის მიმართ.<sup>776</sup>

ამის საპირისპიროდ, სსკ-ის 976-ე მუხლის შესაბამისად, „პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება.“ შესაბამისად, ნაკლებად მიზანშეწონილია მოთხოვნის კვალიფიკაცია აღნიშნული საფუძვლის შესაბამისად, როდესაც „მიმღებს“ ანუ მფლობელს მიღებულ ქონებაზე საკუთრების უფლება არ შეუძენია და უფლებამოსილ პირს, როგორც მესაკუთრეს, შესაძლოა, ჰქონდეს ნივთის უკან გამოთხოვის სხვა უკეთეს სამართლებრივ საფუძველზე დამყარებული მოთხოვნა.<sup>777</sup>

ამდენად, როდესაც სახეზეა სსკ-ის 172-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, მართებული იქნება, იგი უპირატესად გამოსაყენებელ მოთხოვნის საფუძვლად იქნეს მიჩნეული უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებთან მიმართებით.<sup>778779</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით გაუმართლებელია გერმანული დოქტრინისა თუ სასამართლო პრაქტიკის უპირობო გადმოტანა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, ვინაიდან უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელ ნორმათა მნიშვნელობა, ისევე როგორც მათი გამოყენების სფერო, საქართველოს სამოქალაქო სამართლებრივ კანონმდებლობაში განსხვავებულია და შეზღუდული, გერმანულ სამართალთან შედარებით. ეს განსხვავება დიდწილად განპირობებულია ქართულ სამართალში აბსტრაქციის პრინციპის არარსებობით.<sup>780</sup>

## 1.1 აბსტრაქციის პრინციპის მოქმედების შედეგები

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე გერმანულ სამართალში, ქართული რეგულირების მსგავსად, საკუთრების უფლების გადაცემის ნამდვილობისათვის სავალდებულო წინაპირობად განიხილებოდა სამართლებრივი საფუძვლის – კაუზას არსებობა.<sup>781</sup> თუმცა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიღებასთან ერთად ჩამოყალიბდა ახალი მიდგომა, რომელიც აისახა გერმანულ დოქტრინაშიც.

<sup>776</sup> *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 76; *Лоренц*, Проблемы Соотношения и Конкуренции Виндикации с Иными Внедоговорными Притязаниями, Вестник ЮУрГУ № 2, 2008, ст. 105.

<sup>777</sup> *კერესელიძე*, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2003 (6), გვ. 604.

<sup>778</sup> შეად. *Sagviny*, das Obligationsrecht als Theil des heutigen römischen rechts, Band 2, 1853, S. 153; *Stadler*, Gestaltungsfreiheit und Verkehrsschutz durch Abstraktion: Eine rechtsvergleichende Studie zur abstrakten und kausalen Gestaltung rechtsgeschäftlicher Zuwendungen anhand des deutschen, schweizerischen, österreichischen, französischen und US-amerikanischen Rechts, 1996, S. 229 ff.; *Schellhammer*, Sachenrecht nach Anspruchsgrundlagen, 2001, RdNr. 848.

<sup>779</sup> სხვა პოტსაბჭოურ სამართლებრივ სისტემებთან დაკავშირებით იხ., მაგალითად, Определение Конституционного Суда РФ № 98-О от 25 марта 2004 г.

<sup>780</sup> *კერესელიძე*, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2003 (6), გვ. 600; ასევე *ჩანავა*, ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2004 (7), გვ. 776.

<sup>781</sup> შეად. *Kupisch*, Zum Rechtsgrund i.S. des § 812 BGB bei Erfüllung – Eine rechtsdogmatische und rechtsgeschichtliche Untersuchung, NJW, 1985, S. 2370 ff. („Rechtsgrund“, „causa“).

თანამედროვე გერმანულ სამოქალაქო სამართალში საკუთრების უფლების გადასვლის აუცილებელ წინაპირობად აღარ განიხილება სამართლებრივი საფუძვლის არსებობა.<sup>782</sup> შესაძლებელია, სანივთო გარიგება „ნამდვილი განკარგვის გარიგებად“ იქნეს მიჩნეული შესაბამისი კაუზას გარეშე.<sup>783</sup> ბათილობის, მერყევად ბათილობისა და საცილობის საფუძვლები დამოუკიდებლად განიხილება ვალდებულებითსამართლებრივი და სანივთოსამართლებრივი გარიგებების მიმართ.<sup>784</sup> ამასთან, თუ სახეზეა გარიგების ბათილობის საფუძველი, იგი „აბსტრაქტიზმულად“ თუ „აბსტრაქტულად“ განიხილება, ერთი მხრივ, ვალდებულებითსამართლებრივი და, მეორე მხრივ, სანივთოსამართლებრივი გარიგების მიმართ.<sup>785</sup>

სანივთო გარიგება შეიძლება ნამდვილი იყოს ვალდებულებითსამართლებრივი გარიგების ბათილობის მიუხედავად. შესაბამისად, იქ, სადაც აბსტრაქციის პრინციპიდან გამომდინარე, ნამდვილი რჩება სანივთო გარიგება, ცხადია, იმოქმედებს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის საფუძველი. ეს ლოგიკურია, ვინაიდან მოთხოვნის ადრესატი სანივთო გარიგებით მესაკუთრე გახდა და, ამდენად, მის მიმართ „ვინდიკაციური“ მოთხოვნა ახლა უკვე ყოფილ მესაკუთრეს ვეღარ ექნება.

## 1.2 მიმართება „ნამდვილ უფლებასთან“

ვალდებულებითსამართლებრივი გარიგება, კაუზალური პრინციპის შესაბამისად, საკუთრების უფლების გადაცემის სანივთოსამართლებრივი გარიგების აუცილებელი წინაპირობაა.<sup>786</sup>

გერმანულ სამოქალაქო სამართალში მოქმედი აბსტრაქციის პრინციპი არა მხოლოდ მიჯნავს ვალდებულებით- და სანივთოსამართლებრივ გარიგებას, არამედ ასევე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განიხილავს მათ. შესაბამისად, აბსტრაქციის პრინციპი მოიცავს ორ საფეხურს: გამიჯვნასა და აბსტრაქციას, ხოლო კაუზალურობის პრინციპი გამიჯნულ გარიგებებს ერთმანეთთან კაუზალურად დაკავშირებულად განიხილავს.<sup>787</sup>

ქართულ სამართალში მოქმედი გამიჯვნის პრინციპის თანახმად, სანივთოსამართლებრივი გარიგება გამიჯნულია ვალდებულებითსამართლებრივი გარიგებისაგან, თუმცა ეს გარიგებები იმგვარად არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ ვალდებულებითსამართლებრივი გარიგების ბათილობა ავტომატურად იწვევს სანივთოსამართლებრივი გარიგების ბათილობას.

მაგალითად, სსკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად, ბათილი ნასყიდობის ხელშეკრულება მის საფუძველზე განხორციელებულ განკარგვასაც ავტომატურად „არანამდვილად“ აქცევს. შესაბამისად, გამსხვისებელი არ კარგავს საკუთრების უფლებას ბათილი გარიგების საფუძველზე

<sup>782</sup> Kindel, Das Rechtsgeschäft und sein Rechtsgrund, 1892, S. 1.

<sup>783</sup> შეად. Brütt, Die abstrakte Forderung nach deutschem Reichsrecht, 1908, S. 47.

<sup>784</sup> Kohler, Schwebende Vindikationsklage, NJW, 1988, S. 1054 ff.

<sup>785</sup> BGH Urteil vom 26.11.1990 – II ZR 92/90 (Karlsruhe), NJW, 1991, S. 1415.

<sup>786</sup> Bähr, Die Anerkennung als Verpflichtungsgrund, 2. Aufl., 1867, S. 12; ასევე Lorenz, Grundwissen – Zivilrecht: Abstrakte und kausale Rechtsgeschäfte, JuS, 2009, S. 491.

<sup>787</sup> Lorenz, Grundwissen – Zivilrecht: Abstrakte und kausale Rechtsgeschäfte, JuS, 2009, S. 491.

„გასხვისებულ“ ქონებაზე<sup>788</sup> და შეუძლია, სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მფლობელს მოსთხოვოს მისი უკან დაბრუნება.<sup>789790</sup> შესაბამისად, მესაკუთრის მიერ ქონების უკან გამოთხოვის უპირატესი საფუძველი, უდავოდ, ვინდიკაციური სარჩელია ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ქონების „მიმღები“ ვერ ხდება მესაკუთრე.<sup>791</sup>

ვინდიკაციური მოთხოვნის წარდგენის უპირატესობა არ არის უდავო მოხმარებად ნივთებთან მიმართებით. კერძოდ, სსკ-ის 172-ე მუხლით დაფუძნებული მოთხოვნის განხორციელება აღნიშნული კატეგორიის ნივთებზე, ცალკეული შემთხვევაში, შეიძლება ნაკლებად მიზანშეწონილი და, ზოგიერთ შემთხვევაში, გაუმართლებელიც იყოს. ეს ხდება მაშინ, თუ უშუალოდ იმ კონკრეტული ნივთის გამოთხოვა აზრს მოკლებულია.

მოხმარებადი ნივთის (ფული, საწვავი, მედიკამენტი და სხვა) „ჩვეულებრივი დანიშნულება სწორედ მის მოხმარებით (გალევიტ) ვლინდება.“<sup>792</sup> შესაბამისად, ის კონკრეტული ნივთი, რომელზეც მესაკუთრეს აქვს საკუთრების უფლება, მისი თვისებების გათვალისწინებით, შეიძლება მოთხოვნის წაყენების მომენტში უკვე „მოხმარებული“ თუ „გალეულია“. ამდენად, მისი უკან გამოთხოვა შეუძლებელია.<sup>793</sup>

სსკ-ის 172-ე მუხლის შესაბამისი მოთხოვნა ასევე არ არსებობს, თუ ნივთზე საკუთრების უფლება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძინა სხვა პირმა,<sup>794</sup> მაგალითად, როგორც კეთილსინდისიერმა შემძენმა,<sup>795</sup> ან ამ ნივთზე საკუთრების უფლება სსკ-ის 165-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას სხვა პირმა მოიპოვა ხანდაზმულობით. შესაბამისად, ვინდიკაციური მოთხოვნა გამოირიცხება, თუ თავდაპირველი მესაკუთრე კარგავს საკუთრების უფლებას.<sup>796</sup>

## 2. ნივთის გამოთხოვის მოთხოვნათა საფუძველების კონკურენცია

<sup>788</sup> შეად. *Kindel*, das Rechtsgeschäft und sein rechtsgrund, 1892, S. 125-128; *Endemann*, Über die civilrechtliche Wirkung der Verbotsgesetze nach gemeinem recht, 1887, S. 78.

<sup>789</sup> *კერესელიძე*, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2003 (6), გვ. 600; *ზოიძე*, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე/ნინიძე (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, 1999, გვ. 87.

<sup>790</sup> შეად. Постановление Конституционного Суда РФ № 6-П от 21 апреля 2003 года.

<sup>791</sup> კაუზალურად დაკავშირებულ გარიგებებთან მიმართებით სანივთოსამართლებრივ მოთხოვნის საფუძველთა უპირატესობასთან დაკავშირებით იხ. *Schwab*, Münchener Kommentar zum BGB, Band 5, 5. Aufl., 2009, § 812, RdNr. 24; სანივთო გარიგების ბათილობასთან დაკავშირებით იხ. *Englert* in Prütting/Wegen/Weinreich (Hrsg.), BGB Kommentar, 2006, § 985, RdNr. 21.

<sup>792</sup> იხ. *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 199 და შემდგომი.

<sup>793</sup> გასხვავებული მოსაზრებით იხ. *კერესელიძე*, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2003 (6), გვ. 604.

<sup>794</sup> ვინდიკაციური მოთხოვნის წინაპირობებთან დაკავშირებით შეად. ასევე *Барон*, Система Римского Гражданского Права, перевод Петражицкого, выпуск второй, книга II Владение, книга III Вещные права, 1908, ст. 76-77.

<sup>795</sup> იხ. *ჩახვა*, ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2004 (7), გვ. 778 და შემდგომი.

<sup>796</sup> *Kindel*, Das Rechtsgeschäft und sein Rechtsgrund, 1892, S. 125.

უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნები და, შესაბამისად, ამ მოთხოვნათა საფუძვლები განიღვენება როგორც სახელშეკრულებო,<sup>797</sup> ისე სანივთო მოთხოვნის საფუძვლებით.

ნივთის გამოთხოვა პირმა შეიძლება განახორციელოს ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად. ასეთ დროს, როგორც წესი, იგი აღარ არის მესაკუთრე, თუმცა, სსკ-ის 352-ე მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილია, მოითხოვოს ნივთის უკან დაბრუნება.

პირის მოთხოვნა ნივთის უკან დაბრუნებაზე შესაძლოა არსებობდეს ასევე გარიგების ბათილობის შემთხვევაში, როდესაც შემძენს ნივთზე საკუთრების უფლება არ წარმოეშვა.<sup>798</sup> ასეთ შემთხვევაში უპირატესად განსახორციელებელ მოთხოვნად, როგორც წესი, სსკ-ის 172-ე მუხლის ე.წ. ვინდიკაციური მოთხოვნა უნდა იქნეს მიჩნეული.

უშუალოდ სახელშეკრულებო და ვინდიკაციური მოთხოვნაც შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს ერთმანეთთან. ცალკეულ შემთხვევაში, დასაშვებია არსებობდეს როგორც სახელშეკრულებო ნორმებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელების შესაძლებლობა, ასევე, გარიგების ბათილობის გამო,<sup>799</sup> სავინდიკაციო და, ცალკეულ შემთხვევაში, ე.წ. კონდიქციური მოთხოვნების წარდგენის უფლებამოსილებაც. ცხადია, აღნიშნულ უფლებათა ერთდროულად განხორციელება შეუძლებელია.

ამდენად, სახეზეა მოთხოვნათა კონკურენცია, რომელიც უფლებამოსილ პირს ანიჭებს არჩევანის შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში უპირატესად უნდა განხორციელდეს ის უფლებები, რომლებიც მოვალისათვის მეტად ხელსაყრელია.<sup>800</sup> პარალელურად არსებული ალტერნატიული მოთხოვნებიდან ერთ-ერთის განხორციელებამ, შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევაში, გამორიცხოს ყველა სხვა ალტერნატივა, სასურველი შედეგის დადგომის მიუხედავად.<sup>801</sup>

მაგალითად, მოვალის მიერ განხორციელებული ნამდვილი შეცილება სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მისი განხორციელებისთანავე, თუ სახეზეა შეცილების საფუძველი და ნამდვილი შეცილება. აღნიშნული სამართლებრივი შედეგის დადგომის შემდეგ, შეუძლებელია, მხარემ მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გამო, ვინაიდან ხელშეკრულება, სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაღების მომენტიდან ბათილია.<sup>802</sup>

<sup>797</sup> Leupertz in Prütting/Wegen/Weinreich (Hrsg.), BGB Kommentar, 2006, § 812, RdNr. 19.

<sup>798</sup> Englert in Prütting/Wegen/Weinreich (Hrsg.), BGB Kommentar, 2006, § 985, RdNr. 21.

<sup>799</sup> ბათილობა, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა დადგეს ნამდვილი შეცილების, ან მერყევად ბათილი გარიგების არმოწონებისას უფლებამოსილი პირის მიერ (სსკ-ის მე-15 და 63-ე მუხლების შესაბამისად, კანონიერი წარმომადგენლის, ან სსკ-ის 111-ე მუხლის შესაბამისად, წარმოდგენილი პირის მიერ).

<sup>800</sup> ბოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდთა, მე-2 გამოცემა, 2004, გვ. 190 და შემდგომი.

<sup>801</sup> შეად., მაგალითად, ბოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდთა, მე-2 გამოცემა, 2004, გვ. 190 („განხორციელებული შეცილებით და დამდგარი შედეგით მხარე იბოჭება“).

<sup>802</sup> შეად. ბოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდთა, მე-2 გამოცემა, 2004, გვ. 190 და შემდგომი.



შესაბამისად, პირის მიერ ალტერნატიული მოთხოვნების განხორციელება ერთმანეთის შემდგომ დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინამორბედი მოთხოვნის განხორციელება არ იწვევს ისეთ სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც შეუძლებელს ხდის სხვა ალტერნატიული მოთხოვნის განხორციელებას. ამდენად ალტერნატიული მოთხოვნა ვეღარ იარსებებს მაშინ, როდესაც მოთხოვნის განხორციელების შედეგად შეცვლილია ფაქტობრივი გარემოებები.<sup>803</sup>

შეცილებასა და ხელშეკრულებიდან გასვლასთან მიმართებით გამართლებულია სსკ-ის მე-60 მუხლით გათვალისწინებული გარიგების კონვერსიის გამოყენება. ამასთან, შეცილების წინაპირობების დაუცველობის გამო ბათილი შეცილების კონვერსია დასაშვებია ხელშეკრულებიდან გასვლად.<sup>804</sup>

ამგვარად, მხედველობაში მიიღება ყველაზე უფრო სასურველი ნება, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, მიზანშეწონილია თანასწორობის, კეთილსინდისიერებისა და პროცესის ეკონომიურობის პრინციპებიდან გამომდინარე.<sup>805</sup> შესაბამისად, სასამართლოს მიერ ნება უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ სამართლებრივი შეფასების შედეგად იგი მხარის ინტერესებისა და დასახული მიზნის მიღწევის უპირატესი საშუალება იყოს.<sup>806</sup>

ამ მიდგომის არსი ისაა, რომ შეცილების ნების გამოვლენის განმარტების შედეგად დგინდება,<sup>807</sup> პირი მიზნად ისახავს სამართლებრივი შედეგების უპირობო გაუქმებას. შესაბამისად, დასაშვებია ვარაუდი, რომ ის ასევე ისურვებდა ხელშეკრულებიდან გასვლას, რომ სცოდნოდა შეცილების ბათილობის შესახებ.<sup>808</sup>

გარდა ამისა, სსკ-ის 976-ე მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, „პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომკრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ... ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში...“

ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლები მოწესრიგებულია სსკ-ის 427-ე და შემდგომი მუხლებით, როგორებიცაა, მაგალითად: ვალდებულების შესრულება, დეპონირება, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა, ვალის პატიება, ასევე მოვალის გარდაცვალება, ვალდებული პირის ლიკვიდაცია და სხვა. ამასთან, სსკ-ის 976-ე მუხლის „ა“ პუნქტის მე-3 ალტერნატივის აღნიშნულ საფუძვლებთან ურთიერთკავშირში განმარტებისას სადავოა სსკ-ის 976-ე მუხლის გამოყენების მიზანშეწონილობა. კერძოდ, თუ ჩამოთვლილ საფუძველთაგან ერთ-ერთის

<sup>803</sup> Regelsberger, Pandekten, Band 1, 1893, S. 655.

<sup>804</sup> შეად. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 364 და შემდგომში; ბოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მე-2 გამოცემა, 2004, გვ. 193.

<sup>805</sup> იხ. „სავარაუდო ნებასთან“ დაკავშირებით კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 267, 1337-ე სქოლიო.

<sup>806</sup> შეად., მაგალითად, ბოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მე-2 გამოცემა, 2004, გვ. 193.

<sup>807</sup> ნების გამოვლენის განმარტებასთან დაკავშირებით შეად. Барон, Система Римского Гражданского Права, перевод Петражицкого, выпуск первый, книга I. общая часть, 1909, ст. 143.

<sup>808</sup> შეად. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 364.

შესაბამისად ვალდებულება შეწყდა, სადავოა, რამდენად შეიძლება არსებობდეს უსაფუძვლო გამდიდრების შესაბამისი მოთხოვნები.

სანივთო და სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძვლები არ უნდა იქნეს განხილული უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი მოთხოვნის საფუძველთან ალტერნატიულ კონკურენციაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის ინტერესის მქონე პირს სანივთო უფლება არ დაუკარგავს და იგი კვლავ განხორციელებადია, მოთხოვნა უპირატესად სსკ-ის 172-ე მუხლზე დაყრდნობით წარმოიშობა,<sup>809</sup> ხოლო სახელშეკრულებო მოთხოვნების არსებობისას ეს მოთხოვნები უპირატესად უნდა იქნეს წარდგენილი, რაც გამომრიცხავ კონკურენციას წარმოშობს უსაფუძვლო გამდიდრების, ისევე როგორც სანივთოსამართლებრივი მოთხოვნის საფუძველთან.

### 3. მოთხოვნები არამართლზომიერი კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ

სსკ-ის 163-ე მუხლის თანახმად, კეთილსინდისიერი მფლობელი, რომელსაც თავიდანვე არ ჰქონია ნივთის ფლობის უფლება, ან შემდგომ დაკარგა იგი, ვალდებულია, დაუბრუნოს ეს ნივთი უფლებამოსილ პირს.<sup>810</sup> უფლებამოსილი პირის მიერ ამ უფლების განხორციელებამდე, ნივთისა და უფლების ნაყოფი ეკუთვნის მფლობელს.

მოთხოვნის განსხვავებული ფარგლები დგინდება სსკ-ის 979-ე მუხლით, კერძოდ, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებულის უკან გამოთხოვის მოთხოვნის უფლება ვრცელდება მფლობელობის პერიოდში „შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით.“<sup>811</sup>

ამასთან, უსაფუძვლო გამდიდრების შესაბამისი ნორმებით სსკ-ის 163-ე მუხლისაგან განსხვავებულად წესრიგდება არამართლზომიერი კეთილსინდისიერი მფლობელის პასუხისმგებლობის ფარგლები. კერძოდ, პირი, რომელმაც არ იცოდა უფლებამოსილების ხარვეზის შესახებ, პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, სსკ-ის 984-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მან აღნიშნული ხარვეზის შესახებ არ იცოდა ჩვეულებრივი (ანუ არაუხეში) გაუფრთხილებლობით და, ამასთან, თუ მოთხოვნის სასამართლოში განხილვის მომენტისათვის არ არსებობს გამდიდრების ნიშნები.<sup>812</sup>

<sup>809</sup> Schwab, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 5, 2009, § 812, RdNr. 6.

<sup>810</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 26 თებერვლის №ას-690-1338-03 განჩინება, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 2004, №2, გვ. 548.

<sup>811</sup> შესაბამისად, რომის სამართლისაგან განსხვავებით, მართალია, პირი არ არის ვალდებული, მიღებული სარგებელი თუ ნაყოფი ორმაგად ანაზღაუროს, თუმცა აღნიშნული ნორმის მოწესრიგება, უდავოდ, უფრო მკაცრია, ვიდრე კეთილსინდისიერი არამართლზომიერი მფლობელის მიმართ განსაზღვრული წესი. შეად. Jhering, der Kampf um das Recht, 1872, S. 123; Palandt/Bassenge, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 993, RdNr. 4; ასევე გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 993-ე და 823-ე პარაგრაფები.

<sup>812</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 818-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის თანახმად, „უკან დაბრუნებისა“ თუ „გამოთხოვის“ ვალდებულება ვრცელდება ასევე მიღებულ სარგებელსა და ყველა სხვა უპირატესობაზეც, რაც პირს წარმოეშვა ამ უფლების მიღებასთან ერთად. აღნიშნული ვალდებულება გამოირიცხება ამავე პარაგრაფის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მიმღები აღარ არის გამდიდრებული. შეად. Schwab, Münchener Kommentar zum BGB, Band 5, 5. Aufl., 2009, § 818, RdNr. 111.

გამდიდრების ნიშნების არარსებობის შემთხვევაში უკან დაბრუნების მოთხოვნა, სსკ-ის 976-ე მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში, გამოირიცხება ასევე სსკ-ის 979-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მიმღები არც მიღებული ნივთის და არც ამ ნივთის შესაბამისი სარგებლისა თუ ღირებულების საფუძველზე არ გამდიდრებულა. ამ რეგულირების მიზანია, უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად, უკან დაბრუნების ვალდებულება არ გასცდეს ფაქტობრივი გამდიდრების ფარგლებს.<sup>813</sup> კეთილსინდისიერებისა და თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით, ამგვარი მიდგომა გამართლებულია.

მხარეთა თანასწორობასა და მათი ინტერესების დაბალანსებას ემსახურება ასევე სსკ-ის 163-ე მუხლით გათვალისწინებული საგამონაკლისო წესი. ამ რეგულირების მიზანია, კეთილსინდისიერი მფლობელი უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენოს არაკეთილსინდისიერ მფლობელთან მიმართებით. ასეთი სპეციალური, საგამონაკლისო მოწესრიგება კეთილსინდისიერ არამართლზომიერ მფლობელს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ სახეზეა გამდიდრების ნიშნები. ეს მაშინ, როდესაც, სსკ-ის 984-ე მუხლის შესაბამისად, კეთილსინდისიერი მფლობელი ანუ პირი, რომელმაც „არ იცოდა უფლებამოსილების ხარვეზი“, მხოლოდ იმ შემთხვევაში გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ გამდიდრების ნიშნები სახეზე აღარ არის სასამართლოში დავის განხილვის მომენტიდან.

შესაბამისად, უდავოა, რომ სსკ-ის 163-ე მუხლი მეტად იცავს კეთილსინდისიერი მფლობელის ინტერესებს სსკ-ის 984-ე მუხლთან მიმართებით. ამდენად, იგი უპირატესად გამოსაყენებელ მოთხოვნის საფუძველად უნდა იქნეს მიჩნეული. ამასთან, სსკ-ის 163-ე მუხლის სპეციალური ბუნება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებთან მიმართებით უდავოა,<sup>814</sup> ვინაიდან იგი კეთილსინდისიერი არამართლზომიერი მფლობელის სამართლებრივ სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს ამომწურავად აწესრიგებს.<sup>815</sup>

სსკ-ის 163-ე მუხლის გამოყენების სფეროს ავიწროებს ამ ნორმის საგამონაკლისო წინაპირობა – არაუფლებამოსილი მფლობელის კეთილსინდისიერების ფაქტი. სწორედ ამ წინაპირობის გათვალისწინებით, უდავოდ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ სსკ-ის 163-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა უსაფუძვლო გამდიდრების გამოყენების სფეროს გამორიცხავს. ამ შემთხვევაში სახეზეა განმდევნი თუ გამომრიცხავი კონკურენცია, რომლის შესაბამისად, სსკ-ის 163-ე მუხლით უნდა გამოირიცხოს კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ სსკ-ის 979-ე და შემდგომი მუხლების გამოყენება.<sup>816</sup>

თუმცა იმისათვის, რომ დაცული იყოს როგორც სსკ-ის 163-ე, ასევე 979-ე და 984-ე მუხლების მოწესრიგების მიზნები, ამ ნორმათა წინააღმდეგობა ტელეოლოგიური განმარტების მეთოდის დახმარებით უნდა გადაიჭრას. კერძოდ, სსკ-ის 976-ე, 979-ე და 984-ე მუხლების გამოყენების სფერო

<sup>813</sup> Schwab, Münchener Kommentar zum BGB, Band 5, 5. Aufl., 2009, § 818, RdNr. 111.

<sup>814</sup> შეად. Olzen/Wank Zivilrechtliche Klausurenlehre mit Fallrepetitorium, 2. Aufl., 1998, S. 407.

<sup>815</sup> Palandt/Bassenge, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 993, RdNr. 1.

<sup>816</sup> შეად. Stadler, Gestaltungsfreiheit und Verkehrsschutz durch Abstraktion: Eine rechtsvergleichende Studie zur abstrakten und kausalen Gestaltung rechtsgeschäftlicher Zuwendungen anhand des deutschen, schweizerischen, österreichischen, französischen und US-amerikanischen Rechts, 1996, S. 229 f.; ასევე BGH Urteil vom 29.09.1995 – V ZR 130/94 (Karlsruhe), NJW, 1996, S. 52.

შეიზღუდოს<sup>817</sup> იმ შემთხვევების მიმართ, როდესაც „გამდიდრებული“ პირი იმავდროულად კეთილსინდისიერი არამართლზომიერი მფლობელია.<sup>818</sup>

ამგვარი მიდგომა გამართლებული იქნება, ერთი მხრივ, სსკ-ის 163-ე მუხლით დაცული მიზნების უზრუნველსაყოფად, რაც ადგენს შემადგენლობის ე.წ. საგამონაკლისო, დამატებით წინაპირობას სსკ-ის 164-ე მუხლთან მიმართებით, რომელიც ითვალისწინებს არამართლზომიერი არაკეთილსინდისიერი მფლობელის ვალდებულებას, დააბრუნოს როგორც ნივთი, ასევე ამ ნივთისგან მიღებული სარგებელი და ნაყოფი. ამასთან, უზრუნველყოფილი იქნება სსკ-ის 976-ე და შემდგომი მუხლებით დაცული ინტერესები, ისევე როგორც რეგულირების სფერო და ცალკეული მოწესრიგების მიზნები.<sup>819</sup>

#### 4. საოჯახო და სანივთო სამართლებრივ ნორმათა კონკურენცია

სსკ-ის 172-ე მუხლით გათვალისწინებული მესაკუთრის მფლობელის მიმართ არსებული მოთხოვნის ანალიზი არ არის ინტერესმოკლებული ასევე სანივთო და საოჯახოსამართლებრივ ნორმათა კონკურენციის ჭრილში. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს ერთ-ერთი მეუღლის საკუთრების უფლების წარმოშობა მეორე მეუღლის ქონებაზე, რაზეც განსხვავებული მოწესრიგება ვრცელდება გერმანულსა და ქართულ სამართალში. იმ შემთხვევაში, თუ ქორწინების განმავლობაში ერთ-ერთი მეუღლე ვერ მოიპოვებს თანასაკუთრების უფლებას მეორე მეუღლის მიერ შექმნილ ქონებაზე, მაშინ ამ უკანასკნელს, ცხადია, ექნება სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა მფლობელის მიმართ თავისი საკუთრების უკან დაბრუნებაზე.

##### 4.1 მეუღლეთა ქონებრივი უფლებები საქართველოს კანონმდებლობით

სსკ-ის 1158-ე მუხლის თანახმად, „მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას)..."

ამ ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების შესაბამისად, შესაძლოა, ის საკუთრების უფლების დამფუძნებელ სპეციალურ რეგულირებად იქნეს მიჩნეული. თუმცა ამ ნორმის მოწესრიგების სფეროსა და მიზნების დადგენა უმჯობესია მოხდეს სანივთოსამართლებრივ რეგულირებებთან კავშირში. კერძოდ, იგი გაანალიზდეს როგორც საკუთრების უფლების წარმოშობის ზოგად საფუძვლებთან და წინაპირობებთან, ასევე შესაბამის გამონაკლისებთან ურთიერთკავშირში.

საკუთრების უფლების შექმნის ზოგად წესს განსაზღვრავს სსკ-ის 183-ე და 186-ე მუხლები. სსკ-ის 183-ე მუხლის შესაბამისად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის აუცილებელი წინაპირობაა წერილობითი გარიგების არსებობა და უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. სსკ-ის 186-ე მუხლის

<sup>817</sup> შეად. *Bitter/Rauhut*, Grundzüge zivilrechtlicher Methodik – Schlüssel zu einer gelungenen Fallbearbeitung, JuS, 2009, S. 292, 294.

<sup>818</sup> შეად. *Brandenburg*, Die teleologische Reduktion, 1983, S. 35, 44.

<sup>819</sup> შეად. ანალოგიური მიდგომით BGH Urteil vom 29.09.1995 – V ZR 130/94 (Karlsruhe), NJW, 1996, S. 52 („Die Vorschriften der §§ 994 bis 1003 BGB regeln im Verhältnis zwischen Eigentümer und nicht berechtigtem Besitzer den Ersatz von Verwendungen erschöpfend und schließen die Anwendbarkeit des allgemeinen Bereicherungsrechts aus. Dies gilt auch für werterhaltende oder werterhöhende Maßnahmen auf fremder Sache in der begründeten Erwartung späteren Eigentumserwerbs.“).

თანახმად, მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია ნამდვილი მოთხოვნის არსებობა („ნამდვილი უფლება“) და ნივთის გადაცემა შემძენისთვის პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელობაში.

ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „183-ე მუხლის პირველ ნაწილს ალტერნატივა არ მოეპოვება“, კერძოდ, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შესაძენად აუცილებელია შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. შესაბამისად, საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტამდე საკუთრების უფლება ვერ წარმოიშობა.<sup>820</sup> იგივე წესი ვრცელდება თანამესაკუთრის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრასთან მიმართებით. თუ უფლებამოსილი პირი, ანუ ერთ-ერთი მეუღლე არ განახორციელებს საჯარო რეესტრში თანამესაკუთრედ რეგისტრაციის უფლებას, ანუ არ მოახდენს მის რეალიზებას, მან შესაძლოა, დაკარგოს შესაბამისი უფლება ისე, რომ ვერ გახდეს თანამესაკუთრე.<sup>821</sup>

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ, თუ საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრაციის უფლებამოსილება ორ პირს თანადროულად წარმოეშობა, საკუთრებისა თუ თანასაკუთრების უფლება წარმოეშობა მას, რომელიც გამოიყენებს აღნიშნულ უფლებამოსილებას.<sup>822</sup>

შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს სსკ-ის 1158-ე მუხლი – იგი უნდა განიმარტოს როგორც საკუთრების უფლების წარმოშობი, თუ როგორც საკუთრების უფლების მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა.

## 4.2 მეუღლეთა ქონებრივი უფლებების გერმანული მოწესრიგება

სსკ-ის 1158-ე მუხლისაგან განსხვავებით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად,<sup>823</sup> მეუღლეთა თანასაკუთრება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ მეუღლეთა შორის ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში დადებული საქორწინო ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული.<sup>824</sup>

მეუღლეთა ქონება, რომელიც საქორწინო ხელშეკრულებით ერთობლივი ქონებისაგან არ „გამოცალკევებულია“,<sup>825</sup> მეუღლეთა საერთო საკუთრებაა. შესაბამისად, ცალკეული ნივთის გარიგების საფუძველზე გადაცემა საჭირო არ არის იმისათვის, რომ მასზე თანასაკუთრების უფლება წარმოიშვას.<sup>826</sup>

<sup>820</sup> შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 96 და შემდგომი.

<sup>821</sup> იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 98; ასევე *Liessem, Guter Glaube beim Grundstückserwerb von einem durch seinen Güterstand verfügbungsbeschränkten Ehegatten?*, NJW, 1989, S. 500-502.

<sup>822</sup> იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 99, რომლის თანახმად, საკითხი გადაწყდება იმ პირის საზიანოდ, რომელმაც „ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა, საჯარო რეესტრში აღრიცხულიყო“.

<sup>823</sup> იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1415-ე და შემდგომი პარაგრაფები (*Gütergemeinschaft*).

<sup>824</sup> *Mayer, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB*, 15. Aufl., 2009, § 1363, RdNr. 11.

<sup>825</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1417-ე პარაგრაფი („*Sondergut*“); *Palandt/Brudermüller, BGB Kommentar*, 67. Aufl., 2008, § 1417, RdNr. 2, 4.

<sup>826</sup> იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1416-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი. შეად. ასევე *Palandt/Brudermüller, BGB Kommentar*, 67. Aufl., 2008, § 1416, RdNr. 2.

გერმანული რეგულირების შესაბამისად, ერთ-ერთი მეუღლე უფლებამოსილია, მოსთხოვოს მეორე მეუღლეს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შესწორება,<sup>827</sup> ანუ „თანაქმედება“.<sup>828</sup> ამასთან, დამატებითი შეთანხმება საკუთრებისა თუ თანასაკუთრების უფლების გადაცემის შესახებ საჭირო არ არის, ვინაიდან იგი გათვალისწინებულია და იგულისხმება თანასაკუთრების შესახებ მეუღლეთა საქორწინო ხელშეკრულებით.<sup>829</sup>

აღნიშნულის გათვალისწინებით, საჯარო რეესტრში ქორწინების მოწმობისა და მეუღლეთა თანასაკუთრების შესახებ შეთანხმების შემცველი საქორწინო კონტრაქტის წარდგენა საკმარის საფუძვლად უნდა ჩაითვალოს მეუღლის თანამესაკუთრედ რეგისტრაციისათვის,<sup>830</sup> თუ საქორწინო ხელშეკრულებით დასტურდება მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება.<sup>831</sup>

გერმანული სამართლის მიხედვით, მეუღლეთა შორის თანასაკუთრების შესახებ არსებული შეთანხმება, რომელიც შესაბამისი ფორმის მოთხოვნების დაცვითა არის დადებული, წარმოშობს ვალდებულებითსამართლებრივ მოთხოვნას.<sup>832</sup> ეს შეთანხმება უძრავი ქონების შეძენისათვის მხარეთა შორის გაფორმებული წერილობითი გარიგების სახეა,<sup>833</sup> რომლის საფუძველზეც ხორციელდება საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.<sup>834</sup>

### 4.3 გერმანული მოწესრიგების გავრცელების მიზანშეწონილობა საქართველოს სამართალში

გერმანიის სამართალში არსებული მიდგომის გავრცელების მიზანშეწონილობა სსკ-ის რეგულირებათა მიმართ არ არის უპირობოდ გასაზიარებელი.

დასაშვებია სსკ-ის 1158-ე მუხლის განმარტება ვალდებულებითსამართლებრივი მოთხოვნის დამფუძნებელ მოწესრიგებად, რომელიც არ წარმოშობს სანივთო სამართლებრივ შედეგებს, სანამ იგი არ იქნება მოძრავი და უძრავი

<sup>827</sup> *Kanzleiter*, Münchener Kommentar zum BGB, 4. Aufl., Band 7, 2000, § 1416, RdNr. 1.

<sup>828</sup> იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1416-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი. შეად. ასევე *Palandt/Brudermüller*, BGB Kommentar, 67. Aufl, 2008, § 1416, RdNr. 3.

<sup>829</sup> *Kanzleiter*, Münchener Kommentar zum BGB, 4. Aufl., Band 7, 2000, § 1416, RdNr. 26; *Palandt/Brudermüller*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 1416, RdNr. 2.

<sup>830</sup> შეად. BGH Beschluß vom 10-12-1981 – V ZB 12/81 (Ergangen auf Vorlagebeschl. des OLG Köln), NJW, 1982, S. 1099 (*Der Nachweis der Unrichtigkeit kann durch Vorlage des notariell beurkundeten Ehevertrages geführt werden*).

<sup>831</sup> *Kanzleiter*, Münchener Kommentar zum BGB, 4. Aufl., Band 7, 2000, § 1416, RdNr. 24 ff.

<sup>832</sup> *Mayer*, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2009, § 1408, RdNr. 2 ff.; BGH Beschluß vom 10-12-1981 – V ZB 12/81 (Ergangen auf Vorlagebeschl. des OLG Köln), NJW, 1982, S. 1097.

<sup>833</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 873-ე და 925-ე პარაგრაფების შესაბამისად, სავალდებულოა სანოტარო წესით დამოწმებული მხარეთა შეთანხმება საკუთრების უფლების ერთი პირის მიერ მეორეზე გადაცემის შესახებ. შესაბამისად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1410-ე პარაგრაფის მიხედვით, სანოტარო წესით დამოწმებული საქორწინო ხელშეკრულება, 1412-ე პარაგრაფის მოთხოვნების თანახმად, მესამე პირების მიმართ მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი რეგისტრირებულია „მეუღლეთა ქონებრივ უფლებათა რეესტრში“ („*Güterrechtsregister*“). შესაბამისად, სანოტარო ფორმით დადებული და რეესტრში რეგისტრირებული საქორწინო ხელშეკრულება დამატებითი შეთანხმების აუცილებლობას გამორიცხავს. იგი მოიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 873-ე და 925-ე მუხლებით გათვალისწინებული სანოტარო წესით დამოწმებული საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შეთანხმებას.

<sup>834</sup> *Mayer*, Bamberger/Roth (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2009, § 1408, RdNr. 4; *Kanzleiter*, Münchener Kommentar zum BGB, 4. Aufl., Band 7, 2000, § 1416, RdNr. 18.



ნივთებისათვის დაწესებული საკუთრების უფლების შექმნის წესების შესაბამისად განხორციელებული.<sup>835</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლო, ერთი მხრივ, განმარტავს, რომ სსკ-ის 183-ე მუხლს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნისათვის ალტერნატივა არ მოეპოვება. საკონსტიტუციო სასამართლოც, თავის მხრივ, ადასტურებს ფორმის მნიშვნელობას უფლების წარმოშობასთან მიმართებით.<sup>836</sup> როგორც უზენაესი, ისე საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი საკუთრების უფლება, რომელიც წარმოიშობა გარიგებისა თუ კანონის საფუძველზე, „წარმოშობილად ჩაითვლება საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით.“<sup>837</sup>

თუმცა, ამასთან, განსხვავებულია იმავე უზენაესი სასამართლოს განმარტება, რომლის შესაბამისად, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველი საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციაა, და რომ არსებობს სხვა საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველებიც. მაგალითად სახელდება მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეებზე გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა, რომლის საფუძველზეც, სასამართლოს განმარტებით, მემკვიდრის საკუთრების უფლება უდავოა.<sup>838</sup>

ამ უკანასკნელი განმარტების მიხედვით, შესაძლებელია, სსკ-ის 1158-ე მუხლი საკუთრების უფლების წარმოშობ სპეციალურ საფუძველად იქნეს მიჩნეული, რომლის გათვალისწინებით, სსკ-ის 183-ე მუხლით მოწესრიგებული წერილობითი გარიგების აუცილებლობა შეიძლება ჩაანაცვლოს, მაგალითად, ქორწინების მოწმობამ.

შესაბამისად, სადავოა, სსკ-ის 1158-ე მუხლი საკუთრების უფლების დამფუძნებელი მოთხოვნაა, ანუ კაუზა,<sup>839</sup> – რომელიც სსკ-ის 183-ე მუხლით დადგენილ წერილობითი გარიგებისა და სსკ-ის 186-ე მუხლის შესაბამისი ნამდვილი მოთხოვნის არსებობის აუცილებლობას გამორიცხავს,<sup>840</sup> – თუ თავად საკუთრების უფლების დამადასტურებელი რეგულირება.

<sup>835</sup> ზარნაძე, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე სასამართლო დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2007 (10), გვ. 122.

<sup>836</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 94; იხ. ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის №1/1/103.117.137.147-48.152-53 გადაწყვეტილება.

<sup>837</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 94 და შემდგომი; ასევე შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის №1/1/103.117.137.147-48.152-53 გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლომ 1998 წლის 25 ივნისის „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან შესაბამისობის შესახებ მსჯელობისას, განმარტა, რომ „უძრავი ნივთის შესაძენად შემოღებული იმპერატიული ფორმა[ა]... შექმნის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში“, და რომ „ამ სავალდებულო ფორმის გარეშე შესაბამისი გარიგება არ იარსებებს.“

<sup>838</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 57, 59, 60.

<sup>839</sup> შეად. Bähr, Die Anerkennung als Verpflichtungsgrund, 2. Aufl., 1867, S. 11 f.

<sup>840</sup> შეად. საკითხის ანალოგიური დასმით „რწმუნებულებასთან“ მიმართებით ჩანავა, ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2004 (7), გვ. 114

მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ 1158-ე მუხლს საკუთრების უფლების დამფუძნებელი ძალა უნდა მიენიჭოს, გაუმართლებელია, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში დაუცველი რჩება, სსკ-ის 312-ე მუხლის შესაბამისად, „რეესტრის მონაცემთა მიმართ უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია“, რომელიც იცავს, უპირველესად, კეთილსინდისიერ შემძენს.<sup>841</sup>

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „კეთილსინდისიერებას აფუძნებს შემძენის სუბიექტური დამოკიდებულება გარკვეული ფაქტებისადმი.“<sup>842</sup> ეს შესაძლოა, მაგალითად, იყოს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მეუღლის მიერ უძრავი ქონების გასხვისება, რომელიც, 1158-ე მუხლის შესაბამისად, თანასაკუთრება იყო. ასეთ შემთხვევაში განმსაზღვრელია, იცოდა და შეეძლო თუ არა, შემძენს სცოდნოდა, რომ გამსხვისებელს არ ჰქონდა ნივთის გასხვისების უფლება. „შემძენს არ შეიძლება მოეთხოვოს ისეთი გარემოებების ცოდნა, რომელიც აღემატება (სცილდება) მისი შესაძლებლობის ფარგლებს.“<sup>843</sup> კეთილსინდისიერების შეფასებისას „მთავარია შემძენის მხრიდან ფაქტების გაცნობიერების შესაძლებლობა,“ ასევე უტყუარად უნდა დადგინდეს, რომ შემძენმა არ იცოდა ქონების სხვა მესაკუთრის თაობაზე.<sup>844</sup>

სსკ-ის 1158-ე მუხლისათვის საკუთრების უფლების დამფუძნებელი ფუნქციის დაკისრება შესაძლოა გამართლებული იყოს მეუღლეთა „ქონებრივი უფლებების რეესტრის“ არსებობისას,<sup>845</sup> რომლის მონაცემების საჯაროობა შესაძლებელს გახდიდა საჯარო რეესტრის მიერ ქორწინების მოწმობის შინაარსის დადასტურებული ინფორმაციის საფუძველზე მეუღლის თანამესაკუთრედ რეგისტრაციას. ასეთ წესს მოქმედი რეგულირება არ ითვალისწინებს.

---

და შემდგომში; იხ. ასევე *ჩაჩავა*, ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2004 (7), გვ. 780.

<sup>841</sup> იხ. სსკ-ის 312-ე მუხლის მიმართება სსკ-ის 1158-ე მუხლთან. შეად. ასევე *Thümmeler*, Referendarexamensklausur – Zivilrecht: Gutgläubiger Ersterwerb einer Vormerkung, JuS, 2009, S. 637; *Neuner*, Der Redlichkeitsschutz bei abhanden gekommenen Sachen, S. 408; *Pahlow*, Der Rechtsmangel beim Sachkauf, JuS, 2006, S. 291.

<sup>842</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 95.

<sup>843</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 95 და შემდგომში; შეად. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის №ას-505-741-08 გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლო მიიჩნევს, რომ „გონივრული წინდახედულების ფარგლებში“ თუ მხარისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო სხვა თანამესაკუთრების არსებობის შესახებ, პირზე არ ვრცელდება კეთილსინდისიერი შემძენის მიმართ მოქმედი რეგულირება.

<sup>844</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 95 და შემდგომში, მათ შორის საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 9 მარტის №ას-980-1243-05 განჩინებაზე შემდგომში მითითებით.

<sup>845</sup> გერმანულ სამართალში სწორედ „მეუღლეთა ქონებრივ უფლებათა რეესტრში“ („*Güterrechtsregister*“) აისახება მეუღლეთა შორის კანონით გათვალისწინებული ქონებრივი რეჟიმისაგან განსხვავებული ქონებრივი უფლებების შესახებ მონაცემები. რეგისტრაციას ექვემდებარება ასევე მეუღლეთა შორის საქორწინო ხელშეკრულებით შეთანხმებული თანასაკუთრების რეჟიმი. რეგისტრაცია წარმოებს შესაბამისი რაიონული (პირველი ინსტანციის) სასამართლოს მიერ. იხ. ასევე გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1558-ე და შემდგომში პარაგრაფები.



სსკ-ის 1174-ე მუხლი საქორწინო კონტრაქტის ნამდვილობისათვის ითვალისწინებს სავალდებულო ფორმას, კერძოდ გარიგების წერილობით დადებას და აღნიშნულის დადასტურებას სანოტარო ფორმით. თუმცა, ვინაიდან გერმანული სამართლისაგან განსხვავებით, საქორწინო ხელშეკრულებათა რეგისტრაცია არ ხორციელდება ე.წ. „ქონების რეესტრში“, რომელიც წარმოებს უფლებამოსილი სასამართლოს მიერ,<sup>846</sup> საქორწინო კონტრაქტის შინაარსი არ არის საჯარო.

შესაბამისად, მოქმედი რეგულირების მიხედვით, უდავოდ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ სსკ-ის 1158-ე მუხლი, მართალია, აფუძნებს მეუღლეთა თანასაკუთრების უფლებას, რაც თავისთავად წარმოშობს მოთხოვნას, თუმცა აღნიშნული მოთხოვნის კანონით დადგენილი ფორმით რეალიზება წარმოშობს მხოლოდ საკუთრების უფლებას. ეს ნორმა უძრავი ნივთების შექმნის შემთხვევაში წერილობითი გარიგების ჩანაცვლებას ახდენს. ამასთან, საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის აუცილებელია, სახეზე იყოს მეუღლეთა ქორწინების მოწმობა, ასევე საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული მეუღლის წერილობითი დადასტურება იმასთან დაკავშირებით, რომ მეუღლეთა შორის არ არსებობს საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული, სსკ-ის 1158-ე მუხლისაგან განსხვავებული, რეგულირება ქონებრივი უფლებების შესახებ. მეუღლის მიერ ასეთი დასტურის არგაცემის შემთხვევაში, შესაძლოა, აღნიშნული „თანაქმედება“ მას მოეთხოვოს მეორე მეუღლისაგან.

მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით, სსკ-ის 1158-ე მუხლი უნდა ჩაენაცვლოს საკუთრების უფლების წარმოშობისათვის გათვალისწინებულ სავალდებულო წინაპირობას – „ნამდვილი უფლების“ არსებობას.<sup>847</sup> შესაბამისად, ნებისმიერი მოძრავი ნივთი, რომლის შექმნაც ხდება ქორწინების განმავლობაში და იგი, საოჯახო კანონმდებლობის შესაბამისად, არ განეკუთვნება ინდივიდუალურ ნივთებს, მიჩნეულ უნდა იქნეს მეუღლეთა თანასაკუთრებად. მფლობელობაში გადაცემა ასეთ შემთხვევაში ასევე არ არის სავალდებულო წინაპირობა, ვინაიდან იგი დაცულად უნდა ჩაითვალოს იმ მომენტისათვის, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე მიიღებს ნივთს მფლობელობაში.

## **XI. კონკურენცია ხანდაზმულობის ვადებთან მიმართებით**

სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება „სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე.“ ამასთან, „სასარჩელო ხანდაზმულობა გულისხმობს დროს, რომლის განმავლობაშიც პირს შეუძლია მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების აღდგენა.“<sup>848</sup> შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადები ვრცელდება მოთხოვნებზე, რომელთა განხორციელებაც დროში იზღუდება და გარკვეულ ჩარჩოში ექცევა.

<sup>846</sup> შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1412-ე პარაგრაფი („Güterregister“ des zuständigen Amtsgerichtes).

<sup>847</sup> ანალოგიური მიდგომა ვრცელდება „ნამდვილი უფლების“ წინაპირობის „რწმუნებულებით“ ჩანაცვლების მიმართ. იხ. ჩანაწერი, ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2004 (7), გვ. 114 და შემდგომში.

<sup>848</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 63.

კანონმდებლის მიზანია, ხანდაზმულობის ვადების დაწესებით კრედიტორის უფლების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე გამორიცხოს და ამით ხელი შეუწყოს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას.<sup>849</sup> გარდა ამისა, იგი ემსახურება სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლის გაძლიერებას, რაც დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ აღდგენის სტიმულირებას ახდენს.<sup>850</sup>

ხანდაზმულობის ვადის საფუძველია უფლების დარღვევა, რომელიც შესაძლოა, კანონიდან გამომდინარეობდეს ან ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვას. შესაბამისად, ერთი და იმავე ურთიერთობის ფარგლებში შესაძლოა წარმოიშვას რამდენიმე მოთხოვნა ხანდაზმულობის სრულიად განსხვავებული, დამოუკიდებელი ვადებით.<sup>851</sup> ვადის ათვლა კი, სსკ-ის 130-ე მუხლის შესაბამისად, იწყება იმ მომენტიდან, „როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.“

ამასთან, ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება სასამართლოს მიერ ხორციელდება არა საკუთარი ინიციატივით, არამედ ისინი ზეგავლენას ახდენენ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მხოლოდ მხარის მიერ აღნიშნულზე მითითების შემთხვევაში.

## 1. ხანდაზმულობის ზოგადი და სპეციალური ვადების მოქმედების ფარგლები

სსკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის „საერთო“ ვადაა ათი წელი. ეს ვადა დადგენილია ყველა იმ ურთიერთობისათვის, რომელთათვისაც კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული სპეციალური მოწესრიგება.

ზოგიერთ შემთხვევაში, კანონმდებელი სპეციალური ნორმებით განსაზღვრავს ამა თუ იმ უფლების განხორციელების სპეციალურ ხანდაზმულობის ვადებს, რომლებიც შესაძლოა, ზოგად ხანდაზმულობის ვადებთან მიმართებით უფრო მცირე ან უფრო ხანგრძლივი იყოს. მაგალითად, სსკ-ის 129-ე მუხლის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3, ხოლო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით 6 წელს.

აღნიშნულ შემთხვევაში წარმოიშობა ზოგად და სპეციალურ ნორმებს შორის კონკურენცია, რომელთა შორის უპირატესად გამოსაყენებელი ხანდაზმულობის ვადის შერჩევა სასამართლოს მიერ მხოლოდ ნორმათა სპეციალურობის მიხედვით ხშირად არათანაზომიერ შედეგებს წარმოშობს და კანონის მიზნებსა და პრინციპებს ეწინააღმდეგება. შესაბამისად, ამ საკითხის გადაწყვეტა უნდა ემყარებოდეს თანასწორობისა და კეთილსინდისიერების პრინციპს, ასევე ამა თუ იმ ნორმისა თუ ნორმათა ერთობლიობის დაცვით ფუნქციასა და მიზნებს.

სახელშეკრულებო სპეციალური ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინებით, შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევაში, მიზანშეწონილი იყოს კანონისმიერი მოთხოვნების გამორიცხვა, კერძოდ, უფრო მოკლე სახელშეკრულებო

<sup>849</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 17, RdNr. 1-3.

<sup>850</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 64.

<sup>851</sup> *Grotte*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 1, 2006, § 194, RdNr. 2; BGH Urteil vom 15.07.1999 – I ZR 96/97, NJW, 2000, S. 330 ff.; შეად. *Sturm*, Die Verjährung von Schadensersatzansprüchen der Gesellschaft gegen Leitungsorganmitglieder, 2005, S. 29.

ხანდაზმულობის ვადების გავრცელება კანონისმიერი მოთხოვნების მიმართაც.<sup>852</sup> აღნიშნული გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ სახელშეკრულებო ვადლებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნის ხანდაზმულობის უფრო მოკლე ვადების რეგულირების მიზანი შეუსრულებელი დარჩება.<sup>853</sup>

კანონმდებელი განსაზღვრავს გამონაკლისს, როდესაც მოთხოვნათა მიმართ არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა. ამასთან, იგი აკონკრეტებს, რომ თუ კანონმდებლობით ამა თუ იმ მოთხოვნის განხორციელების სპეციალური ვადა არ განსაზღვრულა და იგი კანონით დადგენილ არცერთ კატეგორიაში არ ჯდება, მასზე უნდა გავრცელდეს სსკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად დადგენილი ხანდაზმულობის ათწლიანი საერთო ვადა.

სსკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება პირად არაქონებრივ უფლებებზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სპეციალური კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება ასევე მეანობაზე მოთხოვნაზე ბანკსა თუ საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო.<sup>854</sup>

ამასთან, აღნიშნული გამონაკლისის რეგულირების სფეროს გაფართოება და მისი გავრცელება ე.წ. აბსოლუტური ბატონობის უფლებებზე,<sup>855</sup> უდავოდ, ლოგიკური და მიზანშეწონილია.<sup>856</sup> შესაბამისად, მესაკუთრის მიერ საკუთარი ნივთის გამოთხოვის<sup>857</sup> ან მისი ხელყოფის აღკვეთის მოთხოვნის უფლებაზე<sup>858</sup> არ უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის ვადა, რაც ამ მოთხოვნის უპირატეს გამოყენებაზე მეტყველებს სხვა, მაგალითად, უსაფუძვლო გამდიდრებიდან, მოთხოვნებთან მიმართებით.<sup>859</sup>

## 2. სანივთო უფლებების მიმართ მოქმედი ხანდაზმულობის წესი

სანივთო სამართლებრივი მოთხოვნების მიმართ მოქმედ ხანდაზმულობის საერთო ვადებთან წინააღმდეგობაში მოდის სსკ-ის 165-ე და 167-ე მუხლების რეგულირება. კერძოდ, სსკ-ის 165-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნა ხანდაზმულობით ხდება მაშინ,

<sup>852</sup> BGH Beschluß vom 16.02.1993 - VI ZR 252/92 (Oldenburg), NJW, 1993, S. 1113; ასევე Klein, Konkurrenz und Auslegung, 1996, S. 13.

<sup>853</sup> შეად. Dörner, Schulze/Dörner/Ebert (Hrsg.), BGB Kommentar, 5. Aufl., 2007, § 194, RdNr. 5; BGH Beschluß vom 16.02.1993 - VI ZR 252/92 (Oldenburg), NJW, 1993, S. 1113 („Würde bei einer solchen Sachlage ein etwaiger Deliktsanspruch nach § 852 BGB erst drei Jahre nach Kenntnis des Schadens und der Person des Ersatzpflichtigen verjähren, dann würden damit die Regeln über die kurzen vertraglichen Verjährungsfristen ausgehöhlt. In diesem Sonderfall wird daher § 852 BGB durch § 477 BGB verdrängt (Schlechtriem, in: Festschr. f. Rheinstein II, S. 683, 695 ff.)“.

<sup>854</sup> იხ. სსკ-ის 128-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>855</sup> სანივთო უფლებების ხანდაზმულობასთან დაკავშირებით იხ. Барон, Система Римского Гражданского Права, перевод Петражицкого, выпуск первый, книга I. общая часть, 1909, ст. 209, 210.

<sup>856</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 61; ასევე Grothe, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 1, 2006, § 194, RdNr. 5; ასევე Dörner, Schulze/Dörner/Ebert (Hrsg.), BGB Kommentar, 5. Aufl., 2007, § 194, RdNr. 5.

<sup>857</sup> იხ. სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>858</sup> იხ. სსკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>859</sup> შეად. BGH Urteil vom 29.09.1995 - V ZR 130/94 (Karlsruhe), NJW, 1996, S. 52.

თუ პირი ნივთს ხუთი წლის განმავლობაში ფლობდა „როგორც საკუთარს“.<sup>860</sup> ანალოგიურად, სსკ-ის 167-ე მუხლის თანახმად, პირი საკუთრების უფლებას უძრავ ნივთზე მოიპოვებს, თუ იგი ფლობს მას, „როგორც საკუთარს“, და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში მესაკუთრედ 15 წლის განმავლობაში.

ამის პარალელურად სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს, რომ პირი ვერ შეიძენს საკუთრების უფლებას ნივთზე, როგორც კეთილსინდისიერი შემძენი, თუ მესაკუთრემ ნივთი „დაკარგა, მოჰპარეს ან მისი ნების საწინააღმდეგოდ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან...“<sup>861862</sup> ამასთან, უმნიშვნელოა, იცოდა ან შეეძლო თუ არა სცოდნოდა შემძენს იმის შესახებ, რომ ნივთი მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნების საწინააღმდეგოდ გავიდა თუ არა.<sup>863</sup>

შესაბამისად, თუ სანივთო მოთხოვნების მიმართ მოქმედებს საერთო ხანდაზმულობის ვადები, მესაკუთრეს დაკარგული ნივთის უკან გამოთხოვის შესაძლებლობა სსკ-ის 187-ე და 172-ე მუხლების ერთობლიობის საფუძველზე უნდა ჰქონდეს, სულ მცირე, ათი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მან შეიტყო ან უნდა შეეტყო დარღვეული უფლების შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ პირი მოძრავ ნივთს ხუთი წლის განმავლობაში ფლობს, როგორც საკუთარს, სსკ-ის 165-ე მუხლის შესაბამისად, ის საკუთრების უფლებას შეიძენს, მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი აღნიშნულ შესაძლებლობას გამორიცხავს.<sup>864</sup> ამასთან, უფლებამოსილ პირს ერთმევა მოთხოვნა, რომელიც მას კანონმდებლობის საფუძველზე, სულ მცირე, ათი წლის განმავლობაში უნდა ჰქონოდა.

ამ შემთხვევაში სახეზეა ნორმათა წინააღმდეგობა, რომლის განმარტება იმგვარად უნდა მოხდეს, რომ ცალკეული შემთხვევის გარემოებებისა და მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, მხედველობაში იქნეს მიღებული ორივე რეგულირების მიზნის განხორციელების შესაძლებლობა.<sup>865</sup>

ერთი მხრივ, უდავოა, რომ მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების ხანდაზმულობით შეძენის შესაძლებლობის დაშვება, უპირველესად, სწორედ ისეთ შემთხვევებში იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როდესაც პირი ამა თუ იმ ნივთზე საკუთრების უფლებას ვერ შეიძენს სხვა გზით, მაგალითად, როგორც კეთილსინდისიერი შემძენი. ეს ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე,

<sup>860</sup> ანალოგიური მოწესრიგებაა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 937-ე და შემდგომ პარაგრაფებში, თუმცა ქართული რეგულირებისაგან განსხვავებით, ნივთზე საკუთრების უფლება ხანდაზმულობით 10 წლის განმავლობაში ფლობის შედეგად წარმოიშობა. შეად. *Baldus, Münchener Kommentar zum BGB, Band 6, 5. Aufl., 2009, § 937, RdNr. 23 ff.*

<sup>861</sup> შეად. ანალოგიური მოწესრიგება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 935-ე პარაგრაფში.

<sup>862</sup> იხ. ასევე *Определение Верховного Суда РФ № 22-В07-36 от 29 января 2008 года.*

<sup>863</sup> შეად. *Oechsler, Münchener Kommentar, Band 6, 5. Aufl., 2009, § 935, RdNr. 1 ff.; Palandt/Bassenge, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 935, RdNr. 1 ff.; Prütting in Prütting/Wegen/Weinreich (Hrsg.), BGB Kommentar, 2006, § 935, RdNr. 1 ff.;* განსხვავებულად განიხილავს აღნიშნულ საკითხს *ზოდო, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოდო/ჯორბენაძე/ნინიძე (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, 1999, გვ. 75.*

<sup>864</sup> გერმანულ დოქტრინაში განიხილება ცალკეული სახის ნივთებზე საკუთრების უფლების ხანდაზმულობით შეძენის დაუშვებლობა, როგორებიცაა, მაგალითად: ანტიკვარული ნივთები და ხელოვნების ნიმუშები. იხ.: *Baldus, Münchener Kommentar zum BGB, Band 6, 5. Aufl., 2009, § 937, RdNr. 26 ff.; ასევე Prütting in Prütting/Wegen/Weinreich (Hrsg.), BGB Kommentar, 2006, § 935, RdNr. 2.*

<sup>865</sup> შეად. *Определение Конституционного Суда РФ № 634-О от 21 декабря 2006 г.*

როდესაც პირი დარწმუნებულია მის მიერ საკუთრების შექენაში, იმის მიუხედავად, რომ ნივთი მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი მფლობელობიდან,<sup>866</sup> ან საკუთრების უფლების შექენა მოხდა კანონით გათვალისწინებული წინაპირობების დარღვევით, მაგალითად, ნაკლის მქონე სანივთო ან ვალდებულებითი გარიგებით,<sup>867</sup> რაც მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობას ზოგადი წესის შესაბამისად გამორიცხავს.<sup>868</sup>

შესაბამისად, სსკ-ის 165-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების წინაპირობაა ის, რომ პირი მოძრავ ნივთს უნდა ფლობდეს როგორც საკუთარს, ანუ ამ ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი ვერ დადგება, თუ მან იცის ან უხეში გაუფრთხილებლობით არ იცის, რომ იგი აღნიშნული ნივთის მესაკუთრე არ არის და ვერ იქნება.<sup>869</sup> ნივთის შექენა, სსკ-ის 165-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ასევე გამორიცხულია, თუ პირი „მოგვიანებით შეიტყობს“, რომ ნივთი მას არ ეკუთვნის.

შესაბამისად, თუ პირი ხანდაზმულობის ხუთწლიანი ვადის განმავლობაში შეიტყობს იმის შესახებ, რომ ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვების საფუძველი არ გააჩნია, იგი ვერ შეიძენს ამ ნივთზე საკუთრების უფლებას ხანდაზმულობით.<sup>870</sup>

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი რეგულირებით გათვალისწინებულია მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ხანდაზმულობით შექენის ათწლიანი ვადა, რაც ცალკეულ შემთხვევის მიმართ შესაძლოა უფრო თანაზომიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას იძლეოდეს. ამასთან, ანალოგიური ვადის სსკ-ის 165-ე მუხლით გათვალისწინების შემთხვევაში, იგი სსკ-ის 128-ე მუხლით დადგენილი საერთო ხანდაზმულობის ვადის თანმხვედრი იქნებოდა.

კანონმდებელი უძრავ ნივთებთან მიმართებით აწესებს ხანდაზმულობით საკუთრების უფლების შექენის 15-წლიან ვადას. ეს, თითქოს, ერთი მხრივ, უპირატეს მდგომარეობაში აყენებს მესაკუთრეს, თუმცა სსკ-ის 167-ე მუხლის ფორმულირება, შესაძლოა, სადავო გახდეს სსკ-ის 128-ე მუხლთან მიმართებით, ვინაიდან ხანდაზმულობის ვადის ათვლა, სსკ-ის 128-ე მუხლის შესაბამისად, იწყება იმ მომენტიდან, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო დარღვეული უფლების შესახებ.

ამის საპირისპიროდ, უძრავ ნივთზე პირი საკუთრების უფლებას ხანდაზმულობით იძენს, იმის მიუხედავად, ნივთის მესაკუთრემ იცის, ან შეეძლო თუ არა სცოდნოდა თავისი დარღვეული უფლების შესახებ. ამასთან, სსკ-ის 165-ე მუხლისაგან განსხვავებით, ამ რეგულირებაში კანონმდებელი, ერთი შეხედვით, არ იღებს მხედველობაში შექენის კეთილსინდისიერების

<sup>866</sup> Scherer in: Prütting/Wegen/Weinreich (Hrsg.), BGB Kommentar, 2006, § 937, RdNr. 1.

<sup>867</sup> შეად., მაგალითად, *ზოდუ*, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე/ნინიძე (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, 1999, გვ. 73.

<sup>868</sup> ნაპოვნის („ნაპოვარის“) მიმართ აღნიშნული წესი არ ვცვლდება, ვინაიდან ნივთის მპოვნელი, სსკ-ის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულია, განაცხადოს ნაპოვნი ნივთის შესახებ შესაბამის ორგანოში და იგი საკუთრების უფლებას ამ ნივთზე შეიძენს მაშინ, თუ განცხადების გაკეთებიდან ერთი წლის განმავლობაში ცნობილი არ არის მესაკუთრის თაობაზე.

<sup>869</sup> Scherer in: Prütting/Wegen/Weinreich (Hrsg.), BGB Kommentar, 2006, § 937, RdNr. 4.

<sup>870</sup> შეად. *ზოდუ*, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე/ნინიძე (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, 1999, გვ. 76.

საკითხს, რაც აღნიშნული რეგულირების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას შეიძლება ტოვებდეს და არათანაზომიერად აზარალებდეს პირვანდელ მესაკუთრეს, რომელიც, – მას შემდეგ, რაც გაუჩნდება შესაძლებლობა, შეიტყოს და შეიტყობს დარღვეული უფლების შესახებ, მიუხედავად სსკ-ის 128-ე მუხლით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებისა, – ვერ განახორციელებს მოთხოვნას, თუ პირს ამ დროის განმავლობაში 15-წლიანი რეგისტრაციისა და ნივთის ფლობის საფუძველზე შექმნილი აქვს ნივთი.

ასეთ შემთხვევაში სასამართლოს მიერ წინააღმდეგობა უნდა გადაიჭრას სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ძირითადი პრინციპის გათვალისწინებით, რომლის შესაბამისად, მხარეები ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. პირვანდელი მესაკუთრის ინტერესების დაცვის მიზნით გამართლებულია სსკ-ის 167-ე მუხლის ბოლო წინადადება, თუ „...ამ ხნის მანძილზე პირი ფლობდა მათ, როგორც საკუთარს...“ ფართოდ განიმარტოს იმგვარად, რომ მოიცვას მფლობელის კეთილსინდისიერება, როგორც უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ხანდაზმულობით შექმნის აუცილებელი წინაპირობა.

### **3. ხანდაზმულობის ვადების კონკურენცია დელიქტსა და სახელშეკრულებო მოთხოვნებს შორის**

ერთი და იმავე ფაქტობრივი შემადგენლობის საფუძველზე პირს შესაძლოა ჰქონდეს ერთი მოთხოვნა სხვადასხვა სამართლებრივი საფუძველით.

ასეთ შემთხვევაში შეიძლება, მოთხოვნა ერთი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველით განხორციელებადი იყოს, მეორეთი კი არა. მაგალითად, სახელშეკრულებო ურთიერთობაში მიყენებული ზიანის მოთხოვნა სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძველით შესაძლოა ხანდაზმული იყოს, ხოლო დელიქტიდან არა.<sup>871</sup>

#### **3.1 დელიქტის სპეციალური ხანდაზმულობის ვადა**

სსკ-ის 129-ე და 130-ე მუხლებისაგან განსხვავებულ წესს ადგენს, მაგალითად, სსკ-ის 1008-ე მუხლი, რომლის თანახმად, „დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.“

შესაბამისად, სსკ-ის 1008-ე მუხლი განსხვავებულად აწესრიგებს ხანდაზმულობის ვადის ათვლის წესს, კერძოდ, სსკ-ის 130-ე მუხლისაგან განსხვავებით (პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ), ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც

<sup>871</sup> შეად. ბიოლინგი/ლუტრინგაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, 2009, გვ. 53 და შემდგომი; ასევე Klein, Konkurrenz und Auslegung, 1996, S. 12.

დაზარალებულმა „შეიტყო“ დარღვეული უფლების შესახებ,<sup>872</sup> კერძოდ, „ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ“.

ამდენად, ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისის უმთავრესი კრიტერიუმია დაზარალებულის მიერ ზიანის ფაქტის არსებობის შეტყობა. აღნიშნული რეგულირება სსკ-ის 130-ე მუხლისაგან განსხვავებით უპირატესი დაცვით სტანდარტს აწესებს დაზარალებულისათვის, რაც, ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით, არათანაზომიერად აზარალებს მოვალეს. აღნიშნული რეგულირება კრედიტორს შესაძლებლობას უტოვებს, არაკეთილსინდისიერად, ბოროტად გამოიყენოს აღნიშნული უფლება, ვინაიდან, ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ათვლა დელიქტის შემთხვევაში დაიწყება იმ მომენტიდან, როდესაც მან, ფაქტობრივად, შეიტყო „ზიანის“ ან ზიანის მიმყენებელი „პირის“ შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ზიანის შესახებ მხარეს შეეძლო ხელშეკრულების დადების მომენტში ან მისი შესრულებისთანავე შეეტყო, და მან, მაგალითად, უხეში გაუფრთხილებლობით, ამის შესახებ მხოლოდ სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ შეიტყო, ის უფლებამოსილია, ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს დელიქტის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად.<sup>873</sup>

სასამართლომ სსკ-ის 1008-ე მუხლის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა გადაწყვეტილების მიღების დროს უნდა გამორიცხოს ამ ნორმის სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილთან ურთიერთკავშირში განმარტებით.<sup>874</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 1008-ე მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტების თანახმად, მოცემულია ორი ალტერნატიული პირობა, – „დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ,“ – ეს ფორმულირება ერთიან პირობად უნდა იქნეს მიჩნეული, ვინაიდან სხვაგვარად ნორმის მიზანი ბუნდოვანი და აზრს მოკლებულია. შეუძლებელია არსებობდეს შემთხვევა, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის მიმყენებელი პირის შესახებ მაშინ, როდესაც არაფერი იცოდა ზიანის არსებობაზე.

გარდა ამისა, სრულიად გაუმართლებელი და არაგონიერულია დაშვებულ იქნეს ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება იმ მომენტიდან, როდესაც პირმა შეიტყო ზიანის შესახებ, თუ მან არ იცის ზიანის მიმყენებელი პირის ვინაობა. ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება მოთხოვნებზე, ხოლო მოთხოვნა არის კონკრეტული პირისაგან რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლება. შესაბამისად, შეუძლებელია მოხდეს ხანდაზმულობის ვადის ათვლა მოთხოვნის მიმართ, მაშინ როდესაც უფლებამოსილმა პირმა არ იცის, ვის მიმართ აქვს მას ეს მოთხოვნა.

<sup>872</sup> შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მაისის №ას-962-1266-07 და 2005 წლის 18 იანვრის №ას-1333-1454-04 განჩინებები; ასევე ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 16 თებერვლის №ბს-1167-782(კ-05) გადაწყვეტილება.

<sup>873</sup> Klein, Konkurrenz und Auslegung, 1996, S. 13.

<sup>874</sup> შეად. Wagner, Münchener Kommentar zum BGB, Band 5, 5. Aufl., 2009, § 823, RdNr. 70.

შესაბამისად, „ან“ კავშირი „და“ კავშირით უნდა ჩანაცვლდეს და შემადგენლობის კუმულაციურ წინაპირობად ჩაითვალოს,<sup>875</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში მისი არსებობა ნაკლებად მიზანშეწონილია.

სსკ-ის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სპეციალური ვადა<sup>876</sup> მოსარჩელეს, უდავოდ, უპირატეს მდგომარეობაში აყენებს სახელშეკრულებო და, ცალკეულ შემთხვევაში, თვით საერთო ხანდაზმულობის ვადებთან მიმართებითაც კი, მისი დენის ათვლის განსხვავებული წესიდან გამომდინარე. შესაბამისად, სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნების ალტერნატიული კონკურენციის აღიარების შემთხვევაში გართულება სპეციალური ნორმებით კანონმდებლის მიერ დასახული მიზნების მიღწევა. სასამართლოს მიერ აღნიშნული საკითხის შეფასება ცალკეულ შემთხვევაში უნდა მოხდეს იმგვარად, რომ სპეციალური ნორმის მიზანი შენარჩუნებულ იქნეს.<sup>877</sup>

### 3.2 სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადის უპირატესობა

სახელშეკრულებო უფრო მოკლე ხანდაზმულობის ვადების რეგულირების მიზანია დარღვეული უფლების დროული დაცვისა და პირგანდელი მდგომარეობის აღდგენის დაჩქარება, თუმცა ამ მიზნის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში, გამართლებული არ იქნება, სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადა გავრცელდეს და გამორიცხოს დელიქტური ხანდაზმულობის ვადის გამოყენება.<sup>878</sup>

მოთხოვნის საფუძველთა ერთმანეთის პარალელურად დამოუკიდებლად არსებობის აღიარება შესაძლოა ცალკეულ შემთხვევაში გაუმართლებელი და არათანაზომიერი იყოს.<sup>879</sup> გერმანიის უმაღლესი სასამართლო აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას უპირველესად განიხილავს, არის თუ არა ხელშეკრულებიდან მოსალოდნელი მხარის ინტერესი და დელიქტით დაცული მხარის ინტერესი ურთიერთმფარავი (მაგალითად, ქირავნობის შემთხვევაში დამქირავებლის ქონების დაცვა).<sup>880</sup>

იმ შემთხვევაში, თუ ეს ინტერესები ურთიერთმფარავი, ანუ იდენტურია, ხანდაზმულობის მოკლე ვადის გამოყენება მიზანშეწონილია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოთხოვნათა და მათი შესაბამისი ხანდაზმულობის ვადების დამოუკიდებლად განხილვა გასაზიარებელია, განსაკუთრებით მაშინ, თუ დელიქტური მოთხოვნა წარმოშობილია სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის ფარგლებს მიღმა.<sup>881</sup>

<sup>875</sup> შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 852-ე პარაგრაფის 2002 წლის ვალდებულებითი სამართლის რეფორმამდე არსებული ფორმულირება: „Der Anspruch auf Ersatz des aus einer unerlaubten Handlung entstandenen Schadens verjährt in drei Jahre von dem Zeitpunkt an, in welchem der Verletzte von dem Schaden und der Person des Ersatzpflichtigen Kenntniss erlangt...“

<sup>876</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 31 ოქტომბრის №ას-254-939-03 განჩინება.

<sup>877</sup> შეად.: Westermann, Das neue Kaufrecht, NJW, 2002, S. 250 f.; Foerste, Unklarheit im künftigen Schuldrecht: Verjährung von Kaufmängel-Ansprüchen in zwei, drei oder 30 Jahren?, ZRP, 2001, S. 342 ff.

<sup>878</sup> შეად. BGH Urteil vom 16.09.1987 – VIII ZR 334/86 (Frankfurt), NJW, 1988, S. 52 f.

<sup>879</sup> Seibi/Wollenschläger, Vertragliche und deliktische Haftung – Ein Fernsehinterview mit Folgen, JuS, 2008, S. 800.

<sup>880</sup> BGH Beschluß vom 16.02.1993 - VI ZR 252/92 (Oldenburg), NJW, 1993, S. 1114.

<sup>881</sup> BGH Urteil vom 11.02.2004 – VIII ZR 386/02 (OLG Saarbrücken), NJW, 2004, S. 1032; შეად. ასევე Rubner/Dötsch, Mangel- und Mangelfolgeschäden, JuS, 2004, S. 801.



მაგალითად, სსკ-ის 655-ე მუხლის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში, შემკვეთის მიერ შესრულების ნაკლის გამო, მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობაა ერთი წელი, ნაგებობის ნაკლის შემთხვევაში კი ხუთი წელი სამუშაოს მთლიანად მიღების დღიდან. შესაბამისად, შესრულების ნაკლთან უშუალოდ დაკავშირებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ უდავოდ უნდა გავრცელდეს განხილული ნორმა მისი სპეციალური ხანდაზმულობის ვადის შესაბამისად, რომელიც განდევნის სსკ-ის 1008-ე მუხლით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ხანგრძლივ ვადას.

აღნიშნული გამომდინარეობს სსკ-ის 655-ე მუხლის მიზნიდან, რომელიც სხვაგვარად განუხორციელებელი დარჩება.<sup>882</sup> თუმცა სადავოა, რამდენად გამართლებულია ანალოგიური მიდგომა იმ შემთხვევაში, თუ შესრულების ნაკლმა სსკ-ის 655-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ გამოიწვია ჯანმრთელობისა თუ სხეულის მნიშვნელოვანი დაზიანება.<sup>883</sup> გერმანულ სამართალში არსებული მიდგომის თანახმად, ასეთ შემთხვევაში დელიქტის საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნა, მისი დამოუკიდებელი ხანდაზმულობის ვადის შესაბამისად, კვლავ არსებობს და განხორციელებადია.<sup>884</sup>

ქირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში დამქირავებლის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ<sup>885</sup> უნდა გავრცელდეს მოკლე, სახელშეკრულებო რეგულირებით განსაზღვრული, ვადები,<sup>886</sup> ვინაიდან, ვალდებულების დარღვევისა და ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მხარის მიერ დაყენებული მოთხოვნა და ინტერესი როგორც დელიქტური, ასევე სახელშეკრულებო მოთხოვნის მიმართ ურთიერთმფარავია.<sup>887</sup> შესაბამისად, თუ აღნიშნული მოთხოვნების მიმართ ხანდაზმულობის ვადები დამოუკიდებლად იარსებებს, დაზარალებული, საკუთარი ინტერესიდან გამომდინარე, როგორც წესი, დაეყრდნობა დელიქტური მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს და მოთხოვნას სწორედ დელიქტის შესაბამისად დააყენებს. ასეთი მიდგომის დაშვება ქირავნობის ხელშეკრულების მიმართ მოქმედ რეგულირებას უფუნქციოდ აქცევდა, რაც გაუმართლებელია, ვინაიდან კანონმდებლის სავარაუდო ნებას ეწინააღმდეგება.

ხანდაზმულობის სპეციალური ვადების მოწესრიგების მიზანია მხარეთა ინტერესების დაბალანსება, ცალკეულ შემთხვევაში, პირვანდელი მდგომარეობის დროულად აღდგენა. ეს განპირობებულია ასევე იმით, რომ დროის გასვლის თანაზომიერად რთულდება საქმის გარემოებების სასამართლოს მიერ დადგენა, განსაკუთრებით რისკის გადასვლის მომენტში

<sup>882</sup> BGH Urteil vom 24.05.1976 – VIII ZR 10/74, NJW, 1976, S. 1506.

<sup>883</sup> შეად. *Schubert*, Verjährung von Mangelfolgeschäden, NJW, 1975, S. 1230.

<sup>884</sup> შეად. BGH Urteil vom 15.07.1999 – I ZR 96/97, NJW, 2000, S. 330 ff.; შეად. *Sturm*, Die Verjährung von Schadensersatzansprüchen der Gesellschaft gegen Leitungsorganmitglieder, 2005, S. 29; შეად. ასევე BGH Urteil vom 12.12.1991 – I ZR 212/89 (Schleswig), NJW, 1992, 1679, 1680.

<sup>885</sup> შეად. *Mansel/Jauernig*, BGB Kommentar, 13. Aufl., 2009, § 241, RdNr. 17 ff.; BGH Urteil vom 24.05.1976 – VIII ZR 10/74, NJW, 1976, S. 1506.

<sup>886</sup> ურთიერთზეგამკლენ კონკურენციასთან დაკავშირებით იხ. *Amsberg*, Anspruchskonkurrenz, Cumul und Sameloop, 1994, S. 19.

<sup>887</sup> *Seibt/Wollenschläger*, Vertragliche und deliktische Haftung – Ein Fernsehinterview mit Folgen, JuS, 2008, S. 800; *Rubner/Dötsch*, Mangel- und Mangelfolgeschäden, JuS, 2004, S. 801, ასევე BGH Beschluß vom 16.02.1993 - VI ZR 252/92 (Oldenburg), NJW, 1993, S. 1114.

ნივთის ნაკლის არსებობისა და ამ უკანასკნელით შესაბამისი ზიანის გამოწვევის თვალსაზრისით.<sup>888</sup>

შესაბამისად, მხარეთა ინტერესების სამართლიანი და თანაზომიერი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ყოველი კონკრეტული შემთხვევა განცალკევებულად უნდა შეფასდეს და არ უნდა მოხდეს ხისტი წესების დადგენა სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადების ურთიერთზეგამდგენი თუ გამომრიცხავი მოქმედების შესახებ.

#### 4. ნაჩუქარი ნივთის გამოთხოვის ხანდაზმულობის ვადა

##### 4.1 უმადურობის შემთხვევაში

სსკ-ის 529-ე მუხლის თანახმად, განსაკუთრებული უმადურობის გამოჩენის შემთხვევაში („თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფს მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს...“), მჩუქებელს ენიჭება ჩუქების ხელშეკრულების „გაუქმების“ მოთხოვნა. ამასთან, განსხვავებული მოთხოვნებისა და მოთხოვნათა საფუძვლების არსებობისას განსხვავებულია შესაბამისი ხანდაზმულობის ვადებიც.

შეცილება შეცდომის ან მოტყუების საფუძველზე თავისთავად დამფუძნებელი უფლებაა. მის განხორციელებას კანონმდებელი სპეციალურ ვადას უკავშირებს, რომელიც შეცდომის შემთხვევაში აღნიშნულის შეტყობიდან ერთ თვეს, ხოლო მოტყუების შემთხვევაში – ერთ წელიწადს მოიცავს. ნამდვილი შეცილების კანონით დადგენილი ვადის ფარგლებში განხორციელების შედეგად წარმოიშობა სსკ-ის 976-ე მუხლით გათვალისწინებული, კერძოდ, უსაფუძვლოდ გადაცემულის უკან დაბრუნების, მოთხოვნის უფლება. ამ მოთხოვნებთან მიმართებით, როგორც წესი, მოქმედებს სსკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა.

ამის პარალელურად, როგორც წესი, წარმოიშობა სსკ-ის 172-ე მუხლით გათვალისწინებული საკუთარი ნივთის დაბრუნების მოთხოვნა, რომელიც კერძო სამართალში არსებული ყველაზე „ძლიერი“ მოთხოვნაა<sup>889</sup> და საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად არც მისი განხორციელება ექვემდებარება ხანდაზმულობის ვადებს.<sup>890</sup>

ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ჩუქების გაუქმება ხელშეკრულებიდან გასვლად დაკვალიფიცირდება, მასზე, როგორც სახელშეკრულებო მოთხოვნაზე, შესაძლოა გავრცელდეს, სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოძრავი ნივთის შემთხვევაში სამწლიანი, ხოლო უძრავი ნივთის შემთხვევაში ექვსწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

<sup>888</sup> BGH Urteil vom 16.09.1987 – VIII ZR 334/86 (Frankfurt), NJW, 1988, S. 52 f. („Sinn der kurzen Verjährungsfrist ist es, im Kaufrecht möglichst bald nach Vertragsabwicklung Rechtsfrieden wiederherzustellen und die mit zunehmendem Zeitablauf schwieriger werdenden Ermittlungen darüber entbehrlich zu machen, ob und in welchem Umfang Mängel bei Gefahrübergang vorhanden waren und welche Schäden sie verursacht haben.“)

<sup>889</sup> შეად. კერესელიძე, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2003 (6), გვ. 600.

<sup>890</sup> შეად. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 61.

ამასთან, სსკ-ის 529-ე მუხლის მე-3 ნაწილის საგამონაკლისო წესით განისაზღვრება, რომ ჩუქება შეიძლება გაუქმდეს გაუქმების მოთხოვნის წარმომშობი განსაკუთრებული საფუძვლის შეტყობიდან ერთი წლის განმავლობაში. ამ შემთხვევაში სადავოა საკითხი, მიუხედავად წარმოდგენილ მოთხოვნათა და მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა სიმრავლისა, სსკ-ის 529-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული მოთხოვნის განხორციელებისათვის დადგენილი ხანდაზმულობის სპეციალური ვადა უპირატესად გამოსაყენებელ ნორმად უნდა იქნეს მიჩნეული ყველა სხვა ნორმასთან მიმართებით,<sup>891</sup> თუ თითოეული მოთხოვნა, საკუთარი ხანდაზმულობის ვადის შესაბამისად, შესაძლოა არსებობდეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

აღნიშნული საგამონაკლისო ნორმა ჩუქების გაუქმებას მხოლოდ განსაკუთრებული, კანონით ზუსტად განსაზღვრული, გარემოებების არსებობისას და ზუსტად გათვალისწინებულ ვადებში მიიჩნევს მიზანშეწონილად. შესაბამისად, ცალკეული შემთხვევის განხილვის დროს სასამართლომ იმგვარად უნდა გადაწყვიტოს დავა, რომ კანონმდებლის მიერ სსკ-ის 529-ე მუხლით დასახული მიზანი არ დარჩეს დაუცველი.<sup>892</sup>

#### 4.2 მძიმე მდგომარეობის შემთხვევაში

გერმანიის სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით,<sup>893</sup> სსკ არ განსაზღვრავს მაქსიმალურ ვადას, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია ნაჩუქარი ნივთის უკან გამოთხოვის განხორციელება სსკ-ის 530-ე მუხლით გათვალისწინებული ნაჩუქარი ნივთის გამოთხოვის საფუძვლის არსებობისას.

მიუხედავად ასეთი ფორმულირებისა, ცხადია, კანონმდებლის ნება არ უნდა განიმარტოს იმგვარად, თითქოს მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის შემთხვევაში წარმოშობილი ჩუქების საგნის გამოთხოვის მოთხოვნა დროში არ არის შეზღუდული. ასეთი ინერპრეტაცია საფუძველს მოკლებული და გაუმართლებელია კერძოსამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობისა და საკუთრების უფლების დაცვის მიზნების გათვალისწინებით.

შესაბამისად, უდავოდ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ ნივთის გამოთხოვის მოთხოვნა, სსკ-ის 530-ე მუხლში უშუალოდ მითითებულ წინაპირობებს გარდა, დამატებით შეზღუდვას უნდა დაექვემდებაროს და განხორციელებადი იყოს მხოლოდ გარკვეული ვადის განმავლობაში.

ამასთან, დასაფიქრებელია, სსკ-ის 530-ე მუხლის მიმართ უნდა გავრცელდეს სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა მოძრავ ნივთებთან, ხოლო ექვსწლიანი ვადა, უძრავ ნივთებთან დაკავშირებით არსებულ სახელშეკრულებო მოთხოვნათა მიმართ, თუ სსკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი საერთო ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა.

<sup>891</sup> სახელშეკრულებო რეგულირებასთან დაკავშირებით, რომელიც ამომწურავად აღგენს გარკვეულ საგამონაკლისო წესს შეად. BGH Urteil vom 12.12.1991 – I ZR 212/89 (Schleswig), NJW, 1992, 1679 f.; ასევე Klein, Konkurrenz und Auslegung, 1996, S. 54.

<sup>892</sup> იხ. BGH Beschluß vom 16.02.1993 - VI ZR 252/92 (Oldenburg), NJW, 1993, S. 1114.

<sup>893</sup> შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 529-ე პარაგრაფი, რომლის შესაბამისად, ნაჩუქარის უკან გამოთხოვა გამორიცხულია, თუ ნაჩუქარი ნივთის გადაცემიდან გასულია ათი წელი.

პასუხი ამ კითხვაზე არ არის ცალსახა, ვინაიდან სსკ-ის 530-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა არ არის სახელშეკრულებო მოთხოვნის კლასიკური სახე. კერძოდ, სსკ-ის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ათვლა უკავშირდება მოთხოვნის წარმოშობის მომენტს. შესაბამისად, ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო დარღვეული უფლების შესახებ. სსკ-ის 530-ე მუხლით მოწესრიგებულ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტი ნაკლებად მკაფიოა და მისი დადგენა პრობლემური.

მიუხედავად ამისა, სსკ-ის 530-ე მუხლის მოთხოვნის დროში შეზღუდვის აუცილებლობა სწორედ იმითაა განპირობებული, რომ მოთხოვნის განხორციელება ჩუქების ხელშეკრულების დადებიდან გარკვეული ვადის შემდეგ გამოირიცხოს, მაშინაც კი, თუ მისი გაუქმების საფუძველი სწორედ ამ ვადის შემდეგ დადგება.

სსკ-ის 530-ე მუხლით მოწესრიგებულ შემთხვევაში კი დაბრუნების წინაპირობად მხოლოდ ამ ნივთის რეალური არსებობა და დაბრუნებით დასაჩუქრებულის მძიმე მდგომარეობაში არჩაყენება სახელდება. ეს წინაპირობები, ცალკეულ შემთხვევაში, საკმარის დაცვად შეიძლება არ ჩაითვალოს ხანდაზმულობის ინსტიტუტის სხვა მიზნებიდან, მაგალითად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობიდან გამომდინარე.

შესაბამისად, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა სამოსამართლო სამართლის მეშვეობით უნდა მოხდეს. კერძოდ, სსკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილი იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ სსკ-ის 530-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა ხანდაზმულად იქნეს მიჩნეული, თუკი ჩუქების ხელშეკრულების დადებიდან თუ ნივთის გადაცემიდან ათი წელი გავიდა. ამასთან, მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის საფუძველით, ნაჩუქარის უკან დაბრუნების მოთხოვნის მიმართ, სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის რეგულირება უნდა გავრცელდეს შესაბამისი დათქმების გათვალისწინებით, როგორც სახელშეკრულებო მოთხოვნათა „ხანდაზმულობის“ განსაკუთრებულ შემთხვევაზე.

## **XII. დასკვნა**

ინტერესთა კონფლიქტის მოგვარების განსხვავებული გზების არსებობისას უპირატესობა ინტერესების დაკმაყოფილების შესაბამის მიზანთან ყველაზე ახლოს მყოფ, ხოლო ერთგვაროვანი შედეგის შემთხვევაში, ყველაზე მარტივ თუ ეკონომიურ სამართლებრივ გზას ენიჭება.

მოთხოვნათა კონკურენცია იმიჯნება მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციისაგან. მოთხოვნათა კონკურენცია სახეზეა, როდესაც პირს ერთსა და იმავე ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით რამდენიმე მოთხოვნა აქვს. მოთხოვნათა შორის არჩევანის განხორციელება, დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების შესაბამისად, მოსარჩელის უფლებამოსილებაა. ამის საპირისპიროდ, მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის შემთხვევაში, როდესაც ერთი და იმავე მოთხოვნის განხორციელება სხვადასხვა სამართლებრივი საფუძველიდან არის შესაძლებელი, გადაწყვეტილების მიღება სასამართლოს უფლებამოსილებაა.

მოთხოვნები, ისევე როგორც მოთხოვნის საფუძვლები, შესაძლოა, ერთმანეთთან გამომრიცხავ, ალტერნატიულ ან კუმულაციურ კონკურენციაში იყოს.

გამომრიცხავი კონკურენციის შემთხვევაში, თუკი დასტურდება ერთ-ერთი მოთხოვნისა თუ მისი დამფუძნებელი საფუძვლის წინაპირობების არსებობა, გამოირიცხება ყველა სხვა სამართლებრივი შესაძლებლობა. მაგალითად, დამატებითი შესრულების მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლის, ფასის შემცირებისა და შესრულების ნაცვლად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებთან მიმართებით გამომრიცხავ კონკურენციას ქმნის და იგი, როგორც წესი, უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნაა. მოთხოვნის საფუძველთა გამომრიცხავი კონკურენციის შემთხვევაა ასევე განსაკუთრებული უმადურობისა ან მძიმე შეურაცხყოფის საფუძველით ნაჩუქარი ნივთის გამოთხოვის დამფუძნებელი საგამონაკლისო ნორმა, როგორც სავინდიკაციო, ისე უსაფუძვლო გამდიდრებისა და სახელშეკრულებო ზოგადი მოთხოვნის საფუძველბთან მიმართებით. გარდა ამისა, კანონისმიერი მოთხოვნის დამფუძნებელი ზოგადი საფუძველები გამოირიცხება, თუ უფრო სპეციალური ნორმით ან მხარეთა შეთანხმებით, ზოგადად, სახელშეკრულებო ურთიერთობასა თუ ხელშეკრულების კონკრეტულ პირობასთან მიმართებით, პასუხისმგებლობა გამორიცხულია ან შეზღუდული.

ალტერნატიული კონკურენციის შემთხვევაში, მოთხოვნები თუ მოთხოვნის საფუძველები ერთმანეთის პარალელურად არსებობს. თავდაპირველად ყველა ერთნაირად განხორციელებადია, ხოლო ერთ-ერთი მათგანის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთებამ შეიძლება გამოიწვიოს ან არ გამოიწვიოს სხვა ალტერნატივების გამორიცხვა. მაგალითად, ფასის შემცირებასა და ხელშეკრულებიდან გასვლას შორის ალტერნატიული კონკურენცია არსებითად სრულდება ერთ-ერთი მათგანის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთებით. ამ სახის მოთხოვნის საფუძველთა ალტერნატიული კონკურენციაა ასევე ბათილობის საფუძველზე სანივთო თუ უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელ და ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის საფუძველებს შორის. განსხვავებული სახის ალტერნატიული კონკურენციაა სახელშეკრულებო არაძირითადი ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველსა და დელიქტის შესაბამის სამართლებრივ საფუძველებს შორის. ასეთ შემთხვევაში, სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, ძირითადი განსხვავება მოთხოვნათა განხორციელების ხანდაზმულობის განსხვავებულ ვადებს უკავშირდება.

კუმულაციური „კონკურენცია“ კონკურენციის ცნების არსს სრულად არ შეესაბამება და უშვებს სხვადასხვა მოთხოვნისა თუ მოთხოვნის საფუძველთა კომბინაციას. ცალკეულ შემთხვევაში მხოლოდ ასეთი კომბინაციით ხდება შესაძლებელი სასურველი სამართლებრივი შედეგის მიღწევა. კუმულაციური „კონკურენციის“ მაგალითია მეორად მოთხოვნათა დამფუძნებელი სპეციალური და ზოგადი ნორმების კომბინაციის შედეგად მიღებული ერთიანი მოთხოვნის საფუძველი, ასევე დამატებითი შესრულებისა და ზიანის ანაზღაურების, ან ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების ურთიერთმიმართება. მოთხოვნის საფუძველთა კუმულაციის თავისებური სახეა სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებიდან გასვლისა და შრომისსამართლებრივი ხელშეკრულების მოშლის დამფუძნებელი ნორმების კომბინაცია მოთხოვნის დამფუძნებელ ერთიან საფუძველად.

კონკურენციის ცალკეული სახის არსებობისას თუ რომელი არჩევანის გაკეთებაა სასურველი, შესაბამისი სამართლებრივი გზის არსებობის მიზნიდან გამომდინარეობს. სწორედ ამ თავისებურებას უკავშირდება მოთხოვნათა თუ მოთხოვნის საფუძველთა ერთგვარი იერარქიის ფორმირების დასაშვებობაც. ამით არის განპირობებული ისიც, რომ ნორმის შემფარდებელი მას მისი არსიდან და მიზნიდან გამომდინარე განმარტავს და მისი მოქმედების შესაბამის კორექტირებას ახდენს.

ზოგადი და სპეციალური მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია, ერთი შეხედვით, ყველაზე მარტივ გამიჯვნის კრიტერიუმს – სპეციალურობას, ანუ მოქმედების სფეროს სივიწროვეს, ემყარება. მიუხედავად ამისა, ნაშრომში გამოიკვეთა, რომ ეს ცალსახა კრიტერიუმიც გარკვეულ დათქმას საჭიროებს, მოწესრიგების არსიდან და მიზნიდან გამომდინარე. კერძოდ, შეიძლება, „უფრო ზოგად“ მოთხოვნას თუ მოთხოვნის საფუძველს უპირატესობა მიენიჭოს თავისი მოწესრიგების არსით სპეციალური კანონის მოთხოვნასთან თუ მოთხოვნის საფუძველთან მიმართებით, თუკი ამ უკანასკნელით მისი შემუშავების მიზნის საწინააღმდეგო შედეგი დგება. მაგალითად, თუ შრომისსამართლებრივი ან სამომხმარებლოსამართლებრივი დამცავი ნორმებით უფრო უარესი შედეგი დგება იმ პირთათვის, რომელთა უპირატესი დაცვის რეჟიმის შემუშავებასაც ემსახურება სპეციალური მოწესრიგება, გამოსაყენებელი უნდა იყოს სამოქალაქოსამართლებრივი მოთხოვნა თუ მოთხოვნის საფუძველი. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში სპეციალურობა მოწესრიგების მიზანთან კავშირში დგინდება.

შესაბამისად, მაგალითად, შრომითსამართლებრივ ურთიერთობებზე არ უნდა გავრცელდეს სსკ-ით დადგენილი ნორმები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური შრომითი კანონმდებლობით წესდება დაცვის უფრო მაღალი სტანდარტი, ვიდრე ეს შესაბამისი ზოგადი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობისთვის არის გათვალისწინებული. მოწესრიგების მიზნის უზრუნველსაყოფად გამართლებულია სხვადასხვა, მათ შორის ზოგადი და სპეციალური, ნორმის კომბინაცია.

კონკურენციის ცალკეული შემთხვევა იმგვარად უნდა გადაწყდეს, რომ კონკურენციაში მყოფი თითოეული რეგულირების არსი დაცული დარჩეს. მაგალითად, სახელშეკრულებო და კანონისმიერ მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციისას, ცალკეული შემთხვევის თავისებურებებთან ერთად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ შემთხვევის მიმართ მოქმედი საგამონაკლისო დებულების, მათ შორის სახელშეკრულებო შეთანხმების, მიზანი.

## ბიბლიოგრაფია

### ქართულ ენაზე:

ადეიშვილი, ლეონიდე/კერესელიძე, დავით, საქართველოს შრომის კოდექსის პროექტი და კონტინენტური ევროპის ქვეყნების შრომის სამართლის ზოგიერთი ძირითადი პრინციპი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2003 (6), გვ. 4-24.

ახვლედიანი, ზურაბ/ზოიძე, ბესარიონ/ჭანტურია, ლადო/ჯორბენაძე, სერგო (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, თბილისი, 1999.

ახვლედიანი, ზურაბ/ზოიძე, ბესარიონ/ჭანტურია, ლადო/ჯორბენაძე, სერგო (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, თბილისი, 1999.

ბიოლინგი, ჰაინი/ლუტრინგჰაუსი, პეტერი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი – თბილისი, 2009.

ბიოლინგი, ჰაინ/ლუტრინგჰაუსი, პეტერ/შატბერაშვილი, ლია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2005.

ბოელინგი, ჰაინ/ჭანტურია, ლადო, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მე-2 გამოცემა, 2004.

დანელია, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2008, სპეციალური გამოცემა, გვ. 31-68.

ვაშაკიძე, გიორგი, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2007 (10), გვ. 14-58.

ზარნაძე, ეკა, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე სასამართლო დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2007 (10), გვ. 120-138.

ზოიძე, ბესარიონ/ნინიძე, თედო/შენგელია, რომან/ჭანტურია, ლადო/ხეცურიანი, ჯონი (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვადდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001.

ზოიძე, ბესარიონ/ნინიძე, თედო/შენგელია, რომან/ჭანტურია, ლადო/ხეცურიანი, ჯონი (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი პირველი, 2001.

იოსელიანი, ალექსანდრე, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა), ქართული სამართლის მიმოხილვა, 2007, სპეციალური გამოცემა, გვ. 12-70.

კერესელიძე, დავით, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009.

კერესელიძე, დავით, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2003 (6), გვ. 600-610.

მაჩალაძე, სოფიო, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი), ქართული სამართლის მიმოხილვა, 2004, სპეციალური გამოცემა, გვ. 72-100.

ჩანტლაძე, მადი, ნების გამოვლენის განმარტება, პირგასამტეხლოს შემცირება, ნომინალიზმის პრინციპი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2002 (5), გვ. 168 – 174.

ჩაჩავა, სოფიო, ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2004 (7), გვ. 760-782.

ჩაჩავა, სოფიო, ავტომატური ნასყიდობის ხელშეკრულება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2004 (7), გვ. 114-130.

ჩაჩავა, სოფიო, მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2004, სპეციალური გამოცემა, გვ. 35-70.

წკეპლაძე, ნათია, ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2003 (6), გვ. 184-195.

ჭანტურიას, ლადო, უძრავი ნივთების საკუთრება, შედარებითი სამართლებრივი კვლევა გერმანული სამართლის მაგალითზე, თბილისი, 1994.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007.

### **უცხოურ ენებზე:**

Adomeit, Herbert Marcus, der Verbraucherschutz und das BGB, NJW, 2004, S. 579-582.

Alexy, Robert, Theorie der juristischen Argumentation, Die Theorie des rationalen Diskurses als Theorie der juristischen Begründung, 1. Aufl., Sinzheim, 1983.

Amsberg, York-Gero von, Anspruchskonkurrenz, Cumul und Sameloop, eine rechtsvergleichende Untersuchung der Konkurrenz von Ersatzansprüchen aus Vertrag und Delikt im belgischen, niederländischen und deutschen Recht und ihrer Funktion in der Rechtsprechung, Frankfurt a. Main, 1994.

Arnold, Friedrich Christian von, Praktische Erörterungen aus dem Rechtsgebiete, Erlangen, 1853.

Arnold, Karl Friedrich, die Wohnungsmiethe nach dem Bürgerlichen Gesetzbuche mit besonderer Rücksicht auf die bisherige Zustände in München, 2. Aufl., München, 1900.



- Bähr, Otto, Die Anerkennung als Verpflichtungsgrund, 2. Aufl., Cassel, 1867.
- Bamberger, Georg/Herbert, Robert (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., München, 2009.
- Baumbach, Adolf/Lauterbach, Wolfgang/Albers, Jan/Hartmann, Peter, ZPO mit Gerichtsverfassung und anderen Nebengesetzen, 51. Aufl., München, 1993.
- Bar, Christian/Drobnig, Ulrich, Study on Property Law and Non-contractual Liability Law as they relate to Contract Law, 2002.
- Bar, Carl Ludwig von, Recht und Beweis im Civilprocesse, Leipzig/Tauchnitz, 1867, Nachdruck: Leipzig, 1968.
- Benda, Ernst, Industrielle Herrschaft und sozialer Staat, 1966.
- Benecke, Martina, Gesetzesumgehung im Zivilrecht, Tübingen, 2004.
- Bierer, Hermann, Handbuch des gesammten in Wuerttemberg geltenden Privatrechts Band 1, Der sogenannte allgemeine Theil und die dinglichen Rechte, Stuttgart, 1862.
- Bitter, Georg/Rauhut, Tilman, Grundzüge zivilrechtlicher Methodik – Schlüssel zu einer gelungenen Fallbearbeitung, JuS, 2009, S. 289-298.
- Böcking, Eduard, Einleitung in die Pandekten des gemeinen Civilrechts, 2. Aufl., Bonn, 1853.
- Böninger, Alfred, Die Bestrafung des Arbeitsvertragsbruchs der Arbeiter, insbesondere der gewerblichen Arbeiter, Tübingen, 1891.
- Brandenburg, Hans-Friedrich von, die teleologische Reduktion, Göttingen, 1983.
- Brackenhoeft, Theodor, die Identität und materielle Connexität der Rechtsverhältnisse oder der Umfang der Wirkung der Res judicata, die Conkurrenz der Klagen, und das Präjudicium, Göttingen, 1839.
- Bressler, Stefan, Selbstvornahme im „Schwebezustand“ nach Ablauf der Nacherfüllungsfrist, NJW, 2004, 3382-3386.
- Brütt, Lorenz, Die abstrakte Forderung nach deutschem Reichsrecht, Berlin, 1908.
- Burckhard, Hugo von, die civilistischen Praesumtionen, Weimar, 1866.
- Clausius, Kurt, Vertragskontinuität und Anpassungsbedarf, NJW, 1998, S. 3148-3152.
- Coing, Helmut, Europäisches Privatrecht, Band 1, Älteres Gemeines Recht (1500 bis 1800), München, 1985.
- Coing, Helmut, Europäisches Privatrecht, Band 2, 19. Jahrhundert, Überblick über die Entwicklung des Privatrechts in den ehemals gemeinrechtlichen Ländern, München, 1985.

Coing, Helmut/Honsell, Heinrich, Staudinger Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Buch 1, Allgemeiner Teil, 2004.

Coing, Helmut/Honsell, Heinrich, Staudinger Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Buch 2, Schuldrecht, 2005.

Cosack, Konrad, Lehrbuch des Deutschen bürgerlichen Rechts auf der Grundlage des Bürgerlichen Gesetzbuchs für das Deutsche Reich, Band 1: Die allgemeine Lehren und das Recht der Forderungen, Jena, 1898.

Dabelow, Christoph Christian von, System des gesamten heutigen Civilrechts, 2. Aufl., Band 1, Halle, 1796.

Dahns, Christian, Durchbrechung der anwaltlichen Verschwiegenheitspflicht, NJW-Spezial, 2008, S. 158-159.

Daubenspeck, Hermann, Beiträge zur Lehre vom Bergschaden, Berlin, 1885.

Däubler, Wolfgang, Das Arbeitsrecht 2, 1990.

Deckenbrock, Henssler, Neue anwaltliche Betätigungsverbote bei Interessen, NJW, 2008, 1275-1279.

Derleder, Peter, Der Wechsel zwischen den Gläubigerrechten bei Leistungsstörungen und Mängeln, NJW, 2003, S. 998-1003.

Derleder, Peter, Die Rechte des über Fehler der Kaufsache getäuschten Käufers, NJW, 2001, S. 1161-1167.

Dernburg, Heinrich, Pandekten, 6. Aufl., Band 1,1, Allgemeiner Theil, Berlin, 1900.

Dernburg, Heinrich, Die Schuldverhältnisse nach dem Rechte Deutschen Reichs und Preussens, Einzelne Obligationen, 4. Aufl., Band 1, Halle, 1909.

Dernburg, Heinrich, Die Schuldverhältnisse nach dem Rechte Deutschen Reichs und Preussens, Einzelne Obligationen, 4. Aufl., Band 2, Halle, 1915.

Dietz, Rolf, Anspruchskonkurrenz bei Vertragsverletzung und Delikt, Röhrscheid/Bonn, 1934.

Doms, Thomas, Neue ZPO – Umsetzung in der anwaltlichen Praxis, NJW, 2002, S. 777-780.

Dubischar, Roland, Der fehlgeschlagene Grundstückskauf, JuS, 2002, S. 231-237.

Eichhorn, Carl Friedrich, Einleitung in das deutsche Privatrecht mit Einschluss des Lehenrechts, Aufl. 5., Göttingen, 1845.

Endemann, Friedrich, Lehrbuch des bürgerlichen Rechts, 6. Aufl., Band 1, Einleitung, allgemeiner Teil, Recht der Schuldverhältnisse, Berlin, 1899.

Endemann, Friedrich, Über die civilrechtliche Wirkung der Verbotsgesetze nach gemeinem Recht, Leipzig, 1887.

Endemann, Wilhelm, Die Beweislehre des Zivilprozesses, Heidelberg, 1860, Nachdruck: Aalen, 1973.

Foerste, Ulrich, Unklarheit im künftigen Schuldrecht: Verjährung von Kaufmängel-Ansprüchen in zwei, drei oder 30 Jahren?, ZRP, 2001, S. 342-343.

Frankenstein, Kuno, Der Arbeitsschutz, Leipzig, 1896.

Frankl, Otto, die Formerfordernisse der Schenkung nach Österreichischem Rechte, Graz, 1883.

Gaisberg, Ludwig Carl von, Allgemeine Vorkenntnisse zur Theorie des bürgerlichen Processes, Stuttgart, 1820.

Georgiades, Apostolos, Die Anspruchskonkurrenz zum Zivilrecht und Zivilprozeßrecht, München, 1967.

Gierke, Otto von, Deutsches Privatrecht, Band 3, Leipzig, 1917.

Gimmerthal, Theodor, Das Eigentum im Conflict mit den übrigen Gebilden des Sachenrechts und die Actiones Arbitrarie insbesondere, Arnstadt, 1874.

Gnos, Urs, Anspruchskonkurrenz in schweizerischen Produkthaftpflichtrecht, 1997.

Gschnitzer, Franz/Faistenberger, Christoph/Barta Heinz/Eccher Bernhard, Österreichisches Schuldrecht besonderer Teil und Schadensersatz, 2. Aufl., Wien/New York, 1988.

Gsell, Beate, „Deliktsrechtlicher Eigentumsschutz bei „weiterfressendem“ Mangel“, NJW, 2004, S. 1913-1915.

Grunewald, Barbara, Just-in-time-Geschäfte – Qualitätssicherungsvereinbarungen und Rügelast, NJW, 1995, S. 1777 – 1784.

Hampel, Christian, Kaufrechtliche Probleme beim Gebrauchtwagenkauf, JuS, 2003, S. 465-471.

Heck, Philipp, das Problem der Rechtsgewinnung, Gesetzesauslegung und Interessenjurisprudenz, Begriffsbildung und Interessenjurisprudenz, 1932.

Heidel, Thomas/Hüßtege, Rainer/Mansel, Heinz-Peter/Noack, Ulrich (Hrsg.) Anwaltkommentar BGB, Allgemeine Teil und EGBGB, Band 1, Bonn, 2005.

Herzberg, Rolf D., Kritik der teleologischen Gesetzesauslegung, NJW, 1990, 2525-2530

Hess, Walter, Einfache und höhere Arbeit, Jena, 1905.

Hoffmann, Nadja, Die Koordination des Vertrags- und Deliktsrechts in Europa, Tübingen, 2006.

Huber, Peter, Irrtumsanfechtung und Sachmängelhaftung, eine Studie zur Konkurrenzfrage vor dem Hintergrund der internationalen Vereinheitlichung des Vertragsrechts, 2001.

Hümmerich Klaus/Boecken Winfried/Düwell Franz Josef, Anwaltskommentar, Arbeitsrecht, Band 2, Bonn, 2007.

Isay, Hermann, Die Geschaeftsfuehrung nach dem Buergerlichen Gesetzbuche fuer das Deutsche Reich, Jena, 1900.

Jäggi, Peter, Zum Begriff der Vertraglichen Schadensersatzforderung, Festgabe für Wilhelm Schöneberg, Freiburg, 1968, 181-197.

Jahr, Günther, Anspruchsgrundlagenkonkurrenz und Erfüllungskonnexität, Verfahrensrecht am Ausgang des 20. Jahrhunderts, Festschrift für Gerhard Lücke zum 70. Geburtstag, 1997, S. 297-322, <http://www.jura.uni-sb.de/projekte/Bibliothek/text.php?id=155> (10.06.2009).

Jauernig, Othmar/Berger, Christian/Mansel, Heinz-Peter/Stadler, Astrid/Stürner, Rolf/Teichmann, Arndt, Bürgerliches Gesetzbuch, 13. Aufl., München, 2009.

Jaensch, Michael, Der Gleichlauf von Rücktritt und Schadensersatz, NJW, 2003, S. 3613-3615.

Jellinek, Georg, Ein Verfassungsgerichtshof für Österreich, Wien, 1885.

Jhering, Rudolf von, Scherz und Ernst in der Jurisprudenz: Eine Weihnachtsgabe für das juristische Publikum von Rudolf Jhering, Leipzig, 1884.

Jhering, Rudolf von, Der Kampf um das Recht, 1872, Vortrag gehalten in der Wiener Juristischen Gesellschaft am 11. März, 1872 <http://www.koeblergerhard.de/1Fontes/JheringDerKampfumsRecht.htm> (15.05.2009).

Jhering, Rudolf von, Die Idee der Gerechtigkeit, Recht und Sitte (Auswahl), Bücher der Bildung, München, გამოცემის წელი არ არის მითითებული.

Kossmann, Horst, Der Handel im System der Produkthaftpflicht, NJW, 1984, S. 1664-1667.

Kardinahl, Philipp, Darstellung der Rechtsgrundlagen für die Beendigung eines Arbeitsverhältnisses gegen Zahlung einer Abfindung im deutschen Arbeitsrecht, 2008.

Keil, Ulrich, Die Systematik privatrechtlicher Rechtsprechungsänderungen, Tübingen, 2007.

Kereselidze, Der Allgemeiner Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Eine Rechtsvergleichende Untersuchung, Frankfurt am Main/Berlin/Bern/Bruxells/New York/Oxford/Wien, 2005.

Kindel, Wilhelm, Das Rechtsgeschäft und sein Rechtsgrund, Berlin, 1892.

Klein, Andreas, Konkurrenz und Auslegung, der deliktsrechtlicher Gehalt vertraglicher Normen, Berlin, 1996.

Kleine, Lucas/Scholl, Bernd, das Konkurrenzverhältnis primärer und sekundärer Gläubigerrechte bei Pflichtverletzung im allgemeinen Schuldrecht, NJW, 2006, S. 3462-3467.

Klunziger, Eugen, Einführung in das Buergerliche Recht, 10 Aufl., München, 2001.

Kohler, Jürgen, Schwebende Vindikationsklage, Köln, NJW, 1988, S. 1054-1059.

- Koller, Ingo/Roth, Wulf-Henning/Morck, Winfried, HGB Kommentar, 6. Aufl., 2007.
- Krüger, Wolfgang, (Hrsg.), Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 2, Schuldrecht Allgemeiner Teil, §§ 241-432, Krüger, Wolfgang (Redakteur), 5. Aufl., München, 2007.
- Krüger, Wolfgang/Wesermann, Harm Peter, (Hrsg.), Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 3, Schuldrecht Besonderer Teil, §§ 433-610, Finanzierungsleasing, HeizkostenV, BetriebskostenV, CISG, Krüger, Wolfgang/Wesermann, Peter (Redakteur), 5. Aufl., München, 2008.
- Kuhlenbeck, Ludwig, Von den Pandekten zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 1, Berlin, 1898.
- Kupisch, Berthold, Münster, Zum Rechtsgrund i.S. des § 812 BGB bei Erfüllung - Eine rechtsdogmatische und rechtsgeschichtliche Untersuchung, NJW, 1985, S. 2370-2375.
- Landsberg, Ernst, Das Recht des Bürgerlichen Gesetzbuches vom 18.08.1896, Band 1, Berlin, 1904.
- Langheineken, Paul, Anspruch und Einrede nach dem Deutschen Bürgerlichen Gesetzbuch, Leipzig, 1903.
- Larenz, Karl/Wolf, Manfred, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., München, 2004.
- Larenz, Karl/Canaris, Claus-Wilhelm, Methodenlehre der Rechtswissenschaft, 3. Aufl., Berlin/Heidelberg/New York/Barcelona/Budapest/Hongkong/London/Mailand/Paris/Santa Clara/ Singapur/Tokio, 1995.
- Laufs, Adolf, Die Entwicklung des Arztrechts, NJW, 1990, 1505-1513.
- Lehmkuhl, Augustin, Die sociale Fragen und die staatliche Gewalt, 2. Aufl., 1893.
- Lieb, Manfred, Arbeitsrecht, 8. Aufl., Heidelberg, 2003.
- Liessem, Georg, Guter Glaube beim Grundstückserwerb von einem durch seinen Güterstand verfügungsbeschränkten Ehegatten?, NJW, 1989, S. 497-502.
- Lorenz, Stephan, Grundwissen - Zivilrecht: Abstrakte und kausale Rechtsgeschäfte, JuS, 2009, S. 489-491.
- Lorenz, Stephan, Schuldrechtsreform 2002: Problemschwerpunkte drei Jahre danach, NJW, 2005, S. 1890-1894.
- Lotmar, Philipp, Der Arbeitsvertrag nach dem Privatrecht des deutschen Reiches, Band 1, 1902.
- Lotmar, Philipp, Der Arbeitsvertrag nach dem Privatrecht des deutschen Reiches, Band 2, 1908.

Lücke, Jorg, Auslegung, Rechtsfortbildung und Verfassung am Beispiel vorläufiger Gesetze, Urteile, Beschlüsse und Verwaltungsakte, 1991.

Mankowski, Peter, Das Zusammenspiel der Nacherfüllung mit den kaufmännischen Untersuchungs- und Rügeobliegenheit, NJW, 2006, S. 865-869.

Marcus, Georg, Das Recht der Privatversicherung nach den allgemeinen Lehren des Entwurfes eines Reichsgesetzes über den Versicherungsvertrag, Berlin, 1907.

Martiny, Dieter, Unterhaltsrang und -rückgriff, Mehrpersonenverhältnisse und Rückgriffansprüche im Unterhaltsrecht Deutschlands, Österreich, der Schweiz, Frankreich, Englands und der Vereinigten Staaten von Amerika, Band 1, Tübingen, 2000.

Menger, Anton, Das Bürgerliche Recht und die Besitzlosen Volksklassen, Tübingen, 1890.

Möhler, Franz, Pandektenrepetitorium nach den Lehrbuechern von Puchta, von Vangerow und Arndts, 2. Aufl., Schwerin, 1860.

Neuner, Jörg, Der Redlichkeitsschutz bei abhanden gekommenen Sachen, Jus, 2007, S. 401-411.

Ohlinger, Ferdinand, Der gemeine deutsche und Württemb. Civil-Prozess, Wangen im Allgäu, 1862.

Olzen, Dirk/Wank, Rolf, Zivilrechtliche Klausurenlehre mit Fallrepetitorium, 2. Aufl., Köln, 1998.

Oppenheim, Heinrich Bernhard, Die Gewerbefreiheit und der Arbeitsvertrag, Breslau, 1880.

Pahlow, Louis, Der Rechtsmangel beim Sachkauf, JuS, 2006, S. 289-293.

Palandt, Otto, Bürgerliches Gesetzbuch, 67. Aufl., München, 2008.

Pfersche, Emil, Privatrechtliche Abhandlungen, Erlangen, 1886.

Piekenbrock, Andreas, Befristung, Verjaehrung, Verschweigung und Verwirkung, Eine rechtsvergleichende Grundstudie zu Rechtsaenderungen durch Zeitablauf, 2006, Tübingen.

Pollack, Heinrich, Der Schenkungswiderruf insbesondere seine Vererblichkeit, Berlin, 1886.

Prütting, Hans/Wegen, Gerhard/Weinreich, Gerd, BGB Kommentar, Neuwied, 2006.

Puchta, Georg Friedrich, über gerichtliche Klagen, besonders in Streitigkeiten der Landeigentuemers, Giessen, 1833.

Rauscher, Thomas/Wax, Peter/Wenzel, Joachim (Hrsg.), Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung und Nebengesetze, Band. 1, §§1-510c, 3. Aufl., München, 2008.

Rauscher, Thomas/Wax, Peter/Wenzel, Joachim (Hrsg.), Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung, mit Gerichtsverfassungsgesetz und Nebengesetzen, Band 1, §§ 1-510 c, ProstG, Säcker, Franz Jürgen (Redakteur), 3. Aufl., München, 2008.

- Regelsberg, Ferdinand, Pandekten, Band 1, Leipzig, 1893.
- Rittner, Fritz, Die gestörte Vertragsparität und das Bundesverfassungsgericht, NJW, 1994, S. 3330-3331.
- Rubner, Daniel/Dötsch, Wolfgang, Mangel- und Mangelfolgeschäden, JuS, 2004, S. 798-803.
- Ruffert, Matthias, Vorrang der Verfassung und Eigenständigkeit des Privatrechts, 2001.
- Säcker, Franz Jürgen/Rixecker, Roland (Hrsg.), Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 1, Allgemeiner Teil, §§ 1-240, ProstG, Säcker, Franz Jürgen (Redakteur), 5. Aufl., München, 2006.
- Säcker, Franz Jürgen/Rixecker, Roland (Hrsg.), Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 4, Schuldrecht Besonderer Teil II, §§ 611-704, EFZG, TzBfG, KSchG, Henssler, Martin (Redakteur), 5. Aufl., München, 2009.
- Säcker, Franz Jürgen/Rixecker, Roland (Hrsg.), Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 5, Schuldrecht Besonderer Teil III, §§ 705-853, Partnerschaftsgesellschaftsgesetz, Produkthaftungsgesetz, Habersack, Mathias (Redakteur), 5. Aufl., München, 2009.
- Säcker, Franz Jürgen/Rixecker, Roland (Hrsg.), Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 6, Sachenrecht, 5. Aufl., München, 2009.
- Säcker, Franz Jürgen/Rixecker, Roland/Rebmann Kurt (Hrsg.), Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 7, Familienrecht, 4. Aufl., München, 2000.
- Savigny, Friedrich Carl von, System des heutigen römischen Rechts, Band 1, Berlin, 1840.
- Savigny, Friedrich Carl von, System des heutigen römischen Rechts, Band 4, Berlin, 1841.
- Savigny, Friedrich Carl von, System des heutigen römischen Rechts, Band 5, Berlin, 1841.
- Schaub, Günter, Arbeitsrechtshandbuch, 9. Aufl., München, 2000.
- Schellhammer, Kurt, Sachenrecht nach Anspruchsgrundlagen, Heidelberg, 2001.
- Schellhammer, Kurt, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen, 6. Aufl., Heidelberg, 2005.
- Schiffner, Ludwig, Systematisches Lehrbuch des oesterreichischen allgemeinen Civilrechtes Band 1: Den allgemeinen Teil enthaltend, Wien, 1882.
- Schliemann, Harald (Hrsg.), Das Arbeitsrecht im BGB, Kommentar, 2. Aufl., Berlin, 2002.
- Schmidt, Karsten (Hrsg.), Münchener Kommentar zum HGB, 2. Aufl., München, 2007.
- Schmidt-Salzer, Joachim Verbraucherschutz, Produkthaftung, Umwelthaftung, Unternehmensverantwortung, NJW, 1994, S. 1305-1315.
- Schneider, K., Ueber richterliche Ermittlung und Feststellung des Sachverhalts im Civilprozesse, Leipzig, 1888.

Schneider, Hans-Peter/Lecheler, Helmut, Artikel 12 GG – Freiheit des Berufs und Grundrechte der Arbeit, in: Veröffentlichungen der Vereinigung der Deutschen Staatsrechtslehrer, Heft 43, Berlin/New York, 1985.

Schollmeyer, Friedrich, das Recht der einzelnen Schuldverhältnisse im Bürgerlichen Gesetzbuch, 2. Aufl., Berlin, 1904.

Schroeter, Ulrich, G., das Wahlrecht des Käufers im Rahmen der Nacherfüllung, NJW, 2006, Freiburg, S. 1761-1764.

Schubert, Werner, Verjährung von Mangelfolgeschäden, NJW, 1975, S. 1230-1230.

Schulze, Reiner/Dörner, Heinrich/Ebert, Ina (Hrsg.), BGB Kommentar, 5. Aufl., Band. 1, 2007.

Schulze, Reiner/Ebers, Martin, Streitfragen im neuen Schuldrecht, JuS, 2004, S. 462-468.

Schünemann, Wolfgang, Wandlungen des Vertragsrechts, NJW, 1982, 2027-2033.

Schurter, Emil, Grundzüge des materiellen Beweisrechtes in der schweizerischen Civilprozessgesetzgebung, Zürich, 1890.

Sendler, Horst, Richterrecht - rechtstheoretisch und rechtspraktisch, NJW, 1987, S. 3240-3242.

Seibt, Christoph/Wollenschläger, Bernward, Vertragliche und deliktische Haftung - Ein Fernsehinterview mit Folgen, JuS, 2008, S. 800 - 804

Stadler, Astrid, Gestaltungsfreiheit und Verkehrsschutz durch Abstraktion, Eine rechtsvergleichende Studie zur abstrakten und kausalen Gestaltung rechtsgeschäftlicher Zuwendungen anhand des deutschen, schweizerischen, österreichischen, französischen und US-amerikanischen Rechts, Tübingen, 1996.

Stadthagen, Arthur, Das Arbeitsrecht, 4. Aufl., Stuttgart, 1904.

Sturm, Andreas, Die Verjährung von Schadensersatzansprüchen der Gesellschaft gegen Leitungsorganmitglieder, Jena, 2005.

Thomas, Heinz/Putzo, Hans (Hrsg.), ZPO Kommentar, 25. Aufl., München, 2003.

Thümmel, Andreas, Referendarexamensklausur - Zivilrecht: Gutgläubiger Ersterwerb einer Vormerkung, JuS, 2009, S. 635-640.

Unger, Joseph, System des österreichischen allgemeinen Privatrechts, 5. Aufl., Band 2, Leipzig, 1892.

Wächter, Karl Georg von, Pandekten, Band 1, Allgemeiner Theil, Leipzig, 1880.

Weber, Michael, Produkthaftung im belgischen Recht, Karlsruhe, 1998.

Weichert, Thilo, Datenschutz auch bei Anwälten?, NJW, 2009, S. 550-554.



Westermann, Harm Peter, Das neue Kaufrecht, NJW, 2002, S. 241-253.

Wilhelm, Jan, Das Merkmal „lediglich rechtlich vorteilhaft“ bei Verfügungen über Grundstücksrechte, NJW, 2006, S. 2353-2356.

Windscheid, Bernhard, Die Actio des römischen Civilrechts, vom Standpunkte des heutigen Rechts, Düsseldorf, 1856.

Windscheid, Bernhard, Lehrbuch des Pandektenrechts, Band 1, Düsseldorf, 1862.

Abhandlung selbst enthaltend, München, 1860.

Zitelmann, Ernst, Lücken im Recht, Leipzig, 1903.

Zugehör, Horst, Anwaltsverschulden, Gerichtsfehler und Anwaltshaftung, NJW, 2003, S. 3225-3232.

Zweigert, Konrad/Kötz, Hein, Einführung in die Rechtsvergleichung: auf dem Gebiet des Privatrechts, 3. Aufl., Tübingen, 1996.

Барон, Ю., Система Римского Гражданского Права, перевод Л. Петражицкого, выпуск первый, книга I. общая часть, С.-Петербург, 1909.

Барон, Ю., Система Римского Гражданского Права, перевод Л. Петражицкого, выпуск второй, книга II Владение, книга III Вещные права, С.-Петербург, 1908.

Зоидзе, Бесарион, Актуальные Проблемы Советского Права, 1988.

Лоренц, Дмитрий Проблемы Соотношения и Конкуренции Виндикации с Иными Внедоговорными Притязаниями, Вестник ЮУрГУ № 2, 2008.

Лоренц, Дмитрий Гражданско-правовое Притязание: Юридическая Природа, Сущность и Разновидности, Вестник ЮУрГУ № 18, 2008.

Лоренц, Дмитрий К Проблеме «Абсолютного» Правоотношения, Вестник ЮУрГУ № 6, 2009.

Малиновский, Дмитрий, Актуальные Проблемы Категории Субъективного Вещного Права, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, Москва, 2002.

Шершеневич, Г. Ф., Учебник Русского Гражданского Права, С.-Петербург, 1909.

### **საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებები:**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის 1/1/103.117.137.147-48.152-53 გადაწყვეტილება „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“, საქართველოს 1998 წლის 25 ივნისის კანონის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს 1/2/434 გადაწყვეტილება „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 13 ივნისის № 3კ/429-01 განჩინება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2003 წლის 1 აპრილის N1/2/155 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 31 ოქტომბრის №ას-254-939-03 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 30 ნოემბრის №ას-1096-1297-04 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 26 თებერვლის №ას-690-1338-03 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, 2005 წლის 19 ივლისის № ას-477-820-05 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 29 ივნისის №ას-555-834-04 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 5 დეკემბრის №ას-772-1045-05 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 4 მარტის №ას-973-1208-04 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 18 იანვრის №ას-1333-1454-04 განჩინება.

ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 16 თებერვლის №ბს-1167-782(კ-05) გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 14 თებერვლის №ას-992-1245-05 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ივნისის №ას-7-362-07 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 13 მარტის №ას/751/1118/06 განჩინება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის განჩინება.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 2 მაისის №ას-54-338-08 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის №ას-873-1183-07 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ივნისის №ას-73-419-07 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის №ას-911-1218-07 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 2 აპრილის №ას-680-1010-07 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მაისის №ას-962-1266-07 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვარის №ას 505-741-08 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 10 მარტის №ას-920-1127-08 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 31 მარტი №ას-772-987-08 განჩინება.

### **სხვა ქვეყნის სასამართლოების გადაწყვეტილებები:**

BGH Urteil vom 23.05.1951 – II ZR 71/50 (Düsseldorf), NJW, 1951, 602-604.

BGH Urteil vom 20.10.1953 – I ZR 125/52 (Hamburg), NJW, 1954, S. 145.

BGH Urteil vom 20.12.1966 – VI ZR 53/65 (Hamm), NJW, 1967, S. 558-559.

BGH Urteil vom 23.03.1966 – I b ZR 150/63 (Karlsruhe), NJW, 1967, S. 42-44.

BGH Urteil vom 30.11.1971 – VI ZR 100/70 (Stuttgart), NJW, 1972, S. 475-477.

BGH Urteil vom 24.05.1976 – VIII ZR 10/74 (Hamm), NJW, 1976, S. 1505-1506.

BGH Urteil vom 24.11.1976 – VIII ZR 137/75 (Stuttgart), NJW, 1977, S. 379-381.

BGH, Urteil vom 28.06.1978 – VIII ZR 112/77 (Karlsruhe), NJW, 1978, S. 2240-2241.

OLG Köln Urteil vom 25.03.1981 – 2 U 3/81, NJW, 1982, S. 390-391.

BGH Beschluß vom 10.12.1981 – V ZB 12/81, NJW, 1982, (Ergangen auf Vorlagebeschl. des OLG Köln) 1097-1099.

BGH, Urteil vom 23.05.1984 – IVa ZR 229/82 (Hamburg), NJW, 1984, S. 2089-2090.

BGH Urteil vom 20.11.1984 – IVa ZR 104/83 (Celle), NJW, 1985, S. 794- 795.

BGH Urteil vom 16.09.1987 – VIII ZR 334/86 (Frankfurt), NJW, 1988, S. 52-55.

OLG Karlsruhe, Urteil vom 09.09.1988 – 10 U 32/88, NJW, 1989, S. 2136-2137.

OLG Stuttgart Urteil vom 17.03.1989 – 2 U 226/88, NJW, 1989, S. 2547-2548.

BGH Urteil vom 30.10.1990 – VI ZR 40/90 (Oldenburg), NJW, 1991, S. 921-922.

BGH Urteil vom 26.11.1990 – II ZR 92/90 (Karlsruhe), NJW 1991, S. 1414-1415.

BGH Urteil vom 12.12.1991 – I ZR 212/89 (Schleswig), NJW, 1992, 1679-1681.

BGH Beschluß vom 16.02.1993 – VI ZR 252/92 (Oldenburg), NJW-RR, 1993, S. 1113-1114.

BGH Urteil vom 29.09.1995 – V ZR 130/94 (Karlsruhe), NJW, 1996, S. 52-53.

BGH Urteil vom 09.12.1998 – XII ZR 170/96 (Nürnberg), NJW-RR 1999, S. 698-699.

BGH Urteil vom 15.07.1999 – I ZR 96/97 (Celle), NJW-RR 2000, S. 330-332.

BGH Urteil vom 23.03.2000 – X ZR 177/97 (Frankfurt a.M.), NJW, 2000, S. 2101-2102.

BGH Urteil vom 26.06.2003 – VII ZR 281/02 (LG Potsdam.), NJW-RR, 2003, S. 1321 -1322.

LAG Thüringen, Urteil vom 09.12.2003 – 5 Sa 157/02, 5 Ca 1580/01 Arbeitsgericht Gera, Beck-Rechtstprechung, 2009, 68120.

BGH Urteil vom 11.02.2004 – VIII ZR 386/02 (OLG Saarbrücken), NJW, 2004, S. 1032-1034.

BGH Urteil vom 21.12.2005 – VIII ZR 49/05, JuS, 2006, S. 650-653.

Urteil vom 24.03.2006 – I Zivilabteilung des schweizerischen Bundesgerichts, 4C.400/2005/sza, Lausanne.

BGH Urteil vom 14.12.06 – 3W 52/06 (OLG Rostock), NJW-RR, 2007, S. 1092-1093.

BGH Urteil vom 09.01.2008 – VIII ZR 210/06, JuS, 2008, S. 557-559.

OLG Stuttgart Urteil vom 08.05.2008 – 13 U 223/07, NJW-RR, 2009, S. 384-386.

BGH Urteil vom 09.07.2008 – XII ZR 179/05 (OLG Jena), NJW, 2008, S. 3277-3282.

Определение Конституционного Суда РФ № 634-О от 21 декабря 2006 г.

Определение Конституционного Суда РФ № 98-О от 25 марта 2004 г.

Постановление Конституционного Суда РФ № 6-П от 21 апреля 2003 г.

Определение Верховного Суда РФ № 22-В07-36 от 29 января 2008 г.